საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

www.geworld.net

24 – 30 მარტი, 2010

№ 11 (54)

info@geworld.net

სექს-შოუ საქართველოს აუფოთებს 2

ბოდიში, ისაკ მახმადოვიჩ! 4

დაკვერცხილის დამიწება 6

აპოკალიფსი გადაიდო, მოვითხოვთ დაპირებულ წარღვნას! 13

მსოფლიოს 14 აშშ-ის დაკრულზე ცეკვა არ სურს

16 «მელიის ორდენოსნის» 10 ყველაზე დიდი ტყუილი

სად ერეკლე 18 და სად... სტაბილიზატორი

ავღანური 19 დოზა

# რაზე შეთანხმდნენ ვლადიმერ პუტინი და ჰილარი კლინტონი?




ჰილარი კლინტონის მოსკოვში გამგზავრების წინ გავლენიანმა ამერიკულმა სადაზვერვო-ანალიტიკურმა ცენტრმა (Stratfor) გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც ნათქვამია:

**«ოთხი ქვეყანა, რომელიც, რუსეთის აზრით, მისი სრული გავლენის ქვეშ უნდა მოექცეს, ბელორუსი, ყაზახეთი, უკრაინა და საქართველოა... ყოველ შემთხვევაში, მათ უნდა გააცნობიერონ, რომ რუსეთი ყოფილ საბჭოთა სივრცეს განაგებს»**

2

# თურქეთი ნატოდან გადის?

## სააკაშვილის იზოლაციის მარათონს ანკარაც შეუერთდა

6

# «ვეჩერნაია მოსკვაამ» ბორჯომის მიტროპოლიტ სერაფიმეს მამის თანაპოლკელი მოაძებნინა



11

## დაიწყება თუ არა გამოძიება?

12



პოლიტპატიმარ-აკადემიკოს **ვლადიმერ ვახანიას**

**განცხადება:**

საქართველოს იუსტიციის მინისტრს, ბატონ ზურაბ ადეიშვილს;
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას;
საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრს ქალბატონ ხათუნა კალმახელიძეს;
თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას;
ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს დიდ პალატას საქმეზე № 40227/09 საფრანგეთი, სტრასბურგი

**«VINCIT OMNIA VERITAS»**

**«ჭეშმარიტება ყველაფერზე იმარჯვებს»**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# სექს-შოუ საქართველოს აშფოთებს

**ტანზე მოტკეცილი წითელი კაბითა და სკამზე მრავალმნიშვნელოვნად გადაწოლილი შორენა ბეგაშვილი კამერას უყურებს და ამბობს – „ახლა ჩვენ იმ ხმებზე ვისაუბრებთ, რომლებსაც ადამიანები სექსის დროს გამოსცემენ“. როდესაც მისი გამოსახულება დაბინდული კადრებით შეიცვალა და კვნესისა და ყვირილის ხმა გაისმა, გასაგები გახდა, თუ რატომ გამოიწვია საქართველოში სექსზე მომზადებულმა პირველმა თოქ-შოუმ „ღამე შორენასთან ერთად“ ასეთი დავა ამ კონსერვატიულ ქვეყანაში.**

ეს გადაცემა კერძო ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გადის, იმ „იმედის“, რომელმაც ამ თვეში საერთაშორისო ხმაური გამოიწვია, როცა ეთერში ცრუ „ახალი ამბები“ გადასცა...

„ჩვენ ვცდილობთ, ქართველები სექსში გავანათლოთ,“ – უთხრა ბეგაშვილმა AFP-ს ინტერვიუში, რომელიც თბილისის მოდურ კაფეში — „ჩაის სახლში“ ჩაწერეს. **„საქართველოში ბევრ ადამიანს მიაჩნია, რომ ისინი სექსზე საკმარის ინფორმაციას ფლობენ, მაგრამ, დამიჯერეთ, ეს ასე არ არის“**. მაგრამ ბეგაშვილის ოპონენტები ამ მოსაზრებას არ ეთანხმებიან, ამიტომ პროგრამას რელიგიური ჯგუფების პროტესტი, არხის მიმართ ოფიციალური პრეტენზიები და სასამართლოში ჩივილის მუქარა მოჰყვა.

ეს დაპირისპირება იმ ფართო დებატების ნაწილია, რომლებიც საქართველოში ქვეყნის სოციალური ღირებულებების ირგვლივ იმართება, რადგან ქვეყანა 1991 წელს დაწყებულ ტრანსფორმაციას განაგრძობს, როდესაც მან საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ბოლო წლებში, განსაკუთრებით, 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველო სულ უფრო ყურადღებით აკვირდება აშშ-სა და ევროპას, როგორც მისაბაძ პოლიტიკურ და კულტურულ მოდელებს, მაგრამ სექსის მიმართ შედარებით ლიბერალური დასავლური დამოკიდებულება აქ ტრადიციულ ღირებულებებს აწყდება, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც გაზრდილია სოციალურად კონსერვატიული ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენა.

საზოგადოებრივი კვლევები ცხადყოფს, რომ ქართველები სექსთან დაკავშირებით ბევრად უფრო კონსერვატიულები არიან, ვიდრე ამერიკელები და ევროპელები. შარშან, ოქტომბერში, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ მომზადებული საერთო ეროვნული მიმოხილვის თანახმად, ქართველების 77% უარყოფითად აფასებს ქორწინებამდე სექსს, ხოლო 90% — ჰომოსექსუალიზმს. ამის საპირისპიროდ, შარშან Gallup-ის მიერ შეერთებულ შტატებში ჩატარებული გამოკითხვებით გაირკვა, რომ სექსი ქორწინებამდე ამერიკელების მხოლოდ 40%-ისთვისაა მიუღებელი; ხოლო 2001 წელს, „ეუროზარომეტერის“ კვლევის შედეგებით, მთელს ევროპაში 10 ახალგაზრდიდან 9 მიესალმება სექსს ქორწინების გარეშე.

**რედაქციისაგან: როგორც ხედავთ, უდიდესი ფრანგული საინფორმაციო სააგენტოს ყურადღებაც კი მიიპყრო „ღამემ შორენასთან ერთად.“ თუმცა მათ, უპირველესად, ქართველების კონსერვატიულობა აკვირვებთ. ალბათ, როცა „მაშასადამე ევროპელობიდან“ ნამდვილ ევროპელობამდე „ავმაღლდებით ღამით შორენასთან ერთად“, საქართველოს მოსახლეობაც „უფრო ცივილიზებული“ გახდება და ყოველი 10 ახალგაზრდიდან ჩვენთანაც 9 მიესალმება სექსს ქორწინების გარეშე. კიდევ კარგი, ჯერჯერობით 90 პროცენტი უარყოფითად აფასებს მამათმავლობას და ამ მხრივ მაინც არ გვაქვს კატასტროფული მდგომარეობა. ალბათ, ამასაც გაითვალისწინებენ ლიბერალები და „ტელეიმედი“ ახალ გადაცემას შემოგვთავაზებს „ღამე... ერთად“ (სახელი თქვენ ჩასვით, სულერთია, ვინ იქნება — ბესო თუ კესო!). აი, მაშინ კი მართლა საშველად გვექნება საქმე!**

# რაზე შეთანხმდნენ ვლადიმერ პუტინი და ჰილარი კლინტონი?

**გასულ კვირას ორგზის ბედნიერი ჰილარი კლინტონი რუსეთს სტუმრობდა. ერთგზის ბედნიერი, ალბათ, იმიტომ იყო, რომ ქალიშვილის გათხოვებისთვის ემზადებოდა, ხოლო მეორეგზის — თუნდაც იმიტომ, რომ მისი სახელი „ჰილარი“ „ბედნიერს“ ნიშნავს. მოახერხა თუ არა მან ამ განწყობის შენარჩუნება მოსკოვში ვიზიტის დროს? ცხადია, ყველა განხილული პრობლემის აღწერას ამ წერილის ჩარჩოებში ფიზიკურად ვერ ჩავატევთ, ამიტომ მხოლოდ საქართველოს საკითხით შემოვიფარგლოთ, რომლის შესახებ მსჯელობაც მოსკოვში გამართულ მოლაპარაკებებზე, როგორც ჩანს, სერიოზული და სავსებით კონკრეტული იყო.**

## დიდი თამაშის პატარა ფსონები

ალბათ, უმჯობესი იქნება, ოფიციალური ინფორმაციით დავიწყოთ და იგი ქრონოლოგიურად დავალაგოთ.

17 მარტს, საგარეო უწყებების ხელმძღვანელთა მოადგილეების, გრიგორი კარასინისა და ფილიპ გორდონის მოსამზადებელ შეხვედრაზე, რუსეთის მხარის ინფორმაციის თანახმად განიხილეს: **„სიტუაცია საქართველოს გარშემო, აგრეთვე, რუსეთისა და აშშ-ის ორმხრივი ურთიერთობების პერსპექტივა უკრაინასთან, ბელორუსთან და მოლდოვასთან. ცალკე განიხილეს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების პრობლემები“.**

18 მარტს, ჰილარი კლინტონისა და სერგეი ლავროვის შეხვედრის შემდეგ, გავრცელებულ რელიზში პოსტსაბჭოთა სივრცე მხოლოდ ერთ ფრაზაში ფიგურირებს: **„მოხდა აზრთა საგნობრივი გაცვლა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებაში არსებულ მდგომარეობაზე, ზოგიერთ სხვა საკითხზე, რომელიც ორმხრივ ინტერესს წარმოადგენს“.**

19 მარტს სახელმწიფო მდივანი პრეზიდენტ მედვედევს შეხვდა. მისი ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ ინფორმაციაში პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული პრობლემები განსახილველ საკითხთა შორის მოხსენიებული არ ყოფილა. თუმცა იმავე დღეს ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის დროს (ეს შეხვედრა თავიდან ვიზიტის პროგრამაში შეტანილი არ იყო) რუსეთის პრემიერის აპარატის უფროსის მოადგილის — კონსტანტინე უშაკოვის განცხადების თანახმად, მხარეები **„შეეხნენ საქართველოსა და უკრაინის საკითხებს, რომლებიც აშშ-რუსეთის ორმხრივ ურთიერთობებს ეხება“;** ეს საკითხები **„დაწვრილებით განიხილებოდა“.** უშაკოვის თქმით, რუსეთის პოზიციის ჩამოყალიბების დროს პუტინი **„ძალიან საინტერესო აზრებს გამოთქვამდა და ხატოვან გამონათქვამებს იყენებდა“,** ხოლო სახელმწიფო მდივანი **„აღიქვამდა პუტინის არგუმენტებს“** და მას **„ინტერესით უსმენდა“.**

ამ შეხვედრის სტენოგრამა მიხეილ სააკაშვილისთვის, შესაძლოა, უფრო დიდ ინტერესს წარმოადგენს, ვიდრე საკუთარი გულის კარდიოგრამა, თუმცა ვარაუდებისა და „ხატოვანი გამონათქვამების“ მოდელირების ნაცვლად, სჯობს, პირველს — გორდონის და კარასინის შეხვედრას — დავუბრუნდეთ. განსხვავებული სპეციფიკის მქონე პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოთავსება „ერთ კალათში“ მიანიშნებს იმაზე, რომ მათთან მიმართებაში შეიძლება ურთიერთქმედების ზოგადი პრინციპები, ერთიანი „თამაშის წესები“ შემუშავდეს (თუ უკვე არ შემუშავდა). ეს გავლენის სფეროების დაყოფის ჩვეულებრივი პრაქტიკაა. მზად არის თუ არა აშშ ამ საკითხში დათმობაზე წავიდეს (შეუძლია თუ არა, რომ არ დათმოს)?

კიდევ ერთ ირიბ მინიშნებას იმაზე დაკვირვება გვაძლევს, თუ ვისთან საუბრობდა სახელმწიფო მდივანი ამა თუ იმ პრობლემაზე. შედარებისთვის ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის თემა ავიღოთ. მას დეტალურად განიხილავდნენ კლინტონის შეხვედრებზე მედვედევთან და ლავროვთან, თუმცა როდესაც პუტინმა საუბარი ახლო აღმოსავლეთზე დაიწყო (შეხვედრის ეს ნაწილი პრესისთვის ღია იყო), სტუმარმა ბიზნესის საკითხებზე გადასვლა ამჯობინა, რადგან ეს თემა ფორმალურად, რუსეთის პრემიერის კომპეტენციაში არ შედის (ეს ერთგვარი „ჩხვლეტის“ მცდელობაც იყო). იდეაში, იგივე უნდა მომხდარიყო, როდესაც პუტინი საქართველო-უკრაინას გადასწვდა, თუმცა ამ შემთხვევაში, უშაკოვის თქმით, **„ხანგრძლივი და საინტერესო საუბარი, საკითხის დაწვრილებითი განხილვა გაიმართა“.**

ზოგადად, გავლენის სფეროში არსებული ქვეყნების პრობლემატიკა ექცევა სივრცეში საშინაო და საგარეო საქმეებს შორის; კონტროლი მათზე ბოლომდე ფორმალურ ხასიათს არ ატარებს. ამ მხრივ, **საგულისხმოა, რომ დეტალური საუბარი „პოსტსაბჭოეთზე“ სწორედ პუტინსა და კლინტონს შორის შედგა.**

**რუსეთის პრემიერმა წინა პლანზე ორი ყველაზე რთული თემა — უკრაინა და საქართველო — წამოსწია.** ის, რაც ახლახან უკრაინაში მოხდა, ყველამ ერთად ვიხილეთ. ახალი ხელისუფლება ახალ-ახალ ნაბიჯებს მიყოლებით დგამს უკრაინის რუსეთთან დასაახლოებლად. **კრემლის გავლენის გაფართოებას შტატების წინააღმდეგობა არ მოჰყოლია.** თუ ეს ცვლილებები ეფუძნებოდა ვაშინგტონისა და მოსკოვის კონსენსუსს პოსტსაბჭოთა სივრცის მომავალთან დაკავშირებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შესაბამისი (შინაარსით და არა ფორმით) სამომავლო ცვლილებები მხარეებმა საქართველოსთვისაც დაგეგმოს.

## ისინი ყოველთვის ბრუნდებიან

**„ოთხი ქვეყანა, რომელიც, რუსეთის აზრით, მისი სრული გავლენის ქვეშ უნდა მოექცეს, ბელორუსი, ყაზახეთი, უკრაინა და საქართველოა“,** — ეს ციტატა ერთ-ერთი საკვანძო ამერიკული ანალიტიკური ცენტრის „სტრატფორის“ ახალი მოხსენებიდანაა „რუსეთის გავლენის გაფართოება“, რომლის ▶

## მოკლედ




### კიევი და ბაქო შავ სიაში

ფინანსების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ორგანიზაციამ (FATF)უკრაინა და აზერბაიჯანი ქვეყნების დამატებით „შავ სიაში“ შეიყვანა. იმავე სიაში მოხვდნენ ანტიგუა და ბარბუდა, ბოლივია, საბერძნეთი, ინდონეზია, იემენი, კატარი, კენია, მაროკო, ბირმა, ნეპალი, ნიგერია, პარაგვაი, სუდანი, ტაილანდი, ტრინიდადი და ტობაგო, საბერძნეთი, შრი-ლანკა და სირია. „მაღალი რისკის“ სახელმწიფოთა სიას „FATF“ „G20“-ის მოწოდების შედეგად გამოაქვეყნა და მომავალში სია კიდევ გაგრძელდება.



### გერმანია შინაურებს დაერია

გერმანიის ხელისუფლების მიერ გადასახადების დაფარვის ფაქტების შემცველი მორიგი დისკის შესყიდვის შემდეგ ქვეყნის 1100 მოქალაქის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო. შვეიცარიის ბანკებში ანგარიშების მქონე ამ ადამიანებმა ბიუჯეტი 1,2 მილიარდი ევროთი აზარალეს. პირველ რიგში, იმ მოქალაქეთა სახლები გაჩხრიკეს, რომლებიც, მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან მრავალჯერადი მოწოდებისა, დანაშაულის აღიარების ჩვენებით სამართალდამცავ ორგანოებში ნებით არ გამოცხადდნენ.



### ლავროვი „გადატვირთვით“ კმაყოფილია

აშშ-ის სახელმწიფო მინისტრის — ჰილარი კლინტონისა და რუსეთის პრეზიდენტის — დიმიტრი მედვედევის შეხვედრის დასრულების შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობების „გადატვირთა“ მოხერხდა. მისივე თქმით, ახლა ყველაზე მთავარი პაუზების გარეშე წინსვლა და მოლაპარაკებათა მუდმივი განახლებაა. შეხვედრაზე განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირებისთვის ახალი შეთანხმების მომზადება იყო.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net




გამოქვეყნება (ნაწილ-ნაწილ) ჰილარი კლინტონის მოსკოვში გამგზავრების წინ დაიწყო. **„მოსკოვმა ოთხ ყველაზე მნიშვნელოვან ქვეყანაში უკვე წაიწია წინ, თუმცა მას სურს, ჩააჩოჩოს დასავლეთი კიდევ რამდენიმე ქვეყანაში, ვიდრე ვაშინგტონი ევრაზიაზე ყურადღების კონცენტრირებას კვლავ მოახდენს“.**

სად დაიფანტა ხსენებული ყურადღება? მოხსენების ავტორების აზრით, იგი ისლამურ სამყაროზე, ავღანეთსა და ერაყში მიმდინარე ომებზე გადავიდა. სამომავლო აქტიურობის სავარაუდო მიმართულებებსაც თუ გავითვალისწინებთ (ირანი, ჩინეთი), ამ სქემის ფარგლებში ვაშინგტონი კონფრონტაციისთვის რუსეთთან მისი საზღვრების სიახლოვეს კიდევ დიდხანს ვერ მოიცლის.

მეორე ჯგუფში ბალტიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, აზერბაიჯანი, თურქმენეთი და უზბეკეთი შედიან. მათ, მოხსენების თანახმად, **„სტრატეგიული ადგილმდებარეობა ან ღირებული აქტივები გააჩნიათ... რუსეთი შეეცდება ამ ქვეყნებში გავლენის გაფართოებას მას შემდეგ, რაც პირველი ჯგუფის ქვეყნებში დასახულ მიზნებს მიაღწევს“.** „მას შემდეგ“, ალბათ, არ ნიშნავს, რომ ამ ფრონტზე არაფერი კეთდება, უბრალოდ, იგი ნაკლებად პრიორიტეტულია.

მესამე ჯგუფის ქვეყნებს, მოხსენების ავტორთა აზრით, რუსეთისთვის ამონაგებზე (ფართო გაგებით) მეტი პრობლემა მოაქვთ: მოლდოვა, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და სომხეთი. ამ ქვეყნების ნაწილი კონტროლიდან, პრინციპში, არც გასულა. მეოთხე ჯგუფი არა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, არამედ ძლიერ რეგიონულ მოთამაშეებს აერთიანებს: გერმანია, თურქეთი, საფრანგეთი და პოლონეთი. **„მოსკოვი თვლის, რომ ამ ქვეყნებთან კარგ ურთიერთობებს უნდა მიაღწიოს ან, ყოველ შემთხვევაში, მათ უნდა გააცნობიერონ, რომ რუსეთი ყოფილ საბჭოთა სივრცეს განაგებს“,** — წერენ „სტრატფორის“ ანალიტიკოსები.

თუმცა მთავარი მინიშნება ამ პუბლიკაციაში არა სივრცის, არამედ დროის ფაქტორზე კეთდება: **„რუსეთმა იცის, რომ ვაშინგტონი ცდილობს, დაასრულოს საქმეები ერაყში, ირანსა და ავღანეთში, რათა ხელი სხვა რეგიონებისთვის გაითავისუფლოს. რუსეთისთვის წამზომი ჩართულია“.** შემდეგ კი საინტერესო მესიჯი მოდის: **„აშშ ფოკუსირებას ევრაზიაზე უკვე მას შემდეგ მოახდენს, რაც რუსეთი თავისი გეგმების განხორციელებაში წარმატებას მიაღწევს“.**

ცხადია, ამერიკულ აუდიტორიას პირდაპირ ვერ ეტყვი: **„ჩვენ გავყიდეთ გავლენა რამდენიმე ქვეყანაში იმისთვის, რომ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი რამ შევიძინოთ“**, გაცილებით მაღალფარდოვნად ჟღერს: **„ჩვენ ვაცხადებდით, რომ რუსეთს არ აქვს უფლება, გავლენის სფერო ჰქონდეს, ვცდილობდით, დავხმარებოდით ნორჩ დემოკრატიებს, მაგრამ ვერ შევძელით“.** „სტრატფორის“ პუბლიკაციის მიღმა გარკვეული კუთხით შემზადების ელემენტების დანახვაც შეიძლება. გზავნილი რუსული აუდიტორიისთვის კიდევ უფრო მარტივია და სწრაფი აქტიური მოქმედებისთვის თითქმის პირდაპირ მოწოდებას წარმოადგენს.

საუბარი იმაზე, რომ რუსეთის ძალისხმევა შეიძლება წარმატებით მხოლოდ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში დაგვირგვინდეს, გლობალურ კონტექსტში უნდა განვიხილოთ; ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა, ალბათ, პროცესების სინქრონიზაციას აქვს. ამ ლოგიკით, რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში უნდა იყოს დაკავებული, მაშინ, როდესაც შტატებს სხვა ფრონტზე გადამწყვეტი ბრძოლა ექნებათ. აქ იგულისხმება არა იმდენად ამერიკელთა ძალისმიერი აქცია რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ, არამედ ზოგადად გამოსვლა ყოვლისმომცველი (არა მარტო ეკონომიკური) კრიზისიდან მსოფლიო ლიდერის (ან ერთ-ერთი ლიდერის) პოზიციის შენარჩუნებით. დიდი გარიგების რეალიზება შესაძლებელი მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება; შეცდომა ან პროცესების დროში აცდენა ამ შემთხვევაში ფატალურ მარცხს მოასწავებს.

**თუ აშშ მომავალში „ოთხი კრიტიკულად მნიშვნელოვანი ქვეყნისა“ და პოსტსაბჭოთა სივრცისგან ისეთივე დისტანცირებას მოახდენს (თუ უკვე არ მოახდინა), როგორსაც ადგილი უკრაინაში ჰქონდა, ამას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ახალი რეალობის ჩამოყალიბება მოჰყვება.** შესაბამისად, ან ურთიერთობის ახალ პრინციპებზე შეთანხმების მიღწევა მოხერხდება, ან კონფრონტაცია (მალევე) გაღრმავდება და სავალალო შედეგს გამოიღებს.

## ვინ გაიქცევა გემიდან პირველი?

**„რუსეთსა და საქართველოს ძალიან ბევრი საერთო ინტერესი აქვს და, ერთმანეთის სუვერენიტეტის პატივისცემის პირობებში, საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია რუსეთთან კარგი, მეგობრული ურთიერთობა ჩამოაყალიბოს. მთავარია, რუსეთის მხრიდან იყოს შესაბამისი სურვილი, რადგან საქართველოს მხრიდან ამის მზადყოფნა ყოველთვის, ყველა ხელისუფლების დროს იყო, ქართველი ერის ინტერესშია, რომ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გვქონდეს“** (სააგენტო „პირველი“), ოპოზიციონერს ასეთი განცხადების შემდეგ ხელისუფლება დიდი ალბათობით უმალ მოღალატედ და ხალხის მტრად შერაცხავდა, თუმცა ეს (19 მარტს) სახელმწიფო მინისტრმა (მათ შორის ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში) გიორგი ბარამიძემ თქვა. ამ პასაჟის ტონალობა და შინაარსი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ რუსეთზე საუბრის დამკვიდრებულ სტილში აშკარად არ ჯდება.

პირველი თუ არა, მეორე მერცხალია ამავე კონტექსტში, გიგი უგულავას ცნობილ ინტერვიუს თუ განვიხილავთ. ორი ციტატა: **„თუ რუსეთი გაიყვანს ჯარებს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, საქართველო, მაგალითად, უარს იტყვის ნატოში გაწევრიანებაზე“, „თუ რუსეთს სურს დიალოგი, იგი ხელისუფლებასთან უნდა დაიწყოს“.** მოგვიანებით, უგულავა ირწმუნებოდა, რომ ნატოს ტაბუირებულ თემაზე მსგავსი არაფერი უთქვამს, ხოლო „ნიუსუიკის“ კორესპონდენტი ამტკიცებდა, რომ ნათქვამი ზუსტად დააფიქსირა.

აქ ორი ვარიანტია: ა) მსგავსი რამ მართლა არ უთქვამს; ბ) თქვა და შემდეგ უარყო იმისთვის, რათა ენიშნებინა, რომ იგი და, შესაძლოა, ხელისუფლების სხვა წევრები, მოცემულ მომენტში წნეხის ქვეშ იმყოფებიან, თუმცა მომავალში, გარემოებათა შეცვლის შემთხვევაში, იგი (ისინი?) მზადაა, ნატოში არგაწევრიანების პირობებზე ილაპარაკოს. ამ სქემის ფარგლებში საუბარი შეიძლება იყოს როგორც ამერიკელთა წნეხის ქვეშ მოქცეულ ხელისუფლებაზე მთლიანობაში, ისე ჯგუფზე მის შიგნით, რომელსაც სააკაშვილი (ჯერჯერობით) განძრევის შესაძლებლობას არ აძლევს.

საინტერესო შტრიხი: 17 მარტს ცნობილმა რუსმა პოლიტოლოგმა სერგეი მარკედონოვმა საქართველოში მიმდინარე მოვლენების მიმოხილვა გამოაქვეყნა. **„დაქსაქსული ოპოზიციის წინააღმდეგ გამოსასვლელად „ქალაქის მამა“ (უგულავა) ემზადება. გამორიცხული არაა მისი პრეტენციოზული „მამობა“ სახელმწიფო კანცელარიაში ვინმეს არ მოეწონოს.** — წერს მარკედონოვი, — **რამდენიმე თვეა, განიხილება ჭორები იმის თაობაზე, რომ უგულავასა და საქართველოს პრეზიდენტს შორის შავმა კატამ გაირბინა“.**

უცნაური ვითარებაა: რუსეთმა სააკაშვილი „პერსონა ნონ-გრატად“ გამოაცხადა, დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტილია და ამავე დროს, შეთანხმებების მიღწევა რიგ, არცთუ უმნიშვნელო, საკითხებზე (მაგ., ლარსის გახსნა) მაინც ხერხდება, ოპოზიციის ლიდერები რუსეთის პირველ პირებს ხვდებიან, ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლები კრემლთან ურთიერთობის ფუნდამენტურ საკითხებზე საკუთარ აზრებს აფიქსირებენ, რომელებმაც მათი თანაგუნდელები შეიძლება, როგორც მინიმუმ, დააეჭვოს.

უფრო შორს წავიდეთ: უკრაინაში „დამკვირვებელთა დესანტის“ გადასხმას ხელი, შესაძლოა, არა მხოლოდ ამ ქვეყანაში მოქმედმა ძალებმა შეუშალეს. საიდან გაჩნდა სატელეფონო საუბრების ჩანაწერები? რა გარემოებებმა შეაფერხეს „დამკვირვებლების“ გადასროლა? საიდან იღებდა იანუკოვიჩის შტაბი ზედმიწევნით ზუსტ ინფორმაციას მათი გეგმების შესახებ? ჰქონდა თუ არა ადგილი სააკაშვილის გეგმის საბოტაჟს საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი პირების მხრიდან? **გამორიცხული ნამდვილად არაა, რომ ზოგიერთმა გავლენიანმა ადამიანმა (ჯგუფმა) ვითარების გადაფასება მოახდინა და ახალ რეალობაში საკუთარი ადგილის, გამოსავლის ძებნა დაიწყო.**

**დიმიტრი მონიავა**



საავტორო სვეტი

# შენცა, ბონდო?!

**მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ჟურნალისტ ბონდო ქურდაძის უკრაინაში გაქცევის ამბავმა ძალიან გამაკვირვა. მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად გაქცეულა და პრეზიდენტ იანუკოვიჩისთვის თავშესაფარი უთხოვია. ყურმოკრულ ამბავს არ გეუბნებით — მისი ხელით დაწერილი ბარათი საკუთარი თვალით ვნახე.**

დიახ, ეს ის ბონდოა — „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და მერე „ახალგაზრდა ივერიელის“ თანამშრომელი, პირველი ქართული დამოუკიდებელი გაზეთ „შანსის“ დამფუძნებელი და რედაქტორი; იმ „შანსისა“, ფრონტზეც რომ გამოდიოდა და რუსთაველზეც, პირდაპირ ქუჩაში; გაგიკვირდებათ და, „შანსის“ ერთ-ერთი ნომრის რედაქტორი ოდესღაც თვით მომავალი პრეზიდენტი სააკაშვილიც კი იყო.

ახლა „ზეწოლა“ ძალიან მოდურია და ბონდოც თავისი გადაწყვეტილების ასახსნელად (სულო ცოდვილო, კინაღამ წამომცდა, „გასამართლებლად-მეთქი“) სწორედ ამ ტერმინს იშველიებს. ეჭვიც არ მეპარება, რომ ასეცაა — **ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ზეწოლის გარდა, აბა, სხვა რა დავარქვათ პრეზიდენტ სააკაშვილის ფრთიან გამოთქმას, მე ქართულ გაზეთებს არ ვკითხულობ და არც თქვენ გირჩევთო! დემოკრატიზმისკენ გიგანტური ნაბიჯებით მიმავალ ქართულ ხელისუფლებას მშობლიური დამოუკიდებელი მედია ფეხებზე რომ ჰკიდია, ესეც სრული ჭეშმარიტებაა.** 2007 წლის შუა აგვისტოში სააკაშვილის „დემოკრატებმა“ „შანსის“ რედაქცია, ასზე მეტ სხვა ორგანიზაციასთან ერთად, გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან კინწისკვრით რომ გამოყარეს, ამასაც წყალი არ გაუვა — ერთ-ერთი ცინიკურად გაგდებულთაგანი მეც ვარ. მთელ პატიოსან საქართველოსთან ერთად, ბევრ პროფესიონალ ჟურნალისტს საკუთარი ჭერი და ლუკმაპური რომ ენატრება, ყოველი ხვალინდელი დღის გათენებას შიშით რომ ელის, შენი სიმართლე სხვისი ცინიკური სიცრუით რომ ითრგუნება, ამასაც ვერსად წაუვალთ...

**სულთმობრძავ ქართულ ჟურნალისტიკაზე და მის მიმართ ხელისუფლების ანტიადამიანურ, ანტისახელმწიფოებრივ დამოკიდებულებაზე კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი რამის თქმა შემიძლია — უბრალოდ, სხვებივით მეც ამ ქვაბში ვიხარშები და ყველაფერი საკუთარ თავზე მიწვნევია. ცოტა უფრო მეტიც, ვიდრე ეს ჩემს ჩაგრულ მეგობარ ბონდო ქურდაძესა და ზოგიერთ სხვა ჩემს კოლეგას წარმოუდგენია.**

მოდი ვკითხოთ ჟურნალისტებს: ია ანთაძეს, ირმა ინაშვილს, გიორგი უძილაურს, ალეკო ელისაშვილს, ელისო ჩაფიძეს... ვკითხოთ „კავკასიის“, „მაესტროს“, „რეზონანსის“, „საქართველოს რესპუბლიკის“, „ბათუმელების“, „გურია-ნიუსის“, „საქართველო და მსოფლიოს“ თანამშრომლებს... ვკითხოთ თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთ ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავს — ბადრი ცირამუას... გამოჩენილ ქართველ მწერლებს, მეცნიერებს, მხატვრებს, ექიმებს, ინჟინრებს, მასწავლებლებს; შვილმკვდარ დედებს და ერთ დღეში გაჭაღარავებულ მამებს ვკითხოთ; ჩვენს მარჩენალ გლეხკაცს ვკითხოთ — როგორ ბრძანდებით, ჩემო ძვირფასო, ხომ არ გშიათ, ხომ არ გწყურიათ, ჭერში წყალი ხომ არ ჟონავს, სტუმრის მიღებისა ხომ არ გეშინიათ? უსამართლობა სულს ხომ არ გიხუთავთ?..

**ვთქვათ გულახდილად — ხელისუფლების მხრიდან იმ ავადსახსენებელ „ზეწოლას“ საქართველოს ყველა პატიოსანი მოქალაქე გრძნობს. ბონდო ქურდაძე და მისი ოჯახი ერთ-ერთია მრავალთა შორის.**

არც ახლა და არც წარსულში საქართველოდან საეჭვო რეპუტაციის პოლიტიკოსთა, ბიზნესმენთა და სხვათა იძულებით თუ საკუთარი ინიციატივით წასულთა გამო რაიმე განსაკუთრებული გრძნობა არ გამჩენია. ირაკლი ოქრუაშვილისნაირ პოლიტიკოსებსა და მათ მეგობარ ბიზნესმენებს ვგულისხმობ. გულწრფელად თანავუგრძნობ იმ ადამიანებს, ვინც იძულებულია, ცხრა მთას იქით ლუკმაპურის საშოვნელად გადაიხვეწოს. გმირობას ვერავის დაავალებ, ვერც — სამშობლოსთვის თავდადებას. ხვალ რომ „ტელეიმედი“ ან „რეალ-ტივი“ სრული შემადგენლობით ავსტრალიაში გადაბარგდეს, არა მგონია, ამ ამბავმა ძალიან დამამწუხროს; ერთადერთი მიზეზის გამო — მათგან სიკეთეს ქვეყანა აღარ უნდა ელოდოს.

მაგრამ, წარმოიდგინეთ, **ერთ დღეს საქართველოდან წასვლა ყველა „ზეწოლილმა“ ჟურნალისტმა რომ გადაწყვიტოს, მაშინ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, არსებობა ხომ ყოველგვარ აზრს დაკარგავს.**

ამიტომ მწყდება გული ბონდო ქურდაძის გადაწყვეტილების გამო.

**თეიმურაზ ქორიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# პასუხის პასუხი

**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ მასალას „მიშას ქალები იპყრობენ ტელესივრცეს“ (მასში საუბარი იყო ამა თუ იმ „დამსახურების“ გამო ტელევიზიებში მოხვედრილ ქალბატონებზე, რომლებსაც საკუთარი გადაცემებიც კი აქვთ) გამოხმაურება გაზეთის ოფიციალურ საიტზეც მოჰყვა. ამ ქალბატონებს მათთან „დაახლოებული პერსონები“ გამოექომაგნენ. გაგაცნობთ რამდენიმე საინტერესო კომენტარს:**

„ქ-ნ მაგდა კლდიაშვილს მინდა ვუთხრა — ენას ძვალი რომ არ აქვს, ეს თქვენი ნაწერიდანაც კარგად ჩანს. **მოხარული ვიქნები, თუ სამაგალითოდ მომიყვანთ ნანკა კალატოზიშვილის მიერ ხელისუფლების მისამართით ნათქვამ თუნდაც ერთ დითირამბს. ნანკამ თავისი პოზიცია დააფიქსირა „მაესტროს“ ეთერშიც და შემდგომ უკვე „რუსთავი 2“-ის ეთერშიც. როგორც ჩანს, არ გინახავთ, თორემ უსაფუძვლო კრიტიკით არ დაკავდებოდით. რაც შეეხება ნანკა კალატოზიშვილის ალკოჰოლთან და ნარკოტიკებთან დამოკიდებულებას, ქ-ნო მაგდა, ესოდენ გესლიანი და უპერსპექტივო კრიტიკა არ გეკადრებათ! საახალწლო სცენაზე რომ იდგა ნანკა და ქანაობდა, იმ სცენაზე სასწაულად ყინავდა და მაგიტომაც ქანაობდა საზაფხულო კაბაში გამოწყობილი მსახიობი... მაგრამ სცენა რა სახსენებელია, როგორც აღმოჩნდა, ზოგს თავში ჰქონია ზამთარი და ტვინი — გაყინული, თორემ ასეთ უაზრო ტყუილს არ იკადრებდა. ის რატომ არ ახსენეთ, ქ-ნო მაგდა, რომ იმ ღონისძიებაზე ნანკას თვალწინ ოპერატორი გაულახეს და სწორედ მაგიტომ გაჰყვიროდა „აჟიტირებულად“ — გვიყვარდეს ერთმანეთიო! აჰ, მაპატიეთ, მთვრალი იყო, ხო? რაც შეეხება კარიერას: მოხარული ვიქნები, თუ მაინც გადალახავთ ეთიკის ბარიერს და დამისახელებთ იმ საკრალურ ადგილს, რომლის წყალობითაც ნანკამ კარიერა გაიკეთა. თქვენ ვინ მოგცათ წერის უფლება? ახლა ამაზეც დავიწყოთ „დაგადკების“ გამოქვეყნება და დისკუსიების მართვა. რომ არა მისი უხილავი და ფარული ნიჭი, ალბათ, ვერასოდეს მოახერხებდა თვითრეალიზაციას-თქო... მდა... აღარაფერი მაქვს სათქმელი. ჟურნალისტიკის დედასთან მქონია საქმე“...** — ამას, არ გაგიკვირდეთ და, კალატოზიშვილის მოგვარე წერს.

ბატონო გიორგი, არ ვიცი, მისი ძმა ხართ, ბიძაშვილი თუ უბრალოდ მოგვარე (ჭორიკანა რომ ვიყო, მეცოდინებოდა), მაგრამ გეტყვით, რომ შეგიძლიათ, პირადად მომწეროთ და დაიცვათ ნანკა, მაგრამ ნამდვილად გაგიჭირდებათ იმ ადამიანების გადარწმუნება, რომლებმაც ნანკა საკუთარი თვალით ნახეს ასეთ მდგომარეობაში. ჩემი თუ არ გჯერათ, შეგიძლიათ თბილისის მთავარ ფორუმზე წაიკითხოთ, რას წერენ თქვენს მოგვარეზე... დარწმუნებული ვარ, ჩემი ნაწერი დითირამბად „მოგეჩვენებათ“...

რაც შეეხება მის შეხვედრას ბაქრაძესთან, მოგვიანებით, ნანკა პირადად უხსნიდა საზოგადოებას, რომ ის მოღალატე არაა და არც ამ ხელისუფლებისთვის გუნდრუკის მკმეველი. რაკი თავს იმართლებ, გამოდის, რომ დააშავე რაღაც... სანამ პარლამენტის სპიკერთან შეხვედრაზე გაიქცეოდა, მანამდე ეფიქრა, რომ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკაა ასეთი — კულტურის სფეროს ყველა ის წარმომადგენელი, ვინც ოპოზიციასთან გამოჩნდება, ან თუნდაც რუსეთში ჩავა, სამშობლოს მოღალატეები ხდებიან... აი, ნინა წკრიალაშვილს რომ დაუფასდა ხელისუფლების მიმართ „გამოჩენილი“ ყურადღება, ესეც, სავარაუდოდ, კარგად გეცოდინებათ. ასე რომ...

ეკა კვესიტაძის დაცვას შეეცადა ვინმე ნინო, რომელიც გვარწმუნებს, რომ მისი ქმარი არაფერ შუაშია, თავად ძალიან ნიჭიერი ჟურნალისტიაო. კი, ნამდვილად არის! — ისტერიკისა და აგრესიის გამოვლენას მხოლოდ ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ, მართლაც, ძალიან „დიდი ნიჭი“ უნდა.

აი, რას გვწერს ნინო:

**„სხვათაშორის, ეკა კვესიტაძე ძალიან დიდი ხნის წინათ უძღვებოდა უკვე ერთ ტელეგადაცემას „რუსთავი 2“-ზე, მაშინ, როცა შოთა უტიაშვილი გაზეთ „24 საათის“ ჟურნალისტი გახლდათ და ჯერ კიდევ შეყვარებულები იყვნენ. ძალიან არაობიექტურად მიმაჩნია კვესიტაძის ჟურნალისტური ნიჭის არდაფასება და სტატიის დანარჩენ პერსონაჟებთან მისი გაიგივება. რაც შეეხება შორენა ბეგაშვილს, მეეჭვება მისი გარეგნობის მქონე ქალბატონს რაიმე სხვა დამსახურებაც სჭირდებოდეს იმ ტიპის გადაცემის წასაყვანად, რასაც უძღვება...“**

ქალბატონო ნინო, ნანუკა ჟორჟოლიანს ახალი ამბების კეთება, გეთანხმებით, უკეთესად გამოსდიოდა, მაგრამ ამპლუაშეცვლილ წამყვანს, რომელიც საკუთარ გადაცემაში მაყურებელს მიმართავს — რა პირები დაგილიათ, ტაში დაუკარითო, როგორ ფიქრობთ, ნორმალურ ქვეყანაში გააჩერებდნენ ტელევიზიაში?

და კიდევ, ახლა გამახსენდა. ალბათ, თქვენ ყურადღება არ მიგიქცევიათ, საკუთარი მაზლი რომ „უფინანსებს“ გადაცემას... ეს გადაცემა განსაკუთრებით რეიტინგული ხომ არ გგონიათ, „აირზენა“ რომ აფინანსებს? თქვენი აზრით, რატომ არ აფინანსებს „აირზენა“ თუნდაც დავით აქუბარდიას მეუღლის გადაცემას „კავკასიაზე“? იქნებ, დაფიქრდეთ ამაზეც!..

**მაგდა კლდიაშვილი**

# ბოდიში, ისაკ მახმადოვიჩ!

**„მახსოვს მარნეული „ვარდების რევოლუციამდე“. ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია და გპირდებით, რომ საქართველოს ხელისუფლება თქვენი კეთილდღეობისათვის ძალას არც სამომავლოდ დაზოგავს. ჩემო დებო და ძმებო, თქვენ ხართ ჩვენი სისხლი და ხორცი. დღეიდან, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაული საქართველოს ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადდება და აღინიშნება ყოველთვის ისე, როგორც სხვა დღესასწაულები“.**

**საქართველოს პრეზიდენტი**
**მიხეილ სააკაშვილი,**
მარნეული, 21 მარტი, 2010 წელი.

მეც მახსოვს მარნეული — „ვარდების რევოლუციამდელიც“ და ცოტა უფრო ადრინდელიც. 80-იანი წლების მიწურულიდან აქ ბევრი რამ დაინგრა და განადგურდა — ქარხნები, ფაბრიკები, კერძო და სახელმწიფო ფერმერული მეურნეობები. მკვეთრად დაეცა ცხოვრების დონე. ვერ მოხერხდა ადგილობრივი აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის დანარჩენ საქართველოსთან სრულფასოვანი ინტეგრირება.

ისიც მახსოვს, რომ **მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის, დმანისის არაქართულენოვან მოსახლეობას საქართველოს ყველა ხელისუფლება საკუთარი მიზნებისთვის იყენებდა და იყენებს, ანუ ხელისუფლებას აქაური „დები და ძმები“ მხოლოდ არჩევნების მოახლოებისას ახსენდება.**

**პრეზიდენტისგან იმის ხაზგასმა, რომ მარნეულელები არიან „ჩვენი სისხლი და ხორცი“, არაკორექტულია და ევროპული ღირებულებების მიმდევარ ცივილიზებულ ადამიანს არ ეკადრება, უბრალოდ, სირცხვილია.** მარნეულელი ეთნიკური აზერბაიჯანელები კონსტიტუციურად არიან საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქეები და ისინი უნდა სარგებლობდნენ ყველა იმ სიკეთით, რითაც სარგებლობენ საქართველოს სხვა მოქალაქეები, მაგალითად, ოზურგეთელები ან ავლაბრელები. ამავე დროს, მათ ქვეყნის, სახელმწიფოს წინაშე უნდა ეკისრებოდეთ ზუსტად ის პასუხისმგებლობა, რაც ეკისრება საქართველოს დანარჩენ მოქალაქეებს. ერთი ან მეორე მიმართულებით რაიმე გამონაკლისების დაშვება არის დანაშაული და შეურაცხმყოფელი საქართველოს მოქალაქეებისთვის.

ეს ისე, ინფორმაციისთვის, პრეზიდენტმა სხვა დროს მარნეულის პუბლიკასთან შეხვედრისას სიტყვები სწორად რომ შეარჩიოს.

ახლა, რაც შეეხება მომდევნო წინადადებას — „დღეიდან, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაული საქართველოს ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადდება და აღინიშნება ყოველთვის ისე, როგორც სხვა დღესასწაულები“.

ჯერ ერთი, მაინტერესებს, როდის გადაწყვიტა საქართველოს მთავრობამ ნოვრუზობის ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადება ან გადაწყვიტა თუ არა, საერთოდ. თუ ასეთი გადაწყვეტილება მართლაც არსებობს, ძალიან საინტერესო იქნება შესაბამისი ოქმის ნახვა — რა არგუმენტები მოიშველიეს პატივცემულმა მთავრობის წევრებმა სააკაშვილის ამ იდეის მოსაწონებლად ან დასაწუნებლად. თუ ოქმი არ არსებობს, მაშინ რატომ ცრუობს ბატონი პრეზიდენტი?

**ახლა ეს ვიკითხოთ, რას ნიშნავს „ეროვნული დღესასწაული“? ბატონი პრეზიდენტი ამ ცნებაში, ალბათ, რელიგიურ დღესასწაულს** (აღდგომა, შობა, მარიამობა, ნათლისღება, სვეტიცხოვლობა, სულიწმიდის მოფენა, გიორგობა, ამაღლება, ელიაობა, ლომისობა, თელეთობა...) **არ გულისხმობს. იმედია, — არც დარგობრივს** (არმიის დღე, ტანკისტის დღე, ფეიქრის დღე, მასწავლებლის დღე, ჟურნალისტის დღე, მეტალურგის დღე...) **და არც საერთაშორისოს** (მშრომელთა სოლიდარობის დღე, ქალთა დღე, ბავშვთა დაცვის დღე, შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის დღე...). **ბევრი რომ არ გავაგრძელო, ეროვნულ დღესასწაულად შეიძლება მივიჩნიოთ 26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.** ცოტა გაუგებარია, მაგრამ მაინც „ეროვნულია“ ხელოვნური სამი მარტი — დედის დღე და კიდევ უფრო ხელოვნური — 9 აპრილი, საქართველოს დამოუკიდებლობის მეორედ გამოცხადების დღე.

თავის მხრივ, ნოვრუზი (ნავრუზი) არის ახალი წლის დღესასწაული, ირანული კალენდრის მიხედვით და ემთხვევა გაზაფხულის ბუნიობას, ანუ 21-დან 22 მარტის ღამეს. ეს ნიშნავს, რომ **ჩვენ, ბატონი სააკაშვილის ქართველი და არაქართველი დები და ძმები, ამიერიდან ახალი წლის დადგომას წელიწადში სამჯერ ვიზეიმებთ: 31 დეკემბრის ღამეს, 13 იანვრის ღამეს და გაზაფხულის ბუნიობის კვირაში. კარგია, ვიზეიმოთ, ოღონდ, ზოგი რამ გვექნება გასარკვევი — ამ გაგანია მარხვაში უნდა ვჭამოთ თუ არა, მაგალითად, ხორცი (ჩვენი მუსლიმი დები და ძმები ჭამენ!).** თუ უნდა ვჭამოთ, მაშინ ზუგდიდსა და ზესტაფონში გამართულ ნოვრუზობაზე დასაშვები იქნება თუ არა სუფრაზე საპატიო სტუმრისთვის (გუბერნატორი, მიტროპოლიტი, ყადი, რაბინი, ტერტერა...) მამაპაპური ღორის მწვადის მირთმევა; თუ მეხსიერება არ მღალატობს, ისლამი კატეგორიულად კრძალავს ამ „უწმინდური“ ცხოველის ხორცის ჭამას. არის კიდევ ერთი საჭირბოროტო პრობლემა — ალკოჰოლიანი სასმელი. ისლამი კატეგორიულად კრძალავს ღვინის სმას, ქრისტიანობა და ქართული ადათი კი მოითხოვს ღვინის ზომიერად მიღებას... **მოკლედ, თუ საპურმარილო ასორტიმენტის (მენიუს) საკითხი არ გადაიჭრა, ნოვრუზობას (და არა „ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაულს“!) საქართველოს ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადება არ უწერია.**

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ნოვრუზობა (ბოდიშს ვიხდი საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრთან გარდაბნის რაიონიდან, ისაკ მახმადოვიჩ ნოვრუზოვთან) საქართველოს ეროვნულ დღესასწაულად ვერ გამოდგება. **ეტყობა, არ დაეკითხა, თორემ ამას ბატონ მიხეილს დედამისი, მაღალი კლასის აღმოსავლეთმცოდნე-თურქოლოგი, ქალბატონი გიული ალასანია ჩემზე უკეთ აუხსნიდა. ამიტომ ეროვნული მასშტაბით სადღესასწაულოდ ისეთი რამ უნდა გამოვძებნოთ (არ გვაქვს საქმე საზეიმოდ, თუ რა!), რაც საერთო იქნება მარნეულელი აზერბაიჯანელებისთვისაც, ახალქალაქელი სომხებისთვისაც, კულაშელი ებრაელებისთვისაც, ლოტკინელი ქურთებისთვისაც და ასირიელებისთვისაც, ვანელი ქართველებისთვისაც და არისტოტელეს შთამომავალი სოლოლაკელი გურამ შამანიდისთვისაც.** მაგალითად, დავაწესოთ კარტოფილის დღე — საერთო ეროვნული დღესასწაული. ამ კეთილშობილი მცენარის ბოლქვებს საქართველოშიც და დანარჩენ მსოფლიოშიც დიდი სიამოვნებით მიირთმევენ, არ არის სავალდებულო ალკოჰოლიანი სასმელების შერჩევა და, რაც მთავარია, შეგვიძლია სტუმრების მოწვევა კარტოფილის სამშობლოდან — ამერიკიდან. წარმოიდგინეთ, პირველი ასეთი სტუმარი მეგობარი ამერიკიდან — საქართველოს ეროვნული გმირი, სენატორი მაკეინი თვრამეტნაოჭიანი, ოხშივარადენილი კარტოფილის ხინკლით ხელში!

**ბოდიშს ვიხდი, მაგრამ გულუბრყვილობა არ ალამაზებს ადამიანს. სულაც არ მიხარია, როცა ჩემი ქვეყნის პრეზიდენტს შინაც და გარეთაც, პირშიც და პირსუკანაც მწარედ დასცინიან.**

**P.S. გულწრფელად მაინტერესებს, სად გაქრა პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭო; ან, იქნებ, ისევ არსებობს, მაგრამ ბატონი სააკაშვილი აღარაფერს ეკითხება? ცოდოა, ბიჭი, ცოდო! მერე რა, რომ პრეზიდენტია, გულშემატკივარი ბებო მაგასაც ხომ ჰყავს!**

## მოკლედ



### თავდაცვა გერმანულად

სექტემბერში ბუნდესვერის მიერ ორი ავღანური ბენზინმზიდისთვის ავიადარტყმის მიყენების შემდეგ გერმანიის თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელსაც „ჯგუფი 85“ ეწოდა და ინციდენტის გამოძიების პროცესზე ზემოქმედებით ნეგატიური შედეგების მინიმალიზება, პოზიტიური სურათის დახატვა და ბუნდესვერის კრიტიკისაგან დაცვა დაევალა. ჯგუფი მინიმუმ ხუთი ჩინოვნიკისგან შედგებოდა და მათ ყოფილი სახელმწიფო მდივანი პეტერ ვიხერტი ხელმძღვანელობდა.



### კათოლიკები ცელიბატის წინააღმდეგ

გერმანიაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, მოსახლეობის 87% ცელიბატის — რელიგიური მოსაზრებებით დაუქორწინებლობის აღთქმის წინააღმდეგია. გამოკითხვა ჩატარდა გერმანიის კათოლიკურ და ელიტურ სასწავლებლებში მოსწავლეების მიმართ სექსუალური ძალადობის მრავალრიცხოვან ფაქტებთან დაკავშირებული სკანდალის ფონზე. გამოკითხულთა 88% თვლის, რომ ბავშვებზე სექსუალური ძალადობა მხოლოდ საეკლესიო დაწესებულებების დამახასიათებელი მოვლენა არაა.



### „თალიბანის“ ლიდერებს გამოესარჩლნენ

ახლახან პაკისტანში „თალიბანის“ რამდენიმე ლიდერის დაკავების გამო ავღანეთის ხელისუფლებასა და თალიბებს შორის მშვიდობიანი დარეგულირების თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებები ჩაიშალა. ავღანეთში გაეროს მისიის ხელმძღვანელის — კაი აიდეს აღიარებით, თალიბებთან მოლაპარაკების პირველი ნაბიჯები 2009 წლის დასაწყისში გადაიდგა, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნების გამო დიალოგი შეწყდა. მოგვიანებით პროცესი განახლდა და, ვიდრე პაკისტანში თალიბების ლიდერებს დაერეოდნენ, ყველაფერი კარგად მიდიოდა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ბოდიში, თქვენი დედაც...!

**გასულ კვირას საქართველოშიც და დანარჩენ მსოფლიოშიც საგულისხმო ბევრი რამ მოხდა, მაგრამ 13 მარტის სახელისუფლო ავანტურის გამოძახილი ისე დიდი იყო, ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა გააფერმკრთალა.**



**როგორც მოსალოდნელი იყო, სააკაშვილის მარეგულირებელმა კომისიამ მთელი მსოფლიოს ამფორიაქებელი სააკაშვილისვე „ტელეიმედი“ „სასტიკად დასაჯა“ — მსმენელებისა და მაყურებლების წინაშე ბოდიშის მოხდა დაავალა! „იმედმაც“ უდრტვინველად მიიღო სასჯელი და მსოფლიო ჟურნალისტიკის ამომავალმა ვარსკვლავმა გიორგი არველაძემ პატიოსნად მოიხადა იგი. არავითარი სინანული, არავითარი დანაშაულის აღიარება, არავითარი დამორცხვება საკუთარი ხალხის წინაშე. სტერილურად სინდისგარეცხილი არველაძის „ბოდიში“ თანამემამულეებისადმი დაახლოებით ასე ჟღერდა — კარგად ვერ გიხმარეთ, თქვენი დედაც!..**

თუ ამბიციებს გვერდზე გადავდებთ და საკუთარ თავს ცოტა კრიტიკულად შევხედავთ, არველაძისგან (რომელიც ხელისუფლებას განასახიერებს!) ჩვენ, მისმა ცხვარივით დამყოლმა თანამემამულეებმა ასეთი ტიპის „ბოდიში“ დიახაც დავიმსახურეთ. იმ ავადსახსენებელი „მოდელირებული ქრონიკის“ დამთავრებისთანავე ტელეკომპანიას რომ მივდგომოდით და უმძიმესი შეურაცხყოფისთვის, უპასუხისმგებლობისთვის, ცილისწამებისა და სიცრუისთვის, განათლებული მსოფლიოს თვალში ქართველი ხალხის სახელის გატეხვისთვის პასუხი კატეგორიულად მოგვეთხოვა, ბოდიში ბოდიშს დაემსგავსებოდა. პროტესტი მაშინ რომ გამოგვეთქვა, როცა არველაძესა და უამრავ მისნაირ უვიც ავანტურისტს მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე ნიშნავდნენ, საქმე ბოდიშებამდე საერთოდ არ მივიდოდა. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ, რაც მარტის სუსხიან დღეებში ჩვენმა ხელისუფლებამ დაგვმართა, ჩვენ, არველაძის თანამემამულეებმა, ალალად დავიმსახურეთ. ეს ჩვენ ვაწოვეთ ძუძუ და საკუთარ უბეში რუდუნებით გამოვზარდეთ მორიელი, რომელიც ახლა დაგესვლით გვემუქრება.

**დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თუ საკუთარ თავში საკუთარი უფლებებისთვის მეომარი არ გავაღვიძეთ, მორიელი თავისას იზამს.**

**რაც გინდათ, თქვით და, სააკაშვილის ხელისუფლებას სენატორი მაკეინი და ბუნება აშკარად სწყალობენ — 13 მარტიდან თითქმის ერთი კვირის განმავლობაში საქართველოში ისეთი სტიქია მძვინვარებდა, კაი ხანია, რომ არ ყოფილა — მთებში ხუთმეტრიანი თოვლი მოვიდა, მდინარეები ადიდდა და კალაპოტებიდან გადმოვიდა, ზვავებმა და მეწყერებმა საყოველთაო პანიკა დათესა.**

ხელისუფლებამაც ამით ისარგებლა — რა დროს რომელიღაც ტელეკომპანიის რაღაც გადაცემაა, ქვეყანაა გადასარჩენი, ქვეყანა! არველაძეზე მეტად სინდისიერი კობა სუბელიანიც კი „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებს“ ეკვეთა; თანაც ისე დაგვამადლა, თითქოს ხელისუფლება საქმის საკეთებლად კი არა, მხოლოდ დროის სატარებლად აგვერჩიოს.

## გიხაროდენ, არჩევნები მოდის!..

აი, პრეზიდენტმა სააკაშვილმა კი ადგილობრივი არჩევნების დღედ 30 მაისი უანგაროდ და დაუმადლებლად დაგვინიშნა. ჯერ ის რად ღირდა, რომ თბილისის მერის არჩევითობაზე დაგვთანხმდა, ახლა წარმოიდგინეთ, „აუზში წყალიც კი ჩაგვისხა“ — არჩევნების დღე დანიშნა. თანაც 73 დღით ადრე — ეს „ჩმორი“, „ნულოვანი პერსპექტივის“ მქონე ოპოზიცია კარგად რომ მოემზადოს და არჩევნებში ნულ მთელზე ოდნავ მეტი ხმა რომ მოაგროვოსო. მართლაც, მამობრივი ზრუნვაა, მაგრამ რად გინდა? ოპოზიციური პარტიები ერთმანეთში ვერ რიგდებიან (დაილოცოს კომუნისტებისა და ნაციონალების მონოლითური ერთიანობა!).

ახლა მთელი იმედები ნათელაშვილსა და მის ლეიბორისტ და-ძმებზეა. მართალია, თვითონ დიდი შალვა არჩევნებში არ მონაწილეობს, მაგრამ ორიოდე დღის წინ პატივცემული ოპოზიციონერები სწორედ მისი ინიციატივით შეიკრიბნენ. რა გადაწყვიტეს, ჯერ არ ვიცი, მაგრამ შეხვედრა რომ ისტორიული იქნებოდა, ეჭვიც არ მეპარება.

დღეისთვის თბილისის მერობის სულ რაღაც შვიდიოდე კანდიდატია ცნობილი. ამ შესანიშნავ შვიდეულში ჯერჯერობით არ შედის მოქმედი მერი, ერთ-ერთი კარგი ბიჭი (რა თქმა უნდა, კობა სუბელიანისა და ნუგზარ წიკლაურის შემდეგ!), თბილისის მოქმედი მერი გიგი უგულავა. იგი საკუთარი კანდიდატურის დასახელებას არ ჩქარობს, არც არის საჭირო — ჩვენი ცენტრალური საარჩევნო კომისიის ამბავი რომ ვიცი, თუ მოინდომებს, ამ ჩვენს კარგ ბიჭს, ისე გაამარჯვებინებს, ოფიციალურად მის კანდიდატურას არც დააყენებს. თანაც გიგის არჩევნებისთვის არ სცალია — აშენებს ავტომაგისტრალს გმირთა მოედნიდან გურამიშვილის ქუჩამდე და — ახალ ხიდს მტკვარზე (ისტორიული „ვირის ხიდის“ ადგილას), აგებს ასფალტს შარშან ასფალტდაგებულ ქუჩებზე (სხვაგანაც!)... მოკლედ, სანამ მერობის ერთ-ერთი კანდიდატი, ყოფილი მერი თამაზ ვაშაძე მუშაობის აუცილებლობაზე (ხატოვნად) ლაპარაკობს, ხელისუფლების სარეზერვო კანდიდატი, გია ჭანტურია კილოვატი ელექტროენერგიის საფასურის ხუთ თეთრამდე შემცირებაზე ოცნებობს, ხოლო ბატონი შალვა ნათელაშვილი ბოიკოტის საკუთარ თეორიაში ხარვეზების აღმოჩენას ცდილობს, გიგი უგულავა ხელებდაკაპიწებული მუშაობს.

ჰო, ბატონ შალვაზე გამახსენდა, ისეთი წინათგრძნობა მაქვს, რომ იგი აუცილებლად უნდა გამოჩნდეს თბილისის მერობის კანდიდატთა გაფართოებულ სიაში. არჩევნებამდე ჯერ დრო ბევრია, მთელი 66 დღე!

## საბრალო რუსეთი

**ოკუპანტ, აგრესორ, საზიზღარ (და არ ვიცი, კიდევ რა ეპითეტი მოვიშველიო!) რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნებამდე 66 დღეზე ბევრად მეტი რჩება, მაგრამ გასულ კვირაში ამ ჩვენს, სახელს არ ვიტყვი, ჩრდილოელ მეზობელს, საპროტესტო მიტინგების მრისხანე ტალღამ გადაუარა. „პროტესტანტები“ პუტინის გადადგომასა და ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობის შემოღებას მოითხოვენ. ეს აქციები ქართულ სახელისუფლო მედიაში დაწვრილებითა და შესაბამისი კომენტარებით შუქდება. ჩვენი პოზიცია დაახლოებით ასეთია — მაშ, რა ეგონათ, საქართველოს ოკუპაციას რომ გეგმავდნენ, კარგი იყო?!**

თავი დავანებოთ საქართველოს ხელისუფლებას, ვისთვისაც კარგია ყველაფერი, რაც ცუდია რუსეთის ხელისუფლებისთვის. ჩვენ, საკუთარი ხელისუფლებისგან რუს ხალხზეც მეტად შეწუხებულმა მოქალაქეებმა, იქნებ, რუსებისგან ბრძოლის წყურვილი ვისწავლოთ. რუსი ხალხი იბრძვის, სასტიკად უსწორდებიან, მაგრამ მაინც იბრძვის. ქართველი ხალხი ვიღაცას თუ რაღაცას ელოდება და ზედიზედ ზეიმობს არარსებულ გამარჯვებებს. ეს „ვიღაც“, ჩვენს ტკივილს რომ უმკურნალებს, შესაძლოა, იყოს ბარაკ ობამა ან ჰილარი კლინტონი, ან, თუნდაც, გარი კასპაროვი (ისე, ნეტავ, რუსეთის ხელისუფლებამ რატომ არ გამოაცხადა რუსეთის მტრად და მოღალატედ კასპაროვი, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა და დიდი პატივითაც მიიღეს?). ხოლო ეს „რაღაც“, შესაძლოა, იყოს ღვთის წყალობა. აბა, ასიათასობით ადამიანის რუსთაველზე ცხვრის ფარასავით ჩაშრიალება რომ არაფერს მოიტანს, ამაში უკვე დავრწმუნდით.

**ჰო, კინაღამ დამავიწყდა, გასულ კვირას რუსეთზე კიდევ ერთი შთამბეჭდავი გამარჯვება ვიზეიმეთ — საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა 20 მარტს თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში რუსეთის ნაკრებს უმასპინძლა და სოლიდური ანგარიშით დაამარცხა 36:8! კარგი მაგალითია — იქნებ ჩვენი პრეზიდენტი ან საკუთარ, ან ნეიტრალურ მოედანზე, თუნდაც უმაყურებლოდ, შეხვედროდა პრეზიდენტ მედვედევს და, ჯანდაბას, დამარცხებულიყო, ოღონდ, რევანშის მატჩის უფლებით.**

რაგბისტთა გამარჯვება მართლაც სასიხარულოა, მაგრამ სამწუხაროა, რომ ამ სპორტულ პაექრობას საქართველოში პოლიტიკური სარჩული დაედო. საქართველოს პრეზიდენტმა ჯიბიდან სასწრაფოდ დააძრო ორდენები და სპორტსმენებს გულუხვად ჩამოურიგა. ჩემი მოკრძალებული აზრით, სპორტსმენების, მომღერლების, მეცნიერების პოლიტიკაში ჩათრევა მთლად გონივრული საქციელი არ უნდა იყოს.



## ეპილოგი

**ორშაბათიდან მძვინვარე სტიქია მიყუჩდა, ქვეყანა გათბა, ბუნებასა და პოლიტიკურ ცხოვრებას გამოცოცხლება დაეტყო. ახლა მთავარია, ბატონმა შალვა ნათელაშვილმა არ დაგვაღალატოს და თბილისის მერობაზე მაინც არ თქვას უარი.**

„მოიბოდიშა“
**თეიმურაზ ქორიძემ**



საავტორო სვეტი

# სიცრუე & ორპირობა

**საქართველოს ხელისუფლების ტრიუმფალური სვლა მარშრუტით „წუმპედან წუმპეში“ გრძელდება. სკანდალმა „იმიტირებული ქრონიკის“ გარშემო მთლიანად გადაფარა ტელევიზიასთან დაკავშირებული კიდევ ერთი ისტორია, რომელსაც კვლავ ესოდენ ნაცნობ კითხვამდე მივყავართ: „რა იყო ეს — იდიოტიზმი თუ მარაზმი?“**

კლიპს საქართველოს შესახებ, რომელიც BBC-ისა და CNN-ის ეთერში დატრიალდა, ტელეკომპანია „იმედის“ პროდუქციისგან განსხვავებით, მსხვერპლი და პროგრესული კაცობრიობის შეშფოთება არ მოჰყოლია. თითქოს ყველაფერი მარტივადაა: გადაიღე კლიპი, გადაიხადე ფული, მოკალათდი სავარძელში და ისიამოვნე, თუ მსგავსი რამეებისგან სიამოვნების მიღება შეგიძლია. მაგრამ არა, სააკაშვილის ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, არც ეს შანსი გაუშვა ხელიდან და მაინც იცრუა იქ, სადაც ამის აუცილებლობა არ არსებობდა.

სჯობს სიტყვა Transparency International-ს გადავცეთ: **„ცოტა ხნის წინათ საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო სარეკლამო კამპანია წამოიწყო. რეკლამაში საქართველო ნახსენებია, როგორც „მსოფლიოში ნომერ პირველი ქვეყანა კორუფციასთან ბრძოლაში მიღწეული პროგრესის კუთხით“. ეს განცხადება „საერთაშორისო გამჭვირვალობაზე“ დაყრდნობით გაკეთდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობას“ არასდროს გაუკეთებია ასეთი განცხადება. რეკლამაში არასწორად იქნა ინტერპრეტირებული „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ „კორუფციის აღქმის რეიტინგის მონაცემები“.**

ამის შემდეგ ორგანიზაციის სამდივნომ და ადგილობრივმა წარმომადგენლობამ **„უკმაყოფილება გამოთქვეს ამ რეკლამასთან დაკავშირებით და ორივე ტელეარხს სარეკლამო რგოლის შესწორებული ვერსიის გაშვებაზე შეუთანხმდნენ“.**

კლიპს თვალი გადავავლე. მართლაც, კადრში დარბაზში თავმოყრილი ახალგაზრდები ხმამაღლა იმეორებენ დიდ ეკრანებზე გამოსახულ სიტყვებს, რომ „საქართველო პირველ ადგილზეა მსოფლიოში...“ და ა.შ., ხოლო წამყვანის ხმა ამ მონაცემების წყაროდ Transparency International-ს ასახელებს. ეკრანთან ერთსულოვანი სკანდირების მსგავსი სცენა ბოლოს ჯორჯ ორუელის „1984“-ის მიხედვით გადაღებულ ფილმში ვნახე. ხოლო სიტყვების წარმოთქმის რიტმი და ტონალობა უფრო ლენი რიფენშტალის შემოქმედებას მოაგონებდა, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ახალგაზრდებს შავი მუნდირები არ ეცვათ, თუმცა გემოვნებაზე არ დავობენ, შეიძლება ვინმემ ჩათვალოს, რომ შემოქმედებითმა ჯგუფმა ფელინის გადაუჯოკრა და პაზოლინიც ზედ მიაყოლა. ჩვენ ამ შემთხვევაში დამკვეთებზე ვსაუბრობთ.

**ამ კლიპის ჩვენებას დასავლეთის წამყვან არხებზე მიხეილ სააკაშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, მისი ანონსი ჯერ კიდევ იანვარში გააკეთა. იგი ძალიან დიდი ალბათობით ხელისუფლების წარმომადგენლებმა (და უცხოელმა კონსულტანტებმა) ეთერში გაშვებამდე არაერთგზის ნახეს. გასარკვევი მხოლოდ ის დარჩა, განგებ და შეგნებულად დაუშვეს ამ სიცრუის გასვლა BBC-სა და CNN-ზე თუ საქმე ტიტანური მასშტაბის არაკომპეტენტურობასთან გვაქვს; მაღალჩინოსანი მაყურებლები, უბრალოდ, აზრზე არ იყვნენ, რას წარმოადგენდა „კორუფციის აღქმის ინდექსი“ და, აქედან გამომდინარე, კლიპში სიყალბეც ვერ აღმოაჩინეს.**

რაც შეეხება კონსულტანტებს, შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ რიგებში (გადაუმოწმებელი ინფორმაციის თანახმად) ბოლო როტაცია მოხდა, ხელისუფლების პოლიტიკაში, კერძოდ მის საინფორმაციო ასპექტში, ერთი კრახი მეორეს არა მხოლოდ მოსდევს, არამედ ხშირად წინ უსწრებს კიდეც. შესაძლოა, ეს კონსულტანტების ზოგადი სისუსტის ბრალია, თუმცა, ალბათ, არც „ივანე სუსანინის ვარიანტი“ უნდა გამოვრიცხოთ. პრინციპში, ეს უკვე კონსპიროლოგიაა, მასზე კი, გემოვნებისა არ იყოს, არ დავობენ.

**ცხადია, „იმიტირებულ ქრონიკასთან“ შედარებით ეს მხოლოდ მცირე ეპიზოდია, თუმცა მასზე დაყრდნობით საერთო სურათზე გარკვეული წარმოდგენის მიღება შეგვიძლია, როგორც პალეონთოლოგებს, რომლებიც ერთი ძვლის მიხედვით ცდილობენ, დაადგინონ, სად ცხოვრობდა და რამდენს იწონიდა დინოზავრი და მწვავე შიზოფრენიის რომელი სტადია აწუხებდა.**

**დიმიტრი მონიავა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო



საავტორო სვეტი

# დაკვერცხილის დამიწება

**მორაგბეთა ტრაბზონული წარმატების ფონზე კიდევ უფრო გულისმომკვლელია იმის გახსენება, როგორ ვერ გავიტანეთ ლელო 2008 წლის აგვისტოში. არც გავიხსენებდი, პრეზიდენტი სააკაშვილი რომ არ გამოხმაურებოდა ირაკლი აბუსერიძის ნათქვამს — ეს თამაში საქართველოსთვის დაღუპულ ბიჭებს და მათ ოჯახებს მივუძღვენითო.**




გამარჯვებული მორაგბეების ავლაბრის რეზიდენციაში მიღებისა და დაჯილდოების დროს პრეზიდენტმა სააკაშვილმა გულწრფელად თქვა: „გუშინ გიყურებდით და ერთი რამ შევამჩნიე — სპორტის ვერც ერთი სახეობის წარმომადგენელი საქართველოში ისე ვერ მღერის საქართველოს ჰიმნს, როგორც თქვენ. ეს არის გამარჯვებისკენ სწრაფვის პირველი რეცეპტი“.

ვაი, შენი სულისა?!

**ჩვენი ხელისუფლების „მრავალი სახეობის“ წარმომადგენლებმა საქართველოს ჰიმნის მღერა რომ არ იცოდნენ, იმიტომ გააჭენეს ხუთდღიანი ომის დროს „წითელი ხიდისკენ“ და აზერბაიჯანის საზღვარზე ერთმანეთს ზედ იმიტომ ახტებოდნენ?!**

„გამარჯვებისკენ სწრაფვის პირველი რეცეპტი“ რა ყოფილა? სწორია — ჰიმნის მღერა!

**თუკი ასეთი უებარი წამალი იცოდით და „პირველი რეცეპტიც“ გქონდათ, რად არ ისარგებლეთ? ასეთი რა ქვა გკრათ თქვენმა თავმა, გამოგეყენებინათ, ვინ გიშლიდათ, — გემღერათ კი არა, დაგეგუგუნებინათ იმ ჯარისკაცებთან ერთად, მტერს რომ შეალეწეთ და შეატოვეთ.**

მათ ეგონათ, რომ 7 აგვისტოს საღამოს, პირდაპირ ეთერში გამოსვლით, მთავარსარდალი ცრუ მანევრს მიმართავდა — ცხინვალში ლელოს დადებას აპირებს, აბა, ეს დროშებითა და ტრიბუნებით გაძეძგილი ავტობუსები რისთვის გაუმზადესო? მაგრამ, **როგორც ვნახეთ, ცხინვალში კი არა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა გორში დაამიწა მთელი საქართველო თუ არა, მისი ორი უძველესი კუთხე — აფხაზეთი და სამაჩაბლო.**

ქვეყანა დაამიწა და თვითონაც დამიწდა, როგორც პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი, მაგრამ მთავრობა ხომ არ ჩამოეშალა? აი, ეს არის მთავარი!

დამფრთხალ მთავარსარდალს გულში ჩარჩენია **„ირლანდიასთან ბოლოს არდადებული ლელო“** და მორაგბეებს სასწაულის მოხდენის პირობა ჩამოართვა — **„ეს უნდა გავაკეთოთ ახალ ჩემპიონატში ახალ ზელანდიაში“.**

სამაგიეროდ, გულიდან ამოირეცხა აფხაზეთი და სამაჩაბლო. პარლამენტში გამოსვლისას, ალბათ, ამიტომაც არ უსაუბრია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივაზე.

ახალ ზელანდიაში ქართველი მორაგბეები მართლაც გაიტანენ ლელოს, **ქვეყანას გამარჯვებები სჭირდება, რადგან დამარცხებულის კომპლექსით ცხოვრება ერის კატასტროფის ტოლფასია.**

**განსაკუთრებით ახლა სჭირდება, როცა დაკვერცხილ ხელისუფლებას გამარჯვება და დამარცხება მოგება-წაგებასავით მართლა ძმები ჰგონია, ტყუპი ძმები და ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია.**

მორაგბეებს ახალ მოედანსაც აუშენებენ და ახალ ბურთებსაც უყიდიან, მაგრამ რა ეშველება საქართველოს, რომელსაც ბედისწერად ექცა დეფორმირებული ხელისუფლება, როგორც ხშირი დარტყმებით სიგლუვედაკარგული რაგბის ბურთი, რომლითაც კავკასიის მოედანზე თავიანთი ლელოს გატანას ცდილობდნენ უავგუსტესი სააკაშვილის საწვრთნელად მოპატიჟებული ბუშები და მაკეინები.

**მაგრამ, ან წვრთნამ რა უშველა? — 2008 წელს ცხინვალისკენ სირბილით წაღებული გულში ჩახუტებული ქვეყნის გამთლიანების იდეა გორში დაამიწეს.**

თუმცა, ეს უკვე ვთქვი.

**ბონდო მძინარაშვილი**



# თურქეთი

## სააკაშვილის იზოლაციის მარათონს ანკარაც შეუერთდა

**თურქეთმა მოულოდნელი სიურპრიზი მოგვიწყო – დაწესდა თურქეთის ტერიტორიაზე ავტომობილების ტრანზიტზე ძალიან მაღალი ტარიფები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ექსპორტის ძირითადი ნაწილი სწორედ თურქეთიდან შემოდის, ხოლო ჩრდილოეთით ექსპორტი ისედაც ბლოკირებულია, ქართული ეკონომიკა კი პრაქტიკულად მკვდარია, ეს უკვე საქართველოს დახრჩობას ნიშნავს. როგორც ჩანს, თურქეთის ეს არამეგობრული ნაბიჯი სწორედ „იმედის“ 13 მარტის სპეცრეპორტაჟის შედეგია – თურქეთი, დასავლეთის ქვეყნებთან ერთად კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ სააკაშვილი რეგიონის არასტაბილურობის „გარანტია“ და მისი სასწრაფოდ მოცილებაა საჭირო. ამისათვის კი მშიერი ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ უნდა გამოვიდეს ქუჩებში და ამჯერად საქმე ბოლომდე მიიყვანოს!**

5 მარტს ამერიკის კონგრესის საგარეო საქმეთა კომიტეტმა ერთი ხმის უპირატესობით დაადგინა, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წელს, ოსმალეთის იმპერიაში ადგილი ჰქონდა სომხების გენოციდს, ანუ მილიონ-ნახევარი სომხის მასობრივ განადგურებას. თურქეთმა იმავე დღეს გაიწვია თავისი ელჩი ვაშინგტონიდან. მაგრამ ნატოს ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი წევრის დაკარგვით შეშინებულმა ამერიკის პრეზიდენტმა არ გაატანინა ეს რეზოლუცია კონგრესის სხდომაზე კენჭის საყრელად. ანალოგიური სიტუაცია იყო 2001 და 2007 წლებშიც. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თურქეთის 1750 ჯარისკაცი ავღანეთში ომობს, ხოლო ერაყში ამერიკულ ჯარებს თურქეთის სამხედრო ავიაბაზა ამარაგებს.

ერთი კვირის შემდეგ შვედეთის პარლამენტმა (აქაც ერთი ხმის უპირატესობით) მიიღო დეკლარაცია სომხების გენოციდის შესახებ; იგი 25-ე ქვეყანა გახდა, ვინც ეს აღიარა. მიუხედავად ამისა, შვედეთის პრემიერ-მინისტრმა საჯაროდ დაგმო თავისი პარლამენტის ეს აქტი. საქმე ისაა, რომ საფრანგეთისა და გერმანიისგან განსხვავებით, შვედეთი ღიად ლობირებს თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას. თურქეთმა იქედანაც მაშინვე გაიწვია თავისი ელჩი და უკვე ღიად ალაპარაკდნენ, 10 ოქტომბერს შვეიცარიაში ამერიკელების სერიოზული ძალისხმევით ხელმოწერილი ორი ოქმი თურქეთ-სომხეთის „შერიგების“ შესახებ საფრთხის ქვეშ რომ დგას.

**საფრანგეთი კიდევ უფრო შორს წავიდა – 2006 წლის 12 ოქტომბერს მათმა ეროვნულმა კრებამ (პარლამენტმა) მიიღო კანონი, რითაც ერთწლიანი ციხე და 45000 ევროს ჯარიმა ემუქრება იმას, ვინც იტყვის, რომ გენოციდს ადგილი არ ჰქონია. გენოციდი კი ფრანგულმა პარლამენტმა ჯერ კიდევ 2001 წელს აღიარა. მოგეხსენებათ, საფრანგეთში ძალიან დიდი სომხური დიასპორა ცხოვრობს.**

თვითონ „გენოციდის“ თემა სხვადასხვა ინტერპრეტაციას იწვევს. იქ რომ სომხების ეთნოწმენდა მოხდა, ამას არც თურქები უარყოფენ; ისინი დავობენ „გაზვიადებულ“ ციფრებზე, თან ხშირად ხელს ქურთებისკენ იშვერენ – ეს მათ გაყარეს სომხები სირიის უდაბნოშიო! გარდა ამისა, თურქები თავის გასამართლებლად იმასაც ამბობენ, რომ ოსმალეთის იმპერიაში შემოჭრილმა რუსულმა არმიამ შეაგულიანა სომხები, აჯანყებულიყვნენ და ცენტრალურ ანატოლიაში დამოუკიდებელი სომხური სახელმწიფო შეექმნათ. თუმცა იმ რაიონებში, სადაც 1915 წლამდე სომხები ცხოვრობდნენ, ახლა ქურთები ცხოვრობენ და ისინიც სეპარატისტულად არიან განწყობილნი.

2005 წლის მარტში თურქეთმა სომხებს ისტორიკოსების შერეული კომისიის შექმნა შესთავაზეს, რომელიც თურქულ სამხედრო არქივებს შეისწავლიდა; მაგრამ სომხებმა ეს გამოწვევა არ მიიღეს და მას „მასკარადი“ უწოდეს. ამ დღეებში თურქები კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ ინიციატივას და ხაზი გაუსვეს, რომ ეს ისტორიკოსების, და არა პოლიტიკოსების, კვლევის საგანი უნდა იყოს.

ყოველივე ამან თურქეთში დიდი მღელვარება გამოიწვია. ეს ქვეყანა, უკვე 25 წელია, ცდილობს ევროკავშირში გაწევრიანებას და, შეიძლება ითქვას, მუსლიმანურ ქვეყნებში ყველაზე პროდასავლურად იყო განწყობილი. მაგრამ, როგორც ჩანს, მათ მოთმინებასაც აქვს საზღვარი. **ევროკავშირის წამყვან ქვეყნებს არ სურთ, თავიანთ რიგებში მიიღონ 70 მილიონი მუსლიმანი; პრეზიდენტ სარკოზის ეს არც დაუფარავს. ამ ცოტა ხნის წინათ კი აშშ-ის სტრატეგიულ კვლევათა ცენტრის დირექტორი, ეროვნებით თურქი ზეინო ბარანი „უოლ სტრიტ ჯორნელში“ წერდა ნატოდან თურქეთის შესაძლო გამოსვლაზე. ამერიკა განსაკუთრებით შეაშფოთა თურქეთისა და ირანის დაახლოებამ.**

**ასევე, საქართველოს აგვისტოს მოვლენების შემდეგ, თურქეთი ძალიან დაუახლოვდა რუსეთს და ჩვენს რეგიონთან დაკავშირებით მათ შორის რაღაც გარიგებაც მოხდა.** სულ რამდენიმე კვირის წინ კი თურქეთმა, როგორც იქნა, ხელი მოაწერა სახეცვლილ „ნაბუკოს“ პროექტს, სადაც საქართველო საერთოდ აღარ ფიგურირებს: თურქმენეთიდან გაზი ირანში შევა და იქიდან თურქეთის გავლით ევროპაში გავა. ასევე, საინტერესოა, რომ თურქეთის მონათესავე აზერბაიჯანი ამავე დროს თანდათან ზურგს აქცევს მას და სულ უფრო პრო-მოსკოვური ხდება. თუნდაც ის გაზი, რომელიც „ნაბუკოს“ პროექტით ჩვენი გავლით თურქეთში უნდა გასულიყო, მთლიანად „გაზპრომმა“ შეიძინა.

**გავლენიანი ბრიტანული „ფაინანშელ ტაიმსი“ წერს, რომ აგვისტოს ომმა სამხრეთ კავკასიაში ძალთა განაწილება მკვეთრად შეცვალა და იქ თურქეთის სახით ახალი მოთამაშე შემოვიდა. თურქეთს მობეზრდა ევროპის მისდამი** ▶

# «მოდელირებული» რაგბი

**ორი კვირაა, ტელეეკრანებიდან, რადიოდან თუ გაზეთებიდან სხვა არაფერი გვესმის, თუ არა სიტყვა „მოდელირებული“, რაც ერთობ პოპულარული და მოდური სიტყვა გახდა. სწორედ ამიტომ გასულ კვირას ტრაბზონში გამართულ საქართველო-რუსეთის სარაგბო დაპირისპირებას ჩვენც მოდელირებული რაგბი ვუწოდეთ. ახლავე აგიხსნით, რატომაც:**




ქართველებისთვის რუსეთთან დაპირისპირებას სპორტულზე მეტად პოლიტიკური ფონი გასდევს. საქართველოს ნაკრები რაგბის მსოფლიო ჩემპიონატზე უკვე გასული იყო და რუსეთთან მატჩი მხოლოდ და მხოლოდ ქართული „ღირსების“ საქმე იყო (თუ როგორ ემზადებოდნენ ქართველი გულშემატკივრები ამ მატჩისთვის, „საქართველო და მსოფლიო“ №50-ში წერდა).

მოლოდინი ქართველი გულშემატკივრებისა, რომ რუსი გულშემატკივრებისგან „ბრდღვენა“ იქნებოდა, არ გამართლდა, რადგან არც ერთი რუსი ქომაგი სტადიონზე არ გამოჩენილა. სამაგიეროდ, **სტადიონზე „ჩვეულებრივ მოკვდავ“ ქომაგებზე მეტი, საქართველოს მმართველი გუნდისა და ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ. იმ დღეს ქვეყანაში ერთი ტყვია რომ გავარდნილიყო და ქვეყანას (ღმერთმა დაგვიფაროს) ბომბი დასცემოდა, კაციშვილი პატრონი არ იყო.**

მატჩის შედეგი მოულოდნელი არავისთვის ყოფილა. საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მეტოქეს მწვანე მოედანზე დიდი ანგარიშით 36:8 სძლია. **ბოლო 15 წლის განმავლობაში რუსეთმა ერთხელაც ვერ მოახერხა საქართველოს მორაგბეთა ნაკრების დამარცხება, სამაგიეროდ ამ დროში ტერიტორიები დაგვაკარგვინა...**

ალბათ, მკითხველიც დამეთანხმება, თუ ვიტყვი, რომ მორაგბეთა გამარჯვებას, სჯობს, ქვეყანამ არ დაუთმოს რუსეთს არც ერთი გოჯი მიწა; რაგბში წაგებას კი ქართველები როგორმე ავიტანდით.

**მინდა, საქართველო რუსეთთან განქორწინდეს, ამიტომ კარგი ადვოკატი მჭირდება!**

**მაგდა კლდიაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ნატოდან გადის?




**◀ არასახარბიელო დამოკიდებულება, სამაგიეროდ ახლო აღმოსავლეთში მას უდიდეს პატივს სცემენ. ამერიკის ნომერ პირველ მტერთან – ირანთან დაახლოებისა და მისი პრეზიდენტის თურქეთში ვიზიტის შემდეგ თურქებმა, ასევე, მიიღეს სუდანის პრეზიდენტი ომარ ალ-რაშიდი, რომელსაც ნატოს ქვეყნები მისსავე ხალხის გენოციდში ადანაშაულებენ. შემდეგ თურქეთმა უვიზო რეჟიმი დააწესა სირიასთან, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტს ტერორისტ სახელმწიფოდ ჰყავს გამოცხადებული. ამავე დროს მკვეთრად გაუარესდა ურთიერთობა ისრაელთან.**

სამხრეთ კავკასიაში თურქეთის შესამჩნევი გააქტიურება „ნეო-ოსმანიზმის" იდეოლოგიას ეყრდნობა. ამ იდეოლოგიის მატარებელია მმართველი პარტია და მისი მთავარი იდეოლოგია პროფესორი ახმედ დავითოღლუ. ქემალისტებისგან განსხვავებით, რომლებიც ოსმალეთის იმპერიისადმი ნეგატიურად არიან განწყობილი და სეკულარულ ეროვნულ სახელმწიფოზე არიან ორიენტირებული, ნეო-ოსმანისტები ოსმალეთის იმპერიის გეოპოლიტიკურ სივრცეს ლამის თავისად მიიჩნევენ (არ დაგვავიწყდეს, ამ სივრცეში შედის ბალკანეთი და საბერძნეთი, ერთის მხრივ, და ჩინეთამდეა გადაწოლილი). ამ სივრცის ცენტრი კი სწორედ სამხრეთ კავკასიაა. ამიტომ **ყალიბდება ახალი თურქული საგარეო პოლიტიკა, რომელშიც ევროატლანტიკური ინტეგრაციისთვის ადგილი აღარ რჩება და რამაც გადამწყვეტი როლი შეიძლება ითამაშოს ჩვენს მომავალზე.**

თვით თურქეთშიც სულ უფრო ძლიერდებიან პროისლამისტური ძალები, რომლებიც აგრესიულად არიან განწყობილი ყოველივე ევროპულისადმი. ასე რომ, ქემალ ათათურქის მიერ შექმნილი სეკულარული ეროვნული სახელმწიფო შესაძლებელია თავის ბოლო პერიოდშია, ხოლო ქვეყანაში სულ უფრო ძლიერდება ნოსტალგია ოსმალური იმპერიული წარსულისადმი (შეგახსენებთ, მაშინ საქართველოს დიდი ნაწილი ამ იმპერიის შემადგენლობაში იყო და მიდიოდა მოსახლეობის ისლამიზაცია). **ჩვენ სისტემატიურად გვესმის „რუსეთის იმპერიული ზრახვების შესახებ", მაგრამ არაფერი არ ისმის უფრო რეალური საშიშროებაზე, თუნდაც ის, რომ ბათუმი დე ფაქტო თურქებისაა და მისი დე იურედ გაფორმებას არ ჩქარობენ, თუმცა გარკვეულ სიტუაციაში არც ესაა გამორიცხული.**

როდესაც 20 წლის წინათ საბჭოთა კავშირი დაიშალა, მაშინ თურქულენოვან ხალხებში პოპულარული იყო „დიდი თურანის" შექმნის იდეა, ანუ თურქეთთან გაერთიანება. ასეთებია აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი, თათრეთი, ბაშკირეთი, ყირიმის თათრები და მოლდავეთის გაგაუზები. თურქეთი კი მაშინ პროევროპულად იყო განწყობილი და ევროკავშირში შესვლისთვის ემზადებოდა. მაგრამ მას ეს სურვილი არ აუსრულეს და ახლა ქვეყანაში სულ უფრო ანტიამერიკული და ანტიევროპული განწყობაა. რაც შეეხება თურქულენოვან ქვეყნებს, მათი ელიტა განათლებას თურქეთის უნივერსიტეტებში იღებს და შესაბამისად კვლავ „დიდი თურქეთის" (თურანის) იდეით გამსჭვალულები ბრუნდებიან შინ. **ამასწინათ ნახიჩევანში გამართულ თურქ ხალხთა კონგრესზე ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა განაცხადა, რომ „გენიალური თურქები მუსტაფა ქემალ ათათურქი და გეიდარ ალიევი ყველა თურქთა ერთობაზე ოცნებობდნენ",** რაც ისტორიულად მთლად მართალი არ უნდა იყოს. ხოლო თურანის იდეა XX საუკუნის დასაწყისში კონსტანტინოპოლში აზერბაიჯანელმა პოლიტიკოსმა წამოაყენა, რითაც ქემალისტები დიდად არ დაინტერესებულან.

რაც შეეხება ოსმალეთის იმპერიას, ის თურქულენოვანი არ ყოფილა და რაღაც ფორმით მისი აღდგენის სურვილი სულ უფრო პოპულარული ხდება. ასეთ სიტუაციაში **თუ სააკაშვილი კიდევ ერთ სამხედრო პროვოკაციას წამოიწყებს, თურქეთი, ყარსის ხელშეკრულების შესაბამისად, აჭარის ანექსიას მოახდენს, რასაც სხვა მეზობელ სახელმწიფოებში „დომინოს ეფექტი" მოჰყვება, ანუ საქართველოს სხვა ტერიტორიებიც იქნება ანექსირებული.**

დასავლეთის პრესა აღნიშნავს, რომ სამხრეთ კავკასია საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის შემდეგ დაუბრუნდა „ნორმალურ რეალობას", ანუ კვლავ ახლო აღმოსავლეთის ნაწილი გახდა. გავიხსენოთ ექსპრეზიდენტ ჯორჯ ბუშ უმცროსის სიტყვები: „საქართველო აღმოსავლეთში დემოკრატიის შუქურაა". ჩვენი დეკლარირებული ლტოლვა ევროკავშირისკენ რომ არარეალურია, მოსახლეობა უკვე ერკვევა ამაში. ჩვენ ევროკავშირში შეიძლება მივეღეთ მხოლოდ თურქეთის შემდეგ, რაზეც ზემოთ უკვე ვილაპარაკე. აი, უკრაინა კი ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ მიწვევას იღებს ევროკავშირის პარლამენტისგან!

**ჩვენთვის ყველაზე მთავარი მაინც საქართველოს ბედია, თუ სად „ვჯდებით" ახალ რეალობაში. არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ რეგიონი გადანაწილებულია ორი მთავარი მოთამაშის, ორი ყოფილი იმპერიის მიერ. ასეთ პირობებში ქვეყნის ერთიან სუბიექტად დარჩენა, სამწუხაროდ, ცოტა არარეალურად ჟღერს**. აქ საჭირო იქნებოდა მეტად ფრთხილი და მოქნილი დიპლომატიის გატარება და ქვეყნისთვის დამღუპველ არარეალურ საგარეო პოლიტიკაზე უარის თქმა. მაგრამ გვყავს კი ჩვენ ახალი პოლიტიკის გამტარებელი ხელისუფლება? და საერთოდ, შეძლებენ კი ისინი ახალი დროის მოთხოვნათა შესაბამისად სიტუაციის „გადატვირთვას"? ცხადია, მათი გარდაქმნა აბსოლუტურად არარეალისტურია და, თუ ცოტა დრო მაინც დაგვრჩა საქართველოს გადასარჩენად, სასწრაფოდ საჭიროა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები!

**შაბათს ტრაპიზონი ქართულ ქალაქს ჰგავდა, იქ იმდენი ქართული დროშა ფრიალებდა. მაგრამ ეს შეიძლება ბოლოჯერ იყო, ვინაიდან თურქეთში სერიოზულად ალაპარაკდნენ სავიზო რეჟიმის შემოღებაზე (ალბათ, სააკაშვილის წასვლამდე), რაც საქართველოს სრულ იზოლაციას ნიშნავს. ეს არის მიხეილ სააკაშვილის 6-წლიანი მმართველობის ლოგიკური შედეგი!**

**რამაზ კლიმიაშვილი**

## გიორგი სიჭინავა:
# რუსეთთან მოლაპარაკების გარეშე სოხუმისა და ცხინვალის დაბრუნება გამორიცხულია

**ქართულ-აფხაზური, ქართულ-რუსული ურთიერთობის მოგვარება ჩვენი ხელისუფლების მთავარ საზრუნავს რომ არ წარმოადგენს, საყოველთაოდ ცნობილია, ამიტომაც სწუხან ის ადამიანები, რომელთაც შერიგების პროცესის დაწყება სურთ, მათ კარგად უწყიან, რომ არ არსებობს მშვიდობა შერიგების გარეშე, ხოლო შერიგება — დიალოგის გარეშე. ცნობილ სოხუმელ მწერალს, ალმანახ „რიწის" რედაქტორს — გიორგი სიჭინავას მიაჩნია, რომ დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე აფხაზეთის დაბრუნებაზე საუბარი არარეალურია.**

— ომით დაკარგული ტერიტორიების მშვიდობიანი გზით დაბრუნებას დიდი დრო სჭირდება. დღეს რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური კავშირი გაწყვეტილია და არანაირი დიალოგი არ მიმდინარეობს. არადა, რუსეთთან მოლაპარაკების გარეშე სოხუმის და ცხინვალის დაბრუნება გამორიცხულია. ჩვენ სხვა ქვეყნების იმედი არც უნდა გვქონდეს. დღევანდელი დიპლომატები აშკარად გვეუბნებიან, რომ თვითონ უნდა მოვაგვაროთ რუსეთთან ურთიერთობა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ რუსებს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასთან საუბარიც არ სურთ.

**— მაგრამ არსებობენ განსხვავებული მოსაზრების მქონე ადამიანებიც, რომელთა აზრითაც ხსნა დასავლეთშია...**

— უგუნურებაა, მეზობელი ქვეყანა მტრად აქციო და შორეულს დაუნათესავდე. აუცილებელია რუსეთთან საერთო ენის გამონახვა, ღრმად ვარ დარწმუნებული, გონიერი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო ბევრი უსიამოვნების თავიდან აცილება. დამოუკიდებლობა იმას არ ნიშნავს, რომ ერთი პატრონი უარყო და შემცვლელი ეძებო. ჩვენ პარტნიორი გვჭირდება და არა პატრონი. მე პარტნიორს ვერ ვუწოდებ იმ ქვეყნებს, რომლებიც ჩემი ცხოვრების წესებს მიწუნებს, სულიერი რეფორმებისკენ მიბიძგებს და ფარულად ებრძვის ჩემს აღმსარებლობას. ისინი შენიშვნებს გვაძლევენ და ჩვენ ვერც კი ვბედავთ, შევედავოთ.

**— ბატონო გიორგი, თქვენ ახლო ურთიერთობა გქონდათ აფხაზებთან, როგორ ფიქრობთ, თუა შესაძლებელი ამ ურთიერთობის აღდგენა და როგორ წარიმართება იგი?**

— აფხაზებთან, მართლაც, თბილი ურთიერთობა მქონდა, ჩვენ ხომ თითქმის ერთნაირი ადათ-წესები გვაქვს. ამ რამდენიმე წლის წინ მოსკოვში ყოფნისას ხშირად ვიკრიბებოდით ქართველები და აფხაზები, ერთმანეთს კი არ ვაბრალებდით რამეს, არამედ ვწუხდით შექმნილი ვითარების გამო. აფხაზები ძალიან ხშირად მეუბნებოდნენ, ჩვენ თქვენზე ახლობელი ერი არ გვყავსო. ამ ურთიერთობის აღდგენა, პირველ რიგში, უნდა მოხდეს სახალხო დიპლომატიის გზით, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ისინი არ მიიღებენ იმ ადამიანებს, რომლებიც ანტიაფხაზური გამოსვლებით გამოირჩეოდნენ. არადა, გემი რომ გავა ნაპირიდან და გაუჩინარდება, ისე უჩინარდება აფხაზეთიც. კიდევ ერთხელ ვიმეორებ — რუსეთის გვერდის ავლით, ჩვენ აფხაზებთან ურთიერთობას ვერ მოვაგვარებთ. ამიტომაც არ უნდა შეწყდეს ურთიერთობა აფხაზებთან და პარალელურად რუსეთთანაც. საქართველომ უნდა გაითვალისწინოს რუსეთის ინტერესები საქართველოში.

**— თქვენ ბრძანდებით საკმაოდ გახმაურებული რომანის „უტუ მიქავას" ავტორი. როდის გადაწყვიტეთ ამ ისტორიული რომანის დაწერა?**

— ამ ისტორიულ რომანზე მუშაობა ჯერ კიდევ სოხუმში დავიწყე, მაგრამ განვითარებული მოვლენების გამო გარკვეული ხნით გადავდე. ბოლო ხუთი წელია ისევ განვაახლე და დავამთავრე კიდეც. ნაწარმოები ოთხ ნაწილად არის დაყოფილი და მთლიანობაში 960 გვერდია. სამი ნაწილი გამოსულია, ხოლო მეოთხე ნაწილს უახლოეს დღეებში მიიღებს მკითხველი.

**— თქვენს მომავალ გეგმებზე რას გვეტყვით?**

— ამჟამად ვმუშაობ დოკუმენტურ რომანზე. ბოლო დროს აფხაზეთში განვითარებული მოვლენების ერთ-ერთი თვითმხილველი მეც ვარ და მინდა ნანახი და განცდილი ქაღალდზე გადავიტანო.

**ესაუბრა ლადო ქირია**, ზუგდიდი

## მოკლედ



### რეკორდული დეფიციტი გერმანიაში

გერმანულმა ბუნდესტაგმა 2010 წლის ბიუჯეტი გერმანიის ფედერაციის ისტორიაში რეკორდული ვალით — 80,2 მილიარდი დოლარით მიიღო. სახელმწიფოს დანახარჯებიდან ყოველი მეოთხე ევრო ნასესხები იქნება. საქმიანი აქტივობის, რეცესიის საწინააღმდეგო ღონისძიებებისა და ბანკების გადასარჩენად სახელმწიფო ასიგნირების გათვალისწინებით, 2010 წელს ბიუჯეტის ვალი 100 მილიარდ ევროს შეადგენს. ამ ყველაფერს გერმანია ისევ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს აბრალებს და აცხადებს, რომ 2011 წლიდან სახსრების დაზოგვის პროგრამაზე გადადის.



### ობამას პოლიტიკას უწუნებენ

ათასობით ამერიკელი ერაყიდან და ავღანეთიდან ამერიკული ჯარების გამოყვანის მოთხოვნით თეთრ სახლთან შეიკრიბა და აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას მოუწოდა, მისი წინამორბედის სამხედრო პოლიტიკას შეეშვას და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით დაკავდეს. მანიფესტანტებმა ბარიკადების გარღვევა სცადეს, რამაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაცვასთან შეხაჯება გამოიწვია. საპროტესტო აქცია ერაყში საომარი მოქმედებების დაწყების შვიდ წლისთავთან დაკავშირებით გაიმართა.



### 70 მილიარდი მოდერნიზაციისთვის

როგორც ქვეყნის პრემიერმა ნიკოლაი აზაროვმა განაცხადა, უკრაინის ეკონომიკის მოდერნიზაციისათვის 10 წლის განმავლობაში ყოველწლიურად 70 მილიარდი დოლარის დახარჯვა იქნება საჭირო. ეს უკრაინისათვის ძალიან დიდი თანხაა. 2009 წელს ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტმა სულ 114 მილიარდი დოლარი შეადგინა, ბიუჯეტის დეფიციტმა კი — 10 მილიარდი დოლარი. როგორც ცოტა ხნის წინათ ვიცე-პრემიერმა სერგეი ტიგიპკომ ბრძანა, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარად 2010 წელს უკრაინას ისევ დასჭირდება კრედიტების აღება.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# შაშინებულები

**„შენა, ბიჯო, შაშინებული ხო არა ხარ?!" — კახეთში იციან ასეთი მიმართვა, რაც პირდაპირი მნიშვნელობითაც შეიძლება იქნას გაგებული, ანუ, როდესაც მიმართვის ადრესატის ცხოველური შიში იგულისხმება რაიმეს მიმართ და მეორე, გაცილებით „მძიმე" შემთხვევა, როდესაც შიში ადამიანის ქვეცნობიერში იბუდებს, რაც მის ფსიქიკაში სერიოზულ რყევებს, მისგან მოგვრილ ფობიებს იწვევს. ასეთებზე ამბობენ, შექანებულიაო.**







ის, რაც 13 მარტის საღამოს „იმედმა" ე. წ. მოდელირებული ქრონიკის სახით შემოგვთავაზა, უზნეობასთან ერთად იმის ნათელი დადასტურებაც იყო, რომ ხელისუფლება შაშინებულ-შექანებულია!

დიახ, სწორედაც რომ ხელისუფლება, რადგანაც არ მეგულება ნორმალური ადამიანი, რომელსაც ოდნავი ეჭვი ეპარება იმაში, რომ ის, რაც ვიხილეთ, მხოლოდ „იმედის" დირექტორის — გიორგი არველაძის „შემოქმედება" იყო და არა ხელისუფლების უმაღლეს დონეზე დაგეგმილი საინფორმაციო ტერორისტული აქტი, რამაც მაყურებელთა აბსოლუტური უმრავლესობა, მიუხედავად იმისა, ვინ მიხვდა და ვინ არა რეალობას, დაზაფრა და შოკში ჩააგდო.

აგვისტოს ომამდეც, მაგრამ განსაკუთრებით ომის შემდეგ, ნაცების პროპაგანდა იმისათვის იღვწის, რომ რუსეთისა და რუსების სიძულვილის საფუძველზე ქართველების გაერთიანება, ხელისუფლების ირგვლივ და მის დასაცავად კონსოლიდაცია მოხდეს, რაც ფუჭი მცდელობაა, რადგან ვისიმე ან რისიმე სიძულვილი არ შეიძლება იყოს ვინმეს ან რამის სიყვარულის საფუძველი.

**აგვისტოს ომის შემდეგ სისხლ და ცრემლდადენილ საქართველოს მოყვარულ შვილებში პირველ ხანებში ბუნებრივად გაჩნდა რუსეთის, რუსების მიმართ სიძულვილი, ხშირ შემთხვევაში — ზიზღიც, მაგრამ ამან ავტომატურად არ გამოიწვია სიყვარული და ტრფობა ხელისუფლებისა და პირადად მიშა სააკაშვილის მიმართ, რომლებმაც ომის დროს სულმდაბლობის, სიმხდალის, პატარკაცობის არაერთი მაგალითი აჩვენეს საზოგადოებას. უფრო მეტიც — ზემოთ ხსენებული სიძულვილიც და ზიზღიც ნელ-ნელა გაქრა, ემოციები დაცხრა, ხალხმა აზროვნების უნარი დაიბრუნა და მთელი აგრესია ამ ყველაფერში მთავარი დამნაშავის — ხელისუფლებისკენ მიმართა.**

ამას ისიც დაემატა, რომ ქართველმა ხალხმა დაინახა მთავარი — დასავლეთი გულგრილი აღმოჩნდა სასიკვდილო საფრთხის წინაშე მდგარი საქართველოს მიმართ და ერთი ერთზე შეატოვა გამხეცებულ რუსულ სამხედრო მანქანას. ერთადერთი რითაც „დაგვეხმარნენ" ხმამაღალი განცხადებები იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ და ბათუმში (ფოთში შესვლაც ვერ გაბედეს) აშშ-ის სამხედრო კრეისერის შემოყვანით, რომელიც პამპერსებითა და სასმელი წყლით იყო დატვირთული. რეალურად კი, ნიკოლა სარკოზიმ ისეთ კაპიტულაციაზე მოაწერინა ხელი სააკაშვილს, რომლის შედეგებსაც ახლაც ვიმკით და მომავალში მეტად მოვიმკით.

**ქართველი ხალხი „ნატო, ნატოს" ბღავილის უაზრობას მიხვდა, იმასაც, რომ ჩვენ ობოლი, უნათესაო ერი ვართ, ვისი გულისთვისაც თავს არავინ აიტკივებს, რისი მაგალითიც არაერთი ყოფილა ჩვენს ისტორიაში და ამიტომ დასავლეთის, აშშ-ის მიმართ თავის დროზე უდიდესი სიმპათიები აპათიაში, უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში, აგრესიაში გადაიზარდა და ერის ქვეცნობიერში პრორუსულმა განწყობამ იმატა.**

ზურაბ ნოღაიდელისა თუ ნინო ბურჯანაძის მოსკოვურმა ვოიაჟებმა ერის ქვეშეცნეულის მატერიალიზაციას შეუწყო ხელი და ეს, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ერთის, ისე მეორის მიმართ და იმათ მიმართაც, ვინც, სავარაუდოდ, მომავალში აპირებს ნოღაიდელი-ბურჯანაძის ფორვატერში ჩადგომას, ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა მათი პოლიტიკური წარსულის გამო. მიუხედავად ამისა, კრიტიკული (და ეს ძალიან რბილად არის ნათქვამი) ვითარებიდან გამოსავლის ძიებაში ერის კოლექტიურმა (თუ ასე თქმა შეიძლება) გონმა ისევ რუსეთისკენ მიაპყრო ლამის სასოწარკვეთილი მზერა. იმის გარდა, რომ „შეჩვეული ჭირის" ანდაზა მუშაობს, ერის ისტორიულმა მეხსიერებამაც იწყო ნელ-ნელა გამოღვიძება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ...

**ერთ სახელმწიფოში ორსაუკუნოვანი თანაცხოვრების დროს ავიც იყო და კარგიც, მაგრამ ეს ავ-კარგი თუ აიწონა, უსათუოდ კარგი გადასწონის, თუ, რა თქმა უნდა, „ნაცების" ურაპატრიოტული ლოზუნგებითა და მიშას კარის მასხარა ისტორიკოს სვიმონ მასხარაშვილის „ანალიზის" გარდა, სხვა ისტორიკოსების: სიმონ ჯანაშიას, კორნელი კეკელიძის, ივანე ჯავახიშვილისა და სხვა მრავალთა შესახებაც გსმენია. აღარაფერს ვამბობ დიდ ილია ჭავჭავაძეზე, ვინც მასხარა სიმონასაგან განსხვავებით, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, დადებითად შეაფასა თავის დროზე საქართველოს რუსეთთან შეერთება.**

ბოლოს და ბოლოს, რას ნიშნავს ნატოში შესვლა თუ არ შესვლა? ევროკავშირსა თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში ყოფნა-არ ყოფნა? არ შეიძლება ასეთი რამეები იყოს თვითმიზანი. თვით ერის სრული დამოუკიდებლობაც კი მხოლოდ საშუალებაა ხალხის უკეთესი ცხოვრებისა და განვითარებისათვის. დავით აღმაშენებლისა თუ გიორგი ბრწყინვალის დროინდელი დამოუკიდებლობა დღეის ამას იქით რომ სრული უტოპიაა, ამაზე მხოლოდ სულელი თუ იდავებს. დამოუკიდებლობა იქნება თუ დამოკიდებულება, მისი ავ-კარგი იმით განისაზღვრება, რამდენად არის დაცული, პირველ რიგში, ერის უფლებები და არა ე. წ. ადამიანის უფლებები, რა ნიღბითაც ათასი გარყვნილების კულტივირება ხდება საზოგადოებაში.

## დასავლეთის, აშშ-ის მიმართ თავის დროზე უდიდესი სიმპათიები აპათიაში, უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში, აგრესიაში გადაიზარდა და ერის ქვეცნობიერში პრორუსულმა განწყობამ იმატა.

**საქართველო, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე (აღმაშენებელ-ბრწყინვალეს პერიოდის გამოკლებით) მუდამ ვილაცაზე იყო დამოკიდებული, რის გამოც, რაც დღეს არის საქართველო, ერთი იმდენი ტერიტორია დაკარგული აქვს. შევადაროთ ახლა ის ქართველები ვინც ფერეიდანში, თურქეთში აღმოჩნდნენ და ის ქართველები, ვინც რუსულ იმპერიაში ვიცხოვრეთ. ვინ უფრო შეინარჩუნა ტრადიციები, ენა, სარწმუნოება? ამას ირანში თუ თურქეთში მცხოვრები ქართველების უპატივცემულობა კი არ მალაპარაკებს, პირიქით — ბარაქალა მათ, რადგან, რაც შეინარჩუნეს, ისიც საკვირველია.**

მე იმის ილუსტრირება მინდა, რომ რუსეთის იმპერიაში ცხოვრებამ თითქმის ვერაფერი დააკლო ქართველის თვითიდენტიფიკაციას და ამის მიზეზი, პირველ რიგში, ჩვენი ერის მაღალ კულტურულობაშია საძიებელი და მავანთა მიერ დღეს გაქილიკებულ ერთმორწმუნეობაში. სტალინის იმპერიაში ყველა ხალხს ეწერა პასპორტში ეროვნება, რაც ამ „ზაპადნიკებმა", პირველ რიგში, გაგვიუქმეს, მაგრამ ვგრძნობ, რომ, კალამი გამექცა ამ არც თუ მოკლე ისტორიული ექსკურსებით და მთავარს დავუბრუნდეთ.

ხელისუფლება დღენიადაგ გაყვირის რუსული საფრთხის შესახებ და თან წარამარა იმეორებს, რომ რუსულ თემას საქართველოში დასაყრდენი არ აქვს. ეს იმას ჰგავს, მოლა ნასრედინი „ჰალვა, ჰალვას" რომ გაიძახოდა, მაგრამ ამით პირი ვერ დაუტკბა, ანუ — სასურველის რეალობად წარმოჩენას. სწორედ ზემოთ მოყვანილი ისტორიული ფაქტების გამო იცის ხელისუფლებამ, რომ საქმე სწორედაც პირიქითაა — ნოღაიდელსა და ბურჯანაძეს კი არ „გაუკეთეს" 13 მარტის „ქრონიკა", უფრო სწორად მარტო მაგათ კი არა, არამედ სულ უფრო მზარდ რუსულ განწყობებს დაარტყეს, უპირველესად — იმ სცენარით, სადაც სააკაშვილს კლავენ, ეგონათ, საზოგადოების, ხალხის პერმანენტულად მზარდ აგრესიას ნაცების მიმართ რუსეთისკენ მიმართავდნენ, მაგრამ, როგორც მიშას უყვარს თქმა, ნურას უკაცრავად!..

**არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ჩათვლით, საქართველოში რომ პროამერიკული განწყობა იყო, ვერავინ დაიტრაბახებს და, თუ დღეს პირიქითაა, ანუ დასავლეთის, აშშ-ის გაგონებაც აღარ უნდათ ჩვენში, ეს მეტამორფოზა, პირველ რიგში, აშშ-ისა და აქ მათი „დასმული" ნაცების, „თავისუფლების ინსტიტუტის" ბრალია.**

არ შემიძლია, არ შევეხო საქართველო-რუსეთის მორაგბეთა შეხვედრასაც, რადგან ესეც „იმ ოპერიდან" მგონია, რასაც 13 მარტის „ქრონიკა" ჰქვია. იმ აჟიოტაჟმა, იმ ხელოვნურმა ისტერიამ, რაც წინ უძღოდა ამ მატჩს, ახლო წარსულიდან ერთი შეძახილი გამახსენა, რაც იმ საუკუნის 90-იან წლებში ისმოდა რუსთაველზე, რასაც წერილის ბოლოს ქვესათაურად გთავაზობთ.

### კრემლმა უკან დაიხია!

**ლამის ასე მონათლეს ნაცების პროპაგანდისტებმა საქართველოს ბორჯღალოსნების რიგითი გამარჯვება. დიახ, რიგითი, რადგანაც რუსებს, როცა გვინდა და სადაც გვინდა, იქ ვუგებთ რაგბში, რაც სხვებთან ერთად მეც მახარებს, მაგრამ ასეთი ჟივილ-ხივილი, ასეთი მობილიზაცია?**

რისთვის? ლელო დავუდეთ რუსებს ტრაპიზონში, სადაც ათასობით ქართველი მიავლინეს სტადიონზე, სადაც პირველი ლედი თინეიჯერ გოგოსავით ხტოდა, სადაც პარლამენტის თავმჯდომარე და, ჰოი, საკვირველებავ, კარგა ხნის „მონატრებული" კახა ლომაიაც დავლანდე. ამ უკანასკნელის დანახვამ უფრო შემაშფოთა, რადგან, არა მგონია, ამერიკიდან სპეციალურად რაგბის სანახავად ჩამოსულიყო; არც — ის, რომ კანალიზაციის მილების გამოსაცვლელად იხმეს საქართველოში, არამედ რაღაც ფარსაგი მგონია ჩვენს თავს ახლო მომავალში მოსალოდნელი.

თუმცა კახაია სანტექნიკოსი იქით იყოს და, ისევ რაგბს დავუბრუნდეთ — ისეთი ზეიმი და ტაშფანდურა გავმართეთ, რომ აფხაზეთ-ცხინვალის დაბრუნებასაც კი დაამშვენებდა.

და ეს იმ ფონზე, როცა რუსებს დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებიათ ამ მატჩისათვის იქამდეც კი, რომ ლეგიონერებისთვისაც არ უხმიათ. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ არც ერთი ხელისუფალი, დაბალი ჩინისაც კი, არ ჩასულა ტრაპიზონში. ჩვენ კი უმაღლესი ხელისუფლება მივავლინეთ ქრისტიან-დემოკრატების „ჰალსტუხიანი ხვლიკის" თანხლებით — ეს ხომ უბრალო ეტიკეტის, ადეკვატურობის საკითხია!

**არ არის გამორიცხული, რომ იქ ჩასული „ბალეშიკები" უკლებლივ ყველა ღირსების ორდენებით დააჯილდოონ, ხოლო შადიმანა თარგამაძემ „ლელო, ლელო, საქართველოს" სახელმწიფოებრივად სკანდირებისთვის საბრძოლო ორდენსაც გამოჰკრას ხელი.**

აქედან გამომდინარე, წინადადება შემომაქვს, რომ 2010 წლის 20 მარტი, მიშას ინიცირებითა და პარლამენტის დასტურით, საყოველთაო, სახალხო დღესასწაული დადგინდეს და ეს დღე გამოცხადდეს უქმედ, როგორც „ძლევაი საკვირველი", რის შემდეგაც კრემლმა უკან დაიხია!

**მართლაც, რით არის რუსების რაგბში ძლევა დიდგორის, ბასიანის თუ შამქორის „ძლევაი საკვირველზე" ნაკლები? — არც არაფრით და, ალბათ, ამიტომ იწყებოდა იმ და მომდევნო დღესაც ყველა საინფორმაციო გამოშვება ტრაპიზონით, „რუსთავი 2" უფრო შორსაც წავიდა და — „საქართველო მთელი ღამე ზეიმობდა რუსების დამარცხებასო"; დიახ, რუსების დამარცხებასო! ის მაინც ეთქვათ, ქართველების გამარჯვებასო!**

ჰოდა, სანამ ჩვენ რუსების ჩათვლის მოედანში ლელოს დადებას ვზეიმობთ, რუსები ყოველგვარი ზეიმის გარეშე ჩვენს ჩათვლის მოედანში — ახალგორში, ზემო აფხაზეთსა და პერევში გულმოდგინედ გვამიწებენ. აღარაფერს ვამბობ მთლიანად აფხაზეთ-სამაჩაბლოზე, საიდანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში გავლენ, თუ შაშინებულ-შექანებული სიფათებით ომახიანად დავჭექავთ: „შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო!"

**დავით მხეიძე**

**P.S. წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც ცნობილი გახდა, მთელი სტადიონის არა, მაგრამ მორაგბეთა ღირსების ორდენებით დაჯილდოების შესახებ. რომ იტყვიან, ღმერთმა შეარგოთ ორდენებიცა და ფულადი პრემიებიც, მაგრამ მიშა რის მიშა იქნებოდა, რომ რამე არ "მოეხია"? თურმე, ნუ იტყვით და, ქართველები ერთი-ერთზე (ჭიდაობა, ძიუდო...) კი ვართ მაგრები, მაგრამ რაგბი პირველი გუნდური სპორტის სახეობა ყოფილა, სადაც წარმატებები გვაქვს. მიშას, ალბათ, ასაკის გამო არ ახსოვს, რომ საზიზღარი სსრ კავშირის დროს ხელბურთი და წყალბურთიც გვეხერხებოდა საბჭოეთის ჩემპიონობის დონეზე, კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასი ავიღეთ 1962 წელს, ხოლო ფეხბურთში ჩვენი რიდი და შიში ბევრ ევროპულ გრანდს ჰქონდა, რაც 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფის ტრიუმფით დავასრულეთ — ეს ისე, ცნობისთვის. მეო, მივაგენი ჩვენი რაგბისტების წარმატების რეცეპტს — ყველაზე მაგრად მღერიან საქართველოს ჰიმნსო, ბრძანა მიშიკომ. ჰოდა, რაღად გვინდა ძვირადღირებული მწვრთნელები? მაგას სჯობს, თითო ლოტბარი დავნიშნოთ გუნდებში და, დღეს რომ ფარერის მწყემსებთან მოგება სანატრელი გვაქვს, ხვალ ჰიმნის სიმღერას ისწავლიან და ბრაზილიას ფეხბურთში დავანგრევთ, NBA-ს კი — კალათბურთში.**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გიგი უგულავა «ლაფატკაზე» საპრეზიდენტო ამბიციების გამო დასვეს

**საქართველოს ხელისუფლების ძირითად „მიღწევად" წყლიდან მშრალად ამოსვლის ხელოვნების სრულყოფა შეგვიძლია დავასახელოთ, რაც განსაკუთრებული სიცხადითა და ვიზუალური ეფექტებით არჩევნების დროს იჩენს ხოლმე თავს. უნდა ვივარაუდოთ, რომ, სამწუხაროდ, გამონაკლისი არც მაისის ბოლოს დაგეგმილი ადგილობრივი არჩევნები იქნება. კულუარული ინფორმაციით, ხელისუფლება მძიმე არჩევანის წინაშე დგას, საერთაშორისო თანამეგობრობას რუსეთის წყალი გადაესხა და დღეს მასზე არანაკლები სიხისტით ლაპარაკობენ სააკაშვილის უმართაობასა და მისგან მომავალ საშინაო თუ საგარეო საფრთხეებზე.**





## ხელისუფლება არჩევნებს გია ჭანტურიას სასარგებლოდ გააყალბებს, ანუ უგულავა ფანდარასტ!

წლევანდელი არჩევნები კი იმ ბარომეტრად უნდა იქცეს, რომლის მეშვეობითაც მიხეილ სააკაშვილი ყველას დაანახებს, თუ რაოდენ ცდებიან მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერები, როდესაც მას არასანდო პარტნიორად და დიქტატორობისკენ მიდრეკილ ექსცენტრიულ სუბიექტად განიხილავენ.

მოსამზადებელი სამუშაოები უკვე ჩატარდა – ოპოზიციურ პარტიებს „სიების გადამოწმების მიზნით" ბიუჯეტიდან ოფიციალურად დაურიგდა 100 ათასი ლარი, ყველამ და მათ შორის ფულმიღებულმა ოპოზიციამაც მშვენივრად იცის, რომ ეს იყო მარტივი პრევენცია, არჩევნების გაყალბების შემდეგ – ოპოზიციას მორალური უფლება რომ აღარ ჰქონდეს, გაყალბებულ სიებსა და მკვდარ სულებზე ილაპარაკოს, თუმცა „მორალური უფლება" საქართველოში ერთობ პირობითი ცნებაა, სამაგიეროდ საერთაშორისო დამკვირვებლებისთვის ეფექტური ნაცარია თვალში შესაყრელად.

ძირითად „ნაცრად" კი მერობის ერთ-ერთი კანდიდატი გია ჭანტურიაა შერჩეული. შექმნის დღიდან „ქრისტიან-დემოკრატები" ხელისუფლების რუპორად და მის ერთ-ერთ ყველაზე სანდო დასაყრდენ ძალად განიხილება, ხელისუფლებაც, ოპოზიციური ბუტაფორიის მიღმა, შეძლებისდაგვარად ცდილობს, მისი, როგორც ხალხზე მზრუნველი პარტიის, იმიჯი გაამყაროს.

**ცინიკური და სრულიად ყრუ უმრავლესობა მხოლოდ „ქრისტიან დემოკრატების" ინიციატივებზე რეაგირებს, მაგალითად, როგორიცაა ხელმოკლე ოჯახების ბავშვებისათვის სახელმძღვანელოების უფასოდ მიწოდება, სადაზღვევო პაკეტში კიბოს მკურნალობისა და მშობიარობის დაფინანსების შეტანა და ა. შ. ოპოზიციასაც და საზოგადოების ნაწილსაც ცუდად ენიშნა მმართველი პარტიის მიერ ხაზგასმული — „ქრისტიან-დემოკრატების" მოთხოვნით მედიკამენტები გაიაფდა. მაშინვე გაკეთდა განცხადებები, რომ ამ ორმა ერთიანმა ძალამ, ახალი თამაში დაიწყო, არჩევნების საჭადრაკო დაფაზე კი ახალი ფიგურა იყო საჭირო და იგი აზერბაიჯანიდან იმპორტირებული გია ჭანტურია აღმოჩნდა.**

გია ჭანტურია 1995 წლიდან საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი და ედუარდ შევარდნაძის საგანგებო რწმუნებული იყო აღმოსავლეთ-დასავლეთ ენერგეტიკული დერეფნის განვითარების საკითხებში. 2004 წლის სექტემბერში მიხეილ სააკაშვილმა გია ჭანტურიას ყველა რეგალია ჩამოაცილა და თანამდებობიდან გაათავისუფლა, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა და, მართალია, დღეს ამას უარყოფენ, მაგრამ იგი „წითელი ცირკულარით" ძებნილიც იყო.

### უგულავამ ქალაქის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში არნახული სიმაღლეები დაიპყრო

ინტერპოლის მიერ ძებნილთა სიაში იგი 2006 წლამდე ირიცხებოდა. გია ჭანტურიამ საქართველო 2004 წლის სექტემბერში აზერბაიჯანის პრეზიდენტის — ილჰამ ალიევის უშუალო ჩარევითა და დახმარებით დატოვა. ამის შესახებ აქტიურად წერდა აზერბაიჯანული მედია. 2004 წლიდან ბოლო დღემდე, ვიდრე თბილისში მერობის კანდიდატად არ დაბრუნდა, იგი ბაქოში აზერბაიჯანის ნავთობკომპანიების პრეზიდენტის მრჩევლად მუშაობდა და ბაქო-ჯეიჰანის პროექტშიც აქტიურად მონაწილეობდა.

რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილმა გია ჭანტურიას მოძებნა ინტერპოლს დაავალა? როგორც ჩანს, ბევრი რამ. არსებული ინფორმაციით, ცვლილებები პირველ რიგში ნავთობპროდუქტებისა და საერთოდ, ამ ბიზნესის მიმართ პრეზიდენტის ოჯახის მტკიცე ინტერესებმა განაპირობა, ლეიბორისტ გიორგი გუგავას მტკიცებით, „ვისოლის", „ლუკოილისა" და „რომპეტროლის" უკან სააკაშვილისა და მერაბიშვილის ოჯახის წევრები დგანან, ხოლო აზერბაიჯანული „სოკარი", რომელიც საქართველოს ბაზრის 70%-ის მფლობელია, უშუალოდ სააკაშვილის ძმისა და ვანო ჩხარტიშვილის საკუთრებაა. არსებული ინფორმაციით, გია ჭანტურიამ დიდი როლი ითამაშა „სოკარის" საქართველოში შემოსვლასა და იმ პოზიციების დაკავებაში, რომელიც მას დღეს აქვს. თუ ლეიბორისტების მიერ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეა და ლოგიკურადაც თუ ვიმსჯელებთ, გია ჭანტურია ხელისუფლების ფავორიტი უნდა იყოს, ამასვე მოწმობს „წითელი ცირკულარიდან" მისი ამოღება და საქართველოში პრესტიჟით დაბრუნება.

**კონფიდენციალური წყაროს ცნობით, „ქრისტიან დემოკრატებს" მერობის კანდიდატი უშუალოდ პრეზიდენტთან დაახლოებულმა გარემოცვამ შეურჩია, შესაბამისი გარანტიების გარეშე არც ჭანტურია დათანხმდებოდა საქართველოში ჩამოსვლას და დიდი ნავთობბიზნესიდან „ადგილობრივ" პოლიტიკაში მოსვლას.** როგორც გვითხრეს, ეს ინიციატივა ჭანტურიას სიხარულით ნამდვილად არ მიუღია, მაგრამ „უარის თქმაც არ გამოდიოდაო". „მემარჯვენე" დავით გამყრელიძემ განაცხადა კიდეც, გია ჭანტურია და ინგა გრიგოლია ხელისუფლების პროექტები არიანო, რასაც ლევან ვეფხვაძის გავეფხვებული რეაქცია მოჰყვა. მისი განცხადებით, ხელისუფლების პროექტი თავის დროზე დავით გამყრელიძე იყო, როდესაც 2008 წლის არჩევნებში მონაწილეობისათვის ხელისუფლება მას 3 მილიონ ლარს დაჰპირდა, თუკი თავის მეგობარ ლევან გაჩეჩილაძეს ხმებს გაუყოფდა. ვეფხვაძის განცხადებით, პრობლემები მაშინ დაიწყო, როდესაც ხელისუფლებამ შეპირებული 3 მილიონის ნაცვლად, გამყრელიძეს მხოლოდ 700 000 გადაუხადა. ამის შემდეგ გამყრელიძე ქუჩაში გაიქცა და აქციებზე ყვირილი დაიწყოო.

გამყრელიძე პირველი არ არის, ვინც გია ჭანტურიას უკან, „ხელისუფლების პროექტი" და კონკრეტული მიზნები დაინახა. გახშირებული ბრალდებების მოსაგერიებლად, „ქრისტიან-დემოკრატები" ახალი ინიციატივით გამოდიან; აპირებენ, შექმნან საგანგებო კომისია, რომელიც ზუსტად „ხელისუფლების პროექტებს" გამოააშკარავებს, თუმცა, თუ ვეფხვაძე მართალს ამბობს და გამყრელიძე თავის დროზე მართლაც „ხელისუფლების პროექტი" იყო, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ამჯერად გამყრელიძეც მართალს ამბობდეს და გია ჭანტურია და ინგა გრიგოლია ასევე ხელისუფლების „დაპროექტებულნი" იყვნენ, ყოველ შემთხვევაში, დღეს უფრო და უფრო ინტენსიურად ლაპარაკობენ, რომ გიგი უგულავა „ლაფატკაზე" დასვეს და მიხეილ სააკაშვილი, კარგა ხანია, მის „უწყინარ" შემცვლელს ეძებსო. ლოგიკას თუ მივყვებით, ჭანტურია ზედგამოჭრილი კანდიდატია: წარმატებული ბიზნესმენი, მეურნე და მოჭირნახულე კაცის იმიჯის მორგება არ უნდა გაუჭირდეს, ძირითადი საარჩევნო დაპირებაც „თავისი სფეროდან" აქვს და არსით ყველაზე პოპულისტურია – ენერგომატარებლებზე ფასების განახევრება. ამასთან, „ზომიერად კომპრომენტირებულია". მასზე ხომ სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული და არც წმინდა პოლიტიკური ამბიციების ამოფრქვევას უნდა ველოდოთ. შესაბამისად, გია ჭანტურიას ხალხის რჩეულობა და „ნდობის მაღალი მანდატი" საპრეზიდენტო ამბიციებს არ გაუჩენს.

### „ქრისტიან დემოკრატებს" მერობის კანდიდატი უშუალოდ პრეზიდენტთან დაახლოებულმა გარემოცვამ შეურჩია

**კულუარული ინფორმაციით, ხელისუფლება მართლაც დაქოქავს თავის „საარჩევნო მანქანას", თუმცა გიგი უგულავასთვის კი არა, — გია ჭანტურიასთვის. ამასთან, ეს „პროექტი" დემოკრატიულობის იმიჯის შესაქმნელადაც კარგია. ერთის მხრივ, ოპოზიციის კანდიდატის გამარჯვება სააკაშვილის ხელისუფლებისთვის დღეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მეორეს მხრივ, იმედოვნებენ, რომ ოპოზიცია თითქმის იდიოტურ სიტუაციაში აღმოჩნდება, როდესაც არჩევნების შემდეგ მტკიცებას დაიწყებს, რომ ხელისუფლებამ არჩევნები ოპოზიციის კანდიდატის სასარგებლოდ გააყალბა. ამით ოპოზიციის ზოგადი კომპრომეტირება და მათი პროტესტის „გაკომიქსება" მოხდება. ზუსტად ამისთვის არსებობს მეგობარი ოპოზიცია, რომელიც გახეხილი ყველის შესანახი კონტეინერივით ბევრად უფრო სასარგებლო და მრავალფუნქციურია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.**

რა ბედი ეწევა თბილისის ამჟამინდელ მერს, გიგი უგულავას? სავარაუდოდ, ეს კითხვა თავად უგულავასაც ინტენსიურად აწუხებს. თუმცა, როგორც „კეთილის მსურველნი" ამბობენ, სჯობდა, ამაზე ცოტა ადრე ეფიქრა, მანამდე, სანამ მისი პრეზიდენტული ამბიციები ყოველგვარ საზღვარს გადასცდებოდა და თვით მიშას მედგარ თავმოყვარეობას შელახავდა; კულუარული ინფორმაციით, ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ ელექტორატში გიგი უგულავას პოპულარობა მიხეილ სააკაშვილის პოპულარობას აღემატება, რაც იმას ნიშნავს, რომ გიგი უგულავა მოსალოდნელი კი არა, უკვე შემდგარი საფრთხეა.

ამასთან, უგულავა თავის რეიტინგულობას არც თუ ისე მორცხვი ღიმილით იფერებს და ოცნებებში ავლაბრის საპრეზიდენტო რეზიდენციაში თავისი გემოვნების შესაბამის რემონტსაც ატარებს.

ასევე კულუარული ინფორმაციით, უგულავამ ქალაქის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილშიც არანახული სიმაღლეები დაიპყრო და ეს ისე მოახერხა, რომ უშუალო კომპრომატი არ შეუქმნია, ბიუჯეტის მილიონები, ძირითადად, სამშენებლო კომპანიებსა და „ძველი ქალაქის ახალი სიცოცხლის" დანიშნულებით წავიდა, ამ სამშენებლო კომპანიების უკან გიგი უგულავა რომ დგას, ყველამ იცის, მაგრამ ვერავინ (ან თითქმის ვერავინ) დაამტკიცებს, რადგან ზედაპირულად ყველაფერი სუფთაა.

ბიუჯეტის თანხების „მიზანმიმართული გადახარჯვა" და ბიზნესების ლობირება ის ცოდვა არ არის, რომელსაც ხელისუფლება თავის ერთგულ შვილებს არ აპატიებდა. ერთ-ერთი ვერსიით, გიგი უგულავას საკმარისი კაპიტალი აქვს, რათა ერთიორი წლით „ბიზნესში წავიდეს", შემდეგ წარმატებულ ბიზნესმენად დაბრუნდეს და უკვე „გაპრავებული" ფინანსებით საპრეზიდენტო ამბიციებიც „გააპრავოს".

ჯერჯერობით კი თბილისში გია ჭანტურიასა და „ბენზინკალონკების" დრო მოდის, რომლის ათვლაც მაისის ბოლოდან დაიწყება და, თუ წესიერად მოიქცევა, შესაძლოა, 2013 წლის შემდეგაც გაგრძელდეს. ნავთობი და მისგან წამოსული მონოპოლიური მილიონები ხომ ყველა ხელისუფლებას ერთნაირად სჭირდება!

**ნინო ბერიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# «13 სკამი...»

**— თქვენი პოლიტიკური კრედო?**
**— ყოველთვის!**
***(ილფი და პეტროვი, „თორმეტი სკამი“)***

თბილისელებს, ცხადია, ახსოვთ მოსკოვის პროსპექტის ბოლოში მდებარე ავეჯის ფაბრიკა **„განთიადი“**, რომელიც სკამებს, სავარძლებსა და სხვა ავეჯს უშვებდა. დღეს ის აღარ არსებობს, სამწუხაროდ... მაგრამ ეს ნოსტალგია არაა. საქმე ისაა, რომ საქართველოში, სადაც ბოლო წლებში ყველაფერი პოლიტიკით ყარს (ნაგვის კონტეინერიც კი, რომელიც მოულოდნელად, სხვა ჩვეულებრივი ნივთებივით, პოლიტიკური პიარის საგანი შეიქნა!), **ავეჯის ფაბრიკის ლიკვიდაცია ხელისუფლების სტრატეგიული შეცდომაა.**

განვმარტავ: საიდუმლო არაა, რომ ჩვენთან, ჯორჯიაში, ყველას, ვისაც კავშირები ან ფული აქვს, ხელისუფლებაში **სავარძლის,** უკიდურეს შემთხვევაში, **სკამის** მიღება მაინც სურს... მერედა, საიდან უნდა მოვიტანოთ ამდენი თანამდებობა?! არადა, ყველა, ვინც **სავარძელი/სკამი** არ მიიღო (ჩათვალე, სავარძელი), წავა და **დადგება**: პარლამენტის, პრეზიდენტის სასახლის, მერიის წინ, სანამ პრეზიდენტი მათ ამ **სავარძლებით/სკამებით** არ დააშოშმინებს (მათზე არ **დასვამს**)!

ხოლო ისინი, ვისაც **სავარძელი/სკამი** არ ერგება, წავა და უფრო შორს, მაგალითად, **მოსკოვის პროსპექტზე დადგება**, როგორც ეს ზოგიერთმა მოიმოქმედა (ნოღაიდელი, ბურჯანაძე) და რის გაკეთებაც სხვებსაც სურთ (დავითაშვილი, ძიძიგური, კუკავა)... მათი მთავარი მიზანი ხომ **სავარძელი/ სკამია,** პოლიტიკური კრედო კი — **„ყოველთვის!“** და არა — „ვისთან.“ **ერთი მიბრძანეთ, რა მნიშვნელობა აქვს — ვისთან? ყოველთვის — იმასთან, ვინც სავარძლით/სკამით უზრუნველყოფს!**

**ამიტომაც საქართველოში საუკეთესო ბიზნესი ავეჯის ფაბრიკაა, რომელიც სავარძლებს/სკამებს უშვებს ხელისუფალთათვის (წევრებისა და წევრობის კანდიდატებისთვის): ეგებ, თუ საკმაო რაოდენობით მიიღებენ, აღარ იდარდონ, სად დაასვენონ საჯდომი და ქართველი ხალხის ბედზე იფიქრონ...**

სხვათაშორის, 13 მარტს **„იმედზე“** ნაჩვენები მოკლემეტრაჟიანი ფილმი, ვითომდა დაწყებულ სრულმასშტაბიან რუსულ ინტერვენციასა და პრეზიდენტ სააკაშვილის ლიკვიდაციაზე, **თითქოს სრულებითაც რომ არ შეუშინებია ქართველი ხალხი და არავითარი პანიკა საქართველოში არ გამოუწვევია, სიცრუეა!** ფიქტიურმა საინფორმაციო გამოშვებამ ერთი ორი ასეული „მოღვაწე“ დააფრთხო, რომლებიც იმ ღამეს ოპერატიულად მიიჭრნენ ხსენებული ტელეარხის შენობასთან, რათა თავიანთი „გულწრფელი აღშფოთება“ გამოეხატათ. ეს გასაგებიცაა, იქ შეკრებილი თბილისური ელიტა —„ოპოზიციონერი“ პოლიტიკოსები, მხოლოდ მათთვის ცნობილი „საზოგადოების“ ლიდერები, მედიის წარმომადგენლები უსაქმოდ დარჩებოდნენ, თუკი ტელერეპორტაჟი **„რეალითი“ და არა შოუ აღმოჩნდებოდა! ინგრეოდა მათ მიერ წლობით ნაშენები ხელისუფლებასთან ურთიერთობის სისტემა,** რომელმაც, შესაძლოა, დაავალა კიდეც ამ დემონსტრაციული პროტესტის მოწყობა, რათა მოსკოვიდან იოლად დასანახავი ყოფილიყო: ***„აი, როგორ არ უყვართ საქართველოში რუსები, როგორ ეშინიათ მათი, ხალხმა ღამითაც კი არ დაიზარა მოსვლა და პროტესტის გამოთქმა, თუნდაც უხეირო ხუმრობის, ტელეინსცენირების საპასუხოდ!“***



მაგრამ ყველაზე საოცარი ისაა, რომ ამ „პროტესტანტთა“ შორის იყვნენ ზემოხსენებულნიც — ახლახან **„მოსკოვის პროსპექტზე გამოსულნი“...** საკითხავია: **მათ რიღასი ეშინიათ?! განა ისინი არ იყვნენ, რამდენიმე დღით ადრე მოსკოვის პროსპრქტზე რომ სეირნობდნენ და ნამდვილად ხვდებოდნენ გამოგონილი ტელესიუჟეტის ზოგიერთ მთავარ გმირს? განა არსებული ხელისუფლების შეცვლა და პრეზიდენტ სააკაშვილის ლიკვიდაცია მათი მთავარი მიზანი და სანუკვარი ოცნება არ არის?! განა ისინი წინააღმდეგი იქნებოდნენ ამგვარი სცენარისა (თუკი, რასაკვირველია, მათ დაეკითხებოდნენ)?! მაშ, რას ვაპროტესტებთ, ამხანაგებო?!**

რაზე ფიქრობდა იმ რამეს უბრალო ქართველი ხალხი, კარგად იცის საქართველოს ხელისუფლებამ: **ტელეკომპანია „იმედმა“ და შსს-ს ოპერატიულ-ტექნიკური განყოფილების მიერ „განხორციელებულმა „მოსმენამ“ 25-წუთიანი ტელეეთერის დროს უნიკალური ბლიც-გამოკითხვა ჩაატარა და საშუალება მოგვცა, გაგვეგო, საქართველოს მოსახლეობის რომელი ნაწილია დღეს განწყობილი პრორუსულად.**

და იმავე დროს, გამოთვალეს, ამგვარ სიტუაციაში რომელი „მატიანი“ მოცოცხავს პირველი ან „მტრის“ ბანაკში გადაინაცვლებს...

და მართლაც, **საქართველოში ვის გაახარებდა მოვლენების ამგვარი განვითარება?** ვარაუდის გამოთქმა ძნელი არაა:

— რუსეთში მცხოვრებ ჩვენს 1 მილიონზე მეტ თანამემამულეთა ნათესავებს, მეგობრებსა და ახლობლებს, რომლებსაც იქედან ყოველთვიურად უგზავნიან დოლარებს თავის გამოსაკვებად და რომლებიც დაუბრკოლებლად შეძლებდნენ პირდაპირი რეისითა და უვიზოდ მათ მოსანახულებლად ჩასვლას;

— ნათესავები, ახლობლები და მეგობრები იმ 700 ათასი თანამემამულისა, რომლებიც უმუშევრობის გამო მუდმივად იძულებული არიან, თურქეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში იმუშაონ, გროშების საფასურად დაკავდნენ მძიმე, ზოგჯერ შეურაცხმყოფელი შრომით (რასაც ადგილობრივი მოსახლეობა უკადრისობს), რათა თავისიანები გამოკვებონ საქართველოში;

— ნათესავები, ახლობლები და მეგობრები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ასევე, მომიჯნავე რაიონებში მცხოვრებლებისა — მრავალი გასაგები მიზეზით;

— 50 ათასი პატიმარი, რომლებსაც მარტო „დარგობრივი“ მინისტრის, 30 წლის ხათუნა კალმახელიძის ვიზიტები ახარებთ (განსაკუთრებით, მამაკაცებს!). ასევე, მათი ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და მეგობრებს. რომც დავუშვათ, თითქოს თითოეულ პატიმარს ჯამში სულ ათამდე ოჯახის წევრი, ნათესავი და მეგობარი ჰყავს, ეს უკვე 500 ათასი კაცია (მამები, დედები, დები, ძმები — მომლოდინენი, დამცირებულნი, ხელმოკლენი და ამანათების გადამცემნი);

— 600 ათას შრომისუნარიან საქართველოს მკვიდრს (რომლებიც სოროს-პროექტებში ვერ მოხვდნენ და გრანტებით ვერ ჩაიტკბარუნეს პირი) იმ იმედით, რომ სტაბილურ შემოსავალს მიიღებენ. მათ შორისაა 400 ათასი სამსახურიდან გათავისუფლებული („რესტრუქტურიზებული“), უკომპენსაციოდ, შემწეობისა და სოციალური მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი;

— 800 ათას პენსიონერს, იმ იმედით, რომ რუსული საზომით მიიღებდნენ პენსიებს;

— 900 ათას მოქალაქეს, რომლებიც სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს (თვეში 28 დოლარსა და ნაკლებზე);

— 800 ათას ე.წ. ეროვნულ უმცირესობას — საქართველოს რუსულენოვანი მოსახლეობის წარმომადგენლებს, რომლებსაც ამიერიდან აღარ ექნებათ პერმანენტული კომპლექსი (არასრულფასოვანი მოქალაქის, სტუმრის, „მეხუთე კოლონის“), ვისთვისაც საყვარელი საქართველო ნამდვილად გადაიქცევა თანაბარი შესაძლებლობების ქვეყნად;

— საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელთაგან თითოეულს (მოხუცების, ხეიბრების, ქვრივებისა და ახალშობილების ჩათვლით!) 3 ათას დოლარზე მეტი სახელმწიფოს ვალი აქვს, თუკი მხედველობაში მივიღებთ საქართველოს საგარეო ვალს 8 მილიარდი დოლარის ოდენობით;

— ბიზნესმენებს, რომლებიც თავისუფლად შეძლებენ საქართველოდან პროდუქციის გატანას ყველაზე მდიდარსა და ხელმისაწვდომ რუსულ ბაზარზე (მათ შორის, სოფლის მეურნეობის პროდუქციას, ღვინოს, კონიაკს, „ბორჯომს“) და რუსეთიდან საქართველოში სარეალიზაციოდ ხარისხიანი და შედარებით იაფი საქონლის ჩამოტანას.

**ყველა მათგანმა, ალბათ, გაიფიქრა, როგორც ძველ ქართულ ანდაზაშია: „სადაც წვრილია, იქ გაწყდეს!“**

*(ვიმედოვნებ, არავის მოუვა თავში ამ ციფრების შეკრება, რათა საქართველოში პრორუსულად განწყობილი ელექტორატის საერთო რაოდენობა მიიღოს – ერთსა და იმავე მოქალაქეს ხომ, მაგალითად, შეიძლება ერთდროულად ნათესავებიც ჰყავდეს რუსეთში, პატიმრის ოჯახის წევრიც იყოს და პენსიონერიც, ანდა — უმუშევარიც (სამსახურიდან დათხოვილი) და იმავდროულად — რუსულენოვანი).*

**მართლაც, ოდესმე ხომ უნდა დადგეს ქართულ მიწაზე „განთიადი“?! ნამდვილი განთიადის დახურვა, იმავე სახელწოდების ფაბრიკისგან განსხვავებით, ხომ შეუძლებელია?! ისევე, როგორც გისოსებს მიღმა ყველა ზემოჩამოთვლილის გამწესება...**

თუმცა, როგორც ჩემთვის კარგად ინფორმირებული წყაროებიდან გახდა ცნობილი, ჩვენმა უფლის მბრძანებლებმა უკვე გაგზავნეს „თეთრ სახლში“ განაცხადი, აქ „ალქაჯებზე მორიგი ნადირობის“ გასამართავი ნებართვის მისაღებად. **მაგრამ ამ „ლიცენზიაზე“ ვაშინგტონის „მონკავშირში“ მათ უარს ეტყვიან, ისევე, როგორც უარი უთხრეს სამხედრო დახმარებაზე 2008 წლის აგვისტოში:** აშშ და ევროპა ხომ საქართველოს ხელისუფლებისგან დემოკრატიული რეფორმების დაუყოვნებლივ დაწყებასა და ამ ჭრილში ქვეყნის მოქმედი კონსტიტუციის სასწრაფოდ შეცვლას მოითხოვენ! ამერიკის თანხმობის გარეშე კი ჩვენი ხელისუფლება ვერ გარისკავს, თანაც მისი რესურსები

## მოკლედ



### გერმანიას რეპარაციას სთხოვენ

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა გიორგოს პაპანდრეუმ ბრიუსელში გამოსვლისას აღნიშნა, რომ გერმანიის მიერ მეორე მსოფლიო ომის წლებში ჩადენილი ნაცისტური დანაშაულის გამო რეპარაციის საკითხი ამ დრომდე „ღიად რჩება“. მანამდე ვიცე-პრემიერმა თეოდოროს პანგალოსმა გერმანია ომის დროს საბერძნეთის ოქროს მარაგის გაზიდვასა და ამით მისი ეკონომიკის მიწასთან გასწორებაში დაადანაშაულა. ათენის მერმა ნიკიტას კაკლამანისმა კი გერმანიისგან რეპარაციის სახით 70 მილიარდი ევრო მოითხოვა. გერმანია ამ საკითხს დახურულად მიიჩნევს.




### საჰაერო გაფიცვა

ბორტგამცილებელთა მიერ გამოცხადებული გაფიცვის გამო ბრიტანულმა ავიაკომპანია „British Airways“-მა ათასამდე რეისი გადადო. ბრიტანეთის უმსხვილესმა პროფკავშირმა „Unite“-მ სამდღიანი აქციის თაობაზე გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ავიაკომპანიის ხელმძღვანელობასთან დანიშნული მოლაპარაკებები ჩაიშალა. „British Airways“-ი დანაკარგებს განიცდის და დანახარჯების შემცირებას ცდილობს, ბორტგამცილებლებს კი თავიანთი უფლებების დაცვა სურთ. თუ ამჯერად ეს არ გამოუვათ, 27 მარტს ახალი, ოთხდღიანი გაფიცვა დაიწყება.



### „სიმართლის შრატი“

ქალაქ ნაზარეთის საოლქო სასამართლოს მოსამართლეებმა გამონაკლისის სახით დაუშვეს „სიმართლის შრატის“ გამოყენება პატიმარზე, რომელიც საკუთარი ცოლის მკვლელობისათვის სამუდამო სასჯელს იხდის. პრეპარატის გამოყენების შემდეგ დაკითხვაზე მან ზუსტად იგივე გაიმეორა, რასაც უშრატოდაც ამბობდა — ქალმა თავი მოიკლა. მსჯავრდებული თავად მოითხოვდა, ფსიქოტროპული პრეპარატების გამოყენებით დაეკითხათ; საამისო უფლების მისაღებად მის ადვოკატებს ცალკე სასამართლო პროცესის მოგება დასჭირდათ.



### ჰილარიმ შეიწყალა

ჰონდურასის ხელისუფლებამ უარი თქვა ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის, 2009 წლის ივნისში სამხედრო გადატრიალების შედეგად გადაყენებული მანუელ სელაიას პოლიტიკურ და სისხლის სამართლებრივ დევნაზე. როგორც სალვადორის პრეზიდენტმა მაურისიო ფუნესმა განაცხადა, ეს გადაწყვეტილება ჰონდურასის პრეზიდენტმა პორფირიო ლობომ აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონთან სატელეფონო საუბრის შემდეგ მიიღო. თავად ლობომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სალვადორელი კოლეგის ნათქვამს არ უარყოფს.



### გეები თეთრ სახლზე

ამერიკელი ჰომოსექსუალი სამხედროები ხელბორკილებით თეთრი სახლის ჩრდილოეთის ღობეს მიეჯაჭვნენ. გეები პოლიციამ სამჯერ გააფრთხილა, პრეზიდენტის რეზიდენციასთან არასანქცირებული აქციების გამართვა არ შეიძლებაო, ბოლოს კი დააპატიმრა. ორივე დაკავებული ერაყის კამპანიის ვეტერანია. ისინი აღნიშნული ფორმით აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში სექსუალური უმცირესობებისადმი დამოკიდებულებას აპროტესტებდნენ. აშშ-ის ჯარში გეები მხოლოდ საკუთარი სექსუალური ორიენტაციის დაფარვის შემთხვევაში დაიშვებიან.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

— **ძალოვანი, ფინანსური, PR** — დღეს კრიტიკულ მდგომარეობაშია.

*(არა, ბოდვის დონეზე ასეთი მცდელობის გამორიცხვაც არ შეიძლება, მაგრამ „ექსპერიმენტატორებისათვის“ ეს მცდელობა საბოლოო აღმოჩნდება...)*

განსაკუთრებით საგრძნობია **ინტელექტუალური რესურსის** არ არსებობა: **მავანი იქ, ხელისუფლების დერეფნებში, სანამ ამ რეალითი-შოუს ორგანიზებას მოახდენდა, თუ დაფიქრებულა, რა მოხდებოდა, ორ რუს პოლკოვნიკს (აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში) ხეირიანად რომ ვერ გაერკვია, რა ხდება და „ყოველი შემთხვევისთვის“ ტანკები დაექოქა და ორივე მხრიდან მოგვდგომოდა?! პირველი ვინ გაქუსლავდა საზღვრისკენ და ვინ იჯდებოდა დღეს ჩვენს უთავბოლო ხელისუფალთა სავარძლებში/სკამებზე?!**

ამბობენ, ადამიანს გაუთავებლად რომ უმეორო, — მკვლელი ხარო, ბოლოს და ბოლოს, მართლაც, მკვლელად იქცევა: **ხომ არ დასჩხავლეთ საკუთარ თავს, ბატონებო?!** ამავე დროს, ფე-ეს-ბე-გე-რე-უ-საც დაეხმარეთ: ზედმეტი ხარჯები თავიდან აცილეთ და საქართველოში საზოგადოებრივი აზრის შესწავლაშიც ხელი გაუმართეთ, მათთვის ყველაზე საინტერესო კითხვაზე მიაღებინეთ პასუხი: **როგორი დამოკიდებულება ექნებათ საქართველოში ამგვარი სცენარისადმი და რას ფიქრობს ქართველი ხალხი რუსეთის ფედერაციასთან ძმობის, მეგობრობისა და სტრატეგიული პარტნიორობის აღდგენაზე? განა რომელიმე „რუსი ჯაშუში“ ისეთ დიდ შესაძლებლობებსა და ფართო აუდიტორიას ფლობს, როგორსაც ერთ-ერთი ქართული სამთავრობო ტელეარხი?!**

**P.S.** „იმედის“ მიერ გადაცემული სიუჟეტის მეორე დღეს, 14 მარტს, თბილისში, დიდი თავადის, წმიდა ალექსანდრე ნეველის რუსულ ეკლესიაში საკვირაო ლიტურგიაზე მოძღვარი — არქიმანდრიტი გიორგი (ბუბლიჩენკო) და მთელი მრევლი ***„საქართველოს, მისი მთავრობისა და მხედრობისათვის“*** ლოცულობდნენ...

**არჩილ იმერელი**

# «ვეჩერნაია მოსკვამ» ბორჯომის მიტროპოლიტს მამის თანაპოლკელი მოაძებნინა

**დღეს საქართველოში მიივიწყეს ისტორიული წარსული, ალბათ, ამიტომაც აფეთქებენ კულტურულ ძეგლებს, ძირკვავენ წლობით ჩამოყალიბებულ ღირებულებებს, რუსულ ენას მტრის ენად რაცხავენ და დემოკრატიულ ღირებულებებზე ინგლისურად ლაპარაკობენ. სამაგიეროდ, რუსეთის საპატრიარქომ უარი განაცხადა აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ეპარქიების ცნობაზე, რადგან ერთმორწმუნე მეზობელთან მრწამსის გარდა, დიდი ხნის მეგობრობაც აკავშირებს. ამის კიდევ ერთი დასტური ის ამბავია, რომელსაც წინამდებარე პუბლიკაციაში მოგითხრობთ...**







### მამა სერაფიმეს მამისგან ყველაზე ძვირფასი მემკვიდრეობა — ხსოვნა ერგო

ამ სატელეფონო საუბრის პირველ წუთებში ვერც კი მივხვდი და ვერც დავიჯერე, შემდეგ კი გადავწყვიტე, რომ ვერ გავიგონე: „საიდან რეკავთ?!“ — „ბორჯომიდან, საქართველოდან! მამა სერაფიმე მქვია, თქვენი პუბლიკაციის გამო ვრეკავ: „მოლოდაია უ ნიხ ფამილია.“ 25 თებერვლის „ვეჩორკაში“ დაიბეჭდა...“ არა, ცხადია, ასე არ ხუმრობენ, მაგრამ დამეთანხმებით, ფანტასტიკას ჰგავს. თუმცა არც ასეა საქმე ჩვენს, კომპიუტერული კომუნიკაციების, საუკუნეში. ჩვენს გაზეთს საქართველოში ვერ იშოვი, სამაგიეროდ, არსებობს „ვეჩერნაია მოსკვას“ ინტერნეტ-ვერსია. სწორედ ასე ჩააღწია სტატიამ ვეტერან ანატოლი გრიგორის ძე მლადოვზე ბორჯომში, ასე წაიკითხა იგი მიტროპოლიტმა სერაფიმემ და მიხვდა, რომ ჩვენი სტატიის გმირთან ერთად მსახურობდა მამამისი ილია ჯოჯუა.

ახალი სტატიის მომზადებას შევუდექით და სწორედ მაშინ გადმოსცეს ის ყბადაღებული რეპორტაჟი: რუსები საქართველოში არიან, სააკაშვილი მოკლეს და სხვა ამდაგვარი საძაგლობა... დაე, ღმერთმა განსაჯოს. ისე კი, არის სიმართლის მარცვალი ერთი ქართველის (დიახ!) სიტყვებში: „ხელისუფლება მოდის და მიდის, ხალხი კი რჩება.“ სადავოც არაფერია.

### ორი ბედისწერა და ერთი ომი

ილია ანდრეის ძე ჯოჯუა სოხუმში დაიბადა 1917 წელს. ომის დაწყებისას ის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი იყო და ანატოლი მლადოვივით ფრონტზე წასვლა უნდოდა, რისთვისაც თანაკურსელებთან ერთად სამხედრო კომისარიატები შემოიარა. მლადოვთან ერთად ის ქიმდაცვის აკადემიაში ჩარიცხეს. ეს 1941 წელს ჩამოყალიბებული დაჩქარებული კურსი იყო. ახალწვეულ ქიმიკოსებს მჭიდრო ვადებში ყველაზე მნიშვნელოვან რამეებს ასწავლიდნენ და მაშინვე ფრონტზე აგზავნიდნენ. 1942 წელს ანატოლი მლადოვი სტალინგრადის ბრძოლის ქარ-ცეცხლში მოხვდა, ხოლო ილია ჯოჯუა — ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე, სადაც ასევე სისხლისმღვრელი ომები მიმდინარეობდა.

ფაშისტ სნაიპერებზე თავდასხმისას ახალგაზრდა მეთაური ანატოლი მლადოვი მძიმედ დაიჭრა, დაბრმავდა და იძულებული გახდა, დემობილიზებულიყო. უფროსი ლეიტენანტი, სატანკო პოლკის ქიმიური სამსახურის მეთაური ილია ჯოჯუა კავკასიას იცავდა, შემდეგ ხარკოვთან იბრძოდა და ამ ომის შედეგებს თავისი სამხედრო ბიოგრაფიის ყველაზე საზარელ ეპიზოდად მიიჩნევდა. ჯოჯუა 1945 წლის დეკემბრამდე იბრძოდა, დაჯილდოებულია მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვებისათვის.“

ომის შემდეგ ანატოლი მლადოვმა, მიუხედავად სიბრმავისა, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა და პედაგოგად 40 წელზე მეტხანს იმუშავა. ილია ჯოჯუა გეოლოგი გახდა და თითქმის 10 წელი გდრ-ში, ქალაქ კარლმარქსშტადტში მუშაობდა, ასევე გეოლოგ-კონსულტანტი იყო ვიეტნამში, მიღებული ჰქონდა ხო ში მინისა და შრომის ორდენები. სამშობლოში დაბრუნებული ტყვარჩელში მუშაობდა მთავარ გეოლოგ-ინჟინრად.

ილია ჯოჯუამ ომში ძმა — სევერიანე ჯოჯუა დაკარგა, რომელიც 1942 წელს ქერჩში დაიღუპა.

### მემკვიდრეობად დარჩენილი ხსოვნა

ილია ჯოჯუას ვაჟი, რომელიც სტატიაზე გამოგვეხმაურა, ასევე სოხუმში დაიბადა, ა. ს. პუშკინის სახელობის №2 რუსული სკოლა დაამთავრა, იმსახურა არმიაში, ჩააბარა თბილისის სამხატვრო აკადემიაში... გრანდიოზულ გეგმებს აწყობდა, ამერიკაში გამგზავრებაზეც კი ოცნებობდა, ისევე, როგორც მისი თაობის ახალგაზრდა სპეციალისტები.

მაგრამ ბედისწერამ სხვაგვარად ისურვა და მანაც სასულიერო მოღვაწეობის გზა აირჩია. მამა სერაფიმე ბავშვობიდან მორწმუნე იყო, დედამ აღზარდა ასე, მანვე მონათლა ეკლესიაში მალულად, როცა ის ორი წლის იყო.

აკადემიის დამთავრებისთანავე, 1991 წელს თბილისის მახლობლად მდებარე წმიდა ანტონ მარტყოფელის მონასტრის მორჩილი გახდა, 1992 წელს — ბერად აღიკვეცა, ხოლო წლის ბოლოს მღვდელი გახდა, ახლა ბორჯომის მიტროპოლიტია.

მამასთან ნამდვილი მეგობრობა აკავშირებდა. ძველ ფრონტელს უჭირდა ომზე ლაპარაკი — მეტისმეტად ბევრი მწუხარება, სიკვდილი და ტანჯვა იხილა იმ წლებში, მაგრამ შეძლო შვილისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოგონებების გადაცემა. ილია ანდრეის ძე ჯოჯუა 1981 წელს გარდაიცვალა და შვილს ძვირფას მემკვიდრეობად ხსოვნა დაუტოვა. როცა სტატიაში ნაცნობი სიტყვები: „ქიმდაცვის აკადემია“ ამოიკითხა, გული აუძგერდა, თითქოსდა შორეული წარსულიდან ბარათი, მშობელი მამისგან გადმოცემული სალამი მიიღო. ქვესათაურში გამოტანილი სიტყვა „თანაპოლკელი“ შესაძლოა მთლად ზუსტი არ იყოს, მაგრამ დიდი შეცდომაც არაა. ისინი ყველა, ძველი თანამებრძოლები, ვეტერანები, დიდი სამამულო ომის ჯარისკაცები არიან...

აპრილში მამა სერაფიმე მოსკოვში ჩამოვა. ის ოცნებობს ანატოლი გრიგორის ძე მლადოვთან შეხვედრასა და „მამასავით გულში ჩაკვრაზე.“

ამასთან, მამა სერაფიმეს პატრიარქი კირილესთვის ძველი, 1762 წლის ხატის გადაცემა სურს. ეს პატარა ხატია როსტოვისა და იაროსლავის მიტროპოლიტის წმიდა არსენი მაცეევიჩისა, რომლის ხსოვნასაც 13 მარტს აღნიშნავენ. ხატი მამა სერაფიმესთან თბილისის ანტიკვარული მაღაზიიდან მოხვდა, როგორც დაბადების დღის საჩუქარი. იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ისტორიას ბედნიერი დასასრული ექნება.

მასთან, კიდევ უამრავი შეკითხვა გვაქვს და სულმოუთქმელად ველოდებით შეხვედრას. იმედია, მოსკოვში ვიხილავთ, რედაქციაშიც მოვიწვევთ. ახლაც გვაქვს მიწერ-მოწერა ელექტრონული ფოსტით. ყველა წერილს იწყებს სიტყვებით: „ღმერთმა დაგლოცოთ...“ ბევრი ფოტო გამოგვიგზავნა, თავისიც და მამამისისაც.

გვჯერა, რომ ამ ისტორიას გაგრძელება აუცილებლად ექნება.

შეხვედრამდე, მამა სერაფიმე!

**გაზეთი „ვეჩერნაია მოსკვა“**

## მოკლედ



# ისრაელს პალესტინასთან მშვიდობა არ სურს

მიუხედავად იმისა, რომ პალესტინასთან მშვიდობის დამყარების პროცესი სწორედ ამაზე იყო დამოკიდებული, ისრაელმა უარი განაცხადა იერუსალიმის სადავო რაიონებში მშენებლობის შეწყვეტაზე. ამ გადაწყვეტილებამ, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა მოახდინოს ისრაელისა და აშშ-ის შემდგომ ურთიერთობებზეც.

„იერუსალიმში ჩვენი პოლიტიკა ისეთივეა, როგორსაც უკანასკნელი 42 წლის მანძილზე ახორციელებდა ყველა წინამორბედი ხელისუფლება.

ჩვენი შეხედულებით იერუსალიმში მშენებლობა იგივეა, რაც მშენებლობა თელ-ავივში“, — განაცხადა ისრაელის მთავრობის მეთაურმა ბენიამინ ნათანიაჰუმ. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას პალესტინელებთან მოლაპარაკების განახლების საკითხი ეჭვქვეშ დადგა იერუსალიმში ებრაელთა ოჯახებისათვის 1,6 ათასი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის გამო.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სამეგრელოს არაკონსტიტუციური მონარქი

საქართველოს იუსტიციის მინისტრს,
ბატონ ზურაბ ადეიშვილს

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატას

საქართველოს სასჯელაღსრულების,
პრობაციისა და იურიდიული
დახმარების მინისტრს
ქალბატონ ხათუნა კალმახელიძეს

თბილისის საქალაქო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას

ადამიანის უფლებათა ევროპულ
სასამართლოს დიდ პალატას
საქმეზე № 40227/09
საფრანგეთი, სტრასბურგი




## დაიწყება თუ არა გამოძიება?

## ვლადიმერ ვახანია წარმოადგენს ფაქტებს

# განცხადება

*(სამართალდამცველთა მხრიდან დანაშაულის ჩადენის შესახებ სისხლის სამართლის №044090189 საქმეზე)*

**ბატონო მინისტრო!**

2008 წლის 12 ოქტომბრიდან დღემდე ჩემ მიმართ სამართალდამცავი ორგანოების (შსს-ს თბილისის, ზუგდიდის, სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურებისა და სასამართლო თანამდებობის პირების) მხრიდან ჩადენილია მრავალი დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, რაც დასტურდება არა მარტო ფაქტების აღნიშვით, არამედ — დასაბუთებული მტკიცებულებებით.

მიუხედავად ჩემი მრავალგზის სამართლებლივად საფუძვლიანი მიმართვისა, თქვენს ქვემდგომ პროკურატურის ორგანოებს სასამართლოსთან ერთად არავითარი რეაგირება არ განუხორციელებიათ, რაც ეჭვქვეშ აყენებს იუსტიციის სისტემის კანონიერ შესაძლებლობას, თვით კანონის პატივისცემასა და ადამიანის უფლებათა დაცვას საქართველოში. ამდენად, ჩემი კანონიერი მოთხოვნების სრული იგნორირება მეტყველებს ქვეყანაში პოლიტდევნილების არსებობაზე. ერთი წელია, რაც უკანონო პატიმრობაში ვიმყოფები.

კონსტიტუციით მონიჭებული უფლებებით აღჭურვილ თანამდებობის პირს მოგმართავთ საჯარო თხოვნით, მიიღოთ სათანადო ზომები დანაშაულებრივი უკანონობის აღსაკვეთად, რაც მდგომარეობს შემდეგში:

**1.** 2008 წლის 12 ოქტომბერს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, კომპიუტერულ ბაზაში შეტანილი ყალბი მონაცემების საფუძველზე, შსს მუშაკებმა უკანონოდ დამაკავეს, ჩამომართვეს პირადი დოკუმენტები – საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის პასპორტები და, ასევე, მობილური ტელეფონი.

ამას ადასტურებენ მოწმეები: **ი. ფანცხავა, კ. ბასილია, ლ. აფციაური და ს. ხორგუანი.** ეს ფაქტები ასევე დასტურდება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მასალებით საქმეზე №3/1444-09 (სასამართლოს მიერ ფაქტობრივად დადგენილია, ყველაზე ნაკლებ, დანაშაულის ჩადენა, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 152-ე და 341-ე მუხლებით: „ადგილსამყოფელის თავისუფლად არჩევის უფლების ხელყოფა“ და „სამსახურებრივი სიყალბე“, მაგრამ ძიება არ დაწყებულა); თბილისის სააპელაციო სასამართლოს მასალებით; აუდიო ჩანაწერების ფონოსკოპური ექსპერტიზის 2010 წლის 13 თებერვლის №01/ფონ დასკვნით **(სადაც შსს თანამშრომელი კ. გოლეთიანი აღიარებს პასპორტების ჩამორთმევას და მათი გადაცემის ფაქტს სპეცსამსახურების თანამშრომლებისათვის);** საქართველოს მთავარ პროკურატურაში **(პროკურორი მ. ჯანგველიძე** და თბილისის პროკურატურაში პროკურორი **ჯ. მაჭარაშვილი)** არსებული მასალებით; ჩემი და ჩემი ადვოკატების უამრავი წერილით სამართალდამცავი ორგანოების სახელზე. პროკურატურის დანაშაულებრივი გულგრილობა (დაუდევრობა) მტკიცდება საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის — გიორგი არსენიშვილის წერილებით;

**2.** 2009 წლის 9 ნოემბერს მუქარის მიზნით ჩემ მიმართ იყო ჩადენილი დანაშაული (ავტომანქანის დაზიანება და ქურდობა) და, შესაბამისად, დაიწყო გამოძიება საქართველოს სსკ-ის 177-ე და 187-ე მუხლებით. ამ საქმეზე ცნობილი ვარ დაზარალებულად, მაგრამ არანაირი საგამოძიებო მოქმედება არ ტარდება, არ დაუკმაყოფილებიათ ჩემი და ადვოკატების არც ერთი შუამდგომლობა და დღემდე დამნაშავეები „დაუდგენელია“. გამოძიება ფიქტიურ ხასიათს ატარებს;

**3.** 2009 წლის 11 მარტს პოლიტიკური პარტიის „მთლიანი საქართველოს“ დამფუძნებელი ყრილობის ჩატარებისას, უკანონოდ, აშკარად შეთითხნილი მასალების საფუძველზე, დაიწყო წინასწარი გამოძიება ჩემ მიმართ. 15 მარტს განხორციელდა პოლიციელებისა და სამასამდე ნიღბიანი შეიარაღებული სპეცრაზმელის ყაჩაღური თავდასხმა საცხოვრებელ სახლზე ქ. ზუგდიდში, რომელშიც მე ვიმყოფებოდი და რასაც მოჰყვა გაყალბებული საქმის მასალების მიხედვით ჩემი უკანონო დაკავება, უკანონო ჩხრეკა, იარაღის ჩადება, შემდგომ კი უკანონო დაპატიმრება პოლიციის, პროკურატურისა და სასამართლოს მხრიდან.

**ამის დამადასტურებელი მასალები:** მოწმეთა ჩვენებები — **ნატო უბილავა, ნადეჟდა ფიფია, პაჭკული აბრალავა, ალექსი ღურწკაია, ლიანა ვახანია, რამაზი ვახანია, ლიანა ესართია, ამირან ქარდავა, კახა ქარდავა, ვლადიმერ შედანია, იური ჭითანავა, ჯუმბერი ჭითანავა, თემურ დანელია** და სხვები; სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის **2009 წლის 26 ივნისის №02/030-09 დასკვნა;** კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2009 წლის 28 ოქტომბრის №38/? დასკვნა; გრაფიკული ექსპერტიზის **2009 წლის 24 ივნისის №01/გრ დასკვნა;** კომისიური გრაფიკული ექსპერტიზის **2009 წლის 24 ნოემბრის №02/გრ დასკვნა** ხელმოწერების გაყალბების შესახებ. აუდიო ჩანაწერის ფონოსკოპური ექსპერტიზის **2009 წლის 02 დეკემბრის №6725/02/15 დასკვნა;** ვიდეო ჩანაწერის ექსპერტიზის **2009 წლის 01 დეკემბრის №0650100923 დასკვნა;** ფულადი თანხის, 300 აშშ დოლარის მითვისება გამოძიების მწარმოებელი პირების მიერ, დადგენილი ჩხრეკის ოქმით და მიღება-ჩაბარების აქტით; პროკურორის (გამომძიებლების) დაუსაბუთებელი შუამდგომლობები ჩხრეკების „კანონიერად“ ცნობის შესახებ; გაზეთის პუბლიკაცია და საქმეში არსებული სხვა მასალები;

**4.** ზუგდიდის რაიონულმა მოსამართლეებმა **ი. აბშილავამ** და **დ. კეკენაძემ** ჩაიდინეს დანაშაული განზრახ, უკანონო გადაწყვეტილების (დადგენილების, განაჩენის) მიღებით, ყოველგვარი განხილვისა და დასაბუთების გარეშე;

**5.** შსს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებლების **მ. შენგელიას, ლ. კანკიას, პ. დარასელიას, შ. ქელბაქიანის, დ. თორიას** მხრიდან ჩადენილი იქნა დანაშაული მტკიცებულებების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ, მოცემულ სისხლის სამართლის №044090189 საქმეზე, მასალების ფალსიფიცირებით;

**6.** ზუგდიდის რაიონული პროკურორის მოადგილემ **დიმიტრი ხვიტიამ** ბოროტად გამოიყენა თავისი უფლებამოსილება. მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა და აქვს სამოხელეო დანაშაულის ჩადენას. ასეთივე დანაშაული ჩაიდინა ამავე პროკურატურის პროკურორმა **ე. ჯაბუამ**;

**7.** ჩემი საქმიდან ჩამოცილების მიზნით, უკანონოდ, შეთითხნილი ბრალდებით დააპატიმრეს დაცვის მოწმეები **ჯამბულ ჩიქოვანი, თენგიზ კალანდია და ადვოკატი ჯონი ზარანდია.** მოწმე **მინდია მაქაცარიაზე** განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად იგი იძულებული გახდა, მიეტოვებინა ოჯახი, მასზე შესაძლო ცრუ ბრალდების შეთითხნისა და დაპატიმრების შიშით. ამ სასტიკ დანაშაულებრივ ქმედებებს ბოლო უნდა მოეღოს;

**8.** სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქე პროკურორმა **როლანდ ახალაიამ,** როგორც ზედამხედველმა პროკურორმა, გამოიჩინა სამსახურებრივი გულგრილობა — დანაშაულის დაფარვა და გახდა (არის) თანამონაწილე (ორგანიზატორი) შსს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს, ზუგდიდის რაიონული პროკურატურის თანამშრომლებისა და მოსამართლეების დანაშაულებრივი ქმედებებისა ჯგუფურად და არაერთგზის, რითაც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩაიდინა დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 364-ე და 365–ე მუხლებით: **„სამართალწარმოების განხორციელებისათვის ან წინასწარ გამოძიებისათვის ხელის შეშლა“; „მუქარა ან ძალადობა სამართალწარმოების განხორციელებასთან ან წინაწარ გამოძიებასთან დაკავშირებით“; სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქე პროკურორ როლანდ ახალაიას დანაშაულის აშკარა ნიშნები დგინდება შემდეგით:**

**ა) როლანდ ახალაიას** მრავალჯერ მიაწოდეს აღნიშნული ფაქტები და უტყუარი მტკიცებულებები დანაშაულის ჩადენის შესახებ ზუგდიდის რაიონის სამართალდამცავი ორგანოების მიერ, მაგრამ არავითარი ზომები არ მიუღია, ყველა მიმართვა რეაგირების გარეშე დატოვა;

**ბ) როლანდ ახალაიას** არ მიუღია ზომები (გამოძიება არ დაწყებულა) დამთავრებული დანაშაულის ფაქტზე (მითვისებაზე საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლი), ჩადენილი მისი (საოლქო პროკურატურის) მუშაკის, გამომძიებელ **ვ. ქორთუას** მონაწილეობით;

**გ)** საპროცესო კანონმდებლობის აშკარა დანაშაულებრივი დარღვევით, **სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურაში სამი თვის განმავლობაში დაულუქავად ინახებოდა** უკანონო ჩხრეკისას საცხოვრებელი სახლიდან, ბინიდან, ავტომანქანიდან ამოღებული **უამრავი ნივთი,** მათ შორის, მნიშვნელოვანი ფულადი თანხა (იხილეთ მიღება-ჩაბარების აქტი 01.08.2009);

**დ) როლანდ ახალაიამ** სასჯელაღსრულების დაწესებულებაში (თბილისის №1 საპყრობილეში) 2010 წლის 12-13 იანვარს მომიგზავნა საოლქო პროკურატურის თანამშრომლები, მათ შორის, პროკურორი **ემზარ კვარაცხელია,** (გამოძიებისათვის მეორე პიროვნების დადგენა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს), რომელმაც გადმომცა მისი (რ. ახალაიას) მუქარა საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმისა და სამშობლოს დატოვების შესახებ, რის სანაცვლოდაც მპირდებოდა ჩემი და მოწმეების **(ჯ. ჩიქოვანისა და თ. კალანდიას)** პატიმრობიდან გათავისუფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ციხეში დიდი ხნით ჯდომით გვემუქრებოდა. ესე იგი, ახალაიას „შეუძლია“ როგორც უკანონოდ დაპატიმრება, ასევე — გათავისუფლება. **მეფის უფლება ჰქონია ამ არაკონსტიტუციურ სამეგრელოს მონარქს.**

ახალაიას ეს ქმედება კონსტიტუციური დანაშაულია, კვალიფიცირდება როგორც უკანონო დეპორტაციის, საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის მუქარა, ასევე, ზეწოლა და ჩარევაა სასამართლოს საქმიანობაში, რაც ამხელს მის მონაწილეობას — ორგანიზატორობას ჩემ მიმართ აღნიშნულ საქმეზე.

ამასთან, როგორც გაირკვა, ზუგდიდის საცხოვრებელ სახლში ჩემზე თავდასხმაში 2009 წლის 15 მარტს მონაწილეობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელოს სამხარეო სამმართველოს სპეცრაზმი, რომლის გამოყენება არ მოხდებოდა **როლანდ ახალაიას** თანხმობის გარეშე. რაზმს მეთაურობდა მისი ყოფილი თანამშრომელი (ამჟამად სამხარეო სამმართველოს უფროსის მოადგილე) **მეგი ქარდავა.** შეიარაღებული სპეცრაზმის უკანონო, დანაშაულებრივი გამოყენება-ქმედება თვალნათელი ფაქტია, რომელსაც ცალსახად ამხელს უტყუარი ვიდეოჩანაწერი (რომელსაც მოგაწვდით) და მრავალი მოწმე, რაზეც მე უკვე განვაცხადე სასამართლოზე. ეს ქმედება არის დანაშაული, ძალადობის მუქარა და ზეწოლა არა მარტო ჩემზე, არამედ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოზეც, რის შედეგადაც სასამართლომ დაარღვია კანონით დადგენილი განხილვის სამთვიანი ვადა.

ეს ფაქტი ასევე მეტყველებს იმაზე, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებები **როლანდ ახალაიას** (ახალაიების) ზეგავლენის ქვეშაა, რაც თავისთავად წარმოადგენს დანაშაულს.

**ცნობისათვის:** ანალოგიური დანაშაულებრივი მუქარა მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ წამომიყენეს პასპორტების ჩამორთმევის დროს თბილისის აეროპორტში 2008 წლის 12 ოქტომბერს;

**ე) როლანდ ახალაიას** ან ახალაიების სხვა მიმდინარე ძალადობის მუქარას (დასაბუთებული ვარაუდით) ასევე ადასტურებს ის ფაქტები, რომ, როგორც 2010 წლის 15 იანვარს ქუთაისის სისხლის საქმეთა სააპელაციო სასამართლოზე, ასევე, 17 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეზე, სასამართლო განხილვებს უკანონოდ ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ ესწრებოდნენ შეიარაღებული ნიღბიანი სპეცრაზმელები. დასადგენია, ვისი განკარგულებით და რომელ ძალოვან სტრუქტურას წარმოადგენენ ისინი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩემს ეტაპირებას ახდენს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საბადრაგო სამსახური, ხოლო სასამართლო დარბაზში წესრიგს უზრუნველყოფენ კანონით გათვალისწინებული სპეციალურად გამოყოფილი მანდატურები. აღწერილ ფაქტებს დაადასტურებს უამრავი მოწმე-თვითმხილველი. მსგავსი ქმედება ზეგავლენას ახდენს (და, სავარაუდოდ, ასეც უნდა ვიგულისხმოთ) პროცესის მონაწილე პირებზე და მიმართულია მათ დასაშინებლად;

**ვ)** ფაქტების დამთხვევით ასევე წარმოჩნდება **როლანდ ახალაიას** მონაწილეობა, დაკავშირებული უკანონო დაკავებასთან და პასპორტების ჩამორთმევასთან 2008 წლის 12 ოქტომბერს და კერძოდ:

— 2008 წლის ოქტომბრიდან ჩემი და ჩემი ადვოკატების უამრავი განცხადება დღემდე ყოველგვარი რეაგირების გარეშე დევს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, მათ შორის — საქართველოს მთავარ პროკურატურაში. ამავე დროს, პროკურატურის ორგანოები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261–ე მუხლის მიხედვით ვალდებულნი იყვნენ (არიან), დაეწყოთ გამოძიება. **გავიდა წელიწადნახევარი და არათუ გამოძიება, პასუხიც კი არ გაუციათ. ესე იგი, პროკურატურა არღვევს კანონს და ფარავს დანაშაულს**.

დღესაც საქართველოს მთავარი პროკურორისა და სასამართლოს სახელზე არის მიწოდებული ცნობები დანაშაულის შესახებ, მაგრამ საქართველოს პროკურატურა კვლავაც დუმს. რატომ ხდება ასე და ვინ არის ის პიროვნება, ვინც ბლოკავს საქართველოს პროკურატურის კანონიერ მუშაობას? იგი კვლავ „ყოვლისშემძლე" საოლქო პროკურორი **როლანდ ახალაიაა,** რომელიც თავის ზეგავლენას პროკურატურისა და ძალოვანი სტრუქტურების სისტემაში უკავშირებს მჭიდრო დამოკიდებულებას საქართველოს მთავრობასთან.

— დღემდე რატომ არ დაიწყო გამოძიება? იმიტომ, რომ ეს არ აწყობს **როლანდ ახალაიას,** იმიტომ, რომ ამ და სხვა ფაქტების გამოძიება ნათელს მოჰფენს ახალაიას მონაწილეობას დანაშაულებრივ ქმედებებში.

— კანონის შესაბამისად მოპოვებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, გიდგენთ პიროვნებებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ჩემთვის პასპორტების უკანონო ჩამორთმევა-დაუფლების დანაშაულებრივ ქმედებაში. **ესენი არიან შსს სპეცსამსახურის თანამშრომლები: გიორგი გაბუნია, გიორგი კალანდარიშვილი, ვანო ძიძიგური.** გამოძიებისათვის ძნელი დასადგენი არ იქნება აღნიშნული პიროვნებების კავშირი **როლანდ ახალაიასთან ან მისი ოჯახის წევრებთან, რომელთაც მაღალი სახელმწიფო თანამდებობები უკავიათ და ბოროტად იყენებენ სამსახურეობრივ მდგომარეობას.**

ამდენად, ერთობლიობაში სახეზეა დანაშაულებრივი კანონდარღვევა **როლანდ ახალაიას** მხრიდან, რომელიც დაკავშირებულია როგორც პასპორტების უკანონო ჩამორთმევასთან, ასევე შემდგომ უკანონო დაპატიმრებასთან პოლიტიკური და ანგარების მოტივით, ხელისუფლების დაკვეთით ან უამისოდ, რაც წარმოადგენს გამოძიების საგანს.

**ცნობისათვის:** ჩემ წინააღმდეგ განხორციელებულ დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობაზე საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლით დაწყებულია ძიება, რომელსაც წარმართავს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გამომძიებელი **ვაკო გოგიაშვილი.**

ზემოთ აღნიშნული ფაქტები ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს ჩემ მიმართ უკანონო სისხლის სამართლებრივ დევნაზე პოლიტიკური და სხვა მოტივით. შესაბამისად, დაირღვა და დღემდე ირღვევა არამარტო ადამიანის უფლებები და თავისუფლებები და უდანაშაულობის პრეზუმპცია, არამედ მთლიანად კანონიერების პრეზუმპცია, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციისა და სახელმწიფო ფუნდამენტური პრინციპებიდან. ასევე ირღვევა ევროპული კონვენციის იმპერატიული მოთხოვნები.

გთხოვთ, დაიწყოთ შემოწმება და გამოძიება კანონის გათვალისწინებით და პირად კონტროლს დაუქვემდებაროთ ამ საქმის გამოძიება. ასევე, გთხოვთ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გამოყოთ თქვენი (იუსტიციის სამინისტროს) წარმომადგენელი, რადგან გამოკვეთილად დგინდება ზუგდიდის რაიონული და სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორების თანამონაწილეობით უკანონო ზეგავლენა განსახილველი საქმისადმი. ამავე დროს, საქმეში არსებული ჩემი სრული უდანაშაულობის საკმარისზე მეტი დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებებიდან და საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, გთხოვთ, მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება ჩემ მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე) ბრალდების მოხსნით.

კიდევ ერთხელ გთხოვთ, სასწრაფო რეაგირებას და სათანადო კანონის შესაბამის მოქმედებას სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების გამოსაძიებლად და დასასჯელად.

გთხოვთ, ასევე, გამოძიების დაწყებისთანავე, კანონის შესაბამისად, გამოძიებისათვის ხელის შეშლის აცილების მიზნით, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორ **როლანდ ახალაიას შეუჩერდეს სამსახურებრივი უფლებამოსილება** (**თანამდებობიდან გადაყენებით**), **რადგან მის ქმედებებში ცალსახად ჩანს (დგინდება) ჩარევა** ზემოაღწერილ საქმეზე, მათ შორის, ძალადობის მუქარით, როგორც ჩემზე, ასევე საქმეთა მწარმოებელ პირებზე. ამასთან ერთად, შესამოწმებელია და გადასახედია მთლიანად სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის მუშაობა კანონიერების თვალსაზრისით.

ამ განცხადებას თან ვურთავ ზემოაღნიშნული ფაქტების დამადასტურებელ მასალებსა და მტკიცებულებებს.

**გთხოვთ, პასუხი მაცნობოთ კანონის გათვალისწინებით.**

**დანართი:**
**მასალები 102 ფურცელზე.**
**პატივისცემით,**

**ვლადიმერ ვახანია,**
**სამართლის დოქტორი,**
**აკადემიკოსი**
**(პოლიტპატიმარი)**
**ვეთანხმებით,**
**ადვოკატები:**
**გ.ებრალიძე, ნ. კვარაცხელია,**
**ჯ. შელია, ი. ლომია,**
**ლ. აფციაური, ლ. გელაშვილი.**
**17.03.2010 წ.**

# აპოკალიფსი გადაიდო, მოვითხოვთ დაპირებულ წარღვნას!

**„იმედის" არხი საზოგადოებას ომის პროგნოზით ატყუებს, ქართველი სინოპტიკოსები კი კარსმომდგარი გრიგალითა და აპოკალიფსით გვაშინებენ. შეთანხმდნენ მაინც, რომელი მოდის — რუსი თუ წარღვნა! რაღაც არ მასხენდება ასეთი შემაძრწუნებელი გაფრთხილება წინათ გაეკეთებინოთ. ისეთი რა უნდა მოხდეს, წინასწარ რომ გვიხეთქავენ გულს? ხვალ გამოვა რომელიმე ოპოზიციონერი და იტყვის: ამერიკასთან ინტეგრაცია მოგვიტანს ტორნადოებს, წვიმებსა და მისთანებს. ყველაფერი ამერიკის ბრალია, გადადგეს სააკაშვილი!**



რამდენიმე დღის წინ სინოპტიკოსები მთელი რეგიონის მასშტაბით ამინდის გაუარესებას პროგნოზირებდნენ: ცივი და თბილი ჰაერის მასების ურთიერთქმედების გამო ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჰაერის ტემპერატურა მკვეთრად დაეცემა; მოსალოდნელია წვიმა და თოვლი. განსაკუთრებული დიდთოვლობაა მაღალმთიან რეგიონში. მოსალოდნელია ძლიერი წვიმა, სეტყვა, წყალდიდობები და ქარიშხალიც კი. ციკლონი შემოდისო, ძლიერი წვიმები და ქარი იქნებაო, არ უნდა გავიგოთ ეს ისე, რომ წარღვნა გვემუქრება, მაგრამ გარკვეული პრობლემები იქნებაო. გთხოვთ ყურადღებას და მობილიზებასო....რა არის აქ გაუგებარი?! იმას ხომ არ იტყოდნენ, მდინარე თუ შემოგივარდათ სახლში, გვერდი იცვალეთ და ძილი გააგრძელეთო?!

**ხალხის გაფრთხილება მოსალოდნელი წარღვნის შესახებ, რა თქმა უნდა, წამყვანმა ტელევიზიებმაც არ დაიზარეს და ამინდის შემაშფოთებელი პროგნოზირება ყველა საინფორმაციო გადაცემის წამყვან თემად აქციეს. დილით „რუსთავი 2"-მა რომ გადმოსცა, სვანეთში თოვლის სიმაღლემ 5 მეტრს მიაღწიაო, შუადღისას ამ ნიშნულმა „იმედზე" 2 მეტრამდე ჩამოიწია, საღამოსთვის კი — სულაც 40 სანტიმეტრამდე...**

„ხეების ძირში არ დადგეთ, ფანჯრები მაგრად ჩაკეტეთ, თუ ქუჩაში მოგისწროთ ქარიშხალმა, შედით შენობაში. უცხო ადამიანს მანქანაში არ ჩაუჯდეთ". საზოგადოება გვარიანად შეაშფოთა მოსალოდნელმა წარღვნამ და საგულდაგულოდ დაიწყო მზადება. ფანჯრები კარგად ჩაკეტეს, ხვრელები, რითიც შეძლეს, ამოგმანეს, სახურავზე ძველი ნადგამი ტაშტები გაცალეს და რამდენიმე ახალიც დაუმატეს, თბილი ტანსაცმელი გამოიღეს და კიდევ სხვა მრავალი რამ გააკეთეს.

მართალია, გასულ დღეებში წვიმა არ დაკლებია არც თბილისსა და არც სხვა რაიონებს, მაგრამ ხალხი იმედგაცრუებულია და დაპირებულ წარღვნას მოითხოვს. წვიმამ კი — დიდი ბოდიში, ცოტა შემაგვიანდება, სხვა საქმეებით ვარ დაკავებული, ჯერ საქართველოსთვის არ მცალიაო. მოსახლეობა კი უკმაყოფილოა. მთელი მცენარეები სახლში შევზიდეთ და, თუ ახლა ტყუილად ვიწვალეთ ხომ გავგიჟდით! საიდანაც გინდათ, იქიდან მოიყვანეთ დაპირებული აპოკალისური ამინდიო.

მთელი დღეა, სახლში ვზივარ ამინდის შიშით! მოვითხოვ წარღვნას! თუ გაგიგიათ, ეგვიპტეში ერთხელ ბაყაყების წვიმა მოსულა. თუ ქვეყანაში იგივე ტენდენციები გაგრძელდა, ამასაც მალე ვიხილავთ.

**სინოპტიკოსების უნებლიე ცდომილებები პირველი შემთხვევა არაა საქართველოში. წინათაც გვაფრთხილებდნენ, მოსალოდნელი გრიგალის შესახებ — მანქანები გარეთ არ დატოვოთო. ამ განცახდებამ ბევრი საგონებელში ჩააგდო.** დიდი ინტერესით ველოდებოდით მეორე დღეს, მოვიმარაგეთ ფოტო-აპარატები და ვიდეო გადამღებები რაღაც სასწაული მოვლენის გადასაღებად, მაგრამ, ჰოი, საოცრებავ, არსად ჩანდა არც წვიმა, არც ქარი და არც წარღვნა... ასე სასტიკად და ულმობლად იტყუებიან ქართველი სინოპტიკოსები, თუმცა მთლად მაგათი ბრალიც არ ყოფილა. აღმოჩნდა, რომ საქართველოში ამინდის პროგნოზის მინილაბორატორიები მწყობრიდანაა გამოსული და არც თანამედროვე ტექნოლოგიებითაა უზრუნველყოფილი. ერთი ბლოკი, რომელიც ზომავს წნევას, ტენიანობას, ტემპერატურას, ქარის სიჩქარესა და მიმართულებას, 7000 დოლარი ღირს. იგი სატელიტიდან იღებს გლობალურ სურათს, ამ ყველფერს აწვდის კომპიუტერს და, რა დროის ინტერვალებითაც გინდა, ისე გაწვდის ამინდის პროგნოზს. ჰოდა, რა გახდა ერთი 7000 დოლარი?! მუდმივად წარღვნის მოლოდინში მაინც აღარ ვიქნებით! ჰოდა, რომ არ აქვთ ჩვენს სინოპტიკოსებს ასეთი აპარატურა, კი სხედან და ესაუბრებიან ვარსკვლავებს. ამ მკითხაობა-მკითხაობაში კი ათასი სისულელე შეიძლება მოუვიდეს კაცს თავში. იწვიმებს, არ იწვიმებს... იწვიმებს, არ იწვიმებს... და ასე დაუსრულებლად. შედეგად კი, ჩვენ ისედაც დათრგუნულ მოსახლეობას არ აკლია აპოკალიფსის, ცუნამისა და ქარიშხლის შიშნარევი მოლოდინი. მართალია, ზოგი არც კი უსმენს ამინდის პროგნოზს, მაგრამ საზოგადოების გარკვეული ნაწილი საკუთარ გეგმებს ამინდის პროგნოზის მოსმენის შემდეგ აწყობს. მაგალითად, ჩემი ერთი კოლეგა ჩვენი „სიმართლის მღაღადებელი" სინოპტიკოსების გადამკიდე, რამდენიმე დღე ვერ მოვიდა სამსახურში. ტყუილად ელოდა ქარბუქს სახლში თბილად მჯდომი. შედეგად კი ჩვენს სამსახურში თანამშრომელი გვაკლდა და მას კი — თვის ბოლოს ჰონორარი. ასეთი ერთგული ადამიანებისთვის ნამდვილად დამაზარალებელია ცრუ პროგნოზები.



**ბევრ ქვეყანაში, სადაც სინოპტიკური სადგურები კარგად მუშაობს, ამინდის პროგნოზზე დაყრდნობით მრავალ მნიშვნელოვან საქმეს გეგმავენ, როგორიცაა, მაგალითად, სოფლის მეურნეობის საკითხი, ტურიზმი და სამხედრო ოპერაციებიც კი. ამ ქვეყნებში სინოპტიკოსების სჯერათ. იქ გრძელვადიან პროგნოზებსაც ენდობიან, განსხვავებით საქართველოსგან, სადაც, უმეტეს შემთხვევაში, გრძელვადიანი კი არა, მეორე დღის პროგნოზიც კი არ ამართლებს.**

ქართულ ინტერნეტ-სივრცეში უამრავი საიტია, სადაც ამინდის პროგნოზს გაეცნობით. სიზუსტისთვის, ერთდროულად რამდენიმე მათგანი რომ შეამოწმოთ, აღმოაჩენთ, რომ ყველაზე სხვადასხვა ინფორმაცია დევს, ამიტომ მათზე დაყრდნობაც შეუძლებელია. ვისაც რაიმე მნიშვნელოვანი გაქვთ დაგეგმილი და გაინტერესებთ, როგორი დარი იქნება ხვალ, იქნებ, სადმე ერთი ჭიამაია იპოვოთ და მას ჰკითხოთ, ჩვენი სინოპტიკოსების იმედზე კი რუსები იყვნენ.

**მომავალ დღეებში სინოპტიკოსები ტემპერატურის მკვეთრ მატებას ვარაუდობენ. მთლად გლობალურ დათბობას არა, მაგრამ უახლოეს დღეებში ტემპერატურა, მათი ინფორმაციით, 22 გრადუსამდე უნდა გაიზარდოს.** საინტერესოა, ამჯერად თუ გაამართლეებს პროგნოზი. ამ შემთხვევაში, ძალიან მინდა, ქართველი სინოპტიკოსების მჯეროდეს, რადგან წვიმა და უამინდობა ისედაც განაცრისფერებულ ქალაქში ყველას ყელში ამოუვიდა. გაათავისუფლეთ მზე!

**თეო ტაბატაძე,**
**ლილი მიროტაძე**

# მსოფლიოს აშშ-ის დაკრულზე ცეკვა არ სურს

**ბრაზილიიდან პეკინამდე ობამას ადმინისტრაციის მისამართით კრიტიკის ცეცხლია გაჩაღებული, მაგრამ ამერიკელებს არ სურთ, აღიარონ, რომ დაპირისპირება იზრდება.**



უკანასკნელი თვის განმავლობაში სხვადასხვა ადგილიდან — იერუსალიმიდან წითელ მოედნამდე — აშშ-ის საგარეო პოლიტიკური ღონისძიებების მისამართით მთელი რიგი კრიტიკული გამონათქვამები გაისმა, რაც ადასტურებს, რომ ახლად გაპრეზიდენტებული ობამას კეთილი სურვილები საგარეო-პოლიტიკურ ფრონტზე რეალურ გამარჯვებებად არ ქცეულა.

**ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ისრაელში ვიზიტი თავიდანვე მოღუშულად დაიწყო: ცნობილი გახდა, რომ ისრაელი აღმოსავლეთ იერუსალიმში ახალ დასახლებებს აშენებს, რაც პირდაპირ უპირისპირდება ვაშინგტონის სამშვიდობო სტრატეგიას.**

თებერვალში სამი სახელმწიფო — თურქეთი, ბრაზილია და ჩინეთი — სხვადასხვა დროს მოსწრებულად აკრიტიკებდნენ ვაშინგტონის პოლიტიკას ირანის ხელისუფლების საწინააღმდეგო სანქციების დაწესების შესახებ. რაც შეეხება ადმინისტრაციის მცდელობებს, თეირანისაკენ „პირით შებრუნებულიყო“ და რუსეთთან ურთიერთობები „გადაეტვირთა“, ამის გამო ჯერ კიდევ შარშან გაიბღინძნენ ჩვენი, ჩვეულებრივ, საიმედო ევროპელი მოკავშირეები.

ოფიციალურ დონეზე აშშ არ აღიარებს, რომ მსოფლიოში ობამას საწინააღმდეგო ტალღა აგორდა.

**„ჩვენ „გადავტვირთეთ“ ურთიერთობები მთელ რიგ სახელმწიფოებთან, რამაც თანამშრომლობისათვის ახალი შესაძლებლობები წარმოშვა“,** — განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ფილიპ კრაულიმ. სხვადასხვა ნიუანსის მიუხედავად, უკანასკნელი წლის განმავლობაში ამ ქვეყნებიდან ბევრთან თანამშრომლობის სფეროში მდგომარეობა გაგვიუმჯობესდა.

მრავალი უცხოელი დიპლომატი თვლის, რომ ჯორჯ ბუშუმცროსის ადმინისტრაციას უცხოეთში ცივად ერაყის ომის ირგვლივ განვითარებული მოვლენების გამო ხვდებოდნენ.

**ობამას ადმინისტრაციას შეუძლია, კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი მიღწევა ჩაითვალოს: მრავალი წლის განმავლობაში პირველად ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში დამაკმაყოფილებელ დონეზე მონაწილეობენ პაკისტანელები, სახელმწიფო დეპარტამენტი კი კრემლთან მეგობრობით იწონებს თავს. მეორეს მხრივ, აშშ-ის დიპლომატიურმა კურსმა არსებული მდგომარეობა სასურველთან შესაბამისობაში ვერ მოიყვანა.**

ობამამ თავისი საგარეო პოლიტიკური კურსის ქვაკუთხედად არაბებსა და ებრაელებს შორის სრული მშვიდობის დამყარება აქცია, მაგრამ ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნათანიაჰუს ძველებურად არ სურს, შეისმინოს თეთრი სახლის მოწოდებები და სრულად გაყინოს იმ ტერიტორიების დასახლების პროცესი, რომელზე პრეტენზიასაც ისრაელიც აცხადებს და პალესტინაც.

ამერიკელი და არაბი დიპლომატები არ მალავენ შიშს ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის სავარაუდო ჩაშლასთან დაკავშირებით, რამაც შესაძლებელია პალესტინურ ტერიტორიებზე ძალადობის მორიგი ესკალაცია გამოიწვიოს. ცოტა ხნის წინათ ვაშინგტონსა და ისრაელს შორის დიპლომატიურ ფრონტზე ახალი კამათი ატყდა და იერუსალიმს პალესტინელების მონაწილეობით განხორციელებული ქუჩური ძალადობების ბოლო პერიოდის უძლიერესმა ტალღამ გადაუარა.

**განსაკუთრებული პროგრესი არ შეინიშნება ვაშინგტონის ტრადიციულ მოწინააღმდეგეებთან — ირანთან, სირიასთან და ჩრდილო კორეასთან ურთიერთობების მოწესრიგების მხრივაც.** ეს ქვეყნები არ აპირებენ, უარი თქვან თავიანთ შეიარაღებებსა და ტერორისტების მხარდაჭერაზე. ამრიგად, გაზაფხულზე ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობასთან დაკავშირებით დაგეგმილ ორ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო კონფერენციაზე აშშ საპირისპირო პროცესის გაძლიერების შიშით მიიღებს მონაწილეობას. ვაშინგტონის მთელი იმედები იმაზეა დამყარებული, რომ აპრილში მოსკოვთან სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ შეთანხმებას მოაწერს ხელს.

მეორეს მხრივ, აშშ ოფიციალურად აცხადებს, რომ ირანის, როგორც ოფიციალური თეირანი ირწმუნება, ცალსახად მშვიდობიანი ატომური პროექტის შეჩერების მცდელობათა ჩავარდნა, შესაძლოა, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმისათვის ფატალურ მოვლენად იქცეს.

**რამდენიმე დღის წინ ჰილარი კლინტონი ორდღიანი ვიზიტით რუსეთს ეწვია და ამ დროს ობამას ადმინისტრაციის მიერ არჩეული კურსის პერსპექტივებიცა და პრობლემებიც კარგად გამოჩნდა.** ვიზიტის ფინალურ სტადიაზე კლინტონი რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევსა და პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინს შეხვდა. მხარეებმა განაცხადეს, რომ მალე ხელს მოაწერენ შეთანხმებას „START“-ი, ასევე ერთობლივად დაკავდებიან ავღანეთის ომით, შუა აზიაში ტერორიზმთან და ნარკოვაჭრობასთან ბრძოლით. ცოტა ხნით ადრე კი პუტინმა ამერიკულ დელეგაციას სიურპრიზი მოუწყო და განაცხადა, რომ რუსეთი ირანს პირველი ბირთვული რეაქტორის გაშვებაში დაეხმარება.

პუტინის სიტყვები თეირანზე უძლიერესი ფინანსური ზეწოლის აუცილებლობის თაობაზე ვაშინგტონის მიერ მუსირებული კონცეფციის აბსოლუტურად საპირისპირო განცხადება იყო და კლინტონმა მაშინვე საპასუხოდ შუღრინა.

აშშ-ის მიერ წამოყენებული ინიციატივების საწინააღმდეგო კრიტიკა უკანასკნელი კვირების განმავლობაში პეკინიდანაც ისმოდა. ჩინეთის პრემიერ-მინისტრმა ვენ ცზიაბომ უარით უპასუხა ვაშინგტონის მოწოდებას იუანის დევალვირების თაობაზე და აშშ ეკონომიკური პოლიტიკის, ტაივანისათვის იარაღის მიყიდვის, დალაი-ლამას მიმართ მეგობრული ჟესტების გამო გააკრიტიკა.

**ევროპის მთავარი ლიდერებიდან ბევრი, მათ შორის ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნი, რომელსაც იმის გამო დასცინოდნენ, რომ ობამამ ჰოლივუდის ფილმები აჩუქა, ასევე საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი, რომელიც ნაწყენია ობამაზე იმის გამო, რომ მჭიდროდ არ ემეგობრება, — სხვა პოტენციური მოკავშირეების მხარეს მიდრეკილი ადმინისტრაციის უყურადღებობას უჩივიან.**

მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთის პრემიერ-მინისტრი მანმოხან სინგხი ობამას პირველ სახელმწიფო სადილზე საპატიო სტუმარი იყო, იაპონიისა და ინდოეთის ზოგიერთი ოფიციალური პირი მაინც ჩივის, რომ აშშ მათ ვერ ამჩნევს და უპირატესობას ჩინეთს ანიჭებს.

„რასაც დასთეს, იმას მოიმკი, — აღნიშნა ამასთან დაკავშირებით დეილმა. — მთელი წელი ზემოდან უყურებდნენ სხვებს, ახლა თავად მათ აფურთხებენ; რა თქმა უნდა, სახალისო საყურებელია“.

**ბუშისა და ობამას პერიოდების სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსანმა კურტ ვოლკერმა აღნიშნა, რომ, მისი აზრით, ზემოხსენებული კრიტიკული გამონათქვამებიდან ზოგიერთი უკავშირდება იმ სირთულეებს, რომელსაც ადმინისტრაცია მუშაობის საწყის პერიოდში წარდგენილი სტრატეგიული ინიციატივების ირიბ შედეგებთან დაკავშირებით განიცდის.**

ობამას მისწრაფებამ, ირანისა და სხვა მუსლიმანური ქვეყნებისაკენ იბრუნოს პირი, რაც განსაკუთრებით ნათლად გამოიხატა კაიროში წარმოთქმულ მის სიტყვაში „ახალი დასაწყისი“, უმალ გამოაფხიზლა ებრაელები, რასაც ასევე აღნიშნავს ვოლკერი. ანალოგიური წესით, წავიდა რა რუსეთთან დათმობებზე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვასთან დაკავშირებით და წამოაყენა რა ურთიერთობათა „გადატვირთვის“ იდეა, მან აშშ-ის მოკავშირე აღმოსავლეთ ევროპელ ქვეყნებში გაღიზიანება გამოიწვია.

**„მეორე რიგის შედეგებზე ხშირად ივიწყებენ, — განმარტა ვოლკერმა, — ყველა იდეა ცუდი არაა, მაგრამ ხომ არ შეიძლება უკან მოუხედავად გარბოდე წინ?“.**

კლინტონმა თქვა, რომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების გზაზე და ირანის შეკავების საქმეში ადმინისტრაციას წარუმატებლობები არ აცბუნებს. მისი თქმით, მსგავს დიპლომატიურ ინიციატივებს დროს სჭირდება.

კლინტონი ასევე თვლის, რომ „ამოქმედების“ სტრატეგიის ალტერნატივა გაცილებით დამანგრეველი იქნება მსოფლიო წესრიგისათვის.

**თეირანის წინააღმდეგ „მთელი მსოფლიოს გაერთიანებითა და გონივრული სანქციების შემოღებით“ ირანის რეჟიმზე გავლენის მოხდენა იქნება შესაძლებელი,** — განაცხადა კლინტონმა მედვედევთან შეხვედრის შემდეგ, — **ჩვენ ვთვლით, რომ ირანისათვის ადეკვატურ პასუხთან დაკავშირებით კონსენსუსამდე მივალთ“.**

**ჯეი სოლომონი,**
**პიტერ სპიგელი**
**„The Wall Street Journal“**

## მოკლედ



### საფრანგეთი ბორდელებს ითხოვს

საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატი, მმართველი პარტიის „კავშირი სახალხო მოძრაობისთვის“ წევრი შანტალ ბრიუნელი საფრანგეთში 60 წლის წინათ დახურული ბორდელების ლეგალიზების მოწოდებით გამოვიდა. მისი აზრით, საფრანგეთის ხელისუფლებამ უნდა შეისწავლოს სპეციალური ცენტრების შექმნის შესაძლებლობა, სადაც სექსუალური სფეროს მუშაკები კლიენტებს ხელისუფლების მიერვე დადგენილი წესების მიხედვით მოემსახურებიან.



### რუსული ალიყური კლინტონს

ბუშერში ატომური ელექტროსადგურის გაშვების თაობაზე რუსეთის პრემიერ ვლადიმერ პუტინის განცხადებას უცხოურმა მედიამ მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ამერიკის სახელმწიფო მდივნის — ჰილარი კლინტონისთვის „სილის გაწნის ტოლფასი“ უწოდა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა კი დაამატა, რომ მიუხედავად აშშ-ის მხრიდან გამოთქმული შეშფოთებისა, ბუშერის პროექტი ბოლომდე მივა და „ატომსტროიექსპორტი“ ელექტროსადგურს ზაფხულში გაუშვებს.



### სომხებს თურქეთიდან გაასახლებენ

თურქეთსა და სომხეთს შორის მდგომარეობა დღითიდღე იძაბება. „ჩვენ ვითმენთ 100 ათასზე მეტი სომეხის თურქეთში ყოფნას. თუმცა, აუცილებლობის შემთხვევაში, შემიძლია გავცე სამშობლოში მათი დაბრუნების ბრძანება, რადგან ისინი არ არიან ჩემი ქვეყნის მოქალაქეები და ვალდებული არ ვარ, ისინი თურქეთში გავაჩერო“, — განაცხადა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ტაეპ ერდოღანმა. ამ განცხადებას სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედვარდ ნალბანდიანმა მუქარა და ხელისუფლების შანტაჟირება უწოდა.



### ევროპარლამენტის გაზის სტრატეგია

ევროპარლამენტმა მხარი დაუჭირა ევროკომისიის მიერ მომზადებულ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის გაზის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიას. დოკუმენტის თანახმად, ევროკავშირის წევრებს უნდა ჰქონდეთ ბუნებრივი აირის იმ მოცულობის მარაგი, რომ 45 დღის მანძილზე გაზის მიწოდების შეწყვეტას გაუძლონ. იმპორტის საერთო მოცულობის 10%-ით შემცირების შემთხვევაში, ევროკავშირში „საგანგებო მდგომარეობა“ გამოცხადდება.




### ავღანეთს ვალის დაბრუნებას სთხოვენ

პარიზის კრედიტორთა კლუბი ავღანეთს კუთვნილი თანხის დაბრუნებას სთხოვს. 2009 წლის მარტის მონაცემებით, ავღანეთს პარიზის კლუბის 1,026 მილიარდი დოლარი ემართა, მისი მთლიანი საგარეო ვალი კი 2,104 მილიარდ დოლარს შეადგენდა. იანვარში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა ავღანეთისათვის ხელმწიფო ვალის ჩამოჭრის პროგრამას დაუჭირეს მხარი და 1,6 მილიარდი დოლარის გადახდის ვალდებულება იკისრეს.

# სკოლა, ქიმია, დონ კიხოტი და სანჩო პანსა

**რეფორმირებული სკოლის რეფორმირებული სახელმძღვანელოები რომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, ამის თაობაზე „საქართველო და მსოფლიო“ არა ერთხელ წერდა. დღეს ქიმიის სახელმძღვანელოებზე ვისაუბრებთ. ვეცადე, მაგრამ ვერაფრით ვიპოვე ისეთი მასწავლებელი, რომელიც ქიმიის სახელმძღვანელოებზე საუბარს დათანხმდებოდა. არც არის გასაკვირი. მასწავლებლის საშუალო ხელფასი 160 ლარია და მას ამ მცირე ანაზღაურების დაკარგვისაც ეშინია; განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც განათლების სამინისტროს მიერ ახლადდაწესებული აკრძალვების მიხედვით, მათ პრესასთან კონტაქტი ეზღუდებათ.**

## ნავთიდან ამომხტარი და მდინარის ცივ წყალში გაგრილებული კალციუმი





**ასე რომ, გადავწყვიტე, თავად შევბმოდი ამ საქმეს. მით უმეტეს, რომ განათლებით ფიზიკოსი ვარ, წლების მანძილზე იზოტოპებზეც ვმუშაობდი გურამ მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით და მოსწავლეებთან მუშაობის პრაქტიკაც არ მაკლია. სხვათაშორის, როგორც ჩემი ახლობლები, მათ შორის ქიმიკოსებიც, მეუბნებიან, იმ კომიკური პასაჟების აღქმას, რომელიც ქიმიის სახელმძღვანელოებში გვხვდება, ქიმიკოსობა სულაც არ სჭირდება.**

ჩვენ წინ მე-7 კლასის ქიმიის სახელმძღვანელოა, ავტორები: ლია თევზაძე და ნუნუ ჯავახიშვილი, გამომცემლობა „დიოგენე“, 2006წ.

წიგნის შესავალში ავტორები იმედს გამოთქვამენ, რომ მათი სახელმძღვანელოები მოსწავლეებს როგორც ცოდნის შეძენაში, ასევე ინდივიდუალური და ჯგუფური კვლევების ჩატარებაში დაეხმარება. და, რაც მთავარია, ქიმია მათი საყვარელი საგნების რიცხვს მიემატება. ვნახოთ, როგორ ცდილობენ ისინი ამის მიღწევას.

39-ე გვერდზე ვალენტობის შესწავლას ზღაპრის მოყოლით ცდილობენ ავტორები: **„ქიმიური ელემენტების სასახლეს (?) წყალბადის ატომების მცველები იცავდნენ. ერთ დღეს სასახლიდან ალუმინის, კალციუმის, ჟანგბადისა და სილიცუმის ატომები გაიპარნენ. მცველები გაპარულებს დაედევნენ და ალყაში მოაქციეს“.** ეს მოცემულობაა. კი მაგრამ, მეშვიდეკლასელი ბავშვები ხომ უკვე, დიდი ხანია, გამოვიდნენ საბავშვო ბაღის ასაკიდან და, წესით, მოზარდებისთვის განკუთვნილ ლიტერატურასაც უნდა კითხულობდნენ. სად არის აქ ქიმიური მეცნიერების საფუძვლების შესწავლისათვის საჭირო სპეციფიკური ტერმინოლოგია, ენა? თუ ისინი ბავშვების პასუხებში უნდა ვეძებოთ? იმავე გვერდზე ავტორებმა ბავშვები ისევ საბავშვო ბაღს დაუბრუნეს და ელემენტთა ვალენტობის დასამახსოვრებლად ასეთ სავარჯიშოს სთავაზობენ: **„გსურთ, ადვილად დაიმახსოვროთ ელემენტთა ვალენტობები? ითამაშეთ „გზაზე მიდის ელემენტი“: გზაზე მიდის ნატრიუმი, რათა ერთი? მაშ, რამდენი? ალუმინი. რათა სამი? გააგრძელეთ თამაში“**. ახლა მივხვდი, რატომ არ დადიან ბავშვები სკოლაში. ისინი ხომ, დიდი ხანია, გამოვიდნენ ასეთი თამაშების ასაკიდან. და საერთოდ, რა მოხდა? თუ რეფორმამდე ბავშვებს ჩვეულებრივი სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამახსოვრება არ უჭირდათ, რეფორმის შემდეგ ისინი დაჩლუნგდნენ თუ რა დაემართათ?

ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ამერიკის პრეზიდენტი ჯონ კენედი ამბობდა: „ჩვენ რუსებმა მოგვიგეს არა კოსმოსში, არამედ სკოლის მერხზე.“ იგივე ქართულ სკოლაზეც ითქმოდა გასაგები მიზეზების გამო.

**მესამე გვერდზე ბავშვებისგან მოითხოვენ, მათ მიერ შერჩეული ნივთიერებები, ჩახატონ ვაგონში (რომელიც ამ გვერდზეა დახატული)**. ვაგონში რომ არ ჩახატონ და ჩვეულებრივად ჩამოწერონ, ვერ ისწავლიან? ასეთ ვაგონებს ხომ საბავშვო ბაღის უფროსი ჯგუფის ბავშვები ხატავენ და საერთოდ, რა საჭიროა ამდენი ფერადი სურათი? იმიტომ ხომ არა, რომ გამომცემელმა მეტი ფული იშოვოს და მშობელმა ამის ხარჯზე გაძვირებული წიგნი შეიძინოს. რით არგებს ყოველივე ეს ცოდნის შეძენას?

ახლა მე-8 კლასის სახელმძღვანელოს გადავხედოთ. გვ. 9, სავარჯიშო 2 – აქ მეხსიერების ბარათია დახატული და მასზე 9 ქიმიური ელემენტის სიმბოლოა ჩამოწერილი. დავალება ასეთია: **„წაიკითხეთ ყურადღებით 1 წუთის განმავლობაში. რამდენი სიმბოლო დაიმახსოვრეთ?“** სამყარო მრავალფეროვანია, ბავშვთა სამყარო, მითუმეტეს. ზოგი სწრაფად იმახსოვრებს, ზოგიც მეტ დროს ანდომებს დამახსოვრებას. ისევ დავყოთ ბავშვები? ვინც ნაკლებად იმახსოვრებს, ის ხომ შეიძლება დაკომპლექსდეს და, საერთოდ, თუ გაგიგიათ, რომ ბოტვინიკი, ასე ვთქვათ, „neujlev4-ი იყო?

მე-14 გვერდზე უკვე მერვეკლასელები შედიან ზღაპრულ სამყაროში: **„ერთხელ ვერცხლისფრად მბრწყინავ კალციუმს ნავთში უქმად ყოფნა მოსწყინდა, ჭიქიდან ამოხტა, სხეული ფილტრის ქაღალდით გაიმშრალა და ჰაერზე გასეირნება გადაწყვიტა. მალე კალციუმის სხეული თეთრი ფხვნილით დაიფარა და გახურდა, სული რომ არ შეხუთოდა, მეტალმა გზაზე მდინარის ცივ წყალში გაგრილება გადაწყვიტა“.** რა ჰქვია ამას, თუ არა მარაზმი? გვ. 10 – **„რომელ აგრეგატულ მდგომარეობაში შეიძლება არსებობდეს ნივთიერება დედამიწაზე ბუნებრივ პირობებში?“** ეკითხებიან ბავშვებს. ამდენი ზღაპრების მოყოლას, ის დაგეზუსტებინათ, რომელ ნივთიერებ?ზეა საუბარი. გვ. 69-ე: **„მყარ ნივთიერებას ჯარისკაცთა მწკრივს ადარებენ, აირს კი — განგაშში მყოფ საზოგადოებას, როცა ხალხი უწესრიგოდ დარბის სხვადასხვა მხარეს. ახსენით ამ შედარების საფუძველი“.** ჯერ ერთი, რატომ მწკრივს, მეორე – ვინ ადარებს, პეტრე მელიქიშვილთან ხომ არ შეგხვედრიათ მსგავსი შედარება?

სახელმძღვანელო სათავგადასავლო ლიტერატურ?ს სფეროსაც არ ტოვებს უყურადღებოდ. გვ 79-ე ჩემი თავგადასავალი — **„სამყაროს გაჩენისთანავე მზეზე დავბადებულვარ (საუბარია წყალბადზე). ჩემი მშობლები ერთმანეთზე უზომოდ შეყვარებული პროტონი და ნეიტრონია... ჩემს გულში საპატიმროს მსგავსი ბირთვია. მასში დადებითად დამუხტული მარტოხელა პროტონია გამომწყვდეული (საპატიმროში გამომწყვდევა, ვულგალურად რომ ვთქვათ, ქიმიაშიც „მოსულა“?) ბირთვს შეუსვენებლად უვლის გარს უარყოფითად დამუხტული ელექტრონი. ბირთვის გარშემო მოძრავი ელექტრონის ადგილმდებარეობის ზუსტი განსაზღვრა დღემდე ვერავინ შეძლო“.**

ნებისმიერი სხეულის ადგილმდებარეობის განსაზღვრა, რამდენადაც ცნობილია, ნიშნავს დროის განსაზღვრულ მომენტში, სივრცის განსაზღვრულ წერტილში სხეულის მდებარეობის განსაზღვრას, ჩვენი ელექტრონი კი მუდმივ მოძრაობაშია. აქ სიტყვა ადგილმდებარეობა უზუსტობაა, ქიმია კი ზუსტი მეცნიერებაა. როდესაც ქიმიური ტერმინოლოგიისა და სამეცნიერო ენით მასალის გადმოცემის ნაცვლად, ზღაპრების მოყოლას იწყებ, იქ უზუსტობაც ადვილი დასაშვებია. მე-10 კლასის სახელმძღვანელოს 95-ე გვერდზე ვკითხულობთ: **„ნივთიერებათა თავისთავად დაშლას, გარეგანი ფაქტორების გავლენით, კოროზია ეწოდება“**. ნუთუ ქიმიური მოვლენების არსის ახსნაშიც შეცდომები უნდა იყოს დაშვებული; თუ **გარეგანი ფაქტორები** მოქმედებს, მაშინ დაშლა **თავისთავადი** როგორ შეიძლება იყოს?

მე-10 კლასელი ბავშვები, ზღაპრების შემდეგ, ლიტერატურულ წიაღსვლებსაც ეზიარებიან. გვ. 27-ე **„იონურ ნაერთში, იონებს შორის კავშირს ხშირად დონ კიხოტისა და სანჩო პანსას საოცარ კავშირს ადარებენ. რაში ხედავთ ამ ანალოგიის საფუძველს?“** აქ კომენტარი მკითხველისთვის მიმინდვია.

გვ. 101-ე: **„ვაზის გამოსახულება ამშვენებს მცხეთაში სვეტიცხოვლის ტაძარს. გაიხსენეთ კინოფილმში „ჯარისკაცის მამა“ როგორ ცდილობს ქართველი გლეხი უცხო მიწაზე გაზრდილი ვაზის გადარჩენას. რაზე მიგანიშნებთ მოყვანილი ფაქტები? იმსჯელეთ ქართულ ხელოვნებაში ყურძნისა და ღვინის როლის შესახებ“** (ამ დავალებას წინ უსწრებდა საუბარი იმის თაობაზე, რომ ყურძნისაგან ღვინის დამზადებას დუღილის რეაქცია უდევს საფუძვლად). ვაზი რომ საქართველოსთვის კულტურაა, ეს ცნობილია. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ნახატებით, ზღაპრებითა და ლიტერატურული წიაღსვლებით ასე მდიდარი ქიმიის სახელმძღვანელოები ქიმიური ფორმულებით საკმაოდ ღარიბია. ქიმია ამ აბდაუბდის გარეშეც საინტერესო მეცნიერებაა, თუ მას საიტერესოდ მივაწვდით ბავშვებს. „ჯარისკაცის მამა“ და სვეტიცხოველი ამ კონტექსტში ღიმილისმომგვრელია, ოღონდ მწარე ღიმილის.

სახელმძღვანელოების განხილვას, მე-9 კლასის სახელმძღვანელოს 38-ე გვერდის მე-4 სავარჯიშოთი დავამთავრებ: „სამ სინჯარაში ჩაასხით განზავებული H2SO4 (გოგირდმჟავას) ხსნარი, ერთში ნატრიუმის ნაჭერი მოათავსეთ, მეორეში – რკინის, მესამეში – სპილენძის. დააკვირდით, როგორ წარიმართება რეაქციები“.

**კიდევ კარგი, რომ უფროსკლასელი ბავშვები სკოლაში იშვიათად დადიან, თორემ განზავებულ გოგირდმჟავაში რომ ნატრიუმის ნაჭერი ჩაეგდოთ, ხომ ძლიერი აფეთქება მოხდებოდა!**

**დალი ქვირია**

**P.S.** მოტანილ ციტატებს, ალბათ, კომენტარები არც სჭირდება, მაგრამ რა ქნან სახელმძღვანელოების ავტორებმა, მათ ხომ სამინისტროში შემუშავებული პროგრამებით უნდა იხელმძღვანელონ?! ან პროგრამების ავტორებმა და რეცენზენტებმაც რა ქნან, მათ ხომ სამინისტროს ხელმძღვანელობა ასეთ მოთხოვნებს უყენებს; სამინისტროს ხელმძღვანელობა კი, ხელისუფლებაა და მათაც რა ქნან, თუკი საქართველოს, როგორც განვითარებადი სტატუსის მქონე ქვეყანას, სწორედ ასეთი განათლების პოლიტიკა შეესაბამება, სწორედ სწავლების ლიბერალური მეთოდი, რომელიც განათლებულმა ევროპამ, დიდი ხანია, უარყო. საქმე ის არის, რომ, თუ არ გვექნება განვითარებადი ქვეყნის სტატუსი, ვერ მივიღებთ კრედიტებს, კრედიტები რაში იხარჯება არ ვიცით, მაგრამ განათლებაში რომ არა, ცხადია. განვითარებად ქვეყანას არ სჭირდება განათლებული საზოგადოება, რადგან ასეთი საზოგადოების მართვა ძნელია. დიახ, აქ არის ძაღლის თავი დამარხული.

## მოკლედ



### მერკელი საბერძნეთს იშორებს

გერმანიის კანცლერის — ანგელა მერკელის განცხადებით, მომავალში კრიზისების თავიდან ასაცილებლად შესაძლოა ცალკეული ქვეყნები ევროზონიდან გაირიცხონ. პარლამენტისადმი მიმართვისას მან აღნიშნა, რომ ევროკავშირში მოქმედი წესები არასაკმარისად მკაცრია საბერძნეთის მიერ გამოწვეულ კრიზისთან გასამკლავებლად. გერმანია, რომელიც ევროზონის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად ითვლება, არ აპირებს, მხარი დაუჭიროს ვალებში ჩავარდნილი საბერძნეთის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანას.



### ობამას ანტისემიტი უწოდეს

ისრაელის პრემიერ-მინისტრის — ბენიამინ ნათანიაჰუს ცოლის ძმამ ფილოსოფიის დოქტორმა ჰაგაი ბენ-არციმ ერთ-ერთ ებრაულ რადიოსადგურისთვის მიცემულ ინტერვიუში ოკუპირებულ ტერიტორიებზე ებრაელი ახალმოსახლეებისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე საუბრისას აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ანტისემიტი უწოდა. თეთრი სახლი ამ მშენებლობებს აკრიტიკებს. ობამას თქმით, აღმოსავლეთ იერუსალიმში 1600 საცხოვრებელი სახლის აშენება ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესს ხელს არ შეუწყობს.



### ირანს სანქციები ელის

„როგორც პრეზიდენტმა მედვედევმა ბრძანა, სანქციები იშვიათად მუშაობს, თუმცა, შეიძლება, ისეთი სიტუაცია შეიქმნას, როცა სანქციების დაწესება გარდაუვალი იქნება. არ გამოვრიცხავთ, რომ ასეთი მდგომარეობა ირანთან მიმართებაში გვექნეს“, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა. ირანთან ატომური პროგრამის საკითხის კონსტრუქციულად მოგვარების ხანგრძლივი მცდელობის შემდეგ აშშ თავის პარტნიორებთან ერთად აქტიურად მუშაობს ირანზე ზეწოლის ახალ გეგმაზე.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# «მელიის ორდენოსნის» 10 ყველაზე დიდი ტყუილი

**გასულ კვირას რა სიურპრიზიც მოუწყო საქართველოს ხელისუფლებამ „იმედის" მეშვეობით საქართველოს მოსახლეობას, ყველამ ნახა და გარკვეული შოკიც მიიღო. ამერიკულმა გამოცემა „თაიმსმა" შოკისმომგვრელ სიცრუეთა ათეულის გამოქვეყნება სწორედ ამ ამბის შემდეგ გადაწყვიტა, როდესაც 13 მარტს, „იმედმა" ცრუ „ახალი ამბები" გადასცა, რომელიც საქართველოს მოსახლეობას რუსულ ინტერვენციას აუწყებდა. „მოდელირებული ქრონიკის" გამოშვებით საქართველო აღნიშნულ ათეულში პირველ ადგილზეა. „საქართველო და მსოფლიომ" გადაწყვიტა, „თაიმის" მსგავსად, ალტერნატიული ათეული გაეკეთებინა, ერთი განსხვავებით, ჩვენ მიხეილ სააკაშვილის ყველაზე დიდი ტყუილების ათეულს გთავაზობთ.**



შოკისმომგვრელ სიცრუეთა ათეულში საქართველომ ისეთ მოვლენებს გადაუსწრო, როგორიცაა 1999 წელს ცენტრალური ორეგონის შტატის რადიოეთერით გავრცელებული ინფორმაცია კაშხლის დანგრევის შესახებ, რამაც თითქოს წარმოუდგენელი წყალდიდობა გამოიწვია. მოდელირებული გადაცემით, ასევე, ვუსწრებთ 1938 წელს ორსონ უელსის რადიოადაპტაციას, რომლის მიხედვითაც დედამიწაზე უცხო პლანეტელები გამოჩნდნენ.

**აქამდე გვეგონა, რომ:**

**ყველა რუს მამაკაცს ივანე ერქვა;**

**ყველა ებრაელი — ვაჭარი;**

**ყველა სომეხი — პარიკმახერი;**

**ყველა აფრიკელი — მშიერი;**

**ყველა ოსი — ქართველი;**

**ყველა რუსი — ჩვენი მტერი;**

**ყველა ქართველი — მაგარი...**

გამოვედით ბავშვობის ასაკიდან და ვხედავთ, ჩვენს ქვეყანაში რაც ხდება. ვხედავთ, ქვეყანა გვენგრევა თავზე. ეს ხელისუფლება კი ურცხვად გვატყუებს, რომ, **„რაც მაგრები ვართ, ქართველები ვართ"...**

უკვე, ვიცით, რომ კავკასიაში, ყველაზე ევროპული ტიპის ქვეყანა ჩვენ გვაქვს და, ბიზნესის კეთების თვალსაზრისით, 11-ე ადგილზე ვართ და ა.შ.

**ამ ხელისუფლების ტყუილებს დასასრული არ უჩანს. და მაინც, შევეცადეთ ბატონ „მიშატყუილას" ყველაზე დიდი ტყუილების ათეული გაგვეკეთებინა.**

მკითხველი ნუ გვიწყენს, თუკი **პირველ ადგილს სწორედ „მოდელირებულ ქრონიკასთან" დაკავშირებულ ქვეყნის პირველი პირის განცხადებას მივაკუთვნებთ, თითქოს მან არაფერი იცოდა და პირველად მხოლოდ „ტელეიმედის" მეშვეობით გაიგო ამ სიუჟეტის შესახებ.**

მაშინ, როდესაც, ქვეყნის თითქმის ყველა ტელევიზიას ხელისუფლება აკონტროლებს და ხელისუფლების ზედა ეშელონებში წყდება, რა უნდა გავიდეს ეთერით, პრეზიდენტის მორიგი „თავის მოსაწყლება" ნამდვილად არ დაურეჯებიათ ამ ქვეყნის მოქალაქეებს.

წინასაარჩევნოდ, როდესაც სააკაშვილი მეორე ვადით იყრიდა კენჭს პრეზიდენტობის პოსტზე, დევნილებთან შეხვედრისას, ის დაპირდა მათ, რომ 2008 წელს ყველანი სახლში დაბრუნდებოდნენ. გვაპატიონ დევნილებმა, მაგრამ სახლში კიდევ დიდხანს ვერ დაბრუნდებიან, ასეთი არაადეკვატური ხელისუფლების ხელში. 2008 წელმა კი ორი წლის უკან ჩაიარა...

**სწორედ ამიტომ სააკაშვილის ყველაზე დიდ სიცრუეებში ამ დაპირებას მეორე ადგილი მივაკუთვნეთ.**

**მესამე ადგილი ამავე თემის გაგრძელებაა. ჯერ კიდევ არ იყო სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტად არჩეული, როდესაც ჰპირდებოდა საქართველოს მოსახლეობას, განსაკუთრებით დევნილებს, რომ მისი პრეზიდენტობის ვადაში ის აუცილებლად დაიბრუნებდა დაკარგულ ტერიტორიებს, ერთი ვადა რომ არ ეყო, მეორე ვადაში დაგიბრუნებთო, დაჰპირდა.** მაგრამ მეორე ვადაში დაბრუნების მაგივრად, იქით დაკარგა ტერიტორიები. ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკის ფონზე ძნელი სავარაუდო არ უნდა იყოს, რომ საქართველო დაკარგული ტერიტორიების დამბრუნებელი არაა.

პირიქით, სანამ სააკაშვილი მეორე ვადას ამოწურავს, დიდი შანსია იმის, რომ გაიზარდოს დაკარგული ტერიტორიების ფართობი.

მაშ ასე, **მესამე ადგილს იკავებს სააკაშვილის დაპირება — ჩემი პრეზიდენტობის მეორე ვადაში დაგიბრუნებთ აფხაზეთსა და ოსეთსო.**

**მეოთხე ადგილს ტყუილების ათეულში იკავებს პრეზიდენტის განცხადება, თურმე ჩვენ ვყოფილვართ ყველაზე ევროპული ქვეყანა მთელს ამიერკავკასიაში.** საინტერესოა, ეს „ევროპულობა" რაში გამოიხატება. იმაში ხომ არა, სანაპიროზე ბიჭებს რომ ხოცავენ, ან იმაში ხომ არა აქციის მონაწილეებს რეზინის ტყვიებით რომ არბევენ?! ალბათ, უფრო იმაში, შორენა რომ მოუწოდებს მოსახლეობას თავისუფალი სექსუალური ცხოვრებისკენ და იმაში, „მოდელირებული" გადაცემებით რომ ცდილობენ ხალხის ფსიქიკის მოსპობას. შესაბამისად, განცხადება „ყველაზე ევროპულობაზე" მხოლოდ მითია, ამ ხელისუფლების მიერ მოგონილი.

მაშინ, როდესაც ქართული ბიზნესის უმეტესი ნაწილი სახელისუფლო რეკეტს განიცდის, ათასჯერ მაინც შემოიღეს და გააუქმეს სალარო აპარატები, გაზარდეს მოსაკრებლები და ა.შ. ჩვენი პრეზიდენტი მოსახლეობას არწმუნებს, რომ ბიზნესის კეთების თვალსაზრისით ქვეყანა მსოფლიოში 11-ე ადგილზეა. არ დაგავიწყდეთ, ეს ის ქვეყანაა, „შირნჰოფერის" პროდუქციას ყადაღა რომ დაადო, უვარგისიაო და იტალიელების ქართული „ბადაგონი" დალვარა, შემდეგ კი სახალხოდ ბოდიში მოიხადა, შევცდითო. „სონი"-ს მაღაზია რომ დააყადაღეს, „სონი"-მ სასამართლო პროცესი მოიგო, ქართულმა მხარემ კი ყურიც არ შეიბერტყა. ყოველივე ამის შემდეგ **ხელისუფლების მცდელობა, რომ საქართველო ინვესტორებისთვის სასურველ გარემოდ დაგვანახოს, მხოლოდ მორიგი დიდი სიცრუეა. შესაბამისად მეხუთე ადგილი ამ სიცრუეს ერგო.**

**მეექვსე ადგილი რუსეთის ომი რომ „მოვიგეთ", ამან დაიკავა.** ომი მიდიოდა, დედაქალაქში რომ კონცერტი გავმართეთ და ვზეიმობდით — დავრბოდით მანქანებით, დროშებით, ცოცხალი ჯაჭვიც გავაკეთეთ, ომიც რუსებს დაუწყიათ, ჩვენ მოგვიგია და ათასგვარი სისულელე... შემდეგ ტალიავინის დასკვნა დაიდო, სადაც თეთრზე შავით ეწერა, რომ ომის ინიციატორი საქართველო იყო, მაგრამ თურმე ცუდად გაგვიგია და სიცრუე ყოფილა. მოკლედ, პრეზიდენტი სააკაშვილი თავისი დამქაშებიანად ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრას განაგრძობს და კვლავ „აჯერებს", რომ ომმა საქართველოს უფრო არგო, ვიდრე რუსეთს. ყველაზე დიდი ტყუილი კი ის არის, ამ ტყუილთან ერთად, რომ ხალხს იმედი მისცეს, ამერიკა ჩვენთვის იბრძოლებსო.

**კორუფციასთან ბრძოლა საქართველოს ხელისუფლებამ „მიზნად დაისახა". დღეს ამით თავს იწონებენ, კორუფცია აღმოიფხვრაო, რეალურად კი კორუფცია ხელმისაწვდომი სწორედ მაღალი თანამდებობის პირებისთვისაა. ამიტომ ამ სიცრუემ ჩვენს ათეულში მეშვიდე პოზიცია დაიკავა.**

**მერვე ადგილი საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების დაპირებას მივაკუთვნეთ.** სააკაშვილმა ნატოში გაწევრიანება გაპრეზიდენტებამდე პრიორიტეტად დაისახა, მაგრამ გაწევრიანების ნაცვლად იმდენი „მოახერხა", რომ მოსახლეობის დამოკიდებულება ნატოსადმი უარყოფითისკენ შეცვალა. საქართველო ნატოში რომ კიდევ დიდხანს ვერ შევა, ყველამ კარგად ვიცით. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს ვინ ჩივის, „მოდელირებული ქრონიკის" გაშვების შემდეგ, ევროპისა და მსოფლიოს წამყვანმა მედიასაშუალებებმა გარკვევით თქვეს, რომ საქართველო ევროპის საიმედო პარტნიორი ვერ იქნება. ასე რომ, სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადაში, ნატოში გაწევრიანებაზე მხოლოდ ოცნება შეუძლია მათ, ვისაც ეს უნდა.

**მეცხრე ადგილზე საქართველოში „სიღარიბის დაძლევის პროგრამა" გამაგრდა.** ალბათ, ყველას გახსოვთ, როდესაც სააკაშვილი მეორე ვადით იყრიდა კენჭს, მოსახლეობას 50-დღიანი სიღარიბის დაძლევის გეგმა წარუდგინა და დიდი ამბით დაჰპირდა, 50 დღეში აგაყვავებთო... ჩვენი მოსახლეობის 80% დღესაც სიღარიბეს ებრძვის. სამაგიეროდ, ჯიბე და საბანკო ანგარიშები ამ სიღარიბის პროგრამაზე მომუშავე ადამიანებს უსქელდებათ.

**მეათე ადგილზეა „საქართველო — დემოკრატიის შუქურა".** რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, მარტო ამის გამო ძნელია, რომ ამ უბედურ ქვეყანას დემოკრატიული სახელმწიფო უწოდო. ქვეყანა, სადაც სასამართლო დამოუკიდებელი არ არის, მასმედიის საშუალებებს აკონტროლებს სახელმწიფო, პოლიცია მართავს ქვეყნის თითქმის ყველა სტრუქტურას, გისმენენ ტელეფონზე და ა. შ.

**ეს სააკაშვილის ტყუილების მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია, სიმართლის ათეულის გაკეთება უფრო გაგვიჭირდება.** ყველას კარგად გვახსოვს, ჩამოვიდა თუ არა საქართველოში, ოპოზიციური პარტია დააფუძნა და იმ გუნდში „ჩადგა", სადაც შს მინისტრი შოთა კვირაია იყო. ეს სწორედ ის მიშაა, რომელიც გადატრიალების მამას, შევარდნაძეს, „დემოკრატიის პასპორტს" ეძახდა და კახა თარგამაძეს მადლობას უხდიდა სამართლიანად ჩატარებული არჩევნებისათვის. ეს ის მიშა სააკაშვილი არ არის, რომლის „მოქკავშირში" ყოფნის დროსაც დაიჭირეს გურამ აბსნაძე და მისი თანამოაზრეები? ეს ის მიშა სააკაშვილი არ არის, რომლის გუნდში დღემდე ე. წ. სახელმწიფო საბჭოს წევრი კოტე გაბაშვილია? ამის ფონზე ძნელია, რამე დაუჯერო სააკაშვილს.

„შავ" ლექსს წავაწყდი ინტერნეტში:

**„მიშა მეგონა ფრთოსანი,**
**მაგრამ შემრჩა**
**კრუხი-ბულბულოსანი,**
**ამხანაგი სააკოვი,**
**ანუ მელიის ორდენოსანი"...**

**სააკაშვილის ათი ყველაზე დიდი ტყუილი:**

1. სააკაშვილმა არაფერი იცოდა „მოდელირებული ქრონიკის" შესახებ;
2. 2008 წელს, ყველა დევნილი სახლში დაბრუნდება;
3. ჩემი პრეზიდენტობის მეორე ვადაში დაგიბრუნებთ აფხაზეთსა და ოსეთს;
4. საქართველო ყველაზე ევროპული ქვეყანაა მთელს ამიერკავკასიაში;
5. საქართველოში ბიზნესის კეთება ყველაზე ადვილია;
6. ომი რუსეთმა დაიწყო და ჩვენ მოვუგეთ;
7. საქართველოში კორუფცია აღმოიფხვრა;
8. მისი პრეზიდენტობის ვადაში საქართველო გაწევრიანდება ნატოში;
9. შექმნეს ე.წ. „სიღარიბის დაძლევის პროგრამა";
10. საქართველო — „დემოკრატიის შუქურა".

მაგდა კლდიაშვილი

## მოკლედ




### ჩინეთი სანქციებს აგვიანებს

მიუხედავად მკაცრი მუქარისა, თუ ტაივანს იარაღს მიჰყიდი, ამერიკული კომპანიების წინააღმდეგ სანქციებს დავაწესებო, ჩინეთს აშშ-სთან მიმართებაში მსგავსი ზომები ჯერ არ გაუტარებია. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები ამაყად აცხადებენ, რომ ჩინეთის მუქარას მათ პრეზიდენტზე სათანადო ეფექტი არ მოუხდენია. თავად ბარაკ ობამას აზრით კი, ჩინელი პოლიტიკოსები ასე ადრეც იმუქრებოდნენ. შეგახსენებთ, რომ ტაივანისთვის იარაღის მიყიდვის გამო ჩინეთმა აშშ-სთან სამხედრო თანამშრომლობა შეწყვიტა.



### არავითარი მეგობრობა

ირანის ხელმძღვანელმა აიათოლა ალი ჰამენენმა აშშ-ის პრეზიდენტის მიერ ერთი წლის წინ გამოთქმულ ურთიერთობის ნორმალიზების სურვილს ცარიელი სიტყვები უწოდა. „ჩვენ არ ჩამოვართმევთ ეგრეთ წოდებულ მეგობრობის ხელს მას, ვინც ამ ხელის გამოწვდენასთან ერთად ჯიბეში დანას მალავს", — განაცხადა მან ირანის კალენდრის მიხედვით 1389 წლის დადგომასთან დაკავშირებული გამოსვლისას. ჰამენეის მტკიცებით, თეირანში ეროვნული განხეთქილებისა და სამოქალაქო ომის პროვოცირებისათვის აშშ-მა აგენტები გაგზავნა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**ეკლესია ქრისტეს სხეულია, რომლის უმთავრესი დანიშნულება ადამიანის სულიერ და ზნეობრივ ჩამოყალიბებაზე ზრუნვაა, თუმცა საუკუნეების განმავლობაში დედაეკლესია ერის გამაერთიანებელი ძარღვი იყო და მას განსაკუთრებული ადგილი ეკავა საქართველოს ისტორიაში. სამწუხაროდ, ცალკეული ადამიანები მიიჩნევენ, რომ 21-ე საუკუნეში ეკლესია არ უნდა ერეოდეს ქვეყნის ცხოვრებაში. არის თუ არა ზღვარი სასულიერო და საერო მოვალეობებს შორის და რა დოზით უნდა ჩაერთოს ეკლესია ქვეყნის ცხოვრებაში, გვესაუბრება წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი საბა ბიკაშვილი.**

### მამა საბა ბიკაშვილი:

# ეკლესიას ერის სულიერ აღორძინებაში გადამწყვეტი როლი აკისრია

**— მორწმუნენი ყოველდღიურად დილის ლოცვებში ამბობენ მრწამსს, რომლის მეცხრე წევრი ასე იკითხება: „ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.“ მამაო, იქნებ განგვიმარტოთ ამ ფრაზის არსი და მნიშვნელობა?**

— ვინც არაეკლესიურია, შეიძლება მრწამსის ეს წევრი არასწორად გაიგოს და მართლაც, რელიგიაში გაუთვითცნობიერებელ ადამიანებს ხშირად უკითხავთ ჩემთვის, რომ ჩვენ კათოლიკეები არ ვართ და რას ნიშნავს მრწამსში მოხსენიებული სიტყვა „კათოლიკე“? კათოლიკე კათოლიკობას არ აღნიშნავს. როცა ითქმება, „ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“, ერთიანი, საყოველთაო, მსოფლიო ეკლესია იგულისხმება. მრავალი ამბობს, რუსული მართლმადიდებლური ეკლესია ან ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია, ან რუმინეთის და ა.შ. ესეც არაა სწორი გამოთქმა, იმიტომ, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ერთიანი სამოციქულო ეკლესიაა, ანუ ყველა მართლმადიდებლები: ქართველები, რუსები, ბერძნები ერთიანი საყოველთაო ეკლესიის წევრები ვართ და არა სხვადასხვა მიმდინარეობის ან სწავლების წარმოადგენლები. ერთი სწავლების, ერთი კათოლიკე ეკლესიის წევრები, მაგრამ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ეკლესია შეიძლება იყოს ტრადიციული. ტრადიციაში ადათ-წესები იგულისხმება. ავიღოთ თუნდაც ქართული ეკლესია, რომელშიც ჩვენი ეროვნული გენეტიკიდან, მენტალობიდან, მსოფლმხედველობიდან და სულიდან შემოსული ტრადიციები დამკვიდრდა და ეს აისახა ხუროთმოძღვრებაში, ხატწერაში, გალობაში. ქართული გალობა სამხმიანია და განსხვავდება ბერძნულისგან, რომელიც მონოტონური და ერთხმიანია (ყველა პირველ ხმაში გალობს). ასეთივე განსხვავებაა ქართულ და რუსულ საეკლესიო ტრადიციებში. რაც შეეხება მრწამსს, დოგმატებს, ჩვენ მართლმადიდებლები ვართ, ერთ საყოველთაო კათოლიკე სამოციქულო ეკლესიას ვეკუთვნით და, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, განსხვავებული დოგმატები და საეკლესიო სწავლებები გვქონდეს. ისინი უკვე კანონად იქცა და მისი შეცვლა გამორიცხულია. ის, რომ ცალკეულ საკითხებთან მიმართებაში ქართულ ეკლესიას რუსული ეკლესიისგან განსხვავებული აზრი აქვს, სხვა თემაა, მაგრამ, რაც შეეხება კანონებსა და დოგმატებს, ისინი უცვლელია.

**— რთულ პერიოდში გვიწევს ცხოვრება, მხოლოდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიდუხჭირეს არ ვგულისხმობ. ხდება ეროვნული და სულიერი ფასეულობების გაღარიბება-გაუბრალოება. ასეთ დროს რა როლი აკისრია ეკლესიას, რა დანიშნულება აქვს მას?**

— საქართველოს ისტორია იმის ნათელი დასტურია, რომ ეკლესია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ყოველთვის უდიდეს როლს თამაშობდა. მას ერის სულიერ აღორძინებაში, წინსვლაში, მისი მსოფლმხედველობისა და ზნეობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი ფუნქცია ჰქონდა, იყო ერის გამაერთიანებელი და წინამძღოლი. იმედია, სანამ ეს ქვეყანა იქნება, ანუ მეორედ მოსვლამდე, ეკლესია ამ როლს ბრწყინვალედ შეასრულებს, რადგან მორწმუნე ადამიანი ეკლესიურად, ანუ სულიერად აზროვნებს. მისი ზრახვების, ქმედებისა და საერთოდ, ცხოვრების ამოსავალი წერტილი ყოველთვის ზნეობაა. აქედან გამომდინარე მის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი, მისი ცხოვრების წესი ხორციელი აზროვნებისაგან განსხვავებულია. არაერთი პიროვნება ამბობს, რომ ქრისტიანია, დადის ტაძარში, ანთებს სანთელს, კითხულობს ლოცვებს, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს ქრისტიანობასა და ეკლესიურობას. ჭეშმარიტი ქრისტიანი ეკლესიის ყველა საიდუმლოში უნდა მონაწილეობდეს, მადლით დადგენილი მღვდლობის საიდუმლოს გარდა. უდავოა, რომ ეკლესია ყოველთვის ძალიან დიდ როლს ასრულებდა ერის ცხოვრებაში, ქვეყნის აღორძინებასა და გამთლიანებაში და დღესაც ასრულებს. ჩვენ შეგვიძლია ამის უამრავი მაგალითი მოვიყვანოთ. საკმარისია, ადამიანმა ჩვენი ისტორიის სულ რამდენიმე ფურცელს გადახედოს და თვალნათლივ დაინახავს, რომ ეკლესიას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ის ყოველთვის მაგალითი იყო სულიერებისა, ზნეობისა, უბიწოებისა და წესიერებისა, ეკლესია შობდა ისეთ წმინდანებს, ერის ისეთ მოღვაწეებსა და წინამძღოლებს, რომლებმაც ოფლით, გარჯით, ხშირად სისხლისა და დიდი დანაკარგით ერი იმ სულიერ დანიშნულებამდე, მიზნამდე მიიყვანეს, რასაც სამშობლოს სიყვარული, საკუთარ ქვეყანაზე ზრუნვა და, პირველ რიგში, ადამიანის სულიერად და ზნეობრივად ჩამოყალიბება ჰქვია; არა ისეთ პიროვნებად, რომელიც მხოლოდ ხორციელი ზრახვებით ხელმძღვანელობს, რის გამოც ადამიანობას კარგავს და, მაპატიეთ, ცხოველს უფრო ემსგავსება, ვიდრე სულიერ და მოაზროვნე არსებას.

**— დღეს ხშირად საუბრობენ, რომ ეკლესიის დანიშნულება ადამიანთა სულებზე ზრუნვაა და ის ამ ჩარჩოებს არ უნდა სცილდებოდეს. მამა საბა, რამდენად შესაძლებელია, რომ ეკლესიამ შორიდან უყუროს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და, საერთოდ, 21-ე საუკუნეში არსებობს ერთგვარი ზღვარი სასულიერო და საერო მოვალეობებს შორის?**

— როგორ და რა დოზით უნდა ჩაერიოს ეკლესია საერო საქმეებში, ეს სხვა თემაა და



უფრო ვრცელ საუბარს მოითხოვს, მაგრამ შეიძლება ორიოდე სიტყვითაც ითქვას. კვლავ ისტორიის მაგალითს მოვიშველიებ. თუ გავიხსენებთ, თუნდაც X-XII საუკუნეების პერიოდს, როცა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა უმაღლეს დონეზე ავიდა და საეკლესიო და საერო ხელისუფლება ქვეყანას შეთანხმებულად განაგებდა, რა თქმა უნდა, ყველა ერთხმად ვაღიარებთ, რომ ჩვენი ქვეყნის მაშინდელი ცხოვრება დღევანდელისგან განსხვავებული იყო. საქართველო ფიზიკურადაც და სულიერადაც უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. მას სერიოზული მიღწევები და წარმატებები ჰქონდა. ეს ყველაფერი კი ქვეყნის კეთილდღეობაზე აისახებოდა. ეკლესიას ჰქონდა გარანტია, რომ საერო ხელისუფლება მის შიდა საქმიანობაში არ ჩაერეოდა, რაც საეკლესიო კანონიკით დაუშვებელია. იყო მომენტები, როდესაც საერო ხელისუფლება ეკლესიის საქმიანობაში ერეოდა. ისეთი წმიდა მეფეები გვყავდა, რომლებიც ამას აკეთებდნენ, მაგრამ ეს ისევ და ისევ ერის კეთილდღეობიდან გამომდინარე ხდებოდა. ეკლესია ღვთაებრივი, უზენაესი ინსტიტუტია, სადაც ადამიანი გადარჩება და ცხონდება. რა თქმა უნდა, ამაზე აღმატებული არაფერია, რადგან მისი ზნეობრივი და სულიერი ღირებულება ძალიან მაღალია, მაგრამ ამავე დროს ის ყოველთვის ერის სულიერად გამაერთიანებელ მთავარ ძალას წარმოადგენდა. ეკლესია, კარგი გაგებით, უნდა ერეოდეს თუნდაც განათლების საქმეში. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში რელიგია უნდა ისწავლებოდეს და ახალგაზრდებს სულიერი სწავლება გადაეცემოდეს. ეს უაცილებელია.

**— სამწუხაროდ, სკოლის პროგრამიდან რელიგიის სწავლება ამოღებულია.**

— ადამიანი მისი მოწოდებით, არსით არის რელიგიური, სხვანაირად არც შეიძლება იყოს და ამიტომ განათლების სისტემაში ეკლესიის ჩარევა მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რასაც ვერ ვიტყვით ეკლესიის პოლიტიკურ საქმიანობაში ჩარევაზე. ეკლესიის უპირველესი დანიშნულება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის სულიერი განვითარებაა. ეკლესია, სულიერი თვალსაზრისით, ზრუნავს მის შვილებზე, პრეზიდენტი იქნება ის, პოლიტიკოსი თუ სხვა ვინმე. ეკლესიას პოლიტიკურ საქმიანობაში ჩარევის უფლება არ აქვს.

**— მამაო, თქვენ ისტორიულ მაგალითებზე ისაუბრეთ და, იქნებ, დავით აღმაშენებლის და ჭყონდიდელის ურთიერთობა გაიხსენოთ, ეს, ალბათ, ყველაზე კარგი მაგალითია ერის საკეთილდღეოდ ეკლესიისა და სახელმწიფოს შეთანხმებული მოქმედებისა.**

— დავით აღმაშენებელმა დაშლილ-დანაწევრებული და განადგურებული სახელმწიფო ჩაიბარა და ქვეყნის აღორძინება პირველ რიგში საეკლესიო კრების მოიწვევით დაიწყო, ანუ მან უფრო დიდი მნიშვნელობა სულიერებას და ეკლესიას მიანიჭა. ის მიხვდა, რომ ეკლესიის აღირძინებით, მისი განწმენდა-გასუფთავებით ერის გამთლიანება იწყება. თუ ეკლესია დამცრობილ და დაკნინებულ მდგომარეობაშია, ეს ადამიანების სულიერ მდგომარეობაზეც და ქვეყანაზეც აისახება. ძლიერი ეკლესია, რომელიც კარგად და პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას, ქვეყანის წარმატების საწინდარია. ჭყონდიდელს რაც შეეხება, უნდა ითქვას, რომ, როგორც მასწავლებელი, როგორც აღმზრდელი მამა მარტო ჭყონდიდელი არ იყო დავითის მრჩეველი. იმ პერიოდში მოღვაწე უამრავი წმიდა ადამიანი, თუნდაც არსენ იყალთოელი იყო მისი დამრიგებელი. ისტორიაში დაფიქსირებულია, რომ დავით აღმაშენებელი არსენ იყალთოელის რჩევის გარეშე ერთ ნაბიჯს არ გადადგამდა. როცა დავით აღმაშენებელმა გელათის აკადემია დააარსა, მან უდიდესი განსწავლული პიროვნება იოანე პეტრიწი მოიწვია და ა.შ. იოანე პეტრიწი უცხოეთიდან ჩამოვიდა და აქ დაიწყო მოღვაწეობა. დავით აღმაშენებელმა თავი მოუყარა იმ ადამიანებს, რომლებსაც უნდა ეზრუნათ ერის სულიერ და ფიზიკურ გადარჩენაზე, მის გამთლიანებაზე. ყველა საკითხს, რომელიც სულიერ და ზნეობრივ დარიგებასა და რჩევას საჭიროებდა, მეფე სასულიერო პირებს უთანხმებდა და მათ აზრს ითვალისწინებდა.

**— ხშირად საუბრობენ გლობალიზაციით გამოწვეულ უარყოფით შედეგებზე, ჩვენისთანა პატარა ერისთვის რა საფრთხეებს შეიცავს ის?**

— გლობალიზაცია და პროგრესი ბოროტებას სულაც არ წარმოადგენს, თუმცა ამას როგორ გამოვიყენებთ ცხოვრებაში, სხვა საქმეა. მსოფლიო ისტორიასა და ქრისტიანობის შემოსვლის პირველ საუკუნეებს თუ გავიხსენებთ, აღმოვაჩენთ, რომ VII-VIII საუკუნეებამდე და მერეც იყო პერიოდები, როდესაც ქრისტეს მოძღვრება იდევნებოდა. მხოლოდ და მხოლოდ ქრისტეს აღიარებისთვის და პირჯვრის გადაწერისთვის ადამიანებს საპყრობილეებში სვამდნენ, ხოცავდნენ, ჯვარზე აკრავდნენ და ა.შ. იმ წლებმა, იმ საუკუნეებმა უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ეს შეიძლება ხორციელი თვალით ცუდი დრო იყო, მაგრამ სულიერი თვალსაზრისით კარგიც იყო, რადგან მრავალი ქრისტეს მხედარი შეემატა წმინდანთა დასს. დღეს ეს გვეამაყება, მათი მადლით ვხელმძღვანელობთ და ვცხოვრობთ. ამჟამად, როდესაც ადამიანი თავისუფალია, აღმსარებლობას არავინ უკრძალავს, ტაძართან პირჯვარს გადაიწერს და ამისთვის არავინ აპატიმრებს, ამაში ცუდი არაფერია, თუმცა გლობალიზაცია და პროგრესი, მაპატიეთ და, აღვირახსნილ, უზნეო ცხოვრებასთან, მრუშობასთან არ უნდა გაიგივდეს. სულიერი ღირებულებები არასდროს არ ძველდება.

**— ჩვენს საშინაო საქმეებში სხვა ქვეყნები ერევიან, დონორი ორგანიზაციების რეკომენდაციებითა და მითითებებით გვიწევს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღება და არა — ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ამ კუთხით თუ შევხედავთ, ეს არ არის ის უარყოფითი შედეგი, რაც გლობალიზაციამ მოიტანა?**

— ამ კითხვით უფრო პოლიტიკურ ჭრილში გადავედით, მაგრამ სულიერი თვალით შევხედოთ და ვთქვათ, რომ ეს ჩვენივე უვიცობის, ულოცველობის, არაქრისტიანული ცხოვრებისა და არაბრძნული გადაწყვეტილებების ბრალია. ის, რომ დღეს სხვა ქვეყნები ერევიან ჩვენს საშინაო ცხოვრებაში, პირველ რიგში, ქართველებისავე მიზეზით ხდება.

**— გლობალიზაციის მოტანილი თავისუფლება ცრუ თავისუფლება ხომ არ არის; მართალია, ქრისტიანობა ღიად არ იდევნება, მაგრამ ცხოვრების ისეთი წესის პროპაგანდა მიდის, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი არაეკლესიურია.**

— გლობალიზაცია აქ არაფერ შუაშია. დღეს მრავალი ადამიანი დადის ტაძარში, აღმსარებელი და მაზიარებელია, თავს ქრისტიანად თვლის, მაგრამ მისი ყოფა, მისი ცხოვრება ნამდვილ ქრისტიანობას არ შეესაბამება. საკმარისია, ვინმემ უმნიშვნელო შეურაცხყოფა მიაყენოს, რომ უცებ გამოდის მდგომარეობიდან, ღიზიანდება, აღარ უყვარს მოყვასი და განიკითხავს მას. უფრო მეტიც, სამწუხაროდ, ადამიანები მოდის გამო დადიან ტაძარში. მეორე უკიდურესობაცაა, მატერიალური დოვლათისა და ამქვეყნიური სიკეთის სათხოვნელად ლოცულობენ. ისინი იმას კი არ სთხოვენ უფალს, რაც მათთვის აუცილებელია, არამედ იმას ითხოვენ, რაც მათ სჭირდებათ. მათ შორის ძალიან დიდი განსხვავებაა, ანუ ჩვენ უფალს ურცხვად შევთხოვთ კარგ მანქანას, სამსახურს, თანამდებობრივ დაწინაურებას, გვსურს, რომ ეს ყველაფერი მოგვაგოს, თუმცა ჩვენ ამისთვის ხელის განძრევა და შრომა გვეზარება. ებრაელი მეფე სოლომონ ბრძენი გავიხსენოთ. უფალმა უთხრა, რაც გინდა მთხოვე და ყველაფერს მიიღებო. მან მიუგო: „უფალო, სიბრძნე მომეცი.“ ღმერთმა სიბრძნეც მისცა და მატერიალური დოვლათიც. მისი მეფობის პერიოდში ებრაელთა სახელმწიფო ყველაზე წარმატებული იყო. უფალს სიბრძნე, მადლი და წყალობა უნდა შევთხოვოთ და, თუ საჭირო იქნება, ის მატერიალურ დოვლათსაც მოგვცემს.

**— მამაო, ჩვენ ეკლესიის როლზე ვიუსაუბრეთ. საინტერესოა, რა ბერკეტები გააჩნია მას, რომ გარკვეული გავლენა მოახდინოს ერის სწორი ორიენტირების ჩამოყალიბებაში?**

— ეკლესია ქადაგებს სიტყვით. სიტყვა თავად ღმერთია და ეს გადმოგვცემს სულის ცხონებას. სხვა ძალაუფლება ეკლესიას არ გააჩნია და არც არის საჭირო.

**— მამა საბა, გთხოვთ, ჩვენი გაზეთი დალოცოთ.**

— ღმერთმა დალოცოს თქვენი საქმიანობა, თქვენი გაზეთი, მისი მკითხველი. მასმედია ხალხის განსწავლას უნდა ემსახურებოდეს და ამას დიდი სიყვარულით აკეთებდეს.

გვერდი მოამზადა **ნათია ქადაგიშვილმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სელექციონერი გუბერნატორი, ანუ სად ერეკლე და სად... სტაბილიზატორი




**ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კირკიტაძე ბოლო პერიოდში აქტიურად ჩანს რუსთავის „ოლიმპთან“. გამოგონილი პენალტები, მიკერძოებული მსაჯობა, „სატელიტი“ გუნდების ყოლა, მსაჯების ცემა — ეს არასრული ჩამონათვალია იმ ქმედებებისა, კირკიტაძეს ხშირად რომ ადანაშაულებს გულშემატკივარი. დავით კირკიტაძის „გმირობებზე“ „საქართველო და მსოფლიო“ ხშირად აწვდიდა მკითხველს ინფორმაციას. მსაჯების ცემაში შემჩნეული კირკიტაძე კაჭახიძის ცემის ფაქტს კი უარყოფს, მაგრამ რამდენად სჯერა ხალხს გუბერნატორის „სიმართლისა“, თავად განსაჯეთ.**

**— ბოლო ორი წელია, აქტიურად დგახართ რუსთავის „ოლიმპთან“, ბრაზილიაშიც კი იყავით სელექციის მიზნით. სად სელექცია და სად გუბერნატორობა... რატომ მონაწილეობს სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მსგავს პროცესებში და კონკრეტულად რა ფუნქციები გაკისრიათ გუნდში?**

— ბრაზილიაში სელექციის მიზნით არ ჩავსულვარ. არანაირი ფუნქცია არ მაქვს გუნდში, ჩემი რეგიონის გუნდია და, ბუნებრივია, გამიხარდება მისი წარმატება, ისევე, როგორც — ბოლნისის „სიონის“.

**— თუმცა ფაქტია, რომ უბრალო გულშემატკივრები, ბრაზილიაში ვერ ჩადიან სელექციის მიზნით...**

— ისევე, როგორც ვერც ერთი უბრალო კლუბი ვერ მოახერხებდა „ატლეტიკო პარანაენსესთან“ დამეგობრებას, თუ არ იქნებოდა ხელისუფლების მხარდაჭერა. ბოდიშს ვუხდი კლუბის ხელმძღვანელობას, დამაარსებლებს, მაგრამ ბრაზილიელებისთვის „ოლიმპი“ დიდ ღირებულებასა და დიდ კლუბს არ წარმოადგენს. მათთვის, ვინც ჩვენ იქ მიგვიწვია, ქართულ სახელმწიფოსთან ურთიერთობა უფრო მნიშვნელოვანია. ბრაზილიაში ფეხბურთელების სელექციით ნამდვილად არ ვყოფილვართ დაკავებული.

**— არც თუ დიდი ხნის წინათ ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ეროვნულ ჩემპიონატს „გუბერნატორების ჩემპიონატი“ უწოდა. თქვენ ასოცირდებით „ოლიმპთან“, სანაკოევი — „სპარტაკთან“ და ა.შ. მაშინ, როდესაც ჩემპიონატის დასაწყისში აქტიურად საუბრობდნენ ფეხბურთიდან სახელმწიფოს წასვლაზე, რა გამოდის?**

— კი არ ვასოცირდებით, პირდაპირ გეუბნებით, რომ ჩემი რეგიონის გუნდებია და ვგულშემატკივრობ მათ, ისევე, როგორც, გოროზია — „ბაიას“ და იმერეთის გუბერნატორი — „ზესტაფონს“. შიდა ქართლის გუბერნატორს სულ მაგაზე ვეჩხუბები, რომ გორს კარგი გუნდი უნდა ჰყავდეს, ხოლო კახეთის გუბერნატორმა გურჯაანსა და თელავს უნდა მიხედოს.

**— თქვენ ხშირად გადანაშაულებენ საკუთარი ძალაუფლების კლუბის სასარგებლოდ გამოყენებაში, რაც, გულშემატკივრების აზრით, გამოიხატება იგივე „ოლიმპის“ სასარგებლოდ დანიშნულ პენალტებსა და მსაჯების მიერ ამ გუნდის სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებებში. რამდენად გამართლებულია სახელმწიფო მოხელის ამ პროცესებში უშუალო მონაწილეობა? გამოდის, რომ ძალაუფლებას კლუბის სასარგებლოდ იყენებთ...**

— ეს პენალტები მე ხომ არ დამინიშნავს? მე რა შუაში ვარ, თუ პენალტი დაიდო, მე დავდე პენალტი? ხალხი მადანაშაულებს? რა ვქნა, ავუკრძალო? ვერავის ავუკრძალავ ამაზე ლაპარაკს.

**— თქვენ ახსენეთ თქვენი რეგიონის მეორე გუნდი „სიონი“, რომელსაც ყველაზე ხშირად მოიხსენიებენ „ოლიმპის“ სატელიტ გუნდად. შედეგები კი ბევრ კითხვას ბადებს, ეს ხმებიც უსაფუძვლოა?**

— ერთ „საიდუმლოს“ გაგანდობთ, თუ როდის გამოვიყენე ჩემი ძალაუფლება და კიდევ გამოვიყენებ. სამივე თამაშში, რომლებიც „ოლიმპმა“ ბოლნისის „სიონის“ წინააღმდეგ ითამაშა, ორჯერ მეტი პრემია ჰქონდათ „სიონის“ ფეხბურთელებს. ეს მე ვთხოვე კლუბის პრეზიდენტს და ორჯერ მეტი მოტივაცია შევუქმენი ბოლნისის ფეხბურთელებს. **(აი, რა ჭეშმარიტი გულშემატკივარი ჰყავს ქართულ ფეხბურთს, ჩირქს როგორ სცხებთ, ხალხო, მის სახელს! — მ. კ.)** პირველ თამაშზე დახოცეს ერთმანეთი **(ეს თამაში სიონმა 3:0 წააგო — მ.კ.)** და ჩხუბი მწვრთნელებს შორისაც მოხდა გასახდელში. მეორე თამაშზე ბოლნისის ფეხბურთელებმა დაიფიცეს, რომ თავი შეაკლეს **(ეს თამაში კი 6:0 წააგეს ბოლნისელებმა, აი, ჭეშმარიტი ბრძოლის შედეგი... — მ.კ.),** ასევე იყო ბოლო თამაშიც. ძალიან ბევრი რამე ვიცი ფეხბურთის გუნდებთან დაკავშირებით, მაგრამ არ მინდა, ყველაფერი მოვყვე, მითუმეტეს, დადასტურებულად ვიცი და არა სხვებივით, — ჭორის დონეზე.

**— „სიონი“-„სპარტაკის“ დაპირისპირებაზე, სადაც ცხინვალის ფეხბურთელებმა მოიგეს, სადისციპლინო კომიტეტმა ე. წ. „სადამსჯელო ღონისძიებების“ შოუ მოაწყო. ამ თამაშის შედეგი მოულოდნელი არავისთვის ყოფილა. ჯერ კიდევ მეორე წრეში, როდესაც „ოლიმპი“ „სპარტაკთან“ სტუმრად აგებდა, გავრცელდა ხმები, რომ პირველი ტაიმის ბოლოს, თქვენ და სანაკოევი შეხვედით გასახდელში და „სპარტაკის“ ბიჭებს თამაშის დათმობა სთხოვეთ (ამაზე ვრცელი სტატია „საქართველო და მსოფლიოს“ №50-ში გამოქვეყნდა), სანაცვლოდ ისინი „სიონთან“ გარანტირებულ 6 ქულას მიიღებდნენ. „სპარტაკმა“ კი „სიონს“ პირველივე შეხვედრა მოუგო.**

— აი, ხატები, ხომ ხედავთ? აქ, ხატების წინ შემიძლია დავიფიცო, რომ არათუ „სპარტაკის“, არამედ „ოლიმპის“ გასახდელშიც კი არ შევსულვარ არასდროს, არც თამაშის მიმდინარეობისას და არც — შემდეგ. აქედან გამომდინარე, აბსურდია ეს საუბარი. გასახდელში მინიმუმ 14 ადამიანი ხომ უნდა იყოს? „სპარტაკის“ ბიჭებს შეეკითხეთ და, თუ ერთი მათგანი მაინც გეტყვით, რომ მე ოდესმე მათ გასახდელში ვყოფილვარ ან რაიმე მსგავსს ჰქონია ადგილი, ფეხბურთს კი არა, საერთოდ ჩემს ყველა თანამდებობას **(ნეტავ, რამდენი თანამდებობა აქვს ბატონ კირკიტაძეს? — მ. კ.)** დავტოვებ, რაც მაქვს. ახლა ინტერვიუს გაძლევთ, როგორც თანამდებობის პირი და არა როგორც საფეხბურთო ჩინოვნიკი. შარშანაც იყო ამაზე საუბარი, რომ ბოლნისის „სიონს“ არ სჭირდებოდა ქულები და „სპარტაკმა“ გაიმარჯვა. ხდება ასეთი რაღაცები და გამოძიებას ნამდვილად ვერ ჩავატარებდი. ნამდვილად ვიყავი გორში იმ თამაშზე. ძალიან ბევრი მაყურებელი იყო იქ, სხვათაშორის, ლიახვისხეველები იყვნენ, ლტოლვილები, ასევე ჟურნალისტები და შეგიძლიათ მათ ჰკითხოთ. **(ჟურნალისტებს კაჭახიძის ცემის კადრები წააშლევინეს და ისღა დაგვრჩენია, ლიახვისხეველები მოვძებნოთ... — მ. კ.).** ასევე, ლაპარაკობენ, რომ შარშან ბოლნისში, პირველი ტაიმის შემდეგ შევედი გასახდელში და „სიონის“ ფეხბურთელებს ვუთხარი, როგორ უგებთ „ვიტ ჯორჯიას“, რადგან წელს ჩემპიონები უნდა გახდნენო. ესეც ისეთივე სისულელეა, მაგრამ მესმის, რომ ამ ვერსიასაც აქვს არსებობის უფლება.

**— მაგრამ ეს კითხვები არსებობს და ამაზე გულშემატკივრები ლაპარაკობენ სხვადასხვა სპორტულ ფორუმებზე, სტადიონებზე...**

— ბოდიში, სიამოვნებით გავეცნობოდი ყველა ფორუმს, მაგრამ სამსახური არ მიტოვებს ამის დროს **(სამაგიეროდ, წყალს რომ მიჰქონდა მთელი საქართველო, „ოლიმპის“ დუბლების თამაშს კარგად დაესწრო და ფორმებიც კარგად დაურიგა ფეხბურთელებს! — მ. კ.).**

**— საუბრობდნენ რომ რამდენიმე ფეხბურთელი თქვენთან დაპირისპირების გამო ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა. იგივე მაჭავარიანი „დინამოსთან“ სათადარიგოთა სკამზე იჯდა და ამ ამბავთან თქვენს კავშირზე საფეხბურთო კულუარებში ბევრს საუბრობდნენ.**

— სასაცილოა ამაზე ლაპარაკი. როდესაც წყდებოდა, ამ თამაშზე რა შემადგენლობა უნდა დაეყენებინათ, დასავლეთში ვიყავი, ახალციხიდან **(?!)** მოვდიოდი. პირველი მარტი იყო, მწარედ დამამახსოვრდა, შევიარე გორში, სადაც „ვიტ ჯორჯია“ ზესტაფონს ეთამაშებოდა, ვუყურე ერთ ტაიმს და ძლივს ჩამოვუსწარი „ოლიმპის“ თამაშს. სტადიონზე მაშინ შევედი, როდესაც პირველი გოლი უკვე გატანილი ჰქონდა „დინამოს“.

**— „ოლიმპი“-„სპარტაკის“ დაპირისპირების შემდეგ სტადიონზე დიდი შეხლა-შემოხლა გაიმართა, ტელევიზიით აჩვენეს კიდეც კადრები, რომ თქვენ ფიზიკურად შეეხეთ კაჭახიძეს. არ იყო ეს დანაშაული?**

— მანახეთ, თუნდაც ერთი კადრი, მე რომ კაჭახიძეს ფიზიკურად შევეხე (**დაინტერესებულმა პირებმა კარგად იციან, რომ ამ შემთხვევის ამსახველი კადრები წაშლილია — მ. კ.**). ამირან კაჭახიძესთან არასასიამოვნო საუბარი მქონდა, ეს არ ეხებოდა ერთ კონკრეტულ მატჩს და ამ საუბარს ბევრი ადამიანი ესწრებოდა. ეს თემა ამოწურულია. მსაჯისთვის იქ ხელი არავის დაუკარებია. ჰკითხეთ თავად მსაჯებს **(კაჭახიძეს რა უნდა ვკითხოთ, როდესაც მან მოგვიანებით საერთოდ უარყო ცემის ფაქტი, როგორც ითქვა, დაუშინებიათ... — მ.კ.**). როცა მატჩს ესწრება მსაჯთა დამკვირვებელი, მაშინ ასე არ მსაჯობენ ხოლმე, თუ სხვა რამ არ ხდება. აქედან გამომდინარე იყო კაჭახიძესთან ის არასასიამოვნო ინციდენტი.

**— შეხლა-შემოხლა რომ იყო მატჩის ბოლოს, ეს ნამდვილად დადასტურებული ფაქტია. ზოგადად, ამ ცემებისა და გარჩევების ფაქტს როგორ აფასებთ, მაშინ, როდესაც აქტიურად ვსაუბრობთ იმაზე, რომ ასეთი შემთხვევები სათანადოდ და მკაცრად უნდა შეფასდეს.**

— მსაჯზე თავდასხმა ყველგან ხდება, ხდება უარესიც — თქვენ არ გინახავთ, ალბათ, როგორ გამოდიან გუნდები საბერძნეთის ან თუნდაც რუსეთის ჩემპიონატიდან სპეცდანიშნულების რაზმების თანხლებით. ეს ფეხბურთია! ჩვენი ფეხბურთის პრობლემა სწორედ ესაა — ემოცია აკლია. ფეხბურთი კონტაქტური სპორტია, უნდა იყოს ასეთი ფაქტებიც, ჩოგბურთი ხომ არაა, აბა?

**— ანუ თქვენ მიესალმებით ასეთ ფაქტებს?**

— არა, რა თქმა უნდა, დასაგმობია ნამდვილად და ფინანსური სანქციებიც უნდა შემოვიღოთ.

ესაუბრა
**მაგდა კლდიაშვილი**


გუბერნატორი მსაჯებს მითითებებს აძლევს

**P.S. უნდა დავეთანხმოთ ბატონ დავით კირკიტაძეს, ძალადობა ნამდვილად დასაგმობია, რაც შეეხება დასჯას, იქნებ, თავად გუბერნატორიდან დაგვეწყო?
საუბრის დასასრულს, როდესაც დიქტოფონი გამოვრთე, ბატონმა კირკიტაძემ მითხრა, მე რომ იმერეთის გუბერნატორი ვიყო, ქუთაისის „ტორპედო“ თამაშს არ წააგებდაო.
როგორ არ წააგებდა თამაშს „ტორპედო“ და „ტრადიციულად“ როგორ „შეაშველებდა“ ხელს ბატონი გუბერნატორი, ეს ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. მე კი პირდაპირ ვუთხარი მას, რომ არც მისი გუნდი „აგებდა“ თამაშებს...**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ავღანური დოზა

**თებერვალში ფართომასშტაბიანი სამხედრო შეტევისას აშშ-ის სამხედრო ქვეითებმა ავღანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მარჟაში ოპიუმის ბაზარზე 700 კილოგრამი ოპიუმი და 25 კილოგრამი ჰეროინი აღმოაჩინეს. მსოფლიოს ნებისმიერ სხვა წერტილში ეს ნარკოტიკების უმსხვილეს პარტიად ჩაითვლებოდა, მაგრამ არა — ავღანეთში.**



შარშან იმავე ბაზარზე ნადავლი ტონებში განისაზღვრებოდა, მაგრამ წელს მეტს არ ელოდნენ. მშვიდობიან მოსახლეობაში დანაკარგების მინიმალიზაციისთვის აშშ-ისა და ნატოს ძალების სარდალმა, გენერალმა სტენლი მაკკრისტალმა მოსალოდნელი ოპერაციის თაობაზე გაფრთხილებები ერთი კვირით ადრე დაიწყო. ნარკომოვაჭრეები და მათი მფარველი თალიბები ოპერაცია **მოშტარაკის** (ერთად) დაწყებამდე კარგა ხნით ადრე გაქრნენ რაიონიდან.

**მარჯა** 17 ათას ჰექტარ ყაყაჩოს პლანტაციებში გაბნეული რამდენიმე სოფელია, მაგრამ შარშანდლამდე ის რამდენიმე საერთაშორისო ნარკოკარტელის სატრანზიტო კვანძი იყო. გაერო თვლის, რომ მარჯა ოპიუმის წარმოების მსოფლიო ცენტრია. ამიტომ, მოშტარაკი მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით კი არა, ანტინარკოტიკული ღონისძიებების მხრივაც უმნიშვნელოვანესი ოპერაცია იყო. ამით გაცხადდა, რომ თეთრი სახლი და პენტაგონი თალიბებს ნარკოფინანსირების გზებს გადაუკეტავენ.

ეს ყველაფერი ბუშის ადმინისტრაციის მიერ ყაყაჩოს პლანტაციების განადგურების პერიოდული მცდელობების ანტინარკოტიკული სტრატეგიის ნარჩენებია. **ერაყში ომის დაწყების შემდეგ ამერიკელმა ჩინოვნიკებმა განაცხადეს, რომ რესურსები არ ჰყოფნით, რათა ავღანეთში თალიბებსაც ებრძოლონ და ნარკოტიკებსაც. გარდა ამისა, ავღანეთის საველე მეთაურებიდან, ვისაც აშშ თალიბებთან და „ალ-ქაიდასთან“ საბრძოლველად იყენებდა, ბევრი თავად იყო ჩაფლული ნარკოვაჭრობაში. ობამას ადმინისტრაცია კი პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაის პარტნიორების მიმართაც მკაცრი და დაუნდობელია.**

მაგრამ მარჟამ აჩვენა, რატომაა ასე რთული თალიბებისა და მათი ნარკოდოლარების გამიჯვნა. ნარკოკარტელები თავიანთი მარაგიანად გაიძურწნენ და ჰეროინის წარმოების ლაბორატორიების აღჭურვილობაც თან წაიღეს. ახლა ნატო, ნარკოტიკებთან ბრძოლის ექსპერტები და ავღანეთის მინისტრთა კაბინეტი ვეღარ თანხმდებიან, რა ქნან მომავალში.

ოპიუმით ვაჭრობა სამხრეთ ავღანეთის ეკონომიკაში მჭიდროდაა ჩაქსოვილი. მარჯაში ნარკოკარტელებს თალიბები იცავდნენ და მათგან მილიონებს იღებდნენ, მაგრამ ადგილობრივი 70 ათასი ფერმერი და მათი ოჯახები ყაყაჩოს მოყვანით საზრდოობდნენ, ის ქმნიდა სამუშაო ადგილებს გლეხებისთვის და ქრთამის პირობას ჩინოვნიკებისათვის.

**როგორ უნდა გათავისუფლდეს ავღანეთი ამ დამოკიდებულებისგან? დასავლელი და ავღანელი ექსპერტების გარკვეული ნაწილი ამბობს, რომ ყველა პლანტაცია ერთბაშად უნდა განადგურდეს და ფერმერები იძულებულნი უნდა გახდნენ, სხვა რამე დათესონ. ადგილობრივი ფერმერები კი ამბობენ, რომ თუ მათ მრავალწლიან ნაშრომს ხელისუფლება გაანადგურებს, ხალხი კვლავ არსდგება ამ ხელისუფლების წინააღმდეგ.**

**სამხედროები თვლიან, რომ წლევანდელი მოსავალი ფერმერებისაგან უნდა გამოისყიდონ და დაარწმუნონ ისინი, რომ მომავალ წელს სხვა რამე დათესონ. ნარკოტიკებთან მებრძოლი ჩინოვნიკები ამ წინადადებას არ ეთანხმებიან, რადგან, მათი აზრით, ფერმერებისთვის ფულის გადახდა დანაშაულისთვის დასაჩუქრების ტოლფასი იქნება და ჩრდილო ავღანეთის რაიონებზე მიანიშნებენ, სადაც ყაყაჩოს პლანტაციები ყოველგვარი აჯანყებების გარეშე მოსპეს პროვინციულმა ანტინარკოტიკულმა ჯგუფებმა.**

როგორც კი სამხედროები და სპეციალისტები მორიგდებიან, რა უყონ წლევანდელ მოსავალს, უმალ გაუჩნდებათ ახალი პრობლემა — როგორ დაარწმუნონ ფერმერები, რომ ამის შემდეგ ყაყაჩოს ადგილას რაიმე სხვა დათესონ. ქაბულის ჩინოვნიკები უკანასკნელად 2008 წელს ცდილობდნენ, მარჟელი ფერმერები ხორბლის თესვაზე დაეთანხმებინათ, მაგრამ უარი მიიღეს იმ მოტივით, რომ ოპიუმი გაცილებით შემოსავლიანად ითვლება. სინამდვილეში იმ წელს მეტი შემოსავალი მიიღო იმან, ვინც ხორბალი დათესა. ოპიუმი, მართალია, ძვირი ღირს, მაგრამ მისი მოყვანა და კრეფაც დიდ რესურსსა და დიდ ხარჯებს მოითხოვს. მას შემდეგ ხორბალზე ფასი და შესაბამისად ჩინოვნიკების იმედებიც იზრდება, მაგრამ როგორ უნდა დაარწმუნონ ფერმერები, რომ პროვინციაში აღარ გამოჩნდებიან თალიბები და არ დასჯიან მათ ამერიკელებთან თანამშრომლობისთვის? მარჟას ახალი ადმინისტრაციის ხელმძღვანელ აბდულ ზაჰირ არიანს საამისო რეპუტაცია ნამდვილად არ აქვს. ის 1989 წელს წავიდა გერმანიაში, სადაც უამრავ სასტუმროსა და სამრეცხაოში მუშაობდა, თავისი გერის მკვლელობის მცდელობისთვის კი ოთხი წელი ციხეში გაატარა.

ზაჰირი ირწმუნება, რომ მარჟას „70%-ით აკონტროლებს“, მაგრამ ღამით შენიღბული თალიბები მოსახლეობას სახლში უვარდებიან და ხელისუფლებასთან თანამშრომლობისთვის თავის მოკვეთით ემუქრებიან. მათ სჭირდებათ, რომ ფერმერებმა კვლავ ყაყაჩო თესონ. ექსპერტების ინფორმაციით, **გასულ წელს თალიბებმა ნარკოვაჭრობიდან 300 მილიონამდე დოლარი მიიღეს. ავღანელი ჩინოვნიკები ამბობენ, რომ ეს თანხა 100 მილიონს არ აღემატებოდა, მაგრამ ასეც რომ იყოს, ამბოხის ერთი წლით გაგრძელებისათვის სავსებით საკმარისია.**

სანამ რეგიონში ნატოს ჯარები დგას, ნარკომოვაჭრეები იქაურობას გაერიდნენ, მაგრამ, როგორც თალიბებისა და ვაჭრების ნარკოკავშირების ექსპერტი გრეტჩენ პიტერსი ამბობს, **„ნარკოტიკებთან ბრძოლა და ამბოხის საწინააღმდეგო ოპერაციები ბუზის მოკვლის მცდელობას ჰგავს, როგორც კი ერთ ადგილას არტყამ, ის მაშინვე ჩნდება სხვაგან“.** წავლენ ნატოს ჯარები და დაბრუნდებიან ნარკობარონები. ამ ზაფხულს მაკკრისტალი თალიბების სხვა დასაყრდენ პუნქტებზე გადაერთვება და იძულებული იქნება, მარჟა ავღანეთის უშიშროების ძალების დაცვის ქვეშ დატოვოს. წარსულში ნარკობარონებმა არა ერთხელ გამოიყენეს მსგავსი სიტუაციები იმისათვის, რომ ნარკოვაჭრობის მფარველობის მხრივ თალიბების ფუნქციების შემსრულებელ ავღანელ ჩინოვნიკებთან ალიანსები შეეკრათ. ადგილობრივ ფერმერებს ეს უკვე უნახავთ. **ნატოს სარდლობა ირწმუნება, რომ თვალყურს ადევნებს მექრთამეობას და გააკონტროლებს ქაბულის მიერ კორუმპირებული ჩინოვნიკების სამაგალითოდ დასჯას. მაგრამ თავად ქაბულში გამეფებულ კორუფციას ვინ გააკონტროლებს, ეს ჯერჯერობით უცნობია.** ასე რომ, მარჟას ნათელი მომავალი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება.

ადრე თუ გვიან თალიბებიც დაბრუნდებიან. მარჟა დიდი ნადავლია, მასზე უარს ასე ადვილად არავინ იტყვის. ნარკომოვაჭრეებისაგან განსხვავებით, ისინი მაკკრისტალის ჯარისაგან დასამალად შორს არც წასულან. სადაც არ უნდა იყვნენ, მეამბოხეები თვალყურს ადევნებენ ყაყაჩოს მოსავალს და, როგორც კი მინდვრები ამწვანდება, ისინი დაბრუნდებიან. მარჟისთვის ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა.

**ტიმ მაკგერკი**
„Time“ (www.time.com)

# აშშ-ჩინეთი: მომავალი ომის რუკა

**თეთრ სახლში ბარაკ ობამას მოსვლამ ამერიკულ-ჩინური პარტნიორობა მსოფლიო პოლიტიკის მთავარ თემად აქცია. ფართოდ გავრცელდა ორი ზესახელმწიფოს სიმბიოზის კონცეფციები — „CHIMERICA“ და „დიდი ორიანი“. ნოემბერში ობამა ჩინეთს ეწვია და პეკინს შესთავაზა, მსოფლიოს ბედზე პასუხისმგებლობის არაფორმალური ტვირთი მასთან ერთად ზიდოს, მაგრამ პასუხად აგრძნობინეს, რომ საკუთარი ტემპით წინსვლა ურჩევნიათ. ამ პასუხმა ამერიკა დააბნია, დასავლეთის პოლიტიკური ელიტა კი მიახვედრა, რომ ჩინეთმა აშშ თითქმის უკვე დაამარცხა გლობალურ დაპირისპირებაში.**

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ტერმინ „Chimerica“-ს ავტორმა ნაიალ ფერგიუსონმა „Los Angeles Times“-ში გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ამერიკა — მსხვრევადი იმპერია“, რომელშიც ავტორი მსჯელობს არა იმაზე, ელის თუ არა ამერიკას აღსასრული, არამედ იმაზე, თუ რამდენად სწრაფი იქნება ეს პროცესი. **„2027 წლისათვის ჩინეთის შიდა პროდუქტი აშშ-ისას გადააჭარბებს არა ამერიკული სტაგნაციის, არამედ ჩინური ეკონომიკის ულმერთო ზრდის გამო“,** — წერს ფერგიუსონი. მაგრამ საშიში ის კი არაა, რომ ჩინეთი ძალიან მალე ეკონომიკური სიმძლავრით უკან ჩამოიტოვებს ამერიკას, არამედ ის, რომ ეს ოდნავაც არაა დამოკიდებული ამერიკაზე. დამოკიდებულია მხოლოდ ჩინეთზე, რომელსაც სულაც არ აინტერესებს აშშ-ისგან მიღებული შეთავაზებები და მხოლოდ საკუთარი გეგმით მოქმედებს.

ფერგიუსონი ეკონომიკის დარგში ნობელის ლაურეატ რობერტ ფოგელთან შედარებით გამოუსწორებელი ოპტიმისტია. ეს უკანასკნელი ჟურნალ „Foreign Policy“-ს ფურცლებზე წერს, რომ **2040 წელს ჩინეთის ეკონომიკა ამერიკისაზე სამჯერ მეტი იქნება. და თუ დღეს ჩინეთში ერთ სულ მოსახლეზე საერთო შიდა პროდუქტი ხუთჯერ ნაკლებია, ვიდრე ევროკავშირში, თანამედროვე ევროპელთა უმრავლესობა სიცოცხლეშივე იხილავს რეალობას, როდესაც საშუალოსტატისტიკური ჩინელი საშუალოსტატისტიკურ ევროპელზე ორჯერ მდიდარი იქნება.**

იმავე ფერგიუსონის თქმით, მსგავსი ფაქტები **„თავისთავად ვერ შეარყევენ ამერიკის ძლიერებას, მაგრამ მათ შეუძლიათ, შეარყიონ ხანგრძლივი რწმენა იმისა, რომ აშშ-ს ნებისმიერი კრიზისის დაძლევა შეუძლია“.**

ჩინეთის ინდუსტრიული ეკონომიკა მატერიალურ აქტივებსა და საწარმოო სიმძლავრეებს ეფუძნება, შტატების პოსტინდუსტრიული ეკონომიკა კი თავისი უზომოდ გაბერილი ფინანსური სექტორით პირდაპირაა დამოკიდებული ამერიკული ძლიერებისადმი აბსტრაქტულ რწმენაზე. ამასთანავე **ჩინეთი მსოფლიოს მთავარი კრედიტორია, აშშ კი — მსოფლიოს მთავარი მოვალე.**

აშშ-ში არანაკლებ შეშფოთებას იწვევს ისიც, რომ უკვე გავიდა კეთილდღეობის ის ოცწლეული, რომლის დროსაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შტატები მსოფლიოში ერთადერთი ზესახელმწიფოს სტატუსით სარგებლობდა, მსოფლიოს ყველა კუთხეში საკუთარი ინტერესები და ამ ინტერესების რეალიზების ბერკეტები ჰქონდა. **ახლა ჩინეთი არა მხოლოდ მთავარი კრედიტორი, არამედ მსოფლიოს მთავარი მწარმოებელი და ექსპორტიორიცაა.**

ახლა ჩინეთს ყველგან აქვს ინტერესი, უცხო ბაზრებზე შეძრომისა და იქ წამყვანი პოზიციების დაკავების მისეული სტრატეგია კი ამერიკულზე ბევრად ეფექტურია. განვითარებულ ქვეყნებში ამერიკელები დაკავებულნი არიან ბიზნესით, მცირე ქველმოქმედებით და, ძირითადად, პოლიტიკით. ჩინელებს კი მხოლოდ ბიზნესი და ქველმოქმედება აინტერესებთ. შედეგად, 90-იანი წლებიდან მოყოლებული ამერიკული გავლენის უალტერნატივობით გადაქანცული განვითარებადი ქვეყნები სიხარულით ემხრობიან ჩინეთს.

დასავლეთ ნახევარსფეროში პეკინის ეკონომიკურმა ექსპანსიამ უპრეცენდენტო მასშტაბებს მიაღწია. **თებერვალში ჩინეთმა პირველად გაუსწრო აშშ-ს საუდის არაბეთიდან ნავთობის ექსპორტის მხრივ.** ამერიკა საუდელი შეიხებისთვის მთავარი კლიენტი და ნავთობდოლარების მთავარი წყარო აღარაა; არადა, ათწლეულის მანძილზე სწორედ ეს იყო ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში აშშ-ის დომინირების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი. სამაგიეროდ, ახლო აღმოსავლეთში პოზიციებს ახლა ჩინეთი იმაგრებს.

**იანვარში ცნობილი გახდა, რომ აფრიკის უმსხვილესმა ნავთობმომპოვებელმა ქვეყანამ გადაწყვიტა, ნავთობის მოპოვების ლიცენზიების ორი მესამედი ჩინეთს გადასცეს. ცოტა ხანში ნიგერიაში ამერიკული ნავთობკომპანიის ჰეგემონიიდან აღარაფერი დარჩება. ნიგერიული ნავთობის მთავარი მომპოვებელი და იმპორტიორი ჩინეთი ხდება.**

ზუსტად იმავე დინამიკას განიცდის ჩინურ-ამერიკული ინტერესების ბალანსი აფრიკის სხვა ქვეყნებშიც. **ჩინეთმა მიზანმიმართულად მოიპოვა აფრიკა და ჩინური ნავთობდოლარების უწყვეტ ნაკადში ამერიკული დომინირება სულს ღაფავს.** ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი ჯოზეფ სტიგლიცი ჯერ კიდევ ერთი წლის წინ წერდა, რომ **„აფრიკაში ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ჩინეთი უფრო მეტს აბანდებს, ვიდრე მსოფლიო ბანკი და აფრიკის განვითარების ბანკი ერთად“.**

**„აშშ-მა უნდა გაიგოს, რომ მისი სამხედრო უპირატესობის დღეები დათვლილია. ამჯერად დასჯილებად უნდა იგრძნონ თავი“,** — განუცხადა ჩინელმა კონტრ-ადმირალმა ინგ იიმ ფრანგულ გაზეთს აშშ-ის მიერ ტაივანისთვის იარაღის მიყიდვის გადაწყვეტილების საპასუხოდ. ფრანგები გაოცებულები წერდნენ, რომ ჩინეთს ამერიკასთან ხმის აწევის აღარ ეშინია.

**ამერიკასა და ჩინეთს შორის არსებული სამხედრო კონტრაქტები, რომელთა განვითარებასაც ობამა იმედოვნებდა, საერთოდ გაწყვეტილია. ამერიკულ კომპანიებს ჩინეთის მხრიდან სანქციები ელით.** მართალია, აშშ-მა მაინც ვერ გარისკა ტაივანისთვის ამ გარიგების მთავარი მიზეზი — თვითმფრინავები მიეყიდა, მაგრამ, როგორც კონტრ-ადმირალმა განაცხადა, ეს სამხედრო გარიგება კი არა, პოლიტიკაა და სათანადო ზომებს მივიღებთო.

ჩინეთს მსოფლიოში უდიდესი სახმელეთო ჯარი და უამრავი ტანკი ჰყავს, მაგრამ ოკეანით დაშორებული ქვეყნების შემთხვევაში ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მათ შორის სამხედრო ბალანსი ფლოტისა და ბირთვული ძალების სიმძლავრით განისაზღვრება.

აშშ-ს 11 ავიამზიდი ჰყავს, ჩინეთს — არც ერთი. ერთი ავიამზიდი რამდენიმე მილიონი დოლარი ღირს და რამდენიმე წელი შენდება. ბირთვული შეიარაღებისა და შორი მოქმედების ბალისტიკური რაკეტების რაოდენობითაც ჩინეთი აშშ-ს ბევრად ჩამორჩება. ამ საკითხში ბალანსის აღსადგენად ჩინეთს მთელი ეკონომიკის გადაწყობა დასჭირდება, მაგრამ ჯერჯერობით ამ მიმართულებით რაიმე მოძრაობაც კი არ შეინიშნება. **ჩინეთის სამხედრო ბიუჯეტი აშშ-ისას ათჯერ ჩამოუვარდება და მის გაზრდაზე არც არავინ ფიქრობს.** და ბოლოს, ჩინეთი ჯერაც არ გასულა იმ ტექნიკურ დონეზე, რომელიც აშშ-თან სამხედრო სფეროში დამოუკიდებელი გაჯიბრებისთვის დასჭირდება.

მაგრამ ჩინეთის ძალა ისაა, რომ მან თვითონაც მშვენივრად იცის ეს ყველაფერი და ზედმეტ ძალისხმევას არ ხარჯავს აშშ-ის სამხედრო უპირატესობის ლიკვიდაციაზე.

**დასავლეთმა უკვე აღარ იცის, რა იფიქროს ჩინეთზე. არავინ იცის, ჩინეთი ჩვეულებრივი ქვეყანაა თუ უკვე — ზესახელმწიფო, სოციალისტურია თუ უკვე კაპიტალისტური, სამხრეთის ნაწილია თუ უკვე ჩრდილოეთის, ანტიიმპერიალისტურია თუ უკვე იმპერიალისტური.** მაგრამ ეს გაურკვევლობა დიდხანს არ გაგრძელდება, ათი ან ოცი წლის შემდეგ ყველას დანამდვილებით ეცოდინება, რა უნდა იფიქროს ჩინეთზე. საეჭვოა, ამერიკელებს კიდევ მიეცეთ შანსი, ის მშვიდობიანი სამხრეთის რიგით სოციალისტურ, ანტიიმპერიალისტურ ქვეყნად მიიჩნიონ.

**პაველ ბურმისტროვი**
www.rusrep.ru

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# «წითელი კაპელას» მუსიკა სტალინისათვის

დასასრული. დასაწყისი იხ. №9-10

# ვინ გააფრთხილა ბელადი

**ომის დაწყებისთანავე მოსკოვიდან სასწრაფო დაშიფრული წერილი მოვიდა საიდუმლო დოკუმენტების განადგურებისა და აგენტურასთან კავშირის უზრუნველყოფის შესახებ. აგენტურის რადიოკავშირის სისტემით უზრუნველსაყოფად რეზიდენტურაში გადაწყვიტეს, რომ გერმანიაში სსრ კავშირის საელჩოს პირველი მდივანი ვ. მ ბერეჟკოვი უნდა მოლაპარაკებოდა საელჩოს მცველ ეს-ეს-ელ ოფიცერს ქალაქში მეგობართან ერთად გასვლაზე, ვითომდა შეყვარებულ გერმანელ ქალიშვილთან დასამშვიდობებლად. ეს მეგობარი კი ა. კოროტკოვი იყო, რომელსაც სამგზავრო ჩემოდანში რადიოგადამცემი ედო.**



## „წითელი კაპელა“ ომის ცეცხლში

1941 წლის 24 ივნისს, ომის მესამე დღეს, საელჩოს კარი მორიგე ეს-ეს-ელმა გააღო და უნტერ-დენ-ლინდენზე საელჩოს „ოპელ-ოლიმპია“ გავიდა. საჭესთან ბერეჟკოვი იჯდა, მარჯვნივ გვერდს უმშვენებდა ეს-ეს-ის ობერშტურმფიურერი, უკანა სავარძელზე კი კოროტკოვი მოკალათებულიყო, რომელიც შეყვარებული კაცივით გამოიყურებოდა, ომი რომ საყვარელ ქალს აშორებდა და, შესაძლოა, სამუდამოდაც.

კოროტკოვი მეტროს სადგურთან ჩამოვიდა და მატარებელში ჩაჯდა. რამდენიმე მარშრუტის გამოცვლის შემდეგ, ერთ-ერთ მიწისქვეშა სადგურზე ის ანტიფაშისტ ელიზაბეთ შუმახერს შეხვდა და გადასცა რაცია, ასოების გასაშიფრი კოდი და 20 ათასი მარკა საჭირო დანახარჯებისათვის.

საელჩოს თანამშრომლები და მათთან ერთად რეზიდენტურები გერმანელებმა ბერლინიდან 1941 წლის 2 ივლისს გაიყვანეს. ისინი თურქეთის გავლით ჩავიდნენ ლენინაკანში.

ცენტრს ჰარნაკისთვის არ უცნობებია რადიოგადაცემების საკუთარი ტალღების სიხშირე, რის გარეშეც ბერლინელებთან კავშირი ცალმხრივ ხასიათს იღებდა. ბერლინში არ შეეძლოთ მოსკოვის მითითებების მიღება და გაშიფვრა. ბრესტის რაიონში აღჭურვილმა მიმღებმა სადგურმა ა. ჰარნაკისთვის არსებობა შეწყვიტა ომის პირველსავე დღეებში. სხვა პუნქტი კი საგარეო დაზვერვას არ ჰქონდა.

თუმცა საკმარისი იყო ევროპის რუკაზე დახედვა, რომ შეგვენიშნათ: სტოკჰოლმიდან ან ლონდონიდან ბერლინამდე მანძილი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე მინსკიდან ან მოსკოვიდან, რომ აღარაფერი ვთქვათ ურალზე. ამან დაზვერვის ხელმძღვანელობას უბიძგა, გამოეყენებინათ თავიანთ რეზიდენტურათა რადიოსადგურები დიდ ბრიტანეთსა და შვეციაში. ბერიამ პირადად გასცა განკარგულება, არვიდ ჰარნაკის რაციისთვის სტოკჰოლმსა და ლონდონიდან მოესმინათ. სტოკჰოლმის რეზიდენტურის რადიოსადგურმა ვერც ერთი რადიოსიგნალი ვერ დაიჭირა, სამაგიეროდ, ლონდონმა ცენტრს შეატყობინა, რომ რადიომიმღებმა ჰარნაკის რაციის სუსტი რადიოსიგნალები მიიღო, თუმცა, ისინი მეტად აღარ განმეორებულა.

საბჭოთა საგარეო დაზვერვის გერმანული განყოფილების ხელმძღვანელობამ დაზვერვის უფროსს არსებული ვითარების მისეული შეფასება გააცნო: ა. ჰარნაკის რაციის დუმილის მიზეზების გაურკვევლობა მიზანშეწონილს ხდის ბერლინში საიმედო შიკრიკ-მოკავშირეს გაგზავნას. განყოფილების მიერ რეზიდენტურებისთვის გასაგზავნ დეპეშის პროექტში, რომელიც ამჟამად არქივში ინახება, ნათქვამია: „გაარკვიეთ რადიოგადაცემების არარსებობის მიზეზები. დაადგინეთ, აგრეთვე, რა მდგომარეობაში არიან ჩვენი მეგობრები. დაე მოამზადონ ბინები სტუმრების დასახვედრად. სასურველია, რომ ბერლინელი მეგობრები სასწრაფოდ გაემგზავრონ სტამბულში — სავაჭრო წარმომადგენელთან ან სტოკჰოლმში კონსულთან შესახვედრად“ ორივე შემთხვევაში პაროლად სახელდებოდა — შტრალმანი.

დაზვერვისთვის კარგად ცნობილ ადამიანთა რიცხვში იყო რადისტი კურტ შულცე.

ჰარო შულცე-ბოიზენმა რადისტ კურტს 1942 წლისათვის გერმანული სარდლობის გეგმების შესახებ აცნობა. ეს გეგმები ითვალისწინებდა გერმანული ჯარების საბრძოლო მოქმედებებს კავკასიის ნავთობმომპოვებელ რაიონებში. ჰაროს ინფორმაციით ეს სამხედრო-საჰაერო ძალებისა და საბრძოლო ტექნიკისთვის საწვავის მწავავე ნაკლებობით იყო ნაკარნახევი. გერმანელ ექსპერტთა გათვლით, საკუთარი ბენზინი გერმანიას მხოლოდ 1942 წლის მარტამდე ეყოფოდა; ლენინგრადზე იერიშის მიტანას, ჰაროს თქმით, გერმანული სარდლობა არ აპირებდა. მას სურდა, მჭიდრო ბლოკადაში მოეშთო ქალაქი. თავის ინფორმაციაში ჰარომ მიუთითა, რომ ომის პირველ წლებში გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებმა აღმოსავლეთის ფრონტზე მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა. სამაგიეროდ, გერმანია ქიმიური ომის დაწყების დიდ რესურსებს ფლობდა. ჰარომ ჰიტლერის ბანაკის ადგილმდებარეობის შესახებ აცნობა და მიუთითა, რომ იქვე განთავსდა თავისი შტაბით მარშალი გერინგიც. უსაფრთხოების დასაცავად ფიურერის შტაბ-ბინის მდებარეობა ხშირად იცვლებოდა.

შემდეგ შულცე-ბოიზენმა მიუთითა, რომ გერმანელებმა პეტსამოში (ფინეთი) ხელთ იგდეს საბჭოთა დიპლომატიური კოდი. გერმანულმა დაზვერვამ ბალკანებზე ინგლისელთა სადაზვერვო ქსელი გაანადგურა და რამდენიმე რადისტი გადაიბირა, რომელთა მეშვეობითაც ლონდონთან რადიოთამაში გააბა. აბვერის შეფმა, ადმირალმა კანარისმა კი თანამშრომლობაზე დაიყოლია მებრძოლი საფრანგეთის კომიტეტის დაზვერვის შეფი, იმ კომიტეტისა, რომელსაც ლონდონში გენერალი დე გოლი ედგა სათავეში.

მოსკოვში რადიოთი გადაცემული ინფორმაცია ადრესატამდე ვერ მივიდა — ეს უძვირფასესი ცნობები არალეგალური დაზვერვის არხებით გადასცეს ცენტრს.

სუსტი რაციის გამო რეგულარული კავშირის დამყარება უწინდებურად ძნელი იყო. ამიტომ ბერლინთან კავშირის აღსადგენად დაზვერვა ახლი საშუალებების გამოძებნას შეეცადა. შეირჩა ორი გამოცდილი აგენტი და გადაწყდა, რომ 1941 წლის ბოლოსათვის ისინი დიდი ბრიტანეთიდან საჰერო გზით გადაეყვანათ ევროპის კონტინენტზე. აგენტები „ვახე“ და „ბრიგადირი“ უკვე პარაშუტით გადმოხტომაში ვარჯიშობდნენ, მაგრამ ერთ-ერთი ვარჯიშისას ბრიტანეთის პოლიგონზე „ვახემ“ სერიოზული ტრავმა მიიღო და ჰოსპიტალში მოხვდა. შედეგად, „ვახესა“ და „ბრიგადირის“ მივლინება ბერლინში ჩაიშალა. შულცე-ბოიზენისა და ჰარნაკის ჯგუფთან დასაკავშირებლად 1942 წლის ივნისში ცენტრის მიერ შერჩეული აგენტი „ადამი“ ბერლინში გაფრინდა, სადაც კურტ შულცს შეხვდა, რომელმაც ადამს აცნობა, რომ რადიოდეტალები არ ჰყოფნიდა მოსკოვთან კავშირის დამსაყარებლად. მოგვიანებით გაირკვა, რომ „ადამი“ პროვოკატორი იყო. მისი წყალობით, ბერლინში რუსეთის სადაზვერვო წყაროები დააპატიმრეს და საიდუმლო ბინები გაშიფრეს. საგარეო დაზვერვამ კვლავ განაგრძო ბერლინელ ანტიფაშისტებთან კავშირის აღდგენის გზების ძიება. 1942 წლის 4 აგვისტოს მოსკოვის შორიახლო მდებარე პატარა აეროდრომთან ორი მსუბუქი მანქანა მივიდა, საიდანაც პარაშუტისტები „ფრანცი“ (ალბერტ ჰესლერი) და „ბეკი“ (ლობერტ ბარტი) გადმოვიდნენ. გათვალისწინებული იყო იმის ალბათობაც, რომ „ფრანცსა“ და „ბეკს“ გერმანიის კონტრდაზვერვის კონტროლქვეშ მოუწევდათ მუშაობა. პარაშუტისტებს თავი უნდა მოეკატუნებინათ, თითქოს წაყენებულ მოთხოვნებს დაყაბულდნენ, მაგრამ ამავდროულად, განგაშის სიგნალი უნდა გადაეცათ. შეთანხმდნენ, რომ რადისტ „უნებურად“ აუკანკალდებოდა ხელი და დაშიფრულ ტექსტს გაიმეორებდა, სწორედ ეს იქნებოდა განგაშის სიგნალი.

ალბერტ ჰესლერს ბერლინში რიგითი ვერმახტელივით უნდა შეეღწია და პაროლით კავშირი დაემყარებინა შულცე-ბოიზენ-ჰარნაკის ჯგუფთან, შემდეგ კი ცენტრთან უწყვეტი რადიოკავშირი უნდა დაემყარებინა თავისი შიფრის გამოყენებით. თუ რაიმე მიზეზით ეს არ გამოვიდოდა, მაშინ დახმარება რობერტ ბარტისთვის უნდა ეთხოვა, რომელსაც დამოუკიდებელი რაცია და საკუთარი შიფრი ჰქონდა. 1942 წლის აგვისტოს დასაწყისში ა. ჰესლერი ბერლინში ჩავიდა, ხოლო 3 და 31 სექტემბერს მისი რაციის ხმა მოსკოვში გაიგონეს. თუმცა ორმხრივი კავშირის დამყარება მაინც ვერ მოხერხდა. რობერტ ბარტმა 9 სექტემბერს შეატყობინა ცენტრს, რომ დანიშნულების პუნქტს მიაღწია, თუმცა, მოკლე ხანში, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ორივე პარაშუტისტი გესტაპოს ჩაუვარდა ხელში. 1943 წლის დასაწყისში ჩატარებული ანალიზებით დადგინდა, რომ ჰესლერის სახლით ცენტრთან გესტაპო მუშაობდა. ექსპერტთა დასკვნით, 14 ოქტომბერს ბარტი ეთერში გაუბედავად მუშაობდა, არ აცხადებდა დაშიფრული ტექსტების ჯგუფს და მათი გამეორებისას სხვა ნიშნებს იძლეოდა. ამ საქციელით მას ცენტრის გაფრთხილება სურდა, გერმანული კონტრდაზვერვის კონტროლქვეშ ვმუშაობო. რაკი ალბერტ ჰესლერი მიხვდა, რომ მისი განგაშის სიგნალი მოსკოვამდე არ მიდიოდა, გესტაპოელებს თანამშრომლობაზე უარი განუცხადა და ის დახვრიტეს. ბარტს არანაკლებ მძიმე ხვედრი ერგო — ომის დამთავრებას ის ამერიკელთა ტყვეობაში შეხვდა. შემდეგ ის საბჭოთა მხარეს გადასცეს და გაირკვა: ბარტი იმიტომ ჩავარდა, რომ მას ეძებდნენ. უგზო-უკვლოდ დაკარგულ დეზერტირებს გერმანელები აღრიცხავდნენ და სიებს ბერლინსა და ვერმახტში გზავნიდნენ, რათა ეკონტროლებინათ მათი გამოჩენა ფრონტსა ან საცხოვრებელა დგილებში. ბარტმა კი ინსტრუქცია დაარღვია და ცოლი მოინახულა ჰოსპიტალში. კონტრდაზვერვამაც სწორედ იქ სტაცა ხელი.

გერმანული კონტრდაზვერვის ალყა სულ უფრო მჭიდროვდებოდა „წითელი კაპელას“ გარშემო. დეშიფრირების განყოფილებაში უხილავ „პიანისტთა“ მთელი „კონცერტები“ დაგროვდა. ნათელი შეიქნა, რომ თუნდაც ერთი მათთგანი ხელში უნდა ჩაეგდოთ. გესტაპოელებს მანქანაზე დაყენებული მობილური პელენგატორი დაეხმარა, რომელმაც„ მონადირეები“ კვალზე გაიყვანა, ბრიუსელის გარეუბანში. მერე კი შულცე-ბოიზენის კვალიც აიღეს და მისი დაპატიმრებით დაიწყო „წითელი კაპელას“ ლიკვიდაციაც. 1942 წლის სექტემბრის ბოლოს დაპატიმრებულ „პიანისტთა“ რაოდენობამ 70-ს, ხოლო ნოემბერში ასს გადააჭარბა. ჰიტლერმა მამაკაცების ჩამოხრჩობა, ხოლო ქალების გილიოტინაზე აყვანა ბრძანა. თუმცა, როგორც თავის მემუარებში ჰიტლერული რაიხის პოლიტიკური დაზვერვის უფროსმა შელენბერგმა აღნიშნა, ნაცისტებმა მაინც ვერ მოახერხეს „წითელი კაპელას“ მუშაობის სრულად შეწყვეტა...



ადმირალი ვილჰელმ კანარისი





ვალტერ შელენბერგი

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სტალინი — №1 ისტორიული ფიგურა

**ამას წინათ ვმონაწილეობდი ტელეგადაცემის ჩაწერაში, რომელიც მოსკოვის მერიის გადაწყვეტილებით გამარჯვების დღის აღსანიშნავად ომში ი. ბ. სტალინის როლის ამსახველი საინფორმაციო სტენდების განთავსებას ეხებოდა, 1941 წელს სახალხო რაზმების ჩამოყალიბების ადგილებში. გადაცემის მონაწილეებმა ცხარე პოლემიკა გამართეს იმის შესახებ, თუ ვინ იყო სტალინი — გამარჯვებული ხალხის ბელადი თუ ტირანი. სტუდიაში ყვიროდნენ და ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ. ვიდეოხიდის მიმდინარეობისას პეტერბურგელ კომუნისტთა წარმომადგენელი ანტისტალინური რეპლიკის პასუხად ტელეწამყვან ლეონიდ მლეჩინს სასამართლოთი დაემუქრა.**

გამარჯვების დღის მოახლოებასთან ერთად საჯარო დებატები რუსეთის ტელეარხებზე რეგულარული გახდა. დაიწყეს ლაპარაკი სტალინის „პოლიტიკურ რეაბილიტაციაზე, რუსეთში „სტალინიზმის აღორძინებაზე“. ხალხს არწმუნებენ, რომ რუსეთში თანამედროვე ცხოვრებას „სტალინიზმის მემკვიდრეობა“ უშლის ხელს და რომ საზოგადოებას მისი ხელახალი აღმოფხვრის გარდა სხვა ამოცანა არ აქვს.

სტალინის გარდაცვალების დღიდან 6 ათეული წელიწადი გავიდა, „პიროვნების კულტის“ კრიტიკოსი ამ ხნის განმავლობაში ბევრი იყო. ერთ თაობას მეორე ცვლიდა, მაგრამ საზოგადოებრივი ცნობიერება უწინდებურად აღწარმოებდა ამ ხატებას. **დღესაც ყველაზე პოპულარულ ისტორიულ ფიგურად არა ალექსანდრე ნეველი, არამედ სტალინი რჩება. რატომ? ამის გამომწვევი მიზეზი ხომ არც ხელისუფლებაა და არც მედია, ამასთან მინიმუმამდეა დაყვანილი უფროსი თაობის ზეგავლენაც, ასე ვთქვათ, „ვეტერანთა ოინებიც.“ მოკლედ, არავითარი საფუძველი სტალინის პოპულარობისთვის საზოგადოების ცნობიერებაში თითქოს არ არსებობს და მაინც ის №1 ისტორიული ფიგურაა, რატომ?** ადამიანთა უფლებებისათვის მებრძოლთა უმეტესობას პასუხი მზად აქვს: ეს „მონური ფსიქოლოგიაა.“ „ეხო მოსკვისა“ და „იზვესტიის“ მიმომხილველი ირინა პეტროვსკაია ამბობს: **„ვეტერანებთან პოლემიკა უაზრობაა, თუკი ისინი საკუთარმა და სხვათა მძიმე და მტანჯველმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ და საზარელმა ისტორიულმა ფაქტებმა ვერაფერში დაარწმუნა... თანამემამულეთა გონებაში ეფექტური კლიშეებია და არა გონივრული არგუმენტები და ფაქტები.“**

„რადიო თავისუფლების“ მიმომხილველის — ვიტალი პორტნიკოვის აზრით კი, **„ეს თითოეული ყოფილი საბჭოთა მოქალაქის პიროვნულ გაორებაზე მეტყველებს, რომელსაც არ სურს, შეეგუოს აზრს, რომ სირცხვილსა და კოშმარში ცხოვრობდა; არ სურს, ხედავდეს, იცოდეს, მოინანიოს; ხვალინდელი დღით იცხოვროს, სადაც არავითარი სტალინი არ არის, არავითარი საბჭოთა ჰიმნი, სიცრუე, სისხლი; არავითარი სურვილი, რომ ქვეშ ამოიგონ; რომ უმტკიცონ, მხოლოდ ძლიერია მართალი, ხოლო სუსტის ხვედრი ტაშისკვრა და სიხარულია.“**

და ყველა ისინი, ვინ — შეფარვით, ვინ — აშკარად გვინერგავენ: **„ისტორიაში უდიდესი ომის ვეტერანები შეზღუდული ადამიანები არიან; რუსეთის წარსულში მხოლოდ სისხლი, სირცხვილი და სიცრუეა. ნორმალური ადამიანი კი სხვაგვარად ფიქრობს. სტალინის როლი ქვეყნის დაცვასა და ნაციზმთან ბრძოლაში უდიდესია და მისი ისტორიიდან ამოძირკვა — შეუძლებელი“.**

ორგანიზებულმა სახალხო როკვამ შამანური შეძახილებით „სტალინის პორტრეტების“ გარშემო პუბლიცისტ კონსტანტინე გორკის მომაკვდინებელი ირონიით სავსე სიტყვები გამახსენა: **„ჩვენ თუ ნორმალური, ცივილიზებული, ევროპული ქვეყანა ვართ, რომელიც წესიერი სახელმწიფოების კლუბში გაწევრებისკენ მიილტვის, მაშინ გვექნება: ცხოვრების მზარდი ხარისხი, ცოცხალი ჟურნალი, ინტერნეტი სააბაზანოდან გამოუსვლელად, ეს-ემ-ეს- კენჭისყრა საპრეზიდენტო არჩევნებზე, აიფონები და ნოუთბუქები, მეოთხე თაობის ინტერნეტკავშირი, მეხუთე თაობის გამანადგურებელი, ევროვიზიაზე მუდმივი გამარჯვებები, ზამთრის ოლიმპიადა სოჭში და ზაფხულის ოლიმპიადა ნერუნგრიში... დემოკრატიული და ტურისტული კავკასია, ციფრული ტელემაუწყებლობა სამი ათას არხზე, თავისუფალ ეკონომიკურ ზონებად გადაქცეული მონოქალაქები, ბუტიკები და პრემიუმ-რესტორნები ტოლიატსა და პიკალევოში, გვაროვნული სერტიფიკატები მოხუცებისთვის, იპოთეკური კრედიტები მარტოხელა დედებისთვის, ფიტნეს-ცენტრები ნიჭიერი ახალგაზრდებისა და კომფორტული ჰოსპისები ვეტერანებისთვის. ერთი სიტყვით, დიდი ხნის ნანატრი მოდერნიზაცია.**

**ანდა, თუკი ვინმე მაინც გაბედავს ამ მკვლელის, ლაჩრისა და ადამიანთა მოძულის, უნიჭო მანიაკის, არარაობის პორტრეტების გამოფენას, მაშინ ვაი ჩვენს თავს! მაშინ ჩვენ კვლავ ვლამობთ ცივილური განვითარების ფართო გზიდან იმ უფსკრულში გადაჩეხვას, საიდანაც 19 წლის წინ ვაი-ვაგლახით ამოვფოფხდით; უფსკრულში, საიდანაც გულაგის სუსხით გვახსენებს თავს 1945 წლის მაისი და ჟუკოვი, „კატიუშა,“ „ილ-2,“ ნიკოლაი გასტელო, ზოია კოსმოდემიანსკაია, ალექსანდრე მატროსოვი, ნიკოლაი კუზნეცოვი, დიმიტრი კარბიშევი, მუსა ჯალილი, მამაის ყორღანი, ბრესტის ციხესიმაგრე, გოელროს გეგმა, დნეპრჰესი, მაგნიტკა, ურალმაში, ვალერი ჩკალოვი, ლევ იაშინი, იგორ კურჩატოვი, მიხაილ შოლოხოვი, სერგეი კოროლიოვი, იური გაგარინი...“**

და დასასრულ, ერთი-ორი სიტყვაც იმ დავის თაობაზე, თუ ვისი პორტრეტი სად უნდა ეკიდოს.

თავის მოკატუნება, აქაოდა, გამარჯვებული არმიის უმაღლეს მთავარსარდალს გამარჯვებასთან ხელი არ აქვსო, სრული სიბრიყვეა. სტალინის როლი ომსა და გამარჯვებაში იმ ძალაუფლების ტოლფასია, რომელსაც იგი ფლობდა. ეს ისევე ნათელია, როგორც ის ფაქტი, რომ არმიას ბრძოლებში მარტო როდი ხელმძღვანელობდა. დაე, მაისის დღეებში სტალინის გამოსახულების გვერდით მარშალ გ. კ. ჟუკოვის, ა. მ. ვასილევსკის, ადმირალ ნ. გ. კუზნეცოვის — იმ ფრონტების სარდალთა პორტრეტები გამოიფინოს, რომლებმაც წერტილი დაუსვეს ამ ომს. ისტორიული სიმართლე და საზოგადოებრივი სიჯანსაღის საფუძველიც სწორედ ესაა.

**იური რუბცოვი**,
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

# საიდუმლო იარაღი

**ჯაშუშური იარაღი მუდამ ლეგენდების, მითქმა-მოთქმის, ნახევარსიმართლისა და დეზინფორმაციის დიდძალი ნაკადით იყო გარემოცული. გთავაზობთ მონაცემებს იარაღზე, რომელთა არსებობაც დოკუმენტურადაა დადასტურებული ან პატენტებისა და ტექნიკური მონაცემების, ანდა სანატურო ნიმუშების სახით.**



პისტოლეტი ОЦ-21 „მალიში“



სტეჩკინის პისტოლეტ-პორტსიგარი

## აგენტური იარაღი

ჩვეულებრივი იარაღის საერთო ნაკლი ისაა, რომ გამოყენებისას აუცილებელია მისი ხელში დაჭერა. ამიტომაც სახიფათო სიტუაციაში ან მის ამოღებაზე უნდა დაიხარჯოს დრო, ანდა სულ მოღერებული უნდა გქონდეს (რაც ყოველთვის შესაძლებელი როდია). ამ შემთხვევაშიც, იარაღი შეიძლება ხელიდან გაგივარდეს, დაკარგო ან წაგართვან.

სწორედ ამის გამო ამერიკელმა ჰეიგჰტმა მინიატიურული პისტოლეტი შექმნა, რომელიც იმ უცხოელი აგენტების შეიარაღების კომპლექტში შედიოდა, ვინც არალეგალურად კვეთდა საზღვარს ან დავალებამიღებული მალულად ცდილობდა დაცულ ობიექტში შეღწევას. იარაღი ხელთათმანის საზურგეზე მაგრდება და მუდამ საბრძოლო მზადყოფნაშია. თუმცა პისტოლეტს ნაკლიც აქვს: მოქმედების მცირე რადიუსი (ხელის სიგრძე) და გამოყენების კონტაქტური მეთოდი.

## სხვა ნივთით შენიღბული იარაღი

1782 წელს ტულაში იმპერატრიცა ეკატერინე II-სთვის ორიგინალური მაგიდის კომბაინი შექმნეს: პისტოლეტი-სამელნე-შანდალი. შედეგად, სტუმართა მიღებისას იმპერატრიცა მუდამ მზად იყო უსიამოვნო სიურპრიზებისთვის. თუმცა ეს იარაღი უფრო ხშირად კლასიკურ საგზაო პისტოლეტად გამოიყენებოდა, რომელიც ოდნავ იყო შენიღბული.

იტალიელ ტირან ფარნეზეს, პარმისა და პიაჩენცის ჰერცოგს ეკლესიაში შესვლისას მუდამ თან ჰქონდა სქელი ლოცვანი, რომლის მდიდრულად გაფორმებულ ყდაში ოსტატურად იყო ჩამონტაჟებული პისტოლეტი. მის ასამოქმედებლად კი საკმარისი იყო წიგნის სანიშნის მოქაჩვა...

## ცეცხლსასროლი... სიგარეტი

მზვერავები, უკვე დიდი ხანია, სასიკვდილო იარაღს მოსაწევი მოწყობილობით: სიგარეტებითა და სიგარებით, პორტსიგარებითა და სიგარეტის კოლოფებით, ჩიბუხებითა და სანთებლებით ნიღბავენ. მართლაცდა, რა შეიძლება იყოს იმაზე ბუნებრივი, ვიდრე სიგარა, ჩიბუხი ან პორტსიგარია მამაკაცის ჯიბესა და ხელში?

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს ბრიტანეთის სტრატეგიული ოპერაციების სამმართველომ შეიმუშავა იარაღი „ველ-ვუდბაინ“, რომელმაც სახელწოდება პოპულარული სიგარეტის მარკისგან მიიღო. ეს 4.5 მმ კალიბრის იარაღი იყო, რომელსაც პაპიროსის ქაღალდში ახვევდნენ, უკან ფილტრით ნიღბავდნენ, წინ კი — თამბაქოს ფერფლით. აღჭურვილობა ხელში ანთებული სიგარეტივით ეკავათ. სროლისას ფილტრის მოტეხა იყო საჭირო. „სიგარეტით“ ამერიკის სტრატეგიული სამსახურის სამმართველოც დაინტერესდა. მომდევნო ნაბიჯად იქცა „ველ-ჩარუტა“ — 115-120 მმ სიგარა, რომელშიც 5.6 მმ კალიბრის იარაღი იყო ჩამონტაჟებული. 1966 წელს კი ცსს-სთვის (ცერე-უ) შექმნეს ასევე 5.6 მმ კალიბრიანი „სიგარეტი.“ მისი სიგრძე 70 მმ-ს, ლულის სიგრძე კი სულ 32 მმ-ს შეადგენდა. მისი გამოყენება საკმაოდ ძნელი იყო: სიგარეტი მარჯვენა ხელში უნდა გჭეროდათ, ხოლო მარცხენა ხელის საჩვენებელი და ცერა თითით ფილტრი საათის ისრის მოძრაობის საპირისპიროდ უნდა დაგეტრიალებინათ, შემდეგ კი ფილტრი წინ გაგეწიათ. ამასთან, სიგარეტიანი ხელი განზე უნდა გჭეროდათ, რადგან დარტყმის ტალღას შეეძლო ხელიდან გაეგდებინებინა იარაღი.



ბრელოკი

ჩიბუხი

მობილური ტელეფონი

სამაგიეროდ, ველვინის ლაბორატორიაში ცსს-სთვის დამზადებული ჩიბუხები უფრო გამოსადეგი აღმოჩნდა. ჩიბუხში თამბაქოს გარდა სპეციალური მექანიზმიც ეტეოდა, რომელშიც 2.2 კალიბრის ვაზნით აღჭურვილი ლულა მაგრდებოდა.

იარაღის შესანიღბად პორტსიგარსაც იყენებდნენ. მასში ცივ იარაღს — სიურიკენს ან სულაც, საწამლავიან ამპულას ინახავდნენ. სამხედრო უნივერსიტეტის კრიმინალისტიკის კათედრაზე იარაღის კოლექციაში ცეცხლსასროლი პორტსიგარი ინახება, მინიატიური რევოლვერით. სროლისთვის სასხლეტზე ხელის დაჭერაც საკმარისი იყო. გრუ-ს აგენტები სპეცდავალებების შესასრულებლად 6.35 მმ კალიბრის პორტსიგარსაც იყენებდნენ. ეს აღჭურვილობა გამოტენილი იყო ყალბი სიგარეტებით და 4-ლულიან მოწყობილობას ნიღბავდა. ამასთან, სპეციალური, უხმაურო ვაზნები გამოიყენებოდა. იარაღი მოქმედებაში ღილაკზე ხელის დაჭერით მოდიოდა და ჩვეულებრივ ტყვიებთან ერთად ციანმჟავა კალიუმსაც ისროდა.

ცნობილმა მეიარაღემ ი. სტეჩკინმა 1955 წელს სამამულო სპეცსამსახურებისთვის საგანგებოდ შექმნა სამლულიანი პორტსიგარი. ის ძალზე ეფექტური აღმოჩნდა როგორც თავდაცვის, ისე ტერაქტების განსახორციელებლადაც.

დასასრულ, დღეს ერთობ პოპულარული სიგარეტის კოლოფი — რუსული ფირმა „მოლინოსი“, მაგალითად, კოლოფით შენიღბულ დახვეწილ ელექტროშოკერებს უშვებს. მოწყობილობა მუდამ საბრძოლო მზადყოფნაშია.

## იარაღი... ფეხსაცმლის ქუსლში

ამერიკელმა ფ. სტიუარტმა 1968 წელს წინადადება წამოაყენა, ცეცხლსასროლი იარაღი ფეხსაცმლის ქუსლში ჩაემონტაჟებინათ. პირველ ვარიანტში ფეხსაცმლის ლანჩში ერთლულიანი იარაღი თავსდებოდა, მეორეში — სამლულიანი. გასროლა მალულად, ზონრის დახმარებით ხორციელდებოდა, რომელიც ფეხსაცმლიდან შარვლის ქვეშ ჯიბემდე ამოჰქონდათ.

## ტერორისტები ტელეფონით ისვრიან

ევროპის კონტინენტზე ახალი იარაღი გამოჩნდა — პისტოლეტი, რომელიც მობილური ტელეფონითაა შენიღბული. ის ჩვეულებრივი ტელეფონივით გამოიყურება, მაგრამ მის კორპუსში ოთხი 22 მმ კალიბრიანი ლულაა ჩამონტაჟებული. მობილურიდან სასროლად მის პანელზე ოთხიდან ერთ-ერთ კლავიშზე (5-დან 8-მდე) უნდა დაეჭიროს თითი. სროლის სიზუსტე და პისტოლეტ-ტელეფონის სიმძლავრე მცირეა. ცეცხლსასროლი მობილური ტელეფონების წარმომავლობა ჯერჯერობით დაზუსტებული არაა. შესაძლოა, მათ სადღაც ბალკანეთში აწარმოებდნენ, სადაც ჯერ კიდევ სამი წლის წინათ ადგილობრივმა „მემარცხენეებმა“ ორლულიანი „ბრელოკების“ გამოშვება დაიწყეს, რომელთა მოქმედების სიშორე 20 მ-ია. ყველა ეს სასიკვდილო მოწყობილობა იდეალურია ტერაქტების განსახორციელებლად. ალბათ, ამიტომაც ევროპის აეროპორტებში თვალს არ აშორებენ მგზავრებს, რომლებსაც ხელში მობილური ტელეფონები უჭირავთ.

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

24 — 30 მარტი, 2010 წელი. №11 (54)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დასავლეთში დემოკრატიული ღირებულებებისათვის მებრძოლ რაინდად მიაჩნიათ, საქართველოში კი მას დიქტატორად ნათლავენ, რომლის მიზნებისკენ მიმავალი გზა ხშირად გვამებითაა მოფენილი.
გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ახალ რუბრიკაში „დიქტატორები“ მსოფლიოს ყველა ცნობილ დიქტატორს წარმოგიდგენთ.
პარალელების გავლება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა კი თქვენთვის მოგვინდვია...

# სოფლის სკვაირიდან — ლორდ პროტექტორამდე

**ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე და სარდალი, პურიტანული რევოლუციის ბელადი ოლივერ კრომველი 1599 წლის 25 აპრილს ჰანთინგტონში (კერმბრიჯშირის საგრაფო), ტიპური ინგლისელი დიდგვაროვნების (ჯენთრი) — რობერტ კრომველისა და ელისაბედ სტიუარტის ოჯახში დაიბადა. ოლივერის მამა უმცროსი ვაჟი იყო ოჯახში, რომლის გვარის ფუძემდებელი თომას კრომველი (1485-1540) ჰენრიხ VIII-ს თანამოაზრე და მისი რეფორმების სულის ჩამდგმელი იყო.**



როცა ოლივერი ამ ქვეყანას მოევლინა, ბაბუამისი სერ ჰენრი კრომველი ჰანთინგტონში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მიწათმფლობელი იყო, მაგრამ კრომველის მამა ხელმოკლედ ცხოვრობდა. 1616 წელს ოლივერმა სკოლა დაამთავრა, რის შემდეგაც იგი კემბრიჯის უნივერსიტეტის ერთ-ერთ კოლეჯში — სიდნისასექსში გაგზავნეს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, მამის გარდაცვალების გამო 18 წლის ოლივერმა, ერთადერთმა ვაჟმა ოჯახში, უნივერსიტეტი მიატოვა, რათა დედასა და დებს დახმარებოდა.

21 წლის კრომველი ელისაბედ ბურშირზე დაქორწინდა და ჰანთინგტონში დაბრუნდა, სადაც სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი.

## პოლიტიკური კარიერის დასაწყისი

მომდევნო 20 წლის განმავლობაში კრომველი სოფლელი მემამულის მოკრძალებულ ცხოვრებას ეწეოდა და აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში. მატერიალური სიდუხჭირე მხოლოდ 1638 წელს დაივიწყა, როცა ბიძის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობა დარჩა და ქალაქ ილში გადასახლდა. 1628 წელს კრომველი ჰანთინგტონის ოლქიდან კარლ I-ის მიერ მოწვეულ ბოლო, ე. წ. „მეთერთმეტე ტირანიის“ — 11-წლიან უპარლამენტო (1629-1640) მმართველობამდელ პარლამენტში აირჩიეს.

ლონდონში ყოფნისას კრომველი პურიტანული მოძრაობის გავლენის ქვეშ იყო, რომელიც ანგლიკანური ეკლესიის რადიკალურ რეფორმირებას ცდილობდა. ამ მოძრაობას ეწინააღმდეგებოდა ე.წ. „მაღალი ეკლესიის“ მიმართულება, რომლის მომხრეც იყო უილიამ ლოდი, კენტერბერიის არქიეპისკოპოსი. კრომველის მიერ 1628-1640 წლების პარლამენტში წარმოთქმული ერთადერთი მრისხანე სიტყვა სწორედ „მაღალი ეკლესიის“ ეპისკოპოსებისკენ იყო მიმართული.

## სამოქალაქო ომის დასაწყისი

უპარლამენტო მმართველობისას კარლ I-მა უამრავი მტერი შეიძინა უზომო გადასახადების დაწესებით. მეფის პრეროგატივების გამოყენებით, რომლებიც ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან შემორჩა, ის მოითხოვდა „გემების გადასახადსაც“, აჯარიმებდა ჯენთლის (მათ შორის კრომველსაც), თუ ისინი უარს ამბობდნენ რაინდის წოდებაზე. მეფეს გადაუდგნენ რეფორმატორი პიურიტანებიცა და ჯენთრიც. 1638 წელს კარლმა ომი გააჩაღა შოტლანდიელი ქვეშევრდომების წინააღმდეგ (ტახტის მემკვიდრეობის უფლებით ის ინგლისისა და შოტლანდიის მეფე იყო) პრესვიტერიანელი შოტლანდიელები აუჯანყდნენ და მეფე იძულებული შეიქნა პარლამენტი მოეწვია, რათა ომისთვის ფული მოეთხოვა.

პარლამენტი 1640 წლის გაზაფხულზე შეიკრიბა, კრომველი თემთა პალატაში აირჩიეს (კემბრიჯიდან). **მეფისადმი 11 წლის განმავლობაში დაგროვილმა პრეტენზიებმა თემთა პალატის ლიდერები აგრესიულად განაწყო. კრომველი კი მაშინვე თვალში მოუვიდათ, როგორც მებრძოლი პურიტანი.**

ეს „ხანმოკლე პარლამენტი“ მალე დაითხოვეს, თუმცა 1640 წლის ზაფხულში შოტლანდიელებმა კვლავ დაამარცხეს კარლი და ინგლისის ჩრდილოეთი ოლქებიც დაიპყრეს. მეფემ დახმარება პარლამენტს სთხოვა. „ხანგრძლივმა პარლამენტმა“ (1640 წლის 3 ნოემბერი-1653 წლის 20 აპრილი) მეფის პოლიტიკა უგულებელყო და ბევრ პრეროგატივაზე უარის თქმა აიძულა. პარლამენტმა ასევე დაჟინებით მოითხოვა არქიეპისკოპოს ლოდის დაპატიმრება; სიკვდილი მიუსაჯა და თავი მოაკვეთინა კარლ I-თან დაახლოებულ გრაფ სტრაფორდისთვის, რომელიც 1633-1639 წლებში მეფისნაცვალი იყო ირლანდიაში. **თემთა პალატამ 204 პუნქტისგან შემდგარი „დიდი რემონსტრაცია“ მიიღო, სადაც მეფეს უნდობლობა გამოუცხადა. „დიდ რემონსტრაციას“ ხმა მისცა კრომველმაც**. როცა 1641 წელს ირლანდიაში ინგლისელების წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო, პარლამენტმა უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა: მეფის მინისტრებისა და არმიის უმაღლესი სარდლობის დანიშვნის უფლება მოითხოვა. მოთმინებიდან გამოსულმა მეფემ სცადა, პირადად დაეპატიმრებინა პარლამენტის ხუთი ლიდერი ღალატის ბრალდებით და როცა ეს ვერ მოახერხა, ლონდონი დატოვა (1642 წლის 10 იანვარი,) რათა თანამოაზრენი შემოეკრიბა სამხრეთ ინგლისში. **თემთა პალატამ, თავის მხრივ, ქვეყანაში საომარი მდგომარეობა შემოიღო და პარლამენტის წევრები მათ საარჩევნო ოლქებში ადგილობრივ არსენალებსა და მოხალისეთა რაზმებზე კონტროლის დასამყარებლად გაგზავნა. კემბრიჯში ჩასული კრომველი დაეპატრონა ციხესიმაგრეს, დააპატიმრა საგრაფოს რაზმის კაპიტანი და კოლეჯებს მეფისთვის შესაწირის სახით ვერცხლეულის გაგზავნა აუკრძალა.**

ამ დროიდან კრომველმა, რომელიც უკვე 40 წლისა იყო და არავითარი სამხედრო გამოცდილება არ ჰქონდა, წინა პლანზე წამოიწია როგორც სამხედრო ორგანიზატორმა და პურიტანული მოძრაობის ლიდერმა.

## კრომველი – მხედართმთავარი

1642 წლის აგვისტოში სამოქალაქო ომი დაიწყო. კრომველმა ჰანთინგტონში პარლამენტის მომხრეთა მთელი რაზმი შემოიკრიბა და მათთან ერთად ეჯჰილთან გამართული ბრძოლის მონაწილეც შეიქნა. 1643 წლის თებერვალში მან პოლკოვნიკის წოდება მიიღო. **ამასთან ერთად, ის გამუდმებით აქეზებდა თემთა პალატას, დაემორჩილებინა მეფე, ჯამაგირი გაეზარდა ჯარისკაცებისთვის, გაეუმჯობესებინა მათი მომზადება და ახალწვეულთა მორალური სულისკვეთებაც აემაღლებინა.** 1643 წლის ბოლოსათვის ინგლისისა და უელსის ტერიტორიის ორი მესამედი მაინც მეფის მომხრეების ხელში იყო და საპარლამენტო ჯარების წვრილ-წვრილი გამარჯვებების მიუხედავად, ის თითქოსდა დამარცხებისთვის იყო განწირული. რაკი სხვა გამოსავალი ვერ მოძებნეს, 1643 წლის 25 სექტემბერს პარლამენტის ლიდერებმა შოტლანდიელების ხელმძღვანელობასთან შეთანხმებას მიაღწიეს და 1644 წელს შოტლანდიის არმია ინგლისის ტერიტორიაზე შეიჭრა.

კრომველმა, რომელიც ამ დროისათვის უკვე გენერალლეიტენანტი იყო, მონაწილეობა მიიღო მარსტონ-მურთან გამართულ ბრძოლაში, სადაც ის კავალერიას ხელმძღვანელობდა და შოტლანდიელებისა და ჩრდილოეთის არმიის მხარდამხარ, რომელსაც სათავეში ლორდი ფერდინანდ ფერფაქსი და მისი ვაჟი თომასი edგნენ. მაშინ პარლამენტმა რიცხობრივი უპირატესობით დაამარცხა მეფის არმია, რომელსაც კარლ I-ის ნათესავი, პრინცი რუპერტი ხელმძღვანელობდა. 1646 წლის ივნისში დაეცა ოქსფორდი, კარლ I გაიქცა და შოტლანდიელებს ჩაბარდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში კრომველი ადგილს ინარჩუნებდა პარლამენტში, სადაც მალე გაირკვა, რომ თემთა პალატა და ლორდთა პალატის საბრალო ნაშთები მთელს ანგლიკანურ ეკლესიას თავს ახვევდნენ მკაცრ პრესვიტერიანულ სტრუქტურას, არ უხდიდნენ ხელფასს ფერფაქსის ჯარისკაცებს და საერთოდაც მათი სახლებში გაშვება სურდათ. თავდაპირველად, როგორც არმიაში უდიდესი ავტორიტეტის მქონე, კრომველი შუაკაცობას შეეცადა პარლამენტსა და ჯარისკაცებს შორის, მაგრამ საბოლოოდ იძულებული გახდა, თავისი ბედი არმიისთვის დაეკავშირებინა. ის შეეცადა მეფესთან საერთო ენის გამონახვასაც — კარლ I შოტლანდიელებმა პარლამენტს ტყვედ გადმოსცეს. მისი პროგრამა კონსტიტუციური მონარქიის დამყარებას ითვალისწინებდა პარლამენტთან ერთად. ის გეგმებს აწყობდა და სათვალავში არ აგდებდა მეფეს, რომელმაც ისარგებლა მოწინააღმდეგეთა შორის გაღვივებული უთანხმოებით და ტყვეობიდან კუნძულ უაითზე გაიქცა, საიდანაც ინგლისისა და შოტლანდიის როიალისტებს ახალი სამოქალაქო ომისკენ მოუწოდა.

**მეორე სამოქალაქო ომი მეფის დამარცხებით დასრულდა. კარლ I სასამართლოს გადასცეს, რომელმაც მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. 30 იანვარს უაითჰოლის სასახლესთან შეკრებილი უტყვი ბრბოს წინაშე მეფეს თავი მოჰკვეთეს**.

1649 წლის 19 მაისს ინგლისი რესპუბლიკად გამოცხადდა. **კრომველი ჯერ სახელმწიფო საბჭოს წევრი, შემდეგ კი მისი თავმჯდომარე გახდა**. იმ დროისათვის როიალისტებმა კონტროლი დაამყარეს ირლანდიის უდიდეს ნაწილზე. 10-11 სექტემბერს ინგლისელებმა ქალაქი დროედა შტურმით აიღეს და მთელი კაპიტულირებული გარნიზონი ამოჟლიტეს. **კრომველმა ამ მასობრივ მკვლელობას „ბარბაროსების თავზე დატეხილი ღვთის სამართლიანი რისხვა“ უწოდა. 1650 წელს კრომველი ჯარებს კუნძულის სიღრმეში შეუძღვა და მოსახლეობა ამოჟუჟა. ირლანდია დაცარიელდა. მათი მიწები კონფისკაციას დაუქვემდებარეს და საბრალოებს მხოლოდ უნაყოფო კონაჰტის ოლქი დაუტოვეს, სადაც ხალხი შიმშილითა და ეპიდემიით წყდებოდა.**



კრომველის ქანდაკება ვესტმინსტერში (ლონდონი)



„კრომველმა პარლამენტი დაითხოვა“

რესპუბლიკას უსიამოვნებები ელოდა შოტლანდიისგანაც, სადაც პრესვიტერიანელები კარლ I-ის უფროს ვაჟს — კარლ II-ს შეეკრნენ და მეფედ გამოაცხადეს. გენერალი ფერფაქსი გადადგა და მხედართმთავრის პოსტი კრომველს შესთავაზეს. ინგლისის არმიამ საზღვარი გადაკვეთა და 1651 წლის 3 სექტემბერს გამარჯვებაც მოიპოვა. **ლონდონში დაბრუნებული კრომველი გმირივით მიიღეს.**

**1653 წელს კრომველი ლორდი-პროტექტორი გახდა. ის ზოგჯერ დახმარებისთვის პარლამენტს მიმართავდა, თუმცა უფრო ხშირად აინუნშიც არ აგდებდა**. უთანხმოებებმა ლორდ პროტექტორსა და პატრლამენტს შორის როიალისტებს წარმატების მიღწევის იმედი გაუღვივა. 1655 წლის 22 იანვარს კრომველმა პარლამენტი დაითხოვა, ხოლო მარტში როიალისტების აჯანყებამ იფეთქა. მართალია ჯანყი დაუყოვნებლივ ჩაახშვეს, მაგრამ **ლორდ-პროტექტორმა საჭიროდ მიიჩნია ქვეყნის დაყოფა 10 ოლქად, რომელთა სათავეებშიც გენერალ-მაიორები ჩააყენა**.

იმ დროისათვის ინგლისი ახალ ომში ჩათრეული აღმოჩნდა, ამჯერად ესპანეთთან. კრომველი იძულებული იყო, ისევ მოეწვია პარლამენტი, რათა სამხედრო ხარჯები დაემტკიცებინა. 1655 წლის 17 სექტემბერს პროტექტორატის მეორე პარლამენტის პირველი სხდომა გაიმართა, სადაც კრომველს სერიოზული ოპოზიცია დაუპირისპირდა. შედეგად, პარლამენტში „წმენდა“ ჩატარდა — მისი 160 წევრი დაითხოვეს. სწორედ მაშინ წამოაყენეს წინადადება სამხედრო დიქტატურის საკონსტიტუციო მონარქიით შეცვლის თაობაზე (მეფე კრომველი უნდა ყოფილიყო). მართალია, კრომველმა ამაზე უარი განაცხდა, რადგან არმიასთან დაპირისპირება არ სურდა, მაგრამ ახალი კონსტიტუცია მაინც მიღებულ იქნა. აღდგა ლორდთა პალატა, თემთა პალატაში მოხვედრის საშუალება ჰქონდა ყველას, აშკარა როიალისტების გარდა. სახელმწიფო საბჭოს ადგილი საიდუმლო საბჭომ დაიკავა. ჩამოყალიბდა ზედა პალატა, სამაგიეროდ კრომველის მეგობრებმა ლორდთა პალატა დატოვეს. კრომველმა კვლავ დაითხოვა პარლამენტი. **ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ის ქვეყანას უპარლამენტოდ მართავდა**. ინგლისში მშვიდობა მხოლოდ მისი ავტორიტეტისა და არმიის მხარდაჭერის წყალობით ნარჩუნდებოდა: კრომველს უპირისპირდებოდნენ შეთქმული რესპუბლიკელებიცა და შეურიგებელი როიალისტებიც. 1658 წლის 3 სექტემბერს ის მალარიით გარდაიცვალა. სიკვდილის წინ კი მემკვიდრედ თავისი ვაჟი რიჩარდი დაასახელა.

**1661 წელს როიალისტებმა კრომველის ბალზამირებული ცხედარი ვესტმინსტერის სააბატოდან გაიტანეს და ტაიბერნში, ბოროტმოქმედთათვის გათვალისწინებულ სახრჩობელაზე ჩამოკიდეს, შემდეგ დაწვეს და ფერფლი მიწას შეურიეს, მოკვეთილი თავი კი ძელზე წამოაცვეს ვესტმინსტერში, სადაც კარლ II-ს მმართველობის ბოლომდე დარჩა...**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ყალბი მეამბოხენი

## RAF-ის სისხლიანი ისტორია — ჰანსისა და გრეტელის საზარელი ზღაპარი

**RAf-ი (წითელი არმიის ფრაქცია), „წითელი ბრიგადები“ და „რენგო სეკიგუნი“ მეოცე საუკუნის მითებად იქცნენ. კომინტერნისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დარად, ისინი საუკუნის ყველაზე საინტერესო და იდუმალი ორგანიზაციებია. მემარცხენე ტერორიზმის არსისა და მისი წარმოშობის მიზეზების გასაგებად წარსულს უნდა მივუბრუნდეთ.**

სტალინის სიკვდილის შემდეგ სკკპ-ს რიგებში წარმოქმნილი რევიზიონიზმის — დასავლეთთან მშვიდობიანი თანაარსებობისკენ სწრაფვისა და მსოფლიო რევოლუციის იდეის უგულებელყოფის საპასუხოდ მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის რეაქცია ერთობ მკვეთრი შეიქნა. 50-იანი წლების მეორე ნახევარში უფროსი თაობა ახალი საპარლამენტო პოლიტიკოსების მიმართ უნდობლობით განიმსჭვალა. რევიზიონისტებისადმი უნდობლობის ტალღაზე, ერთი მხრივ, მაოიზმი, მეორე მხრივ კი, რადიკალური მემარცხენე სტუდენტური მოძრაობა წარმოიქმნა, რომელსაც ახალი მემარცხენული იდეები მსჭვალავდა. ახალი მემარცხენეები გარკვეულწილად ანტისაბჭოთა იდეებით იკვებებოდნენ, რაც 1956 წლიდან „პიროვნების კულტის“ გამოაშკარავებას უკავშირდებოდა. ამიტომ მათ გარკვეული ამბივალენტურობა ახასიათებდათ: ერთი მხრივ, შეიარაღებული ბრძოლისკენ სწრაფვა და, მეორე მხრივ, საბჭოთა გამოცდილების უარყოფა. ეს მოძრაობა 60-იანი წლების დასაწყისში ერთდროულად წარმოიშვა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში: აშშ-ში, იაპონიაში, საფრანგეთში, გერმანიასა და იტალიაში. სტუდენტური ჯანყი 1967-დან 1972 წლამდე გაგრძელდა და თითქმის ერთდროულად აბობოქრდა დასავლეთის ქვეყნებში.

სწორედ რადიკალ სტუდენტთა რიგებიდან იშვა 70-იანი წლების ტერორისტთა თაობა, რომელთა იდეოლოგია ოქტომბრის რევოლუციასა და პარიზის კომუნის გამოცდილებას ეფუძნებოდა. ყველაზე დიდი გავლენა მათზე მაინც ლათინოამერიკულმა გერილიამ (პარტიზანული ბრძოლა ქალაქში) იქონია. ტერორისტული იდეოლოგიის ჩამოყალიბების ერთ-ერთ წყაროდ ანტიფაშიზმი იქცა. ეთნიკური ქსენოფობიის მქადაგებელი მაშინდელი მემარცხენე რადიკალები სისტემის წიაღიდან სამხედრო-ფაშისტური დიქტატურის წარმოქმნას ელოდნენ. გარდა ამისა, ახალგაზრდა რევოლუციონერებს გერმანიაში, იტალიასა და იაპონიაში დანაშაულის კომპლექსი ტანჯავდათ იმის გამო, რასაც მათი მამები სჩადიოდნენ მეორე მსოფლიო ომისა და ფაშიზმის ეპოქაში. შემთხვევითი როდია, რომ სამი ყველაზე მებრძოლი ტერორისტული ორგანიზაცია სწორედ „ახალი ატლანტის“ წინააღმდეგ მეომარ ქვეყნებში წარმოიქმნა: ესენი იყვნენ RAF-ი, BR (წითელი ბრიგადები) და სეკიგუნი. თითოეულ მემარცხენე ტერორისტულ ორგანიზაციას საკუთარი იდეოლოგია ჰქონდა, თუმცა გააჩნდათ ზოგადი მახასიათებლებიც. ყველა მათგანი თვლიდა, რომ „რევოლუციონერის ვალია, მუდამ აწყობდეს რევოლუციებს“ და ძალადობას მიმართავდეს.

ცნობილი ტერორისტული ორგანიზაციებიდან პირველი წარმოიქმნა წითელი არმიის იაპონური ფრაქცია „სეკიგუნ ჰა“ 1969 წელს. მის კვალდაკვალ, 1970 წელს იშვა RAF-ი — XX საუკუნის გერმანიაში ყველაზე ფენომენალური მოვლენა. RAF-ზე იმდენივე წიგნი დაიწერა და ფილმი გადაიღეს, რამდენიც მთელ ჰიტლერულ გერმანიასა და თავად ჰიტლერზე. ეს ერთ-ერთი ცენტრალური მოვლენაა გერმანიის ისტორიაში გლეხების ომის, რეფორმაციის, ნაციზმის, ვაიმარის რესპუბლიკისა და საფრანგეთ-პრუსიის ომის გვერდიგვერდ.

პირველ რიგში RAF-მა სახელი გაითქვა იმით, რომ მის სათავეში ლეგენდარულ მოღვაწეთა მთელი კოჰორტა იდგა, რომელთაგან თითოეული მეორეს ავსებდა და თავის სფეროში გენიოსი იყო.

ნომერ პირველი ფიგურა გახლდათ ულრიკე მაინჰოფი. ის 1934 წელს დაიბადა იენში, მისი მშობლები მუზეუმის თანამშრომლები იყვნენ. დედ-მამა ულრიკეს ადრე დაეღუპა და ამიტომ დეიდა — რენატა რიმეკი ზრდიდა, რომელიც ფარული კომუნისტი, მშვიდობის გერმანული კავშირის თავმჯდომარე და თეოლოგი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი იყო. გარდა ამისა, რენატა რომანტიკოსი პოეტის — ფრიდრიხ ჰელდერლინის პირდაპირი მემკვიდრე გახლდათ, რომელსაც „სტეპების მგელს“ უწოდებდნენ, გენიოსს, რომელსაც სძულდა ყველა, ვინც ცხოვრებით კმაყოფილი იყო.

ულრიკემ ჩინებული განათლება მიიღო მარბურგის უნივერსიტეტში, შემდეგ კი მიუნსტერის უნივერსიტეტი დაამთავრა. სწავლობდა ჰუმანიტარულ მეცნიერებებს: პედაგოგიკას, ფსიქოლოგიას და ფაკულტატიურად ხელოვნების ისტორიას. იმ წლებში გერმანიის არალეგალური კომპარტიის წევრი იყო და მისი დავალებით აქტიურად მონაწილეობდა „ატომური საფრთხის საწინააღმდეგო მოძრაობაში.“ ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ მაინჰოფი ჯერ კიდევ ქალიშვილობისას ოცნებობდა მონაზვნობაზე და სერიოზულად ფიქრობდა აღკვეცაზე. მისტიკური საზოგადოების — „წმინდა მიხეილის საძმოს“ წევრიც იყო, რომელიც რაღაც შუალედურს წარმოადგენდა თეოლოგიურ ჯგუფსა და რელიგიურ ორდენს შორის. გარკვეული ხნის განმავლობაში ის ცნობილი ჟურნალისტისა და ფარული კომუნისტის — კლაუს რაინერ რელის ცოლი გახლდათ და მასთან ერთად ხელმძღვანელობდა ჰამბურგში გამომავალ მემარცხენე სტუდენტურ ჟურნალ „კონკრეტს“.

ულრიკე ცნობილი ჟურნალისტი იყო, პოპულარობის რეიტინგით მუდამ დასავლეთ გერმანიის საუკეთესო ჟურნალისტთა ათეულში ხვდებოდა, რელისგან ტყუპი გოგონა ჰყავდა, მშვენიერ საკუთარ სახლში ცხოვრობდნენ. ყველა პირობა ჰქონდა იმისათვის, რომ სინდისის ქენჯნას არ შეეწუხებინა — ემიგრანტთა, ქალთა და უპატრონო ბავშვთა დამცველის იმიჯი, მაგრამ ეს ყველაფერი დატოვა სისხლისა და ბრძოლის გამო...

გუნდრუნ ენსლინი ულრიკეზე ექვსი წლით უმცროსი იყო (1940 წელს დაიბადა). მამა პასტორი ჰყავდა, ცნობილი თეოლოგის — კარლ ბარტის მიმდევარი. გუნდრუნი ჰეგელის პირდაპირი შთამომავალი იყო. ძალიან განათლებული გახლდათ: ტიუბინგენის უნივერსიტეტში გერმანისტიკას, სლავისტიკას, ანგლისტიკას, ფილოსოფიას, სოციოლოგიასა და პედაგოგიკას სწავლობდა. 1966 წლამდე სოციალ-დემოკრატი იყო. თავდაპირველად პედაგოგობა უნდოდა, მაგრამ გადაუფიქრებია და სადოქტორო დისერტაციის წერას შეუდგა. ცოლად ლიტერატორ ბერნარდ ვესპერს მისთხოვდა, პოეტი-კომუნისტის — ვილი ვესპერის ვაჟს. არც რელი და არც ვესპერი ტერორისტები არ გამხდარან — ერთი საამისოდ მეტისმეტად სუსტი იყო, მეორეს კი სავსებით აკმაყოფილებდა ბურჟუაზიული ცხოვრების სტილი. გუდრუნი ბავშვობაში ერთობ რელიგიური გოგონა იყო და სისხლიანი მოწამებრივი გმირობის, იდეის გამო სიკვდილის, აბსოლუტისადმი მისწრაფების წყურვილი ახასიათებდა.

RAF-ის პირველი თაობის მომდევნო უდიდეს ფიგურას — ანდრეას ბაადერს დასავლეთბერლინელ მარლონ ბრანდოს უწოდებდნენ. ეს ახალგაზრდა კაცი ბუნებით მამაცი, ავანტიურისტი, მრბოლელი და ჩხუბისთავი იყო, ნამდვილი სუპერმენი. 1943 წელს დაიბადა. მამა აღმოსავლეთის ფრონტზე დაეღუპა. ანდრეასს ის არასდროს უნახავს, რადგან მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბადა. ქალები ზრდიდნენ — ბებია, დედა და დეიდა. 1961 წელს აღმზრდელებს გაექცა და მიუნჰენიდან დასავლეთ ბერლინში გადასახლდა. ბერლინში ფორმალურად ირიცხებოდა თავისუფალი უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტზე, სინამდვილეში კი დახეტიალობდა, ჩხუბობდა და ალფონსივით ცხოვრობდა ხან ერთი, ხანაც მეორე მეგობარი ქალის ხარჯზე. ბაადერი ანტისოციალური ელემენტის, ეგზისტენციალური დებოშიორის კლასიკური ტიპი გახლდათ. თუ გუდრუნსა და ენსლინს ბრძოლის მოტივად იდეისთვის ჯვაროსნული ლაშქრობა აერჩიათ, ანდრეასი უბრალოდ ბანდიტი და ხულიგანი იყო...

RAF-ის საქმიანობის პირველ ეტაპზე დიდი როლი ითამაშა ჰორსტ მალერმა. ის 1936 წელს დაიბადა და ულრიკეზე ორი წლით უმცროსი გახლდათ. ჰორსტმა ბერლინში სამართლის ფაკულტეტი დაამთავრა და წარმატებული ადვოკატი გახდა. ზორბა, წვერიანი, მკვეთრად გამოხატული სემიტური ნაკვთებით, ნამდვილი სქესობრივი გიგანტი იყო. სოციალისტ ადვოკატთა კოლექტივს ხელმძღვანელობდა. RAF-ის წინამძღოლთა ოთხეული მშვენივრად ავსებდა ერთმანეთს: მალერის დიდი კავშირები, ულრიკეს იდეოლოგია, ბაადერის თავზეხელაღებულობა და გუდრუნის ფანატიზმი.

სხვათაშორის, ახალ მემარცხენეთა შორის ძალიან ბევრი ყოფილი გდრ-ელი იყო (ossi ასე უწოდებდნენ მათ დასავლელი გერმანელები). რუდი დუჩკეც გდრ-იდან იყო, SDS-ის („სტუდენტები დემოკრატიული საზოგადოებისათვის“) ფაქტობრივი ლიდერი ბენტ რაბელიც, „2 ივნისის მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი მიხაილ ბაუმანიც, მეტსახელად ბომი. იან კარლ რასპე და ბრიგიტა მონჰაუპტები RAF-იდან ერთადერთნი იყვნენ, ვინც კომუნაში ცხოვრობდა. საერთოდ, ცნობილი ბერლინული კომუნებიდან: კომუნა 1, კომუნა 2, ვილანდის კომუნა, რომლებიც შიდა კომუნიზმის პრაქტიკას ეწეოდნენ: ქონებისა და ცოლ-ქმრების საყოველთაობას, ძალიან ბევრი ტერორისტი გამოვიდა, მაგრამ ყველანი მაინც უპირატესად „2 ივნისის მოძრაობასა“ და RZ-ში ერთიანდებოდნენ.

იმ წლებში მოდური იყო ჰეფინინგები (ინგლ. „შემთხვევა,“ „მოქმედება.“ ერთმანეთთან დაუკავშირებელი ეპიზოდების მქონე ავანგარდისტული დრამატული წარმოდგენა), ქუჩის თეატრები, პოლიტიკური კაბარეები, სააგიტაციო პროპაგანდა „ცისფერი ბლუზის“ სტილში. ჰეფინინგების უდიადესი ორგანიზატორები იყვნენ: ფრიც ტოიფელი, რაინერ ლანგჰასი („როლინგ სთოუნზის“ ლიდერის — მიკ ჯაგერის საყვარლის საყვარელი. თუმცა სხვებისგან განსხვავებით, ის ტერორისტი არ ყოფილა) და დიტერ კუნცელმანი. ბაადერი პირველი იყო, ვინც ჰეფინინგის გადაყვანა უფრო სერიოზულ კალაპოტში მოინდომა.

(გაგრძელება იქნება)


ანდრეას ბაადერი და გუდრუნ ენსლინი



RAF-ის წევრები


სასამართლო პროცესი ფრანკფურტში


ბენო ონეზორგის სიკვდილი

გვერდები მოამზადა ნანა ჩარკვიანმა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# როდესაც ტორტებსა და ტკბილეულს სარეალიზაციო ვადა გაუვა, მწარმოებლებს ისინი მეორე სუპერმარკეტში მიაქვთ



**ხელისუფლების მხრიდან საკვებ პროდუქციაზე უკონტროლობის შედეგად ქვეყანაში იმატა სოციალურმა დაავადებებმა; პროდუქტების შემოწმების შესახებ კანონის მიღება კვლავ გაურკვეველი დროით გადაიწია, მანამდე კიდევ რა „სიურპრიზები“ ელოდება მოსახლეობას, არავინ იცის. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარე, ქალბატონი მადონა კოიძე ქართულ ბაზარზე პროდუქტების შემოწმების შედეგებზე გვესაუბრება.**



— საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებამ და მომხმარებელთა ფედერაციამ, მომხმარებელთა მსოფლიო საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რომელიც მსოფლიოში **15 მარტს** აღინიშნა, ჩაატარა მომხმარებლის გამოკითხვის კვირეული, რომელიც მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ ფედერაციის წარმომადგენლებს გაგვეგო ხალხის, მომხმარებლის აზრი, სურვილები და საჩივრები ამ საკითხებზე და მერე ყოველივე გაგვეანალიზებინა, რის საფუძველზეც შემდგომში შევძლებდით რეკომენდაციების შემუშავებას. ამ პერიოდში ფუნქციონირებდა 3 ცხელი ხაზი — ერთი ფედერაციაში და ორი პროფკავშირების გაერთიანებაში, რომლის შემდეგაც ძალიან საინტერესო შედეგები მივიღეთ.

**მომხმარებლის ზარების 45 პროცენტზე მეტი** სწორედ სასურსათო პრობლემებთან დაკავშირებით შემოვიდა, ისინი ჩიოდნენ ფალსიფიცირებულ პროდუქციაზე, რომელიც, ძირითადად, გარემოვაჭრეთა დახლებზე უფრო იყო წარმოდგენილი, სადაც მუდმივად იყიდება მალფუჭებადი პროდუქტები, ყველანაირი შენახვის პირობების დაცვის გარეშე.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მოსახლეობის **შემოსული ზარების 27 პროცენტი** ჯანდაცვის საკითხებს ეხებოდა, კერძოდ — არალიცენზირებულ სტომატოლოგიურ კლინიკებს, კვლევით ლაბორატორიებს და რამდენიმე საავადმყოფოს სანიტარულ მდგომარეობას. ასევე უწესრიგობა და უსუფთაობაა საქართველოში არსებული სილამაზისა და ტატუს სალონებში, მათ სანიტარულ მდგომარეობას დღეს არავინ არ აკონტროლებს, ამიტომ დიდია C და B ჰეპატიტებით დაავადების რისკი. ბევრ სალონში არ ხდება სანიტარული ნორმების დაცვა, იარაღების სტერილიზაცია.

**საჩივართა 18 პროცენტი** ტრანსპორტთანაა დაკავშირებული, ძირითადად, — სამარშრუტო ტაქსებთან, რომლებშიც სავარძლების რაოდენობის გაზრდით მგზავრებისთვის დიდი დისკომფორტია შექმნილი. **ზარების ათი პროცენტი** სუპერმარკეტებსა და მაღაზიებში (გარემოვაჭრეებზე რომ აღარა ვთქვათ) სასწორების გაუმართაობას ეხებოდა, ფაქტობრივად, წონაში დაკლება. ადრე არსებობდა მეტროლოგიის სამსახური, რომელიც ამოწმებდა დამღებს სასწორებზე, ამასთან, ნებისმიერ მაღაზიას ჰქონდა საკონტროლო სასწორი, სადაც მომხმარებელს შეეძლო ნავაჭრის წონის შემოწმება. დღეს ეს სამსახური აღარ არსებობს.

სამწუხაროდ, ხშირია წონის დეფიციტი მთელ რიგ დაფასოებულ ქართულ პროდუქტებზე, მაგალითად, **აწერია წონა 1 კილოგრამი, სინამდვილეში კი 980 ან 950 გრამია!**

ეს დარღვევები ამ კვირეულის მანძილზე ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლინდა.

ჩვენ შევიძინეთ ზოგიერთი პროდუქტი, მაგრამ რაც შეეხება მთელი პარტიის შემოწმებას, ამით დაკავებულია სურსათის უვნებლობის სამსახური, რომელსაც **კონტროლის უფლება ადგილობრივ ბაზარზე 2013 წლამდე აქვს შეჩერებული,** მაგრამ ის ახორციელებს მონიტორინგს, რომელიც უხარისხო პროდუქციას გამოავლენს.

ამ მონიტორინგის საშუალებით დადგინდა, რომ **2009 წელს შემოწმებული საკვები პროდუქტების ყოველი მეექვსე ერთეული უხარისხო და საკვებად გამოუსადეგარი იყო.**

რაც შეეხება სურსათს, მძიმე მდგომარეობაა მალფუჭებად პროდუქტთან დაკავშირებით.

ნებისმიერ სუპერმარკეტში რომ შევიდეთ, ვნახავთ კუსტარულად, ოჯახში დამზადებულ ნამცხვრებს; ნორმატიული დოკუმენტით, თუ ისინი მოხარშული კრემით ან კარაქით არის დამზადებული, შენახვის ვადა საათობრივია. მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელთა უფლებების **კანონის №6 მუხლის** მიხედვით, მომხმარებელს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია პროდუქტის შესახებ — თუ ვის მიერ არის წარმოებული ან როგორია მისი შენახვის წესი. **ეს ინფორმაცია, ძირითადად, ხალხისათვის მიუწვდომელია!** თუ გამყიდველს შეეკითხებით, გიპასუხებთ, რომ ნამცხვარი მაღაზიაში შემოტანილია X ქალბატონის მიერ, მეტი ინფორმაცია მის შესახებ არ აქვს. თუ ეს პროდუქცია არ გაიყიდა, პატრონი მას ახლით შეცვლის. ჩნდება საეჭვო კითხვა: **სად მიაქვს მიპატრონეს ეს გაუყიდავი ნამცხვარი? ანადგურებს მას? — სამწუხაროდ, არის ბევრი ფაქტი იმისა, რომ ვადაგასული პროდუქტი მომწოდებელს სხვა მაღაზიაში მიაქვს და, უბრალოდ, ცვლის მას!!!** არსებობს ვადაგასული პროდუქციის განადგურების წესი, რომელიც ჩვენში არ ხორციელდება. აქედან კი მივდივართ დასკვნამდე, რომ **ჩვენი მომხმარებელი დაუცველია!** ამასთან, ამ სფეროში დღეს არაჯანსაღი კონკურენტული გარემოა. **თუ ერთ პროდუქტს აქვს ეტიკეტი, სადაც მინიშნებულია წარმოების დრო, შენახვის ვადა და პირობები, რატომ არ აქვს იგივე გაკეთებული მეორეს? რატომ არ სთხოვს მათ პასუხს ვინმე?** ასევე საკითხავია ისიც, თუ როგორ გარემოში მზადდება სასურველი პროდუქტი და რამდენად ჯანმრთელი პიროვნება აკეთებს მას!!! იცავს კი ის ყველა იმ პირობას, რომელიც წარმოებისათვის არის მიღებული?

**— მაგალითისათვის დაგვისახელეთ პროდუქტები, რომლებიც ამ დღეებში შეამოწმეთ?**

— მაგალითად, ეს არის უკრაინიდან შემოტანილი **ვაფლი, გაურკვეველი მწარმოებლის მიერ დამზადებული;** იყიდება ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ის ლაბორატორიულად არ შეგვიმოწმებია, მაგრამ ვიზუალურადაც ჩანს, რომ აბსოლუტურად უხარისხოა! ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე **ერთ ლარად იყიდება ნამცხვარი „რულეტი“ (ასევე უკრაინიდან შემოტანილი,** რომელსაც რუსული წარწერა აქვს), სამწუხაროდ, მომხმარებელი არ ითვალისწინებს, რომ **1 ლარად შეუძლებელია უცხოური პროდუქტის წარმოება, მისი განბაჟება და გაყიდვა მოგებით!**

**სრულიად უხარისხოა ქართული წარმოების „რულეტი“ (მისი მწარმოებელი არის ვინმე გივი ხატიაშვილი), მასზე მოთავსებული ეტიკეტი ცხიმიანია, შეიცავს საღებავს და საკვებ პროდუქტთან მისი შეხება ჯანმრთელობისთვის საშიშია!!!** საქართველოშია დამზადებული „ტორტი“ **(მწარმოებელი ინდ. მეწარმე კ. მეფარიშვილი),** რომელსაც შენახვის ვადა ვითომ 15 დღე აქვს. ერთი შეხედვით ჩანს, რომ ის სრულიად უვარგისი პროდუქტია. ასევე, მე ხელთ მაქვს სირიაში წარმოებული შოკოლადის **„ასორტები“, რომელთაც ინგლისურად აწერია, რომ მისი შენახვის ვადა არის — 12 თვე, ხოლო ქართულად — 2 წელი! ეს უკვე კურიოზია!** სამწუხაროდ, ინგლისურ ეტიკეტში ბევრი ენობრივი შეცდომაცაა დაშვებული, რაც იმის მანიშნებელია, რომ ის ფალსიფიცირებულია.

ავიღოთ თუნდაც **ღვინის ძმარი,** რომელიც „ბორჯომის“ ბოთლშია ჩამოსხმული და ღირს 20 თეთრი! უბედურება ისაა, რომ შიგ ასხია შეღებილი წყალი და არა ძმარი! მას ოდნავ აქვს დამატებული ძმრის ესენცია გემოსათვის. **აქვე მაქვს თაფლი,** რომელიც არაფრით ჰგავს თაფლს — არც სუნით, არც გემოთი; რაღაც ჟელესმაგვარი ბლანტი სითხეა.

აქვე მაქვს, ასევე, ბაზრობაზე ნაყიდი ნამცხვრები **„პრიჩუდა“** და **„სუდარუშკა“**, რომელთაც ფაბრიკა „ბოლშევიკის“ წარმოებული პროდუქტების მსგავსი ეტიკეტი აქვს, აწერია, რომ **„ბლიცსერვისის“ მიერაა წარმოებული და 270 გრამია.** სინამდვილეში კი **200 გრამს იწონის!** „ბლიცსერვისის“ წარმოებულია ასევე შოკოლადი „დათუნია“. სამწუხაროდ, ვერც **„ბლიცსერვისი“ ვიპოვეთ და ვერც მისი მწარმოებელი!** გაურკვეველია, ასევე, მრავალი ლიქიორისა და ვაშლის ძმრის წარმომავლობაც.

კომპანია „ბიოკოდექსმა“, საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციასთან ერთად, სამომხმარებლო ბაზარზე, თევდორე მღვდლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე და „გუდვილში“ ქართველი და უცხოელი მწარმოებლების 26 დასახელების 72 და 82-პროცენტიანი კარაქი შეიძინეს.

შეძენილი პროდუქცია შესყიდვის შემდეგ ორ სხვადასხვა ლაბორატორიაში გაიგზავნა შესამოწმებლად. ჩატარდა მიკრობიოლოგიური და ქიმიური ანალიზები რადიაციასა და ტოქსიკურობაზე.

შესყიდულ რამდენიმე სახის კარაქზე ჩატარდა სრული გამოკვლევა.

კვლევის შედეგები ასეთია: საუკეთესო ხარისხის აღმოჩნდა და ზედ დაწერილ პარამეტრებს შეესაბამებოდა: **„სამგორი“, „ჩვენი ფერმერი“, „გურჯაანი“, „ბარნელი“, „ელისეევსკოე“, „სანტე ტრადიციული“, „ვალიო“, „პრეზიდენტი“.**

ზოგიერთ მათგანში გარკვეული შეუსაბამობებია ცხიმიანობასთან დაკავშირებით, მაგალითისათვის დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს:

1. კარაქ „რუსთავი +1“-ს ეტიკეტზე ცხიმიანობა საერთოდ არ აწერია; ფაქტობრივად 30 პროცენტია, მწარმოებელი გაურკვეველია;

2. „დიდუბის კარაქი“ — ცხიმიანობა ეტიკეტზე 60 პროცენტია მითითებული, ფაქტობრივად 30 პროცენტია;

3. „რუსთავი“ — ცხიმიანობა ეტიკეტზე 60 პროცენტია, ხოლო ფაქტობრივი 37 პროცენტი; შეიცავს, ასევე, მცენარეულ ცხიმებს, რაც მითითებული არ არის;

4. „მოსკოვური“ — ცხიმიანობა ეტიკეტის მიხედვით 72,5 პროცენტი უნდა იყოს, შემოწმების შედეგად 52,5 პროცენტი აღმოჩნდა. ასევე შეიცავს მცენარეულ ცხიმებს, რაც მითითებული არ არის;

5. „რუსთავი ნამდვილი“ — ცხიმიანობა ეტიკეტზე 72 პროცენტია, ფაქტობრივი — 37,5 პროცენტი; შეიცავს მცენარეულ ცხიმებს, მწარმოებელი უცნობია;

6. „კოდა“ — ცხიმიანობა ეტიკეტზე 82,5 პროცენტია, ფაქტობრივი — 80,5.

**ეთერ კასრელიშვილი**

## მოკლედ



### იემენმა ომი დაამთავრა

იემენის პრეზიდენტმა ალი აბდულა სალეჰმა გამოაცხადა, რომ შიიტელ მეამბოხეებთან ომი დაამთავრა, თანაც დააკონკრეტა, რომ საუბარია არა საომარი მოქმედებების შეწყვეტაზე ან დროებით ზავზე, არამედ კონფლიქტის საბოლოო ამოწურვაზე. სინამდვილეში არავინ იცის, დასრულდა თუ არა კონფლიქტი, შიიტების მოთხოვნებს ახლაც არავინ ითვალისწინებს. იემენში ხელისუფლებასა და შიიტებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება 2004 წელს დაიწყო, მას შემდეგ ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მხარეებმა ეს უკვე მერვე ხელშეკრულება გააფორმეს.



### ბელგიელები ავღანეთში რჩებიან

ბელგიის ჯარი ავღანეთში 2011 წლის დასასრულამდე დარჩება. ეს და ავღანეთის პოლიციის მომზადებაში სამხედროების ჩართვის გადაწყვეტილებები მთავრობის სხდომაზე ბელგიელებმა, ორიოდე დღეა, რაც მიიღეს. გარდა ამისა, გადაწყვეტილია, რომ ჯარების შენახვისათვის ხარჯები გაიზრდება და ქაბულში ბელგიის სრულფასოვანი საელჩო გაიხსნება. შეგახსენებთ, რომ ბელგიელებს ავღანეთი წელს უნდა დაეტოვებინათ, მაგრამ დარჩენა აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ სთხოვა. ახლა ავღანეთში 600 ბელგიელი ჯარისკაცია.



### საბერძნეთს გაკოტრებას ურჩევენ

ბუნდესბანკის მმართველობის წევრმა ტილო სარაცინიმ მწვავე ეკონომიკური კრიზისის გამო დეფოლტის პირას მყოფ საბერძნეთს ურჩია, თავი გაკოტრებულად გამოაცხადოს. მისივე განცხადებით, მიუხედავად მრავალი ექსპერტის მიერ გამოთქმული ვარაუდისა, საბერძნეთის გაკოტრება ევროზე რაიმე გავლენას ვერ მოახდენს, სამაგიეროდ მშვენიერი მაგალითი იქნება ევროზონის სხვა ქვეყნებისათვის. სარაცინიმ იქვე დააკონკრეტა, რომ ამ განცხადებებში გამოხატავდა მხოლოდ საკუთარ აზრს და არა — ბუნდესბანკის პოზიციას.

# საქართველოს ბაზარი მსოფლიოს სანაგვედ იქცა

## როცა ჭამა დანაღმულ ველზე სიარულს ჰგავს

**პატრონისა და ცივილიზაციის გარეშე დარჩენილ საქართველოში პრობლემათა ძირითადი ჩამონათვალი თუ არსი (თითქმის) არ იცვლება, სამაგიეროდ იცვლება პრობლემების ფორმა და მარკეტინგული ტრიუკები. მაგალითად, 90-იან წლებში თუ საკვები პროდუქტების დეფიციტი იყო, დღეს ეს პრობლემა თითქმის აღარ არსებობს, თუ ფული გაქვს, ყველაფერს იყიდი, თუმცა „ყველაფერი" პირობითი სიტყვაა და ეკოლოგიურად სუფთა ან ჯანსაღ საკვებს სულაც არ ნიშნავს.**





დღეს პრობლემას არ წარმოადგენს გენური ინჟინერიის „შედევრებისა" თუ ემულგატორებით გაჟღენთილი ე. წ. საკვების ყიდვა, ყიდულობ კარაქს და მიირთმევ "ჩორტ ევო ზნაეტ"-ს. იგივე პრობლემაა არაჟანთან, რძესთან, ყავასთან, ჩაისთან, პომიდორთან და, თქვენ წარმოიდგინეთ, პურთან მიმართებაშიც კი. ასე რომ, პროდუქტის ყიდვა დღესაც დიდ პრობლემებთან არის დაკავშირებული, უბრალოდ, ჩვენ ამის შესახებ არავინ არაფერს გვეუბნება.

### რატომ გააუქმეს სურსათის უვნებლობის მაკონტროლებელი ორგანოები

**ხუთი წლის წინათ საქართველოში პროდუქტების ვარგისიანობის მხრივ არსებული განუკითხაობა ოფიციალურად „გაპრავდა". სანიტარული ინსპექცია და სახელმწიფო მაკონტროლებელი რგოლები 2005 წლის პარლამენტის დადგენილებით გაუქმდა.**

მათი აღდგენა 2010 წლის 1 იანვარს უნდა მომხდარიყო, თუმცა ვადამ ამჯერად 2014 წლამდე გადაიწია. მიზეზი იგივეა — მაკონტროლებელი ორგანოები და უსაფრთხო პროდუქტების ნორმების დაკმაყოფილება ადგილობრივ მეწარმეებს „ძიმე ტვირთად" დააწვებათ, ვინაიდან უსაფრთხოების საერთაშორისო ნორმების დაკმაყოფლება ძვირი დაჯდება, ამ კანონის სრულად ამოქმედების შემთხვევაში, გამკაცრდება კონტროლი იმპორტზეც და, ექსპერტთა შეფასებით, მათი დიდი ნაწილი აიკრძალება, რადგან საიდუმლო არაა, რომ საქართველოში ზუსტად ის პროდუქტი შემოდის, რომელიც საერთაშორისო უსაფრთხოების ნორმებსა თუ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს და ცივილური ბაზრიდან კარგა ხნის წინათ განიდევნა.

გარკვეული პერიოდის წინ ევროპის სარეალიზაციო ქსელში მოხვდა ირლანდიური ღორის ხორცი, რომელშიც დიოქსინის მაღალი შემცველობა დაფიქსირდა. მისი აღმოჩენისთანავე ქსელიდან ამოიღეს და გაანადგურეს ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქტი. შესაბამისი შეტყობინება გაუგზავნეს იმ ქვეყნებსაც, სადაც დიოქსინის შემცველი ხორცი შეიტანეს, მათ შორის იყო საქართველოც. თბილისში მყოფმა ევროპულმა დელეგაციამ ოფიციალურად აცნობა სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებს არსებული საფრთხის შესახებ, თუმცა მათ არაფერი მოიმოქმედეს მომხმარებელთა დასაცავად.

„ირლანდიური ხორცის" ამბავი არ გაახმაურეს, ასე რომ, მომხმარებლებს ეჭვიც არ გასჩენიათ, თუ რა კატეგორიის საწამლავი ჰქონდათ სადილად. მსგავს კრიმინალურ ქმედებებს მთავრობის ენაზე „ლიბერალიზაცია" და ბიზნესის წახალისება ჰქვია. ცნობილია, რომ პროდუქტების 80%, რომელიც საქართველოში იყიდება, იმპორტირებულია, თუმცა იმავე ლიბერალიზმის მოტივებიდან გამომდინარე, არავინ ამოწმებს, რა შემოდის და „შემთხვევით" მომაკვდინებელი ხომ არ არის ადამიანისთვის.

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ანგარიშში წერია, რომ „სურსათის უვნებლობის სამმართველოს მიერ განხორციელებული საკვები პროდუქტების შემთხვევითი ტესტირების შედეგები კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რასაც ერთ-ერთი მოხსენება „სურსათიდან მომავალ სერიოზულ საფრთხეს" უწოდებს. შემოწმებული ნიმუშების 27,3% არსებულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა, ხოლო ხორცისა და ხორცპროდუქტების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 66,7% იყო. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესები მოითხოვს, რომ იმპორტირებულ და ადგილობრივ საკვებ პროდუქტებზე სურსათის უვნებლობის ერთი და იგივე ნორმები ვრცელდებოდეს".**

ისე, კაცმა რომ თქვას, არც მთლად უპატრონობასთან გვაქვს საქმე, პერიოდულად პროდუქტებსაც ამოწმებენ და სკანდალებსაც აგორებენ. მაგალითად, ე. წ. „სომხური ყავის" მსგავსს, როდესაც ნალექიან ყავაში ყავა ვერ იპოვეს, სამაგიეროდ ტყვიისა და მძიმე ლითონების შემცველობა უხვად აღმოაჩინეს. მსგავს სკანდალებსა და სატელევიზიო მხილებებს ერთნაირი ფინალი აქვს. სკანდალის შემდეგ 2 კვირის მანძილზე პროდუქტი ქრება სავაჭრო ქსელიდან, 2 კვირის შემდეგ კი ისევ ბრუნდება, იგივე შემადგენლობით და შეფუთვით, სამაგიეროდ შეცვლილია შემომტანი კომპანია, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვისა და სინდისის ქენჯნის გარეშე განაგრძობს მომაკვდინებელი პროდუქტის დისტრიბუციას, კანონის არ მქონე საქართველოში.

მსგავსი ქმედებებით „ბიზნესის წახალისება" ხდება როგორც კონკრეტული პროდუქტის დისტრიბუციის, ასევე სამედიცინო სფეროსა და ფარმაცევტული ბაზრისაც, საშუალოდ 10 ლარს იხდი მომწამვლელ პროდუქტში, 100-დან 1000 ლარამდე კი — მედიკამენტებში და სამედიცინო დაწესებულებებში, გააჩნია დიაგნოზს.

**ყველა კმაყოფილია — სახელმწიფოც (ბიუჯეტი ივსება), კონკრეტული ჩინოვნიკები, რომლებიც ამა თუ იმ პროდუქტის დისტრიბუციის უკან დგანან, კონკრეტული ე. წ. ბიზნესმენები, რეალიზატორები და ფარმაცევტული კომპანიებიც.**

თუ, მაინცდამაინც, ფული არ გაქვს და დიოქსინიანი კატლეტის მირთმევის შედეგებს სამედიცინო ჩარევით ვერ აღმოფხვრი, მოგებულ კომპანიათა ჩამონათვალში სარიტუალო კომპანიები და სასაფლაოები ჩაერთვებიან. ამას ლიბერალიზაცია ჰქვია, რომლის ძირითად ფუძემდებლადაც, ისევე, როგორც სხვა არაერთი უბედურებისა, კახა ბენდუქიძე მოიაზრება.

ბენდუქიძის შეფასებით, „ადრე" არსებული სურსათის უვნებლობის რეგულირება „არაფრად ვარგოდა" და კორუფციის ბუდეს წარმოადგენდა, მის მიერ შემოთავაზებული „ვარგისი" სისტემა კი, ძირითადად, მომხმარებელთა თვითშეგნებაზეა დამყარებული, სახელმწიფოს კი „ხელებიც დაუბანია". დიდმა ლიბერალმა საზოგადოება დამოძღვრა კიდეც, თუ მომხმარებელი რესტორანში საკვებისგან მოიწამლება, რა პრობლემაა — უჩივლოს რესტორანს, სულაც არ არის სახელმწიფოს ჩარევა საჭირო. უტრირებას არ ვახდენთ, კახა ბენდუქიძემ ზედმიწევნით ასე წარმოაჩინა სურსათის უვნებლობის ახალი კონცეფცია, რომლიც ბიზნესს „ზედმეტი შევიწროებისგან" იცავს.

### დაწერეთ შემადგენლობა, მაინც ვერავინ შეამოწმებს

**2010 წლის 1 იანვრიდან სურსათის უვნებლობის კანონი არ ამოქმედდა და იგი 2014 წლისთვის გადაიდო, თუმცა საქართველოს ხელისუფლება მაინც გახდა იძულებული, ცივილურ სამყაროზე ზეწოლის საპასუხოდ „ვიდი" შეექმნა, რომ ამ მიმართულებით „რაიმეს კეთება მაინც დაიწყო"; მოსამზადებელი სამუშაო, რომელიც მწარმოებელთა აღრიცხვა-რეგისტრაციას გულისხმობს, ჯერ არ დაწყებულა და არც უახლოეს პერიოდში იგეგმება; სამაგიეროდ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით „ნაბიჯი გადაიდგა" და გამოშვებულ პროდუქტებზე შემადგენლობის მითითება სავალდებულო გახდა. მაგალითად, რძის პროდუქტებზე: რძეზე, იოგურტზე, კარაქზე, არაჟანსა და ხაჭოზე უნდა მიეთითოს, პროდუქტი ნატურალური რძისგან არის დამზადებული თუ რძის ფხვნილისგან.**

ეს ვალდებულება რძის პროდუქტების მწარმოებელ კომპანიებს 1 იანვრიდან დაეკისრათ. მიუხედავად ამისა, სარეალიზაციოდ გამოტანილი რძის პროდუქტების დიდ უმრავლესობას ეს „მარტივი" განმარტება მაინც არ ახლავს თან; უფრო სწორად, ყველა მათგანის შემადგენლობის ჩამონათვალში „ნატურალური რძეა" მითითებული.

**არადა, მშვენივრად ვიცით, რომ საქართველოში ნატურალურ რძეს ლამის ძროხებიც აღარ იწველიან და პირდაპირ პოლიეთილენის პარკში შეფუთულ რძის ფხვნილს „დებენ".**

ერთ-ერთი კომპანიის პირველი პირი პირად საუბარში აცხადებს, რომ ნატურალური რძისგან წარმოებული 1 კგ კარაქი მინიმუმ 30 ლარი უნდა ღირდეს, საქართველოში წარმოებული ე. წ. რძის პროდუქტების უმრავლესობას კი „ნამდვილ" რძესთან ახლოსაც არ ჩაუვლია.

თუმცა პრობლემა მხოლოდ რძის ფხვნილის გამოყენებაში არ არის, რძის ფხვნილი, ისევე, როგორც სხვა ყველაფერი, ძვირადღირებულია და იაფფასიანი, ხარისხიანი და უხარისხო. მაგალითად, „ნიკორას" განშტოება, ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული პროდუქტების მწარმოებელი „ჩვენი ფერმერი" ამაყად აცხადებს, რომ ისინი რძის, კარაქის, არაჟნის და ა.შ. წარმოებისას მაღალხარისხოვან ირლანდიურ რძის ფხვნილს იყენებენ და ეს შეფუთვაზეც მითითებული აქვთ.

ასე რომ, პროდუქტის ვარგისიანობის ან უვარგისობის განმსაზღვრელი მხოლოდ რძის ფხვნილი არ არის. იმის აღნიშვნას კი, თუ რა კატეგორიის რძის ფხვნილია გამოყენებული, ძირითადად, ბავშვებისათვის განკუთვნილ პროდუქტებში, არავინ, მათ შორის, არც კანონი არავის ავალდებულებს. მთელი ამ ამბის კომიკურობა კი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს ლაბორატორია, რომელიც დაადგენს, რძის პროდუქტი ნატურალური რძისგან არის დამზადებული თუ რძის ფხვნილისგან.

ასე რომ, სულ ტყუილადაც რომ დააწერონ — კარაქი დღეს დილით ჩემი ხელით მოწველილი რძისგან შევდღვიბეო — ვერავინ დაამტკიცებს, რომ ეს მორიგი იგავია მიუნჰაუზენის ციკლიდან. ამასთან, არ არსებობს ალტერნატივა — მავნე პროდუქტების სანაცვლოდ ჯანსაღი პროდუქტი, ამიტომ საზოგადოების დიდ უმრავლესობას, რომლის ხელფასიც 1500 ლარზე დაბალია, არჩევანის თავისუფლება არ აქვს — ან უნდა მოკვდეს შიმშილით, ან — მავნე პროდუქტებით.

### ფალსიფიკაცია ვერტიკალურია და ბრუნვადი

**ფალსიფიკაცია სიყვარულს ჰგავს – ვერტიკალურია და თანაც ბრუნვადი, სიყვარულისგან განსხვავებით კი ბევრად უფრო მდგრადი და შეუქცევადი. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში ასეა, სადაც მომხმარებელს ერთადერთი გარანტირებული უფლება აქვს – იყოს ხმარებული! ოფიციალურად მავნე პროდუქცია ეს „ლაითი" შემთხვევაა –ქართველ მომხმარებლებს ეს მავნე პროდუქციაც, ხშირ შემთხვევაში, მეორადი, ანუ გაყალბებული სახით მიეწოდება.** არსებული ინფრომაციით, 2005 წლიდან დღემდე პროდუქტების ფალსიფიცირების მაჩვენებელი 45%-ით გაიზარდა. თბილისის ყოფილი სანიტარული ექიმი, ამჟამად ორგანიზაცია „ჯანმრთელი სამყაროს" თავმჯდომარე ზურაბ ფუტკარაძე აცხადებს, რომ ფალსიფიცირებული პროდუქციის ტოპრეიტინგს ტუალეტის ქაღალდი ხსნის. ტუალეტის ქაღალდი არ იჭმევა, თუმცა ანტისანიტარიულ პირობებში დამზადებული ქაღალდი მრავალ პროქტოლოგიურ და გინეკოლოგიურ დაავადებას იწვევს. ამასთან, ფალსიფიცირებული პროდუქტის დიდი ნაწილი იმპორტის სახით სხვა ქვეყნებიდან შემოდის. მათი შემოწმებისა და ვარგისიანობის კონტროლი კი 2014 წლამდეა გადავადებული. ზურაბ ფუტკარაძის განცხადებით, გაყალბების რიგით მეორე მაჩვენებელი კარაქს ეკუთვნის, რომელიც იმდენად მდარე ხარისხის ე. წ. მარგარინისგან მზადდება, რომ ნორმალურ ქვეყნებში მისი რეალიზაციისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დადგებოდა. გაყალბების ლიდერებია ყავა და ჩაი, ასევე მინერალური წყალი, რომლის დიდი ნაწილი კვლავაც ჭუჭყიან აბაზანებში სოდისა და ონკანის წყლის მარტივი კომბინაციით მზადდება.

გაყალბების იდეალური კანდიდატია შამპუნებიც.

ზურაბ ფუტკარაძე: „მაგალითად, ავიღოთ ე. წ. ქერტლის საწინააღმდეგო შამპუნი, დაასახელეთ მომხარებელი, რომელსაც ბაზარზე ნაყიდმა ასეთმა შამპუნმა უშველა, ისინი შემდეგნაირად მზადდება – გარკვეული ოდენობის ჭურჭლის სარეცხ სითხეს ამატებენ საჭირო ფერის გუაშს, სუნისა და გამასქელებელ კონსერვანტებს, შემდეგ შესაფერის ჭურჭელში ათავსებენ, რომელიც მთელ ამ პროდუქტში ყველაზე მარალხარისხიანია და მერე, გინდა, ქერტლის საწინააღმდეგო დააწერე და გინდა, მოცულობის მიმნიჭებელი – ამას მაინც აღარავინ შეამოწმებს. ფალსიფიცირებული პროდუქტი არა მარტო არღვევს მომხარებლის უფლებებს, არამედ სერიოზულ საფრთხესაც უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. დღეს ადამიანი რომელიმე პროდუქტით რომ მოიწამლოს, არ არსებობს სტრუქტურა, რომელიც ამ ფაქტზე რეაგირებას მოახდენს, არც — ლაბორატორია, სადაც შესაძლებელი იქნება საეჭვო პროდუქტი „პირადი ინიციატივით" მაინც გამოიკვლიოს".

### „შეარჩიეთ მოწამვლის თქვენთვის მისაღები ფორმა"

მანამდე, სანამ სახელმწიფო საჭიროდ ჩათვლის თავის მოქალაქეებზე ზრუნვას და რალაც ნორმებს მაინც დააწესებს კანონის ან ქვენორმატიული აქტის სახით, თქვენ მოგიწევთ საკუთარი თავისა და ოჯახის უსაფრთოხოებაზე ფიქრი, უსაფრთოება ხმამაღალი ნათქვამია, რადგან ჯანსაღი პროდუქტის შეძენა დღეს სერიოზულ სირთულეებთან არის დაკავშირებული იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველოში მსგავსი რამ თითქმის არ არსებობს. სამაგიეროდ ჩვენ კიდევ ერთხელ შემოგთავაზებთ ე. წ. ემულგატორების სიას, რომელნიც ყველა ნორმალურ ქვეყანაში კატეგორიულად აკრძალულია, საქართველოში კი მსგავს აღნიშვნას არაერთ პოპულარულ პროდუქტზე იპოვით.

**ძალიან საშიშია:**
**E102, E110, E120, E127, E123**
**კარცეროგენი, ანუ კიბოს გამომწვევია:**
**EE103, E105, E111, E121, E125, E126, E126, E130, E447. E 210, E211, E212, E 213, E214, E215, E216, E217, E240, E131, E142, E152, E330.**
**იწვევს კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადებებს:**
**E338, E339, E340, E341, E407, E450, E461, E462, E463, E465, E466, E221, E222, E223, E224, E226, E322.**

ეს რაც შეეხება განსაკუთრებით საშიშ დანამატებს, რომელთა წყალობითაც ბავშვებისათვის განკუთვნილი „ჟელიბონი" და სხვადასხვა სასუსნავი განსაკუთრებულად ლამაზი და მიმზიდველი ჩანს. „საეჭვო" „ქოლესტერინის დონის ამწევი" და „ალერგიული" დანამატების სია კი სამჯერ უფრო დიდია და, ფაქტობრივად, კვების პროდუქტებში გამოყენებული ყველა ემულგატორი შედის. ასე რომ, გაუფრთხილდით საკუთარ თავს ან, თამბაქოსი არ იყოს, ნებაყოფლობით აირჩიეთ, რომელ დაავადებასთან ერთად გსურთ, განიხილოთ საკუთარი თავი არცთუ შორეული მომავალში, რადგან ასეთი დანამატები, თავის ფატალურ შედეგს 3-5 წლის მანძილზე გამოავლენს, თანაც ისე, რომ ეჭვს ვერავინ მიიტანს, კიბოსა თუ სხვა სახის დაავადებათა სტატისტიკის ზრდა ლამაზ და სურნელოვან „ფირმა" საკვებთან რომ არის დაკავშირებული.

**ნინო ბერიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ტბელთა ნაკვალევი

## ქციის ხრამი

**დღევანდელი თეთრიწყარო, რომელიც ძველი გარისის გარშემო დასახლებული დაბაა, შემთხვევით არ გამხდარა რაიონული ცენტრი. იგი მდებარეობს იქ, სადაც ორი მდინარე — ქცია და ალგეთი თავიანთ შუაწელში ყველაზე უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს; მეორეც — აქედან ყველა მიმართულებით მიდის გზა. ჩვენც სხვა საშუალება არ გვაქვს — ცხნარ-ლიყურეთიდან თეთრწყაროში ვბრუნდებით, რათა აქედან ჯერ ტყემლარასა და ნადარბაზევში მოვხვდეთ, შემდეგ კი კლდეისის ხეობაში გადავიდეთ.**



**ნადარბაზევი. სასახლე**

ნასახლარ ტყემლარაში, ბორცვზე, შემონახულია ადრეშუასაუკუნეების ნაეკლესიარი, რომელიც დოლორიტის დიდი ქვებით ყოფილა ნაგები. ამჟამად კედლები ძლიერაა დანგრეული. ეკლესიის წინ სასაფლაოა, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დარახტული ცხენის ქვა. ცხენზე ფანდურიც არის გამოკვეთილი, რაც უთუოდ ამ საფლავში მწოლიარე კაცის მომღერლობაზე მეტყველებს. აქედან სამხრეთ-აღმოსავლეთით ნასოფლარი ეცოა, სადაც განვითარებული შუასაუკუნეების მოზრდილი ნაეკლესიარია.

* * *

ტყემლღარადან უკან ვბრუნდებით და ნაჭივჭავარის გვერდის ავლით (ამ ადგილებში გაზეთის მკითხველთან ერთად უკვე ვიმოგზაურეთ), გრუნტის ასე თუ ისე ნორმალური გზით **ნადარბაზევისკენ** მივეშურებით.

მდინარე ჭივჭავის **„სადინს არს ნადარბაზევი — თამარ მეფის ნასახლევი“,** — ამბობს ვახუშტი ბატონიშვილი. დღევანდელი ზუსტი კოორდინატები ასეთია: თეთრიწყაროს ცენტრიდან ჩრდილო-დასავლეთით 10 კილომეტრში და სოფელ ჭივჭავის გადასახვევიდან 6 კილომეტრში, ახალქალაქისაკენ მიმავალი რკინიგზისა და სასოფლო გზის მარცხენა მხარეს. აქ, შემაღლებულ ადგილზე, თქვენ შენიშნავთ მოზრდილი ნაგებობის ნანგრევს. იგი სიგრძეში 18 მეტრს აღწევს, სიგანეში კი 13-ს. სწორედ ეს არის სასახლე — ამ კომპლექსის ძირითადი შენობა, რომელიც 2-სართულიანი ყოფილა, მაგრამ დღეს არც ქვათა წყობის ზედა რეგისტრები შემორჩენია და, ბუნებრივია, — აღარც გადახურვა.

სასახლე გარედან შემოსილი ყოფილა სუფთად გათლილი ბაზალტის დიდი ქვებით. მას შესასვლელი სამი მხრიდან ჰქონია და სავარაუდოა, შიგნით მოხატულიც კი იყო.

სასახლეს ჩრდილოეთიდან დამხმარე სათავსო აქვს მიდგმული...

აქვე, ოცდაათ მეტრში არის კიდევ ერთი, ორსართულიანი, ნაგებობის ნანგრევი. საერთო მოცულობით იგი ბევრით არ ჩამორჩება სასახლეს.

მთელ ამ ტერიტორიას, სადაც სხვა ნაგებობათა კვალი არ ჩანს, ოვალური გალავანი და ორი კარიბჭე ჰქონია. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ კარიბჭის ნაშთები.

კარიბჭის გარეთ, ტყეში, ნაეკლესიარის ზეძირკვლის ფორმა იკითხება.

ნადარბაზევის კომპლექსი IX-X საუკუნეების ისტორიული ძეგლია და, როგორც ჩანს, უმსხვილესი ფეოდალის კუთვნილება იყო. IX საუკუნიდან ეს ადგილები თბილისის საამიროს ტერიტორიაში მოექცა, X საუკუნიდან XI საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით კი თრიალეთის პატრონის, ტაშირ-ძორაგერტის მეფისა და საამიროს მმართველის დაპირისპირების საგანს წარმოადგენდა. იგი ერთგვარ გზაჯვარედინზე იყო, მაგრამ იმის გამო, რომ მიწა ტრადიციულად ქართული იყო, ხოლო მოსახლეობის დიდი უმეტესობა — ასევე ქართული, აქაური ფეოდალი, რომელ სამეფო კარსაც არ უნდა დამორჩილებოდა, აუცილებლად ქართველი იქნებოდა.

საქართველოს სრული გაერთიანების შემდეგ, როგორც ჩანს, გეოგრაფიული მდებარეობის გამო, აქაურობა ერთ-ერთ სამეფო დომენად და რეზიდენციად იქცა. ამიტომ იგი ხალხმა თამარის სახელს დაუკავშირა.

მეფის რუსეთის დროს ნადარბაზევის ტერიტორიაზე ერთ-ერთი სამხედრო შენაერთი იყო დაბანაკებული.

* * *

ნადარბაზევიდან ჭივჭავის სათავეებში ავდივართ, იქიდან კი ალგეთ-ქციის წყალგამყოფი ქედის — ბედენის ზეგანზე, სადაც წალკისაკენ მიმავალი რკინიგზა გადის. ხელმარცხნივ, სოფელ ივანოვკის (თუ არ ვცდები, ძველი კარაქას) ეკლესია მოჩანს ბედენის ქედის თხემზე. ამ გზას მანამდე ვაგრძელებთ, სანამ



**დიდი კლდეისი. წარწერიანი ტიმპანი**



**დიდი კლდეისი. საფლავის ქვა**

ერთი პლატფორმა და სარკინიგზო ბოგირი არ გვხვდება. ჩვენი მეგზური, თეთრიწყაროს ტყის მცველი, რომელსაც ახლა რატომღაც რეინჯერს უწოდებენ, აქაურ გზებში კარგად ერკვევა და იცის, რომ სოფელ პატარა კლდეისში ანუ ძველ **ხორხებში** მხოლოდ ასე თუ მოვხვდებით. დაჭაობებულ ტყეში სრიალ-სრიალით ეშვება მანქანა და მერე, ერთ პატარა მოედანთან ხელმარცხნივ ექანება კლდეისის წყლის ხეობაში.

ნასოფლარში შევედით. ახალმიტოვებული სახლები მძიმე საცქერია...

ხორხები მრავალჯერ დასახლებულა და აყრილა. ბოლოს აქაურობა 20 წლის წინათ დაცარიელდა და გავერანდა. ამიტომ არის, რომ დიდ კლდეისასთან დამაკავშირებელი სამანქანო გზა მოიშალა და დაიმეწყრა.

ნასოფლარის დასაწყისში ეკლესიისა და კოშკისმაგვარი ნაგებობის ნაშთებია. სამხრეთით, 50 მეტრში კიდევ ერთი ნაეკლესიარის ზეძირკვლის ფრაგმენტებია. ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ის ნაეკლესიარია, რომელიც აქაურებში ორი სახელწოდებითაა ცნობილი: „თედოწმინდა“ და „წმიდა გიორგი“. მართალია, იგი მცირე ზომისაა, მაგრამ კარგად გათლილი ქვებითაა ნაშენები. გაშლილ, ნახევარწრიულ აფსიდში სამხრეთის ნიში შედარებით მაღალი და თაღოვანია. შემორჩენილია ადრეშუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი კანკელის ნაშთები დიდი, გეომეტრიული რელიეფური ფიგურებით.

ეკლესიიდან და ახალი ნასოფლარიდან ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 200 მეტრში, უძველესი ნასახლარია, რომელიც თავისი მასშტაბებით და კედლების სიმტკიცით ადგილობრივი ფეოდალის — ხევისუფლის საცხოვრებლის შთაბეჭდილებას ტოვებს.

აქედან დასავლეთით, 50 მეტრში ბუნების საოცრებას — ციხესიმაგრის მსგავს ვულკანურ კლდეს და მიწისქვეშა სივრცეებს წავაწყდებით, სადაც ოთახებიც უნდა იყოს. შესაძლოა, აქაურმა სოფელმა სახელწოდება ხორხები ამ მსუნთქავი მიწისქვეშეთის გამო დაიმკვიდრა. ერთ-ერთ ნაპრალში, 4-5 მეტრის სიღრმეზე, მარადიული თოვლია.

აქედან სოფელი **დიდი კლდეისი** ხელის გაწვდენაზეა სამხრეთით, მაგრამ, რაკი ძველი გზა სრულიად მორღვეულია, შემოვლით გზას ვეძებთ და ჩრდილო-დასავლეთიდან წრიულად ვუვლით ხორხებს. როგორც იქნა, სოფელი დავინახეთ ქვევით, მაგრამ სანამ იქ დავეშვებით, გზად ერთი კოხტა ეკლესია გვხვდება. იგი დიდ კლდეისას თავს დაცქერის. ეს არის წმინდა გიორგის სახელობის საყდარი. იგი ძალზე პატარაა (5,6X3,75 მ) და ნაგებია მრგვალად დამუშავებული კლდის ქვით, წყობის ჰორიზონტალობა დაცულია. ეკლესია შეკეთებულია, მაგრამ აღმოსავლეთ ფასადი უცვლელადაა შემონახული. იგი ძალიან არქაულია. საყდარი IX-X საუკუნეებისა უნდა იყოს.

სოფელში ვეშვებით. დიდი კლდეისა პატარა დასახლებაა. გვიან შემოდგომაზე სოფელი თითქმის დაცლილი და მოხუცების ანაბრადაა...

დიდი კლდეისის სასაფლაოზე შემონახულია ერთი ძალზე საყურადღებო ძეგლის — ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის ნანგრევები. ეს არის დარბაზული საყდარი, რომელსაც არათანადროული სამხრეთისა და ჩრდილოეთის მინაშენები ჰქონია, ახლა კი სავალალო მდგომარეობაშია.

ყველაზე უფრო საინტერესოა ნასაყდრალის ერთადერთი, სამხრეთ კარის ტიმპანი, რომელსაც დაზიანებული არქივოლტი აქვს. მის შემორჩენილ ნაწილზე იკითხება: **„ქრისტე შეიწყალე იოვანე“.** თავად ტიმპანის შუაგულში, ლამაზი ტოლმკლავა ჯვრის ორ მხარეს ორი წარწერაა. მარცხენა წარწერა, თითქოს, ასე იკითხება: **„ქრისტე შეიწყალე სერაპიონ დაღაუდი“.** მარჯვენა მხარეს გარკვევით წერია: **„ქრისტე შეიწყალე ქავთარ ტბელნი“.**

ისტორიულად ცნობილია ტბელების ორი სხვადასხვა შტო: შავშეთისა და ქართლისა. შავშეთის საერისთავო სახლის ფუძემდებელი იყო XI საუკუნის მოღვაწე, ეპისკოპოსი საბა მტბევარი. ქართლის დიდაზნაური ტბელები უფრო ადრე, IX-X საუკუნეთა მიჯნიდან გამოდიან ასპარეზზე. მათი გვარი ცხინვალის რაიონის სოფელ ტბეთიდან გამომდინარეობს. ამ სოფელში დღემდეა შემორჩენილი ტბელთა ციხე-დარბაზისა და ბორცვისჯვრის სახელობის ეკლესიის ნაშთები. ქართლელ ტბელთა გვარში ყველაზე გავრცელებული სახელები იყო ივანე, ქავთარი, პატრიკი და აბაზა. X საუკუნის 20-იანი წლებიდან მათ თავიანთი გავლენით ყანჩაელთა სახლს გადაუსწრეს და ქართლის ერისთავობის ტიტული მოიპოვეს. ისინი მედგრად ებრძოდნენ როგორც აფხაზეთის, ისე ტაოს მეფეების ქართლში გაბატონებას, რის გამოც ორჯერ დაისაჯნენ: ჯერ აფხაზეთის (ე.ი. დასავლეთ საქართველოს) მეფის გიორგი II-ეს, შემდეგ კი დავით კუროპალატისა და ბაგრატ III-ეს მიერ. პირველ შემთხვევაში მათი სახლის წარმომადგენლების ერთი ნაწილი — ივანე ტბელის ძენი — ვასპურაკანში გადაასახლეს, მეორე შემთხვევაში კი დასჯის ფორმები უცნობია. სწორედ ბაგრატ III-ეს წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი იყო ქავთარ II ტბელი, — ძე პატრიკ ტბელისა, რომელიც სათავეში ჩაუდგა ქართლის აზნაურებს. საფიქრალია, რომ, დამარცხების შემდეგ, ქავთარს შიდა ქართლში აღარ დაედგომებოდა და ქციის, ან ალგეთის ხეობაში გადასახლდა. სავარაუდოა, რომ ბირთვისის ციხის მახლობლად მდებარე ტბისიც შიდა ქართლიდან გადმოსული ერისთავების პირველსაცხოვრისის სამახსოვრო ტოპონიმია.

თუ კლდეისის ეკლესია ერთადერთია ქვემო ქართლში, რომელიც ტბელთა გვარს ინახავს ლაპიდარულ წარწერაში, შიდა ქართლის X საუკუნის არაერთი ასეთი ეკლესიაა (ერედვი, ტბეთი, ნიქოზი, დოდოთი).

არის თუ არა კლდეისის წარწერაში ნახსენები ქავთარ ტბელი X-XI საუკუნეების ცნობილი ერისთავი ქავთარ-II (პატრიკის ძე), ძნელი დასადგენია. ვ. სილოგავას თვალსაზრისით, წარწერა თავისი ნიშნებით, XII საუკუნისა უნდა იყოს, ხელოვნებათმცოდნეების თვალსაზრისით კი ტაძარი XI საუკუნისას ჰგავს. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, ეს ქავთარ ტბელი შიდა ქართლიდან მოსული ტბელების წარმომადგენელი რომაა, ეს უდავოა.

კლდეისის ძველ სასაფლაოზე კიდევ ერთ საინტერესო ძეგლს ვხვდებით. ესაა XII საუკუნის საფლავის ჩინებული ქვა, რომელსაც აქვს ასომთავრული და ნუსხური წარწერა: **„...მოდენას სულსა შეუნდვენ“.** საფლავის ქვის გაფორმებიდან ირკვევა, რომ ეს მოდენა გამორჩეული ხუროთმოძღვარი ყოფილა. ვინ იცის, იქნებ, ღვთისმშობლის ტაძარიც მისი აგებული იყოს.

**გელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**



**ხორხები (პატარა კლდეისი). ეკლესია**



**დიდი კლდეისი. „წმიდა გიორგი“**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის 70-80-იან წლებში

**1783 წ. 1 ნოემბერს სოლომონმა თურქეთის ელჩები მიიღო. ელჩებმა მეფეს სულთნის საჩუქრები და ფირმანი გადასცეს. როგორც ჩანს, სულთანი იმერეთის მეფისაგან რუსეთთან ურთიერთობის შეწყვეტას მოითხოვდა. შემდგომი მოვლენებიდან ცხადი ხდება, რომ მეფემ თურქეთის ელჩები უარით გაისტუმრა. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლა. სოლომონ I-ს კარგად ესმოდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ იმერეთში ტახტისათვის ბრძოლა გაჩაღდებოდა და გადაწყვიტა, მემკვიდრე დაენიშნა.**

1783 წლის 16 ნოემბერს სოლომონის მოძღვარი ერეკლე მეორეს ეახლა და მას სოლომონის გადაწყვეტილება გააცნო: იმერეთის მეფე თანახმა იყო, ტახტის მემკვიდრედ ერეკლეს შვილიშვილი დავით არჩილის ძე გამოეცხადებინა, ოღონდ, სამაგიეროდ, ერეკლეს სოლომონის ურჩთა შეფარებაზე ხელი უნდა აეღო. სოლომონის მოთხოვნით (და ბურნაშოვის რჩევით) ერეკლემ დავით არჩილის ძე იმერეთს გაგზავნა.

1784 წ. დასაწყისში ზემო აჭარის სანჯაყის გამგებელმა აბულბეგ ხიმშიაშვილმა, როგორც ჩანს, თურქ ხელისუფალთა ბრძანებით, გურიის სამთავროს ლაშქარი შეუსია. ამის მიზეზი ის იყო, რომ გურიის მთავართან თავს აფარებდა თავადი თავდგირიძე, სოლომონ მეფის სიძე. თავდგირიძე სოლომონს მხარში ამოუდგა და ქვემო გურიის ოსმალთაგან განთავისუფლებისათვის იბრძოდა. ხიმშიაშვილის ლაშქარი გურულებმა სასტიკად დაამარცხეს და გარეკეს. გამაჰმადიანებული აჭარელი ბეგის შემოსევის გამო სოლომონ მეფემ, როგორც გურიელის მფარველმა ხელმწიფემ, ახალციხის ფაშას პროტესტი შეუთვალა. ფაშამ მეფეს უპასუხა: მართალია, აჭარა ჩვენს საგამგებლოში შემოდის, მაგრამ აჭარლებზე, რომლებიც მიუვალ მთიან ადგილებში ცხოვრობენ, მე ჩემს უფლებებს ვერ ვახორციელებ და მათი დასჯაც არ შეიძლებაო. ამ შემთხვევაში ახალციხის ფაშა არ ტყუოდა. ხიმშიაშვილის ლაშქრობამ რამდენადმე დააჩქარა სოლომონის ბრძოლა ქობულეთ-ბათუმის შემოერთებისათვის. სოლომონის გეგმები ქვემო გურიის მიმართ საკმაოდ შორს მიდიოდა. წარმატების მოპოვების შემთხვევაში, იგი ფიქრობდა ციხისძირის გამაგრებას, იქ ქალაქის აშენებას და ვაჭარ-ხელოსანთა გამრავლებას (ანატოლიელი ბერძნებისა და სომხების ჩამოსახლების გზით). ნავარაუდევი იყო, რომ ამ ღონისძიებაზე გაღებული ხარჯები 4 წელიწადში ანაზღაურდებოდა. მეფე იმედოვნებდა, რომ ქვემო გურიის მოსახლეობას მას მხარს დაუჭერდა. სოლომონი წინასწარ შეუთანხმდა გიორგი გურიელს და ბათუმისაკენ ლაშქრობაზე დაითანხმა. მისი ერთგულების საწინდრად მეფემ გურიელის ვაჟი სიმონი ქუთაისს მიიწვია და მძევლად დაიტოვა.

ლაშქრობა საიდუმლოდ მზადდებოდა, მაგრამ მეფის მოწინააღმდეგეებიც ფხიზლობდნენ. ერთი ცნობით, დადიანს მეფის მზადების შესახებ გაუგია და ფოთის ფაშასათვის უცნობებია. ფაშამ არ დააყოვნა – წინასწარ აცნობა ზღვის ნაპირზე განლაგებულ თურქ მეციხოვნეებს, რომ მეფის გამოლაშქრების შემთხვევაში იგი ქვემეხის გასროლით შეატყობინებდა მათ, რათა სათანადო ზომები მიეღოთ. ლაშქრობა 4 მარტს დაიწყო. იმერეთის ლაშქარში 6000-მდე მეომარი იყო. სოლომონის ჯარი გურიაში შევიდა, „გურიელი (გურიის, ქ.ჩ.) და ქობულეთელი ჯარი თან გაიყოლია" და ქვემო გურიაში შეიჭრა. ფოთის ფაშამ ლაშქრობის დაწყება დათქმული ნიშნით აცნობა გურიის სანაპირო პუნქტებში (შეკვეთილი-სეფა-ქობულეთი-ციხისძირი-ბათომი) მდგარ თურქულ გარნიზონებს და ისინი საბრძოლველად მოემზადნენ. მიუხედავად ამისა, იმერეთ-გურიის ლაშქარმა ადვილად დაიკავა ქობულეთის მხარე, აიღო ქობულეთის სიმაგრე და დაანგრია იგი. მეფის ბრძანებით, ქობულეთში ჩასახლებული უცხოელები გაჟულიტეს, ნაქალაქარი გადახნეს და იქ მარილი დათესეს, რომ ოსმალთა ეს საყდრენი ბუდე აღარ გაცოცხლებულიყო. ამის შემდეგ სოლომონ პირველის ლაშქარმა აღმოსავლეთიდან გვერდი აუარა ციხისძირის ძლიერ სიმაგრეს, ჩაქვის მხარეში შეიჭრა, იქიდან თურქები გარეკა და შემდეგ ბათუმამდე მიაღწია. სანამ სოლომონ I ბათომის მხარეში იბრძოდა, შავი ზღვის ნაპირის ციხეთა თურქული გარნიზონები ქართული ლაშქრის ზურგში ციხისძირთან შეიკრიბნენ და მეფეს ჩაუსაფრდნენ. სოლომონმა ბათომის მიდამოები მოარბია და უკან გამობრუნდა. 9 მარტს სოლომონ პირველის ლაშქარი ციხისძირთან უღრან ტყეში არსებულ ნაჭიშკრევის ვიწრო გამოსასვლელს მოადგა და უეცრად ორ ცეცხლს შუა მოექცა. ზურგიდან და ციხისძირის მხრიდან მას თურქებმა დაარტყეს, ხოლო აღმოსავლეთიდან აჭარლებმა შეუტიეს. იმერეთ-გურიის ლაშქარი სრული განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ტყეში ჩასაფრებული მტერი სეტყვასავით აყრიდა ტყვიებს ქართულ ლაშქარს, რომლის რიგებიც სწრაფად თხელდებოდა. მხოლოდ მოლაშქრეთა თავგანწირულმა ბრძოლამ იხსნა მეფე და მისი ამალა დარტყვევებისაგან. მეფეს ცხენი მოუკლეს და ბრძოლიდან იგი თავისი ცხენით ვახტანგ გურიელმა გამოიყვანა. ნაჭიშკრევის ბრძოლაში სოლომონს 620 მეომარი მოუკლეს (მათ შორის, 18 თავად-აზნაური), 200 კი ტყვედ ჩავარდა. დაჭრილთა შორის იყვნენ სარდლები: ქაიხოსრო აგიაშვილი და ბერი წულუკიძე; მოკლეს ქაიხოსრო წერეთელი, აგიაშვილის ორი ძმა და „მრავალნი წარჩინებულნი თავად-აზნაურნი", დატყვევებული ქართველები თურქებმა ტრაპიზონისა და სტამბოლის მონათა ბაზარზე გაყიდეს. ნაჭიშკრევის ბრძოლის შედეგები უაღრესად მიმე იყო. თურქებმა ფოთში დამხმარე ძალები გამოგზავნეს. ქვემო გურია კვლავ დაიკავეს და გურიის ქრისტიანულ ნაწილსაც შემოუტიეს. ამის შემდეგ 1878 წლამდე ქვემო გურია ოსმალთა ბატონობის უღელქვეშ გმინავდა. სოლომონ პირველის ჯანმრთელობა ბოლო ხანებში საკმაოდ გაუარესებული იყო, იგი ხშირად ავადმყოფობდა. სახელოვანმა სარდალმა ნაჭიშკრევთან მძიმე მარცხი ძლიერ განიცადა. მისი სიკვდილი მაინც მოულოდნელი იყო. იგი გარდაიცვალა 1784 წ. 23 აპრილს, 49 წლის ასაკში, სწორედ იმ მომენტში, როცა ცხენზე ამხედრებას აპირებდა ხონს გიორგობის დღესასწაულზე გასამგზავრებლად. მისი დაკარგვა მძიმე დანაკლისი იყო აღორძინების გზაზე შემდგარი ქვეყნისათვის.

სოლომონი ოდნავადაც არ აჭარბებდა, როცა 1782 წ. რუსეთის მთავრობას სწერდა, რომ მის „გარჯილ ხმალს, ქრისტიანობისათვის აღლესულს, მოსვენება არ ჰქონია და ჯერ არ დასძინებია". სოლომონის გარდაცვალებას ოსმალეთში ზეიმით შეხვდნენ. როდესაც ახალციხის ფაშას შიკრიკი 1784 წლის 13 მაისს სტამბოლს ჩავიდა და სოლომონის სიკვდილის ამბავი ჩაიტანა, გახარებულმა დიდმა ვეზირმა მას ხალათი უბოძა. სოლომონმა საქართველოს ისტორიაში ღრმა კვალი და ნათელი სახელი დატოვა. საკმარისია, ერთმანეთს შევადაროთ სოლომონის გამეფებისა და გარდაცვალებისდროინდელი იმერეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, რომ ნათლად დავინახოთ მისი უდიდესი ღვაწლი. სწორედ ამიტომ აფასებდნენ ასე დიდად სოლომონ პირველის ღვაწლს მისი თანამედროვენი და შთამომავლობა. სოლომონ მეორეს სიტყვით, სოლომონ I იყო „დიდ სახელოვანი, ქვეყანასა ჩვენთა უშჯულოთა მაჰმადიანთა ძირითურთ აღმოფხვრილი და ქრისტესთვის მრავალგზის სისხლ დათხეული, იმერთა მეორე აღმაშენებელი". 1809 წელს დაწერილი ერთი დოკუმენტი ასე ახასიათებს სოლომონს: „მეფე დიდი სოლომონ, რომელმან სამეფოით თვისით გასდევნა მრავლით ჟამითგან მკვიდრნი ბილწნი მახმედიანნი და იწვადა ხრმალი მისი ძლიერი ზურგთა მათ ზედა და შეღება მიწა საძაგითა სისხლითა მათითა და გარდააგდო ტყვის სყიდვა იმერეთს სამარადისოთ, განანათლა სამეფო თვისი კეთილად, განაშვენა სამღუდელონი, აღაყუავა ეკლესიანი ყოველნი". ვახტანგ ბატონიშვილის (ერეკლე II ძის) დახასიათებით, სოლომონ I იყო „კეთილმსახურებისა ტრფიალ და სიმხნესა შინა ჩინებულ, სიმდაბლისა მოყვარე და სიტკბოებით მოალერსე მხილველთა თვისთა. ამან დასაჯნა და დაამდაბლნა სამეფოსა შინა თვისთა წინააღმდეგნი მეშფოთარნი და ქვეყნის ამრევნი გვამნი და ჰყო მშვიდობა იმერეთსა შინა. სძლია სერასკერსა ხონთქრისასა, აგრეთვე ლეკთა დიდთა მხედველობათა შთასრულსა იმერეთად. განყარა მუნ მყოფნი თურქთნი, აღმოკვეთა კნინღა ორნი დიდი ბოროტმოქმედებანი სრულიად იმერეთსა შინა, ესე იგი კაცთა კვლა და მპარაობა. გარნა მესამე უბოროტესი ესე იგი ტყვის სყიდვა დროსა თვისსა სრულიად უჩინო ჰყო". 1784 წლის სექტემბერში იმერეთის ფეოდალები ასე მიმართავდნენ რუსეთის მთავრობას: „ძლიერად მოღვაწე ჩვენი გამომხსნელი ხელმწიფე მეფე სოლომონ უწყალოსა სიკვდილისა მიერ მიგველო და ჩვენ ერთობით ობლად დატყევებულ ვართ, მისთვის ყოველნი მისისა დამიწებისა მგლოვარენი და მარადის სულთქმით მომხსენებელნი მისნი". სოლომონის შეფასებაში საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენა, მისი თანამებრძოლი თუ მოწინააღმდეგე, ერთსულოვანი იყო: ხალხმა მას დიდი უწოდა.

სოლომონ მეფემ წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, ხალხის სამსჯავროს ამ პირუთვნელ მოწმობაში; თამარ მეფისა და ერეკლე II-ს შემდეგ სოლომონის პიროვნებას ხალხმა ყველაზე მეტი ლექსი და პროზაული გადმოცემა მიუძღვნა. ხალხის ხატოვანი თქმით, თუ სოლომონ პირველის გამეფების დროს „იმერეთი კოჭლიც გახლდათ, ყრუც, ბრმაც და კბილებჩაცვენილიც... დღეს (სოლომონის დროს) ყველაფერი კარგად ესმის, შორს ხედავს, ფეხებზე მაგრად დგას და კბილებიც ამოუვიდა, რომ მტერს უკბინოს... მთელი სამეფო გამობრუნდა და გაკეთდა". ერთ ხალხურ ლექსში ხაზგასმითაა აღნიშნული სოლომონ I-ის მეფობის დროს გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება. ხალხი მეფეს ათქმევინებს: „ამის ავი კაცი ვიყავ, ტყვე არვის ვაყიდვინეო, მწყემსი ვასუქე, ვადიდე, ჩეროს ქვეშ დავაძინეო". სოლომონ I-ის პიროვნებასა და მის მოღვაწეობას დიდად აფასებდნენ უცხოელებიც (ეკატერინე II, ვოლტერი, იოსებ ემინი, საქართველოში მყოფი უცხოელი ოფიცრები...) მისი საბრძოლო დიდება იმდროინდელი ევროპის საისტორიო ლიტერატურაშიც აისახა. საშუალო ტანის, სასიამოვნო შესახედაობისა და ვაჟკაცური აღნაგობის სოლომონსრუხი მაუდის ჩოხა ეცვა და რიგით მოლაშქრესავით მუდამ თოფს, დამბაჩას, ხმალსა და ხანჯალს ატარებდა. სოლომონი, რომელიც მუდმივ შიშიანობასა და მძიმე პირობებში გაიზარდა (მისი ძიძა გლეხის ქალი იყო), კარგად იცნობდა ხალხის ცხოვრებას, მისი გულისტკივილი იცოდა. მას მუდამ დიდი ამალა დაჰყვებოდა, მაგრამ ეს უფრო მუდმივი საფრთხით იყო გამოწვეული, თორემ სოლომონი გარეგნულ მეფურ დიდებულებას არ მისდევდა. მეფურ ტანსაცმელს იგი იშვიათად იცვამდა. რუსეთის ოფიცრის მოურავოვის სიტყვით, სოლომონი ძალზე თავმდაბალი იყო და ზოგჯერ მშრომელ ხალხში ისე გაერეოდა, რომ ვერც კი გაარჩევდი. მეფის სუფრაც რომელიმე იმერელი ფეოდალის სუფრისგან დიდად არ განირჩეოდა. სოლომონს ახასიათებდა პირდაპირობა და განზრახულის ბოლომდე მიყვანა. სწორედ ასეთი უბრალო და გამჭრიახი ადამიანი შემოგვყურებს სოლომონ პირველის იმ პორტრეტიდან, რომელიც რუსეთის მთავრობის მიერ 1782 წელს გამოგზავნილმა მხატვარმა შექმნა. შესანიშნავი დიპლომატიური ნიჭის მქონე ბრწყინვალე სარდალი და ბრძენი სახელმწიფო მოღვაწე სოლომონი შემთხვევით არ შეუდარებათ დავით აღმაშენებლისათვის საამისო საფუძველი მართლაც საკმაოდ იყო. მათი საფლავებიც, იქნებ, შემთხვევით არ აღმოჩნდა ერთმანეთის მახლობლად.

**დასასრული**
**შემდეგ ნომერში**




# გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეოთხე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის" ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა" საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა" — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## სად იყიდება ქალის სამართავი პულტები?



**მელბურნში წიგნების მაღაზია „Borders"-ში გასაყიდად გამოტანილმა ახალმა სათამაშომ ავსტრალიელი ფემინისტების რისხვა გამოიწვია. მაღაზია თავის კლიენტებს ქალის სამართავი პულტის შეძენას სთავაზობს.**

მელბურნელმა ქალებმა ეს საკუთარი ღირსების შეურაცხმყოფელი ნივთი ბედის ირონიით სწორედ მაშინ აღმოაჩინეს, როდესაც მთელ ქალაქში ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ტარდებოდა. ასეთ საჩუქარს სუსტი სქესის წარმომადგენლები ნამდვილად არ ელოდნენ.

ფემინისტების თქმით, პულტზე განლაგებულ ღილაკებს შორის არის „პატიება", „დავიწყება", „დათანხმება", „საჭმლის მომზადება", „გახდა", „დალაგება" და „ლუდის მოტანაც" კი. გარდა ამისა, სათამაშოს დამატებით აქვს კიდევ ერთი ფუნქცია — „მკერდის ზომის რეგულატორი".

ქალთა უფლებებისთვის მებრძოლთა შეხედულებით, ეს სათამაშო შეურაცხყოფს ქალთა ღირსებას და სუსტ სქესს მორჩილებისაკენ მიდრეკილ პიროვნებად წარმოაჩენს. მაღაზიის წარმომადგენლები კი ირწმუნებიან, ეს „უვნებელი იუმორია" და ფემინისტების დამშვიდებას იმით ცდილობენ, რომ მაღაზიას ზუსტად ასეთივე პულტები მამაკაცების სამართავადაც ჰქონდათ; უბრალოდ, ისინი ძალიან მალე გაიყიდა.

## რაზე ოცნებობდა ყველაზე პატარა ადამიანი?



**იტალიაში გარდაიცვალა ჩინელი ხე პინპინი, რომლის სიმაღლე 74,61 სანტიმეტრი იყო და რომელიც, გინესის წიგნის მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე პატარა ადამიანად ითვლებოდა.**

21 წლის პინპინი რომში ტელეგადაცემის გადაღებისას შეუძლოდ გახდა და მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ მოახერხეს.

როგორც „Guinness World Records"-ის მთავარი რედაქტორი კრეიგ გლენდი ამბობს, მიუხედავად ამ თავისებურებისა, პინპინს ადამიანებზე კოლოსალური გავლენის ნიჭი ჰქონდა. მისი სასიამოვნო ღიმილი და ხალისიანი განწყობა გარშემო გულგრილს არავის ტოვებდა. ის ხიბლს მატებდა ყველა ადამიანის ცხოვრებას, ვისთანაც კი ურთიერთობა ჰქონია.

დაბადებისას პინპინი ადამიანის ხელისგულზე ეტეოდა და მხოლოდ 500 გრამს იწონიდა. მან მხოლოდ 3-4 წლის ასაკში დაიწყო სიარული და ლაპარაკი. 18 წლისამ სიმაღლეში 74 სანტიმეტრს მიაღწია და 7 კილოგრამს იწონიდა. ასეც დარჩა ბოლომდე. როგორც უამრავი გაზეთი ირწმუნება, პინპინი დაქორწინებაზე ოცნებობდა და ნორმალური სიმაღლის შეყვარებული ჰყავდა.

## რა მიზნით აკრძალეს მარილი?



**მარილის აკრძალვაზე ნიუ იორკის რესტორნებში ამ მსოფლიოში ყველაზე ფართოდ გამოყენებადი სანელებლის აკრძალვას აპირებენ. სპეციალური კანონის დამრღვევი რესტორნების მეპატრონეები ჯარიმის სახით 1000 დოლარს გადაიხდიან.**

ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატი და იდეის ავტორი ფელიქს ორტისი თვლის, რომ რესტორნების სტუმრებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, სურთ თუ არა საკვებში მარილის დამატება. როგორც ცნობილია, ნიუ იორკის მკვიდრთა მილიონ-ნახევარზე მეტი მაღალ წნევას უჩივის. ახალმა კანონმა კი, შესაძლოა, ადამიანები ჰიპერტონიის ერთ-ერთ მაპროვოცირებელ ნატრიუმის მარილს გადააჩვიოს. ჯერჯერობით, მარილის აკრძალვის მოწინააღმდეგე მხოლოდ შეფ-მზარეულების ასოციაციაა. ისინი მიიჩნევენ, რომ პოლიტიკოსები მათ მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს შეეხნენ.

# ყარაბაღის ახალ ომზე ფრანგულად ალაპარაკდნენ

**იმას, რაც ერევანში ნატოს სამდღიან სემინარზე ეუთოს მინსკის ჯგუფის ფრანგმა თანათავმჯდომარემ ბერნარ ფასიემ თქვა (ან თითქოს თქვა), ნამდვილი საერთაშორისო სკანდალი მოჰყვა. სემინარი ნატოს საპარლამენტო ასამბლეისა და სომხეთის ნაციონალური კრების ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა.**



მასმედიის მიერ გავრცელებული საწყისი ვერსიის მიხედვით, ფასიემ განაცხადა: **„ომის განახლების შემთხვევაში აზერბაიჯანის გამარჯვება შეუძლებელი იქნება, ვინაიდან პირადად მე ვიცი სომეხი და ყარაბაღელი მებრძოლების მამაცობის შესახებ".** ამ ფრაზას ამერიკის აღმოჩენას ნამდვილად ვერავინ უწოდებს, რადგან მთიანი ყარაბაღისთვის ომის დროს, რომელიც 1994 წელს დასრულდა, სომეხ ჯარისკაცებს თავიანთ მოწინააღმდეგეებთან შედარებით მეტი საბრძოლო სულისკვეთება ჰქონდათ და ამის ეჭვქვეშ დაყენება ყველას გაუჭირდება. მაგრამ, ჩვენს დროში ხანდახან საშინელ არაპოლიტკორექტულობად ითვლება თვით ყველაზე თვალხილული ჭეშმარიტებების ხმამაღლა თქმაც. დიპლომატისთვის ეს უპატიებელი შეცდომაა. დიპლომატს სიმართლის თქმის უფლება არ აქვს — პროფესია უკრძალავს.

**ცხადია, მთიან ყარაბაღში, კონფლიქტის განახლების შემთხვევაში, აზერბაიჯანელთა გარანტირებულ დამარცხებაზე განცხადებას ბაქოს მხრიდან მწვავე რეაქციები მოჰყვა. უმაღლესმა მეჯლისმა და ყარაბაღის განთავისუფლების ორგანიზაციის აკსაკალთა საბჭომ ერთობლივი სხდომა გამართეს.**

**განმათავისუფლებელთა აკსაკალები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ფრანგი თანათავმჯდომარის გამოსვლა „განახლებული მადრიდული პრინციპების" აზერბაიჯანის ინტერესებთან შეუთავსებლობას ამტკიცებს.**

მეომარი აკსაკალები „მთიანი ყარაბაღის თვითგამოცხადებული რეჟიმისთვის" რაიმე „შუალედური სტატუსის" მინიჭებასა და თავად მთიან ყარაბახში რეფერენდუმის ჩატარებას დაუშვებლად მიიჩნევენ და თვლიან, რომ აზერბაიჯანული მიწების გათავისუფლება მხოლოდ ომის გზითაა შესაძლებელი. სწორედ ამ დასკვნის შესაბამისად გადაწყდა, ყარაბახის გათავისუფლების ორგანიზაციასთან არსებული სამხედრო-პატრიოტული სკოლების შექმნა. როგორც ჩანს, სწორედ ამ სკოლების ახალგაზრდა კურსდამთავრებულებს მიანდობენ აკსაკალები თავიანთი ცხოვრების უმთავრესი საქმის პრაქტიკულ განხორციელებას. აუცილებელია, აღინიშნოს, რომ **მთიანი ყარაბახის „თვითგამოცხადებულ რეჟიმს" ბაქოსთვის არანაირი „შუალედური სტატუსი" არ უთხოვია.**

ამ ყველაფრის პარალელურად თავად ბერნარ ფასიემ სკანდალი თარჯიმნებს გადააბრალა. **ფრანგმა დიპლომატმა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრთან ელმარ მამადიაროვთან სატელეფონო საუბრისას შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ, როგორც სომხურ, ასევე აზერბაიჯანულ პრესაში არასწორად ნათარგმნი ინფორმაცია გავრცელდა.** გარდა ამისა, ფასიემ დასძინა, რომ როგორც დიპლომატი და სამხედრო, საკუთარ თავს ამა თუ იმ ქვეყნის შეიარაღებული ძალების მდგომარეობისა თუ კონფლიქტის საომარი გზით მოგვარებისთვის მზადყოფნის შეფასების უფლებას ვერ მისცემს. ერევანში მისი ფრანგულენოვანი გამოსვლა კი რუსულ და ინგლისურ ენებზე ძალიან ცუდად თარგმნეს.

რასაკვირველია, შეიძლება დავუშვათ, რომ ერევნელმა თარჯიმანმა პატრიოტული იდიოტიზმის შემოტევისას ფასიეს ის მიაწერა, რაც მას ფიქრადაც არ გაუვლია. მაგრამ ზუსტად იმავე ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თარჯიმანი არაფერშუაშია, უბრალოდ ფრანგმა დიპლომატმა ზედმეტი აღტაცებისგან წარმოთქვა ის, რაც ადრესატებისთვის ძალზე სასიამოვნო მოსასმენი იყო. შემდეგ კი, საკუთარი სიტყვების უსიამოვნო შედეგებით შეშინებულმა ყველაფერი უნიათო თარგმანს დააბრალა. პოლიტიკოსები საკმაოდ ხშირად ეხვევიან ამგვარ შეუსაბამობებში. მთავარია, სწრაფად მოძებნო დამნაშავე, მაგალითად, თარჯიმანი. არადა, ფასიეს გამოსვლის ფრანგულენოვანი ჩანაწერი, თუ ასეთი საერთოდ არსებობს, უმარტივესად მოჰფენდა ნათელს ამ გაუგებრობას.

საბოლოოდ დიდი მნიშვნელობა არ აქვს იმასთან დაკავშირებულ დეტალებს, რასაც აღნიშნულ შეხვედრაზე ბერნარ ფასიე ამბობდა. **მთავარი და მნიშვნელოვანი ისაა, რომ უკვე მერამდენედ, კვლავ საუბრობენ და მსჯელობენ მთიანი ყარაბაღისთვის საომარი კონფლიქტის განახლების თემაზე. ამგვარი დაჟინებული წინასწარმეტყველებები კი ყოველთვის მართლდება.**

# ბანდერა საფლავში გადაბრუნდა

**უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციის ლიდერის — სტეფან ბანდერას შვილიშვილმა და მოსახელემ ქვეყნის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩს გარიგება შესთავაზა. იგი თანახმაა, უარი თქვას პაპისთვის მინიჭებულ უკრაინის გმირის წოდებაზე, თუ სახელმწიფოს მეთაური თავის რეზიდენცია „მეჟგორიეს" დათმობს.**



**„აი ჩემი წინადადება: ვაბრუნებ უკრაინის გმირის ჯილდოს, თუ თქვენ დათმობთ იუშჩენკოსგან მიღებულ „მეჟგორიეს". ვთვლი, რომ ჩვენ მიერ იუშჩენკოსგან მიღებული საჩუქრები დაახლოებით თანაბარი ღირებულებისაა",** — დაწერა თავის ბლოგზე ბანდერა უმცროსმა და იქვე განმარტა, ვიცი, რომ ეს ჯილდო გარკვეულ პრობლემებს ქმნის რუსეთთან ურთიერთობაში — თუ 9 მაისამდე გაუქმებულად არ ჩაითვლება, „გაზპრომი" გაზს გააძვირებსო; ისიც ვიცი, რომ პოლონელი პოლიტიკოსი ზელევსკი იმუქრებოდა, უამისოდ უკრაინა ნატოში შესვლას ვერ ელირსებაო.

**„ვიპოვე პასუხი კითხვაზე, როგორ დავეხმარო უკრაინას თქვენი წინამორბედის მიერ დაშვებული შეცდომებიდან ერთ-ერთის გამოსწორებაში და როგორ შეგვიძლია მე და თქვენ, ვუშველოთ უკრაინას. მე თუ ამ ჯილდოს დავაბრუნებ, უკრაინა რუსეთისგან გაზს უფრო იაფად მიიღებს და ევროკავშირში თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას მიაღწევს, რაც მილიონობით ევრო ღირს. თქვენი საკუთრებაც რამდენიმე მილიონი ევრო ღირს. ერთად ჩვენ შევძლებთ სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებას, მასწავლებლებისა და ექიმებისთვის ხელფასების მიცემას და, იქნებ, პენსიების დარიგებაც მოვახერხოთ",** — წერს გმირის შვილიშვილი და იქვე აცხადებს, რომ თუ ვიქტორ იანუკოვიჩი დათანხმდება ამ მიმზიდველ და მაცდურ შეთავაზებას, ისღა დარჩენია, ბარტერისთვის დრო და ადგილი შეარჩიოს.

ამ ყველაფრის შემდეგ ბანდერა უმცროსმა განაცხადა, რომ წერილი ირონიითაა აღსავსე და ამით მრავალი წლის წინათ გარდაცვლილი პაპის ირგვლივ გაჩაღებული დებატების აბსურდულობაზე მიანიშნა. **„მაგრამ, როგორც ჩანს, უკრაინაში შექმნილი რეალური მდგომარეობა არავის ადარდებს. „მეჟგორიეს" რეზიდენცია კორუფციის ერთადერთი მაგალითი არაა",** — წერს ის თავის ბლოგში.

ახალ პრეზიდენტს ბანდერას „შეთავაზებაზე" რაიმე რეაქცია ჯერ არ გამოუხატავს. სხვა რა გზა აქვს? იულია ტიმოშენკო მას გამუდმებით ადანაშაულებდა „მეჟგორიეს" რეზიდენციის გამო. უმაღლესმა რადამ კი შექმნა დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელმაც ვიქტორ იანუკოვიჩისათვის სამთავრობო რეზიდენციის გადაცემის კანონიერება უნდა შეესწავლა. მოქმედი პრეზიდენტი, რასაკვირველია, ირწმუნება, რომ ყველაფერი კანონიერადაა, მაგრამ რაღაც უსიამოვნება მაინც იგრძნობა.

მიუხედავად იმისა, რომ თავად იანუკოვიჩს არანაირი რეაქცია არ გამოუხატავს, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ბანდერას შთამომავლის თავხედობით აღშფოთდნენ.

**„უკრაინის პრეზიდენტი გმირებით არ ვაჭრობს,** — განაცხადა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ ანა გერმანმა, — **თუ იგი ყიდის პაპის ვარსკვლავს, რომელიც მას არ დაუმსახურებია და რომლის განკარგვის ნებაც არ აქვს და ამაზე რაღაც პოლიტიკის აგებას ცდილობს, ეს, უკიდურეს შემთხვევაში, შვილიშვილისთვის შეუფერებელია".**

სამაგიეროდ ანა გერმანმა არ უპასუხა მრავალთათვის მტანჯველ კითხვას იმის თაობაზე, გაუქმდება თუ არა წინა პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი დაჯილდოების ბრძანება. როგორც ცნობილია, ვიქტორ იანუკოვიჩმა ამ საკითხზე ფიქრისათვის 9 მაისამდე დაიტოვა დრო.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# აშშ ირანისთვის ბომბებს იმარაგებს

**აშშ, შესაძლოა, უახლოს მომავალში თავს დაესხას ირანს. უცხოელი ექსპერტების აზრით, სწორედ ამაზე მიანიშნებს კუნძულ დიეგო-გარსიაზე მიწისქვეშა ობიექტების გამანადგურებელი მძლავრი ავიაბომბების გაგზავნა. 1991 და 2003 წლებში ამერიკელები ამ კუნძულს ერაყზე თავდასხმისთვის იყენებდნენ.**



ახლა კუნძულზე დაგროვილი ამერიკული სამხედრო არსენალი ათასობით ირანული სამიზნის განადგურებისთვისაა საკმარისი. რუსი ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს კიდევ ერთი მცდელობაა, აიძულონ ირანი, ბირთვული ტექნოლოგიების საკითხზე დასავლეთთან დიალოგს დათანხმდეს.

გაზეთი „The Herald Scotland" წერს, რომ აშშ ირანის მოლაპარაკებებზე დათანხმებას კი არა, მასზე თავდასხმას აპირებს. **„ბუნკერების მნგრეველი" — ასე უწოდებენ პირობითად იმ უმძლავრეს ბომბებს, რომელთა ასობით ეგზემპლარი კალიფორნიიდან გემებით გადაზიდეს ინდოეთის ოკეანეში მდებარე ბრიტანულ კუნძულ დიეგო-გარსიაზე.**

ჯერ კიდევ იანვარში ამერიკის მთავრობამ ხელი მოაწერა კონტრაქტს, რომლის თანახმადაც კუნძულზე იარაღის 10 კონტეინერი უნდა ჩაეტანა. როგორც აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდების ტვირთის დეკლარაციაში წერია, კონტეინერებში იყო 387 საავიაციო ბომბი, მათ შორის — მიწისქვეშა ნაგებობების გასანადგურებელი ბომბებიც. კონტრაქტის დეტალები სამხედროებმა საერთაშორისო ტენდერების საიტზე განათავსეს.

**ტვირთის ტრანსპორტირებისთვის გემების კომპანიამ 700 ათასი დოლარი მიიღო. ბომბების გარდა ტვირთი შეიცავდა ათასობით საბრძოლო მასალას. ბომბებს შორის 195 განეკუთვნებოდა ჭკვიანთა კლასს „Blu-110", დანარჩენი 192 კი — მძიმეთა კლასს „2000lb Blu-117".**

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს იარაღი ირანის ძირითადად მიწის ქვეშ განთავსებულ სადაო ბირთვულ ობიექტებზე თავდასხმისთვის შესაფერისია. მართალია, აშშ-ის ირანზე შესაძლო თავდასხმაზე, უკვე რამდენიმე წელია, საუბრობენ, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში დასავლეთსა და ისლამურ სახელმწიფოს შორის პრობლემის დიპლომატიური გზით მოგვარების ყველა იმედი სულს ღაფავს.

კუნძულ დიეგო-გარსიას ამერიკელები 1971 წლის შეთანხმების თანახმად იყენებენ. ამ შეთანხმების შედეგად 2000 ადგილობრივი მოსახლე ძალით გადაასახლეს მავრიკიასა და სეიშელში. ახლა კუნძულზე განლაგებულ სამხედრო ბაზაზე 3200 ამერიკელი და 50 ბრიტანელი სამხედროა.

**ინგლისელი პოლიტოლოგის დენ პლეშის თქმით, ამერიკელები „ირანის სრული განადგურებისთვის ემზადებიან".**

მიუხედავად შეტევისათვის სამხედროების მზადყოფნისა, გადამწყვეტი სიტყვა აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ უნდა თქვას. დენ პლეში დარწმუნებულია, რომ ობამასთვის გაცილებით მომგებიანია, ირანზე თავდასხმის ბრძანება გასცეს, ვიდრე ეს ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის შემთხევაში ირანის მთავარმა სამიზნემ — ისრაელმა გააკეთოს.

კვლევათა დამოუკიდებელი ცენტრის „Nato Watch"-ის ექსპერტი იენ დევისი ამბობს, რომ აშშ-ს დიეგო-გარსიაზე მომარაგებულ შეიარაღებასთან დაკავშირებით საკუთარი გეგმების გაცხადება უნდა აიძულონ.

რაც შეეხება თავად ირანის პოზიციას, ქვეყნის ხელისუფლებამ არა ერთხელ განაცხადა, რომ ნებისმიერ აგრესიას სათანადო პასუხს გასცემს.

ექსპერტები გვახსენებენ, რომ აშშ-ის სამხედრო სტრატეგიის მიხედვით, ქვეყანას არ შეუძლია ერთდროულად ორზე მეტი ომი აწარმოოს. დიეგო-გარსიადან თავდასხმის განხორციელებისთვის სხვა მიმართულებების გამოყენება იქნება საჭირო, რაც შესაძლებელია განხორციელდეს გარკვეული ქვეყნების, მაგალითად ერაყის ან საუდის არაბეთის ტერიტორიიდან. ამ ქვეყნების ხელისუფლებები აშშ-ის ირანზე თავდასხმის წინააღმდეგნი არიან, ერ-რიადმა კი ოფიციალურად აკრძალა მსგავსი ოპერაციისთვის ქვეყნის საჰაერო სივრცის გამოყენება. ამდენად, აშშ-ის მიერ კუნძულზე მომარაგებული ბომბების სამიზნე ირანი არაა.

# იერუსალიმში ანტიქრისტეს საკერპოს უმზადებენ

**პალესტინის საინფორმაციო ცენტრი იუწყება, რომ ისრაელის ხელისუფლებამ იერუსალიმში, ეგრეთ წოდებულ ტაძრის მთაზე, სადაც გადმოცემის მიხედვით რომაელებმა დაანგრიეს ტაძარი, ალ-აკსას მეჩეთის ადგილას სინაგოგის გახსნაზე ოფიციალური მოსაწვევები გაავრცელა...**



იმავე წყაროების მტკიცებით, ისრაელი უკვე ატარებს მოსამზადებელ ღონისძიებებს. იუდეველებს, „წინასწარმეტყველების" თანახმად, სჯერათ, რომ მეჩეთის ადგილას აქ „სასწაულებრივად" გაჩნდება სინაგოგა, ანუ „მესამე ტაძარი".

**შეგახსენებთ, რომ რაბინების სწავლებათა თანახმად, განახლებულ „ტაძარში" მოევლინებათ ის, ვისაც ქრისტიანების ენაზე ცრუ მესია, იგივე ანტიქრისტე ჰქვია. მაგრამ „ტაძრის განახლებას" ტაძრის მთაზე მდგარი მუსლიმანთა მთავარი სიწმინდე — ალ-აკსას ტაძარი, იგივე „ომარის სასახლე" უშლის ხელს.**

უნდა აღინიშნოს, რომ მაშიახის მეორედ მოსვლის თაობაზე იუდეველთა უამრავი და ათასგვარი „წინასწარმეტყველებიდან" არც ერთი არ გამართლებულა. მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ ამჯერად ისინი „ბუნების მოწყალებას" აღარ დაელოდონ და თავად შეუდგნენ საუკუნეობით ნანატრი „სასწაულის" ორგანიზებას.

პალესტინური წყაროების ინფორმაციით, ისრაელი მზად არის ამისათვის ნებისმიერ „შესაფერის" დროს შეუდგეს ალ-აკსას დანგრევას. აღვნიშნავთ, რომ უკანასკნელ ათწლედში იუდაიზმისა და სიონიზმის მრავალი წარმომადგენლის მხრიდან ისმოდა მოწოდებები, დაენგრიათ ალ-აქსა, რომლის ნანგრევებზეც თავიანთი საკერპოს აშენებასა და თავიანთი მესიის, მაშიახის მოვლინების გამოცხადებას აპირებენ, ეს კი თავისთავად ებრაელობის მთელს მსოფლიოზე გამარჯვებას ნიშნავს.

**გარკვეულ საფრთხეზე მიანიშნებს ალ-აკსას მეჩეთის დაცვის სამსახურის თანამშრომელთა მიერ გავრცელებული ცნობებიც, რომელთა მიხედვითაც ალ-აკსას კომპლექსის ტერიტორიას სამი დღის განმავლობაში ათვალიერებდნენ ისრაელის არქეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები.**

ისრაელის პოლიციის თანხლებით ადგილზე მისულმა არქეოლოგებმა თანამედროვე ლაზერული აპარატურით საეჭვოდ შეისწავლეს კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი მთელი რიგი ნაგებობები.

ყველა აღნიშნული ფაქტი ცალსახად მიანიშნებს იმაზე, რომ დღე-დღეზე შესაძლოა საზარელი პროვოკაციის მომსწრენი გავხდეთ. ამ საშიშროების გარკვეულ მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს ისრაელის სამხედრო მზადებაც. როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, რამდენიმე დღის წინ ისრაელის ძალოვანი აპარატის ყოფილი და მოქმედი ხელმძღვანელების საბჭო შეიკრიბა. შეხვედრაზე სახელმწიფოს ირგვლივ სტრატეგიული სიტუაციის განვითარების საკითხები განიხილებოდა. კერძოდ, საუბარი ეხებოდა ნეთანიაჰუს განზრახვას, „უახლოეს მომავალში ირანისათვის პრევენციული დარტყმის მიყენების" თაობაზე და ამის ფონზე სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესს.

**როგორც საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, სამხედრო მინისტრი ბარაკი და გენერალური შტაბის უფროსი აშკენაზი ისრაელის თავდაცვის არმიის გენერალური შტაბის ყოფილ ხელმძღვანელს ამნონ ლიპკინ შახაკსა და სამხედრო დაზვერვის ყოფილ ხელმძღვანელს ური საგის შეხვდნენ. მანამდე პრესა წერდა შესაძლო პროვოკაციულ სცენარზე, რომლის თანახმადაც ისრაელი „ირანული რაკეტებით" ახორციელებს იმიტირებულ სარაკეტო თავდასხმას იერუსალიმზე, ამ რაკეტებიდან ერთ-ერთი კი ალ-აკსას ხვდება.**

მართალია, ამ საშინელი პროგნოზების გამართლება არავის სურს, მაგრამ ახლო აღმოსავლეთიდან სულ უფრო და უფრო საგანგაშო ამბებს გვატყობინებენ. **მართლმადიდებელი წმინდანების წინასწარმეტყველებათა მიხედვით, ალ-აკსას დანგრევა უფსკრულიდან მხეცის მოვლინების მოახლოებას მოასწავებს.**

# რას ვნებს ჩინური ჩხირები?



**როგორც გაირკვა, ერთჯერადი ჩინური ჩხირები ეგზოტიკური სამზარეულოს მოყვარულთა ჯანმრთელობისათვის საფრთხეს შეიცავს. მათმა ხშირმა გამოყენებამ შესაძლოა ასთმის შეტევა ან ფილტვებისა და სასუნთქი გზების სხვა სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს.**

მეცნიერები თვლიან, რომ ამ ჩხირების წარმოებისას ყველაზე ხშირად გამოიყენება ისეთი ნივთიერებები, როგორიცაა გოგირდი, წყალბადის ზეჟანგი და პარაფინი. ეს ნივთიერებები ხის ჩხირების ზედაპირის დასაფარად და მათთვის სასიამოვნო შეხედულების მინიჭებისათვის გამოიყენება. მაგრამ პირში ხშირად მოხვედრა ამ ნივთიერებებს კანცეროგენულსა და ჯანმრთელობისათვის საშიშს ხდის. გარდა ამისა, ეკოლოგიური ტექნოლოგიების ცენტრში მიიჩნევენ, რომ ჩხირების 80%-ზე მეტი უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის აუცილებელი ზომების დაცვით არ მზადდება, მათი შესაფუთი პარკები კი ასევე საზიანოა ჯანმრთელობისათვის.

მეორე მხრივ, ეს ჩხირები სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებს ჩინეთის ეკოლოგიას — ყოველწლიურად ჩინეთში მათ დასამზადებლად 25 მილიონი ხე იჭრება. 200 წყვილი ჩხირი თავისი შეფუთვიანად რესტორნების მფლობელთათვის სულ რაღაც 1,3 დოლარი ღირს, ასე რომ, ამაზე ეკონომიას არავინ აკეთებს.

# რა უნდათ უკრაინელ ქალებს?




კიეველი ფემინისტები პოლიციას ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევენ. მორიგი აქციისას გოგონების ჯგუფი მინისტრთა კაბინეტში შეჭრას ცდილობდა და თან ამ დროს ტანზე ტანსაცმელს იხევდა. მოთხოვნა მარტივი და მკაფიო იყო — მისცენ უკრაინის სამინისტროები მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს. ფემინისტები უკრაინაში აღშფოთებულნი არიან იმის გამო, რომ მინისტრთა კაბინეტში ყველა მმართველი და ხელმძღვანელი თანამდებობა „მამაკაცების მიერაა უზურპირებული". აქციის მონაწილეთაგან ერთ-ერთი ირწმუნება, რომ უკრაინა არის მსოფლიოში ერთადერთი სახელმწიფო, სადაც ყველა სამინისტროს სათავეში მამაკაცი დგას.

მამაკაცების პიჯაკებში გამოწყობილი ქალები მთავრობის შენობას მიუახლოვდნენ და ატეხეს ყვირილი — „მომეცი პორტფელი!", „შეგვიშვით სამსახურში!", „ქალები — მინისტრთა კაბინეტში!"

მართალია, მთავრობის შენობას მილიცია ცოცხალი ჯაჭვით იცავდა, მაგრამ აქციის ორმა მონაწილემ ამ ჯაჭვის გარღვევა შეძლო და შენობის დაცვამდე მიაღწია. ამ მორიგი წინააღმდეგობის გადასალახავად კი მათ არც აციეს, არც აცხელეს და ტანზე შემოიხიეს ყველაფერი, რაც ეცვათ. მილიციამ და დაცვის სამსახურმა კოორდინირებული მოქმედებით ძლივს გადაარჩინა მინისტრთა კაბინეტის სხდომა ფემინისტების შეჭრისაგან.

# რად უნდა ბუს სკეიტბორდი?



ბრიტანეთის კენტის საგრაფოში თეთრმა ბუმ სკეიტბორდით სეირნობა ისწავლა. ერთ მშვენიერ დღეს სავაჭრო ცენტრში ფრინველების დასათვალიერებლად მისულმა მოზარდმა თავისი სკეიტბორდი ელბის ახლოს დადო. ბუმ გაიღვიძა და მომენტალურად გადახტა სკეიტზე, ბიჭმაც წაიყვანა სასეირნოდ. ელბის ეს საქმე ისე მოეწონა, რომ საჯიშეს თანამშრომლები იძულებულნი გახდნენ, მისთვის საკუთარი სკეიტბორდი ეყიდათ.

ელბიმაც საკუთარი ტაქტიკა შეიმუშავა — ჯერ დააფრინდება დაფას და აგორებს, შემდეგ კი ფრთების დახმარებით მანევრირებს. თუ სკეიტი გაჩერდა, ელბი აფრინდება, რამდენიმე წრეს შემოიფრენს და ისევ სკეიტბორდს გააგორებს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# ქალაქი, სადაც ადამიანები ღმერთებად იქცევიან

**ამ ქალაქმა უზარმაზარი გავლენა მოახდინა მთელი ცენტრალური ამერიკის კულტურაზე. თავისი აღორძინების პერიოდში ის რომზე დიდი იყო, თუმცა ისტორიკოსებმა დღემდე არ იციან არც ერთი მისი მმართველის სახელი. ქალაქის მკვიდრთ არავითარი წერილობითი მოწმობა არ დაუტოვებიათ — არც ქრონიკები და არც სამეფო განკარგულებები. მოულოდნელად ქალაქი დაიღუპა, მაგრამ ამის მიზეზებიც უცნობია.**







ტეოტიუაკანის შესასვლელში ქვის უზარმაზარი მონუმენტებია. მესოამერიკის ყველაზე უძველეს ქალაქს თავზე მზის პირამიდა დაჰყურებს. ქალაქი თითქოს ხელისგულზეა გადაშლილი, არქეოლოგები აქ გათხრებს აწარმოებენ, მაგრამ მათი აღმოჩენები ტეოტიუაკანს მხოლოდ იდუმალებას ჰმატებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს აქ დამწერლობა არასდროს არსებულა, თითქოს მისი მცველები საგანგებოდ ზრუნავდნენ ამაზე. ქალაქს სახელიც კი არ შემორჩა. სახელწოდება, რომელსაც ჩვენ მეხიკოში შემორჩენილი ამ გრანდიოზული ნაგებობების კონგლომერატთა აღსანიშნავად ვიყენებთ, აცტეკებს ეკუთვნის, რომლებმაც უცნაური ქალაქის ნანგრევები მისი დაცარიელებიდან მხოლოდ რამდენიმე ასწლეულის შემდეგ იხილეს. აცტეკებმა გადაწყვიტეს, რომ მხოლოდ აქ, ათობით მეტრი სიმაღლის ნაგებობებს შორის შეიძლებოდა დაბადებულიყვნენ მათი ღმერთები. სიტყვა „ტეოტიუაკანი“ ითარგმნება როგორც „ადგილი, სადაც ადამიანები ღმერთებად იქცევიან.

მკვდარი ქალაქი ცენტრალურ მექსიკაში მდებარეობს, ველზე, რომელიც ზღვის დონიდან 2000 მ-ის სიმაღლეზე გადაშლილა და ჩრდილოეთიდან — ჩამქრალი ვულკანებით, ხოლო სამხრეთიდან მთის ჯაჭვით შემოსაზღვრულა. ჩნობილია, რომ ტეოტიუაკანის ტერიტორიაზე ადამიანები ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე VI საუკუნეში სახლდებოდნენ. ჩვ.წ.აღ-მდე 100 წელს (ამ დროს რომში კეისარი დაიბადა) აქ დიდი დასახლება ჩნდება, სადაც 20 ათასამდე კაცი ცხოვრობს. ამ დროიდან იწყება სწორედ „უსახელო ქალაქის“ აყვავება. მისი წარმატების საიდუმლო უბრალოა: ეს ობსიდიანია. ობსიდიანი ბუნებრივი წარმოშობის მინა, რომელიც ვულკანური მოქმედების რაიონებში გვხვდება. წარსულში ეს მასალა დიდი მოთხოვნით სარგებლობდა, რადგან იოლად მუშავდებოდა და შრომის იარაღების დასამზადებლად გამოიყენებოდა. ტეოტიუაკანის მცხოვრებლებმა ობსიდიანის მოპოვების, დამუშავებისა და მისგან დამზდებული მასალებით ვაჭრობის მონოპოლიზება მოახდინეს. შექმნილი იარაღების დიდი ნაწილი საექსპორტოდ გამოიყენებოდა. ამრიკელი არქეოლოგების თქმით, აქ ისეთი რაოდენობით მზადდებოდა შრომის იარაღები, რომ თავისუფლად ეყოფოდა რამდენიმე მილიონ ადამიანს. თეოტიაუკანის სავაჭრო ქსელი ჩრდილოეთით — თანამედროვე აშშის, ხოლო სამხრეთით გვატემალის ტერიტორიამდე აღწევდა.

ახალი ერის პირველ ორ ასწლეულში ტეოტიუაკანში გრანდიოზული მშენებლობა მიმდინარეობდა. ამ დროის განმავლობაში ორ ათეულამდე სამლოცველო აღმართეს. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მზის პირამიდა, რომელიც ქალაქის ცენტრში დგას. ეს სიდიდით მეორე პირამიდაა კოლუმბამდელი ხანის ამერიკაში.

1968 წელს აქ მზის პირამიდის ქვეშ განთავსებული მღვიმის შემოსასვლელი აღმოაჩინეს. ისტორიკოსი ესთერ პაშტორი მიიჩნევს, რომ პირამიდა ე. წ. „დიდებული ქალღმერთის — შრომისნაყოფიერების ღვთაების პატივსაცემად აიგო.

თეოტიუაკანის მეორე უდიდესი მონუმენტი მთვარის პირამიდაა, რომელიც 100 წლით გვიან, მიცვალებულთა გზის ჩრდილოეთით აშენდა. მისი სიმაღლეს 46 მეტრია. პაშტორის აზრით, ეს პირამიდა ომის „ღმერთ ბურის“ მიეძღვნა.

„უსახელო ქალაქში“ არქეოლოგებმა 2200-მდე შენობის ნანგრევები აღმოაჩინეს. რამდენიმე ასეთი საცხოვრებელი კომპლექსი მთელ კვარტალს ქმნიდა, რამდენიმე კვარტალი — კიდევ უფრო დიდ კომპლექსს, რომელთაგან თითოეულისთვის ცალკე სამლოცველო იგებოდა. სწორედ აქ, ტეოტიუაკანში, იშვა მრავალბინიანი სახლების მშენებლობის ტრადიცია, პუებლოს ის სტილი, რომელმაც აქაური არქიტექტურა განსაზღვრა მომდევნო 5 ასწლეულის განმავლობაში და აშშ-ის სამხრეთდასავლეთამდეც კი მიაღწია.

ტეოტიუაკანსა და მის გარეუბნებში მცხოვრები გლეხები საკვებით მთელ ქალაქს ამარაგებდნენ. მათ მოჰყავდათ მარცვლეული, ტომატო, პაპრიკა, ამარანტი (აცტეკთა უმტავრესი საკვები) და გოგრა. ტეოტიუაკანის მცხოვრებლებმა უზარმაზარი სარწყავი სისტემაც შექმნეს.

დაახლოებით ასი წლის წინ მექსიკელმა არქეოლოგმა ლეოპოლდ ბატეისმა მზის პირამიდის გათხრებისას ადამიანთა ნეშტები აღმოაჩინა. სავარაუდოდ, ეს ღმერთებისთვის შეწირული რიტუალური მსხვერპლი იყო. მკვლეარებმა აღმოაჩინეს ასევე არისტოკრატთა მდიდრული სამარხები და ღარიბთა მასობრივი საერთო საფლავები. ზოგიერთებს, სავარაუდოდ, ცოცხლად მარხავდნენ, წმინდა ცხოველებთან — იაგუარებთან, არწივებსა და გველებთან ერთად. ისტორიკოსთა აზრიტ, მხვერლს სწირავდნენ ყოველთვის, როცა ამ პირამიდის გაფართოება სურდათ. სისხლზე აგებული ხომ მუდამ კმვიდრად დგას. მსხვერპლად შეწირულთა უმრავლესობა უცხო ქვეყნის შვილები იყვნენ — ან შორეული მაიას მცხოვრებნი, ანდა წყნარი და ატლანტის ოკეანის სანაპიროებზე მოსახლე ინდიელები. მექსიკელი არქეოლოგის, რუბენ კაბრერის აზრით, ტეოტიუაკანის მმართველები რეგულარულად აწყობდნენ სამხედრო ექსპედიციებს შორეულ ადგილეში ახალ-ახალი მსხვერპლის საძებნელად, რომელსაც ზარ-ზეიმით სწირავდნენ დღესასწაულის დღეებში.

ახალი წელთაღრიცხვის V-VI საუკუნეები („რომის იმპერიის დაცემა“) ტეოტიუაკანის აღორძინების ხანაა. ეს ქალაქი განსაზღვავდა მთელი მესოამერიკის სულიერ, პოლიტიკურსა და სამეურნეო ცხოვრებას. ამ დროს ქალაქში 150-დან 250 ათასამდე მკვიდრი სახლობდა, რომლებიც აქ მთელი რეგიონის ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ, თუმცა მაია, მიშტეკები და საპოტეკები ამ „ბაბილონში“ მაინც განცალკევებულ კვარტლებში — „ჩაინათაუნებში“ სახლობდნენ და თავიანთ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს მკაცრად იცავდნენ.

ეგებ, როგორც ზოგიერთი ისტორიკოსი მიიჩნევს, ტეოტიუაკანი პირველი რეპუბლიკა იყო ამერიკის მიწაზე?

შემორჩენილ ფრესკებზე მდიდრულად ჩაცმული ადამიანები, ომის სურათები, მსხვერპლშეწირვა და სისხლია გამოსახული. ხშირად გვხვდება მცენარეების, ცხოველების, ზღაპრული არსებების გამოსახულებებიც. ბევრი კომპოზიციის არსი ბუნდოვანია. პოპულარულია რელიგიური სიუჟეტები, რომლებიც მაიასა და აცტეკების მითებს მოგვაგონებს. შენობათა კედლებიდან აცტეკების წვიმის ღმერთი ტლაპოკი და უცნობი ქალღმერთი იმზირება. ეს მეგაპოლისი მესოამერიკისთვის მთავარი სიწმინდე, სულიერი საყრდენი, უმნიშვნელოვანესი სამრეწველო და ინოვაციათა ცენტრი იყო. ასე გრძელდებოდა 600 წლამდე. შემდეგ კი მოულოდნელად ტეოტიუაკანის დასუსტება დაიწყო, ხოლო დაახლოებით 750 წელს კატასტროფა მოხდა. ქალაქის ცენტრი ნაცარტუტად იქცა და ხანძარში მისი წარსული ჩაიფერფლა.

აი ასე, მიცვალებულთა გზაზე ანთებული საბედისწერო ჩირაღდნით მთავრდება ტეოტიუაკანის ისტორია და არავინ იცის, სინამდვილეში რას წარმოადგენდა ქალაქი, სადაც ადამიანები ღმერთებად იქცეოდნენ...

# რატომ ირხევა დედამიწის ღერძი



**მეცნიერთა თქმით, ბოლო 200 წლის მანძილზე ჩრდილოეთ პოლუსი ჩვენი განედებიდან 9 მ-ით გადაიხარა კანადის მხარეს, თანაც, ბოლო ორი წელია — მთელი ნახევარი მეტრით. როგორც გაირკვა, ეს დედამიწის ღერძის ბრალია.**

დედამიწა ნამდვილად მრგვალია?

1765 წელს XVIII საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მათემატიკოსი, ფიზიკოსი და მექანიკოსი ლეონარდ ეილერი დედამიწის ფორმის ამოცანაზე ფიქრობდა და, უცებ, გონება გაუნათდა: ამ ციური სხეულის ბრუნვის ღერძი უთუოდ მსუბუქად უნდა ქანაობდეს მობზრიალე ჩიკორის მსგავსად. თუმცა, ჩიკორი იმიტომ ქანაობს, რომ ზედაპირი, რომელზეც ის ბზრიალებს, იდეალურად სწორი არაა. დედამიწის ღერძს კი საყრდენი არ აქვს და მიუხედავად ამისა, მაინც ირხევა, იქნებ ამის მიზეზი ჩვენი ოლანეტის არიდეალური სიმეტრიულობაა? სინამდვილეში ის ბურთი არაა, ჰოდა, ბრუნვისას ქანაობს...

ამ ქანაობის ამპლიტუდა პირველად 1891 წელს დაადგინეს, როცა ამერიკელმა ასტრონომმა სედ კარლო ჩანდლერუმცროსმა თავის დაკვირვებათა შედეგები გამოაქვეყნა. აღმოჩნდა, რომ დედამიწის ღერძი შედარებით ნელა და არცთუ ძლიერად ქანაობს. ყოველ 14 თვეში ის ხან ერთ, ხან მეორე მხარეს 6 მ-ით იხრება.

ამერიკელი გეოფიზიკოსი რიჩარდ გროსი და მისი კოლეგები ნასას ლაბორატორიიდან მიიჩნევენ, რომ „ჩანდლერის“ რყევები განპირობებულია არა მხოლოდ ჩვენი პლანეტის „არამრგვალი“ ფორმით, არამედ წნევის რითმული ცვალებადობით, რომელიც დედამიწის ზედაპირზე ატმოსფეროს დაწოლისა და ოკეანეების ფსკერზე წყლის წნევის ერთობლიობით ჯამდება.

რა გვემუქრება?

მაშ ასე, ბოლო 200 წლის განმავლობაში დედამიწის ღერძი 9 მ-ით გადაიხარა. რატომ? ზემოჩამოთვლილი მიზეზების გარდა მკვლევართა აზრით, ამაში არქტიკის ყინულებია დამნაშავე. ჰოდა, როცა ყინული გადნება, პლანეტის ღერძი სავარაუდოდ, დროთა განმალობაში უნდა გასწორდეს. მეცნიერები დიდ იმედს ამყარებენ ამაზე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთობ უსიამოვნო პერსპექტივა გველის. გახშირებული ელექტრომაგნიტური ქარიშხლები, ვულკანთა გააქტიურება, მიწისძვრები, ცუნამებისა და ქარიშხლების გაძლიერება იმაზე მეტყველებს, რომ დედამიწის ბირთვში გრანდიოზული სიძლიერის ტექტონიკური პროცესები ხდება და, თუ ისინი დედამიწის ზედაპირზე იჩენენ თავს, საზარელი დღეები გველის.

მოსალოდნელი კატასტროფის უკეთ გასაგებად უნდა გავიხსენოთ, რამდენად თხელია გარსი, რომელიც ჯოჯოხეთის, და თანაც არამითიური ჯოჯოხეთისგან, გვაშორებს. დედამიწის ქერქის სისქე, ანუ ის, რაზეც განთავსებულია ოკეანეები, მთები, ქალაქები და ა.შ. სულ 30 კმ-ია. მის ქვეშ სოლიდური ფენაა მანტიისა, რომელიც დედამიწის თხიერ ბირთვს შემოხვევია, ამ 5 ათასი კმ დიამეტრის თხევად მასაში ბობოქარი სისწრაფით ბრუნავს მყარი ბირთვი, რომლის დიამეტრიც 2 ათას კმ-ს შეადგენს.

მაგრამ მყარი ბირთვი პერპეტუმ-მობილე არაა და შესაბამისად, იცვლება. მასთან ერთად კი იცვლება ცხოვრების პირობები დედამიწის ზედაპირზე, თანაც, ერთობ არსებითად. მაგალითად, 5 მლნ წლის წინათ ჩვენს პლანეტაზე არ არსებობდა წელიწადის დროები. შესაძლოა, იმ დროს დედამიწის ღერძი პლანეტის ორბიტის პერპენდიკულარული იყო. 20 ათასი წლის წინათ ციმბირში მამონტები პოლარული წრის მიღმა მწვანე ბალახს მიირთმევდნენ... ალასკაზე კი მარჯანი აღმოაჩინეს. გამოდის, ალასკა ოდესღაც ჯუნგლებში მდებარეობდა? მეცნიერთა აზრით, ამგვარი რამ გამორიცხული არ არის...

ასე რომ, დიდი ამბავი, თუ კაცობრიობას ცოტა შეეშინდება, თუ ევროპის ნაწილს წყალი დაფარავს, თუ წყლის ქვეშ აღმოჩნდება კანადა, კორეა და იაპონია, ან აშშ-სა და ჩინეთს ხმელეთის ნაწილი მოეხლიჩება, ანდა რამდენიმე თვე დედამიწაზე ხანძარი იმძვინვარებს, რომლის კვამლიც მზეს, მთვარეს, ვარსკლავებს დაფარავს... სამაგიეროდ, ახალი მიწები გაჩნდება ატლანტისა და ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში, სადაც, სხვათაშორის, დათბება, ხმელეთი ავსტრალიასა და ინდოჩინეთს შორისაც აღდგება, გაფართოვდება ხმელთაშუა ზღვა. მოკლედ, ვნახოთ...

## ბიორადიაცია



მოვლენა, რომელსაც მოწმობს, რომ ცოცხალი ორგანიზმების (მათ შორის, ადამიანებისაც) შესაძლებლობანი საყოველთაო წარმოდგენების ფარგლებს გვარიანად სცილდება. მოსკოვის ერთ-ერთ ინსტიტუტში მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანი გარკვეულ პირობებში იონიზებული ტალღების გამოსხივების იწყებს. უფრო მეტიც, გამოსხივები ეს გამოსხივება მთელ სხეულზე ნაწილდება ცდის პირის ნება-სურვილის მიხედვით. სხივებს ფოლგის ფენისა და ნაწილობრივ, ფენომენის რეგისტრაციისას გამოყენებულ დეტექტორთა კრისტალური სტრუქტურის დარღვევა შეუძლია.



## პანაცეა

ყველა სნეულების განმკურნავი მითური წამალი (წარმოშობილია ძველბერძნული ქალღმერთის პანაკინის — „სრულად განმკურნავის“ სახელიდან), რომლის რეცეპტიც, ალქიმიური ტრაქტატების მიხედვით, უძველესი მაგებისთვის ცნობილი იყო, შემდეგ კი დაიკარგა. თანამედროვე მედიცინა უგულებელჰყოფს პანაცეას არსებობას, მაგრამ ბევრი სერიოზული მკვლევარი უწინდებურად აგრძელებს ასეთი კომპლექსური წამლის ძიებას.

## ნიაუტოპუტაპუ



ასე ეწოდება ავსტრალიის აღმოსავლეთით, ტონგას არქიპელაგში მდებარე პატარა კუნძულს. კოსმოსური თანამგზავრებიდან გაკეთებულმა გამოთვლებმა უჩვენა, რომ ხმელეთის ეს მონაკვეთი დედამიწის ქერქის ყველაზე „მოუსვენარი“ ნაწილია — კუნძული გეოლოგიური სტრუქტურებისათვის არნახული — წელიწადში 25.4 სმ-ის სიჩქარით გადაადგილდება. ასეთი ანომალური საქციელის მიზეზები უცნობია.



## მარადი საათი

საფრანგეთში დღეს ისეთ საათებს უშვებენ, რომლებსაც დაქოქვა არ სჭირდება. მათი ენერგიის წყაროს დღის განმავლობაში ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული წნევის ბუნებრივი მერყეობა წარმოადგენს. სპეციალური „ჰერმეტული ჭურჭელი“ გარემო ცვლილებების შესაბამისად, მსუბუქად „სუნთქავს.“ ეს მოძრაობები ზამბარას გადაეცემა და ქოქავს. მექანიზმი ისე ზუსტად მუშაობს, რომ ტემპერატურის ერთი გრადუსით ცვლილებაც კი საათის მუძაობას ორი მომდევნო დღის განმავლობაში უზრუნველყოფს. ეს მექანიზმი იქამდე იარსებებს, სანამ მზე არ ჩაქრება და დედამიწა არსებობას შეწყვეტს, ანუ, ადამიანური საზომით — მარად!

## იეტის სიმღერა



როცა ალპინისტებს რადიოსადგური გაუჩნდათ, ყურადღება მიაქციეს უცნაურ კანონზომიერებას — ზვავის ჩამოწოლიდან რამდენიმე საათით ადრე ეთერში ხმამაღალი ყმუილი გაისმოდა. იშვა ლეგენდა, რომ ეს „თოვლის კაცი მღერის,“ რომელიც ხიფათს გრძნობს და გამაფრთხილებელ სიგნალს იძლევა. მოგვიანებით ფენომენმა უფრო პროზაული ახსნა მიიღო. თოვლის მასის რხევა და მიკრომოძრაობები, რაც წინ უძღვის ზვავის ჩამოწოლას, რადიოდიაპაზონში რამდენიმე ათეული ჰერციის სიხშირეზე ისმის. ზვავის დაძვრისას სიგნალების სიხშირე რამდენიმე ათას ჰერცამდე იზრდება.



## ჰექტორი

ასტეროიდთა სარტყელში მოქცეული ეს ციური სხეული ალბედოს — არეკვლის უნარის კოეფიციენტის ანომალიური ცვლილებითაა გამორჩეული. საქმე ისაა, რომ ჰექტორი თავის ბრწყინვალებას ყოველ შვიდ საათში იდეალური სიზუსტით იცვლის. ამ მოვლენის ასახსნელად ასტეროიდის სავარაუდო ფორმა გამოითვალეს და აღმოჩნდა, რომ ამგვარი პერიოდულობა შესაძლებელია სხეულისათვის, რომელსაც 110 კმ სიგრძისა და 20 კმ დიამეტრის ცილინდრის ფორმა აქვს. საკითხავი ისაა, ჰექტორი ხელოვნურად შექმნილი სხეულია თუ ბუნების ახირება.

# ოთარ მგელაძის ბედისწერა



**მოგონებები ისეთი რამაა, არ მოგასვენებს, მითუმეტეს როცა გასახსენებელი, ცუდიც და კარგიც, საკმაოდ ბევრი გაქვს... მოსკოვის ქუჩა თბილისის ცენტრში რუსთაველის პროსპექტს იქ უერთდებოდა, სადაც დღესაც უკვდავი შოთა რუსთაველის ძეგლი დგას. ამ ქუჩის 30 ნომერ სახლში ტრადიციული ქართული ოჯახით ცნობილი ექიმი მიხაკო მგელაძე ცხოვრობდა. ოჯახის დედამ, ქალბატონმა ქეთევან თოხაძემ ორი ვაჟი გაზარდა — მიშიკო ექიმი გახლდათ, ოთარი კი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი. ძმები მგელაძეები თავიანთი გარეგნობითა და თვისებებით საზოგადოების ყურადღებას იპყრობდნენ.**

18 წლის ოთარ მგელაძემ 1946 წელს 15 წლის იუნონა კუკულაძე მოიტაცა. იუნონას გარეგნობის გადმოსაცემად სიტყვები: ლამაზი ან ულამაზესი ძალზე მეცოტავება, ამიტომაც „ვეფხისტყაოსნიდან“ ერთი სტრიქონი მინდა მოვიშველიო: „მან მისთა მჭვრეტთა წაუღის გული, გონება და სული“; როგორც ირკვევა, პატარა იუნონას საკონდიტრო ნაწარმი „ნუგა“ ჰყვარებია. ჰოდა, ოთარისაც ეს გაუთვალისწინებია და „ნუგით“ ჯიბეები აუვსია, სიამოვნებით იგონებს, მოტაცებული კი არა, სიყვარულით გატაცებული იუნონა.

მოულოდნელად, ყოველგვარი კანონზომიერების გაუთვალისწინებლად ბედნიერ ოჯახს უბედურება თავს დაატყდა. 1949 წლის ნოემბრის ღამეს ზუსტად 3 საათზე მგელაძეების ოჯახში მამაპაპურმა საათმა სამჯერ დარეკა და სამუდამოდ გაჩერდა. მეგობართან საქეიფოდ მყოფი 23 წლის მიშიკო ზუსტად 3 საათზე სუფრასთან მჯდომი გარდაიცვალა. ამ მოულოდნელმა ამბავმა მთელი ქალაქი შეძრა. რუსთაველის პროსპექტი და მოსკოვის ქუჩა ზღვა ხალხს ვერ იტევდა. ოთარ მგელაძემ საყვარელი ძმა დაკარგა.

ოჯახში გლოვამ დაისადგურა, მაგრამ ცხოვრება თავისას ითხოვდა. ცოლსა და შვილებს მოვლა-პატრონობა სჭირდებოდათ, იურისპრუდენციას შესწავლა და შემდგომ პროფესიის მიხედვით სახელმწიფო სამსახურში ჩადგომა არც თუ ისე იოლი საქმე იყო. პროფესიის მიუხედავად, ოთარი მუშტითაც ცდილობდა ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვას. ნათქვამია, „მჯობნის მჯობი არ დაილევაო“, მაგრამ ოთარზე ხელის ამწევი არავინ იყო იმიტომ, რომ რაღაც ხიბლით საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. განუზომელი შინაგანი ძალა გააჩნდა. მსოფლიოსა თუ საკავშირო მნიშვნელობის გამოჩენილი სპორტსმენები ერთმანეთს ოთარის სიყვარულში ეჯიბრებოდნენ. განსაკუთრებული სიახლოვე მოჭიდავეებთან ჰქონდა.

ქართული სუფრის უბადლო თამადა გახლდათ, ღვინოსაც კარგად სვამდა. ერთხელ სუფრასთან ვიღაც კერკეტი კაკალივით გაუტეხელი შეხვდა. ოთარი შეუთანხმდა: ამ თასს როგორც მე დავლევ, შენც ისე უნდა დალიო, სიტყვა არ გატეხოო. ერთლიტრიანი თასი პირამდე შეავსო. სუფრიდან ფერფლითა და სიგარეტის ნამწვავებით სავსე საფერფლე აიღო და ზემოდან დააყარა; ბოლომდე შესვა, ტუჩები შეიწმინდა, თასს აკოცა და „მოწინაალმდეგეს“ გადასცა. მოწინაალმდეგემ თასი მიიღო, შეავსო, ფერფლიც ჩაყარა და სმას შეუდგა. ორი ყლუპის მერე თასი ხელიდან გაუვარდა და სუფრა სირბილით მიატოვა. ოთარმა ქეიფი ჩვეულებრივად გააგრძელა.

ფათერაკების მაძიებელი შვილის მამა მიხაკო მგელაძე თავის დედისერთას გამუდმებით ეძებდა. საზოგადოებაში ასეთი ფუნაგორია გავრცელდა:

**„მილიცია, მილიცია,
მოი აგერ ელანძე,
არ გინახავს ჩემი შვილი
ოთარია მგელაძე?!“**

გავიდა დრო. იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა ოთარ მგელაძემ ამიერკავკასიის კრიმინალისტური ლაბორატორიის ექსპერტის თანამდებობა დაიკავა. ახლა უკვე სხვა ამპლუაში მყოფი კიდევ უფრო ავტორიტეტული და საჭირო კაცი გახდა. სამართლის დაცვა მუშტით მიატოვა და კალმით დაიწყო, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, თავის შეკავება არ ეხერხებოდა.

ახლა უკვე ხუმრობით შემიძლია გავიხსენო, თუმცა მაშინ სახუმარო არა იყო რა. ავტომანქანა „ვოლგა“ მყავდა. მელიქ კაზარიანის სახლში ვცხოვრობდი. საღამო იყო. შინისკენ მიმავალმა ზემელზე შემოვუხვიე. უეცრად, რუსთაველის პროსპექტიდან ელვისებური სიჩქარით მომავალი „ვოლგა“ კინაღამ დამეჯახა. ბეწვზე გადავრჩი. ერთმანეთს შევაგინეთ და მან ზემელის აფთიაქთან გააჩერა მანქანა, მე — გასტრონომთან, ელბაქიძის დაღმართზე. დავინახე მანქანა დაკეტა და ჩემკენ წამოვიდა. ამ დროს მოსკოვის ქუჩიდან მომავალმა ოთარმა დამიძახა, გადმოვიდა და გადამეხვია. უცნობიც მოვიდა. ოთარი რომ დაინახა, გადაეხვია და კარგა ხანს კოცნა. ნასვამი იყო. ჩემთვის არც ერთს არ ეცალა. ხვევნა-კოცნა და მოკითხვა რომ დაამთავრეს, ოთარმა ორივეს გაკვირვებით გვკითხა, თქვენ ერთმანეთს არ იცნობთო?! უხერხული პაუზა ისევ ოთარმა დაარღვია და მე და გივი კარტოზიას ერთმანეთი გაგვაცნო. მას მერე მე და ბატონი გივი ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს ავტოპროფილაქტიკაში. ერთხელ გავახსენე ჩვენი პირველი შეხვედრა, ოთარი რომ არა, ალბათ, კაი დროს გავატარებდი-თქო. მხარზე ხელი დამადო, გაიღიმა და მითხრა: — არა, როგორ გეკადრებაო. მე კი მაინც ვფიქრობ, რომ იმ დღეს ოთარმა გადამარჩინა.

ოთარ მგელაძეს ორი შესანიშნავი ქალიშვილი ეყოლა — ქეთინო და მაცაცო. ქეთინო ადრე გარდაიცვალა. მაცაცო გათხოვდა, მისი მეუღლე აწ გარდაცვლილი ცნობილი სპორტსმენი, ხუთგზის ოლიმპიური, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ცნობილი კალათბურთელი ზურაბ საკანდელიძე გახლდათ. დღეს მაცაცო ღირსეული ოჯახის შვილი, დედა, მეუღლე და ბებიაა.

ვფიქრობ, მგელაძეების წარსული ტრაგიკული იყო. რამდენადაც ვიცი, იმ საბედისწერო დღეს ოთარს გურიიდან მოყვრები ეწვია. საპატივცემულო სტუმრები ორთაჭალაში, ცნობილ „მალაქიას დუქანში“ წაიყვანა, რომელიც რუსთავის გზაზე მდებარეობდა. იქიდან წამოსული ბორდიურს შეასკდა და...

ამ ტრაგედიამ ერთი ძველი ამბავი გამახსენა. 1957 წლის თებერვალში ჩემი ავტომანქანით ოთარი და იუნონა მანგლისში წავიყვანე. ოთარმა მითხრა: აქედან შენ დაჯექი საჭესთან, იქედან — მეო. ავტომანქანის ტარება მაინცდამაინც კარგად არ იცოდა, მაგრამ ძალზე გაბედული გახლდათ. მეორე დღეს, შეთანხმებისამებრ, ხაჭესთან ოთარი დავსვი. ყოველი შემთხვევისათვის გვერდით დავუჯექი, იუნონა — უკანა სავარძელზე. მიხვეულ-მოხვეულ გზაზე გადაჭარბებული სიჩქარით მიმავალმა მოხვევა დააგვიანა; გაფაციცებით ვადევნებდი რა თვალს ყველა მის მოძრაობას, მუხრუჭის პედალზე ფეხის დაჭერა და საჭის შემობრუნება მოვასწარი, ავტომანქანა ბეტონის ბორდიურს შეეჯახა და გაჩერდა. ერთი სიტყვით, ხევში გადაჩეხვას გადავრჩით. ხოლო ათი წლის შემდეგ, 1967 წლის თებერვალში „მალაქიას დუქნიდან“ მობრუნებული ოთარი რუსთავის გზაზე ისევ ბეტონის ბორდიურს დაეჯახა და ამჯერად საბედისწეროდ. მანგლისის გზაზე გადავრჩით, რუსთავის გზაზე კი ბედის უკუღმართობამ თავისი გაიტანა.

ოთარ მგელაძე 1967 წლის 19 თებერვალს 39 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა.

**ჟანი სიხარულიძე**

# მიირთვით «კაპრიჩოს» ტკბილეული სურვილისამებრ

**თბილისში გაიხსნა იტალიური საკონდიტრო „კაპრიჩო“, რომელიც ახალი სიტყვაა საკონდიტრო წარმოებაში. პროდუქცია მსოფლიო სტანდარტის ტექნოლოგიებითაა შექმნილი. ეკოლოგიურად სუფთაა და ფასებიც ყველასათვის ხელმისაწვდომია.**

**„კაპრიჩო“** (იტალ.) ნიშნავს — **სურვილისამებრ** — ამდენად, ის მართლაც რომ აკმაყოფილებს ყველა ასაკის მომხმარებლის მოთხოვნას.

კომპანია, ძირითადად, ორიენტირებულია კრემიან და ფენოვან ნამცხვრებზე, ისეთებზე, როგორიცაა: კრუასანები, როგოლახი, როზენსი, ტორტი და სხვა კრემიანი ნამცხვრები. ეს ნამცხვრები მთელ მსოფლიოში ძალიან პოპულარულია. ახლო მომავალში ასორტიმენტი უფრო გაიზრდება. ამასთან, საკონდიტრო მიიღებს შეკვეთებს ექსკლუზიურ ნამცხვრებზე.

ნებისმიერი სახეობა არის **„ფრეში“**, ანუ ახალი, ასევე, კომპანიის კაფეში შეგიძლიათ, დააგემოვნოთ ნამდვილი იტალიური პიცა და ქართული ხაჭაპური, რომელშიც გამოყენებულია ინოვაციური ელემენტები.

**ასჯერ გაგონილს — ერთხელ გასინჯვა სჯობს!**

სააღდგომოდ **„კაპრიჩო“** მომხმარებელს სთავაზობს საუკეთესო ხარისხის გამორჩეულ **„პასკას“**, რომელშიც ქიშმიშთან ერთად გამოყენებული იქნება მშრალი ხილი (ცუკატები).

**კომპანიის დევიზი მისსავე სახელწოდებაშია, რომელიც სურვილისამებრ განგაწყობთ ტკბილი სიამოვნებისათვის.**

კომპანია 2009 წლის დეკემბერში შეიქმნა და მისი დამფუძნებლები არიან ავტორიტეტული კონდიტერები: რეზო დევდარიანი, დავით ჩხენკელი და თემურ ვაშაკიძე, რომელთა გამოცდილება და ცოდნა კომპანიის წარმატების საწინდარია.



**ახალი პროდუქტი იყიდება შემდეგ მისამართებზე:**
**ყაზბეგის გამზირი №32, ვაჟა-ფშაველას პროსპ. №64,**
**ასევე თბილისის მაღაზიათა ქსელში.**
**ოფისის ტელ. 39-82-50.**

# ნიკო ნიკოლაძის პრემიის ახალი ლაურეატები



**ხუთი წელიწადია არ გაცემულა პროფესიონალ ჟურნალისტთა წარმოსაჩენად განკუთვნილი დიდი ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია. ამიტომ იყო, რომ საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი, პრემიების მიმნიჭებელი კომისია პროფესორ ნოდარ ტაბიძის ხელმძღვანელობით, „იძულებული“ შეიქნა ოცი ცნობილი ჟურნალისტისთვის მიენიჭებინა ეს საპატიო ჯილდო (ადრე, ყოველწლიურად 4-5 კაცს ანიჭებდნენ).**

ლაურეატთა უმრავლესობას ჩვენი გაზეთის მკითხველი კარგად იცნობს. აი,ისინი: **მარკ რივკინი** (ცნობილი ტელედიქტორი ), **ბეჟან (ჟანი) სიხარულიძე** (ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორი), **გივი ბაქრაძე** (ცნობილი სამხედრო ჟურნალისტი), **ვახტანგ (გოჩა) ხუნდაძე** (საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ დილის პროგრამა „განთიადის“ ხელმძღვანელი), **არმაზ სანებლიძე** (ცნობილი პუბლიცისტი, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ლეილა კვირიკაშვილი** (რადიო „საქართველოს ხმის“ წამყვანი ჟურნალისტი), **მაია ასათიანი** (ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საავტორო გადაცემა „პროფილის“ წამყვანი), **ლამარა კიკილაშვილი** (საქართველოს რადიოს დამსახურებული ჟურნალისტი), **სპარტაკ ქობულია** (გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პასუხისმგებელი რედაქტორი), **გიორგი ლაფერაშვილი** (ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი), **გოდერძი შარაშია** (ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტი), **თენგიზ პაჭკორია, ნანა ჭანტურია** (აფხაზეთის რადიოს საავტორო გადაცემათა რედაქტორები), **რობინზონ ოდიკაძე** (გაზეთ „ბათუმის“ ყოფილი რედაქტორი, „ბათუმის ქრონიკების“ განყოფილების გამგე), **მაია ფურცელაძე** (გაზეთ „ვერსიის“ მთავარი რედაქტორი), **როსტომ ჩხეიძე** (ცნობილი მწერალი, პუბლიცისტი, რედაქტორი), **ხათუნა ბერძენიშვილი** (საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი), **ლინა ბარათაშვილი** (ცნობილი პოეტი და პუბლიცისტი).

„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია ულოცავს ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატებს საყოველთაო აღიარებას და ახალ წარმატებებს უსურვებს შემოქმედებით საქმიანობაში.

# ულრმესი პატივისცემით ყველასადმი

**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითმა კავშირმა პატივი დამდო და ბატონ ჰამლეტ გეგიას ენერგიული მცდელობით აღდგენილი ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია მომანიჭა ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.**

**დიდი მადლობა ჩემი მოკრძალებული საქმიანობის ესოდენ მაღალი დაფასებისთვის.**

**მინდა მივულოცო ჩემს კოლეგებს — ნიკო ნიკოლაძის პრემიის ახალ ლაურეატებს — პრესის, ტელე და რადიოჟურნალისტებს, დამსახურებულ ადამიანებს, დიდოსტატებს, იმათ, ვისთან ერთადაც წლების განმავლობაში მუშაობის ბედნიერება მქონდა.**

**გულითადად ვულოცავ ჟურნალისტთა მომდევნო თაობის ღირსეულ წარმომადგენლებს, ვინც 21 მარტს გამოარჩიეს როგორც საუკეთესონი საუკეთესოთა შორის.**

**მადლობა ჩემს მეგობრებს, ახლობლებს, ყველას, ვინც ეს მაღალი ჯილდო მომილოცა.**



**ულრმესი პატივისცემით ყველასადმი,**
**არმაზ სანებლიძე**


# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის-სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება —
წმ. ანდრია პირველწოდებულის
სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ
ფონდის დირექტორს,
დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru






მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

ეწვიეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net